

ქართული მწიგნობები

სალიტერატურო ჟურნალი

დაარსებულია
1926 წელს

აღდგენილია
1990 წელს

განახლებულია
2008 წელს

3

მარტი
2011

რედაქტორი

ლევან ბრეგაძე

რედაქტორის მოადგილე

ზვიად კვარაცხელია

სარედაქციო ჯგუფი

მაია კუდავა
მეგი ობოლაშვილი
ოლიკო ჟღენტი
ნინო სადღობელაშვილი
გვანცა ჯობავა

კონცეფცია და დიზაინი:
© პაატა ნაცვლიშვილი, 2008.



გამომცემლობა ინტელექტი

0179, თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №17ბ
25-05-22, 91-22-83, 8(99) 55-66-54
ფაქსი: 25-05-22, 91-22-83
www.intelekti.ge info@intelekti.ge
რედაქტორი: 8(99) 90-37-22

ISSN 1512 - 4444

© გამომცემლობა „ინტელექტი“, 2008.

პოეზია

- ვანო ჩხიკვაძე. მგზავრი 5**
გიზო თავაძე. ლექსები 7
დათო აკრიანი. ზღვიდან ოკეანეში 9

მხატვრული პროზა

- ირაკლი სამსონაძე. მწყერი 12**
(ნაწყვეტი რომანიდან „გადაფრენა“)
მიხო მოსულიშვილი. დიდგორული ჩანახატები 20

ესეისტიკა/დოკუმენტური პროზა

- ილამაზ მინიშვილი. ანდრე ჟიდის საბედისწერო სტუმრობა 32**
დიდი მწერლის თვალით დანახული საბჭოთა კავშირი

პრიტიკა

- როსტომ ჩხეიძე. ანდერგრაუნდიდან: გოგი მაისურაძე 42**
(ციხური ნოველების ქართული რკალი)

ქართველები შინ და გარეთ

- ლია ჩლაიძე. ოთხი დღე თურქეთში 50**

ორი ფინჯანი

- „ჩემი ადამიანები... კარგი ადამიანები არიან“ 53**
(კატო ჯავახიშვილს ესაუბრება თემურ ჩხეთიანი)

უკვლავი სახელები

- 57 **მაია ცერცვაძე.** დავით ჭავჭავაძე და მისი ოჯახი ელისაბედ ერისთავის მოგონებებში

შტრიხები პორტრეტისათვის

- 63 **ბრენდა ნაითი.** მერი ფაბილი – ფერმერის ქალიშვილი ნიგნიდან „ბიტ თაობის ქალები“
(ინგლისურიდან თარგმნა სალომე ბენიძემ)

ახალი თარგმანები

- 15 **ინგებორგ ბახმანი.** თანამედროვე პოეზიის პრობლემები რეალური და მოჩვენებითი შეკითხვები
(გერმანულიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ)
- 66 **ელჩინ ეფენდიევი.** ვერცხლისფერი, ნარინჯისფერი, ხავერდისფერი...
(აზერბაიჯანულიდან თარგმნა ოქტაი ქაზუმოვმა)

მინაწერი ლექსზე

- 74 **ბელა ჩეკურიშვილი.** „პოეტები ნაბიჯებს არ ითვლიან“ ...
(არჩილ ფირცხალავას „პოეტები“)

100 ლექსის ქვეყანა

- 75 **სანდრო ლორთქიფანიძე.** ვილაჯამ გუგულით ბაკურიანს გადაუფრინა (ანუ ლიტერატურული ექსპრესი თოვლში და უთოვლოდ...)

პრეზენტაციები

- 78 **გვანცა ჯობავა.** ესმა ონიანის „ამოუხსნელი სიტყვების“ პოეზია
- 79 რენე კალანდიას „100 ლექსი“ – „განსაკუთრებული მოვლენა“

პოეზია

ვანო ჩხიკვაძე

მგზავრი

დაგუბდა სივრცე და დრო გაჩერდა –
ცაში „ბოინგის“ რუხი ღრუბელი
დაეკიდა და ველით საჩვენოს –
მინისკენ როდის ჩავინურებით.

როცა იმედი ინვის ღერივით,
როცა აღარსად აღარ გელიან, –
მაშინ სიცოცხლეც არაფერია,
მაშინ სიკვდილიც არაფერია.

გაბრუებული უცხო მოტივით,
გალიის ჩიტი, ცაში ბერდები.
ზამთრის ძეძვივით გადაკორტნილა
ბაღნარი ჩვენი ცრუ იმედების.

ერთხელ ხომ მაინც უნდა მაცალო,
რომ მოგაკვლიო ხელის ცეცებით.
ვარდად თუ ეკლად მოხვალ
მარცვალ,
თუკი მინაში ჩაითესები...

მეც ერთხელ ბედი უნდა მეცადა,
გამომეხედა ჩემი ციხედან,
ვნახე:
ნაპირზე მიდის დევკაცი,
და მისი ჩრდილიც ქვიშას მიხვეტავს.

მიდის და მიდის.
ის მართალია,
როდესაც მთელი სამყარო ცრუობს.
ამღერებს კალამს –
ფურცლის კალიას,
ვიღაც ჩურჩულებს: – უიტმენ უოლტ!..

ვიცი, მრავალჯერ მომელანდება
ამპარტავანი ხიდის პროფილი.
მარადი ზეცა, თავის სიდიდით
უკიდევანო და კმაყოფილი.

ქალაქის თავზე მაღალ თაღებად
გადარკალული, ნაირფრად ბრწყინავს.
და რეკლამების ფერად საღებავს
დღაბნის ბავშვივით ბროდვეის წვიმა.

ვხედავ, კენედის ქუჩაც აქვეა –
ბიძია თომა, შემთვრალი ბრენდით,
მობანცალეებს და კედლებს აჰკერნიან
შემკრთალი მონრო და სტრეიზანდი.

და მოგუგუნე ახალი რომი,
თავშესაფარი მრავალი ტომის,
ჯილაგის – მდიდრის და უპოვარის,
თუმცა გრძნობების უდაბნო არის,

წვიმაში ერთი ქოლგის ქვეშ დგანან,
მადამ ტუსო და მადამ ბოვარი.

მუზეუმის წინ ცვილის ფიგურას
„ეზაასება“ ვინმე ჯენიტო,
დიდ ეკრანზე კი ქაქანიტ მისდევს
ხან ტომი ჯერს და ხანაც ჯერი ტომს.

მოჩვენებითი სიმშვიდის მიღმა
ვიღაცა მაღავს თვითმკვლელის
ნიღაბს.

და იმუქრება
ისევ სექტემბრით
(რომ ჯოჯოხეთით შეცვლის
სამოთხეს),
როცა სავაჭრო ცენტრის კედლები
ხმაურიანი ბათქით ჩამოხსნეს.

როცა ჩაიქცნენ ცათამბჯენები
გუგუნით, სულის შემძვრელი
ბლუზით.
მანჰეტენს კვამლის ჩრდილი, ვეება,
დაეცა, როგორც გაჭრილი ტუზი.

ვდგავარ მდუმარე და ნანგრევებზე
ვიღაც უცოდველ სულებს უგალობს...
შენ აპატიე,
მე კი მკვლელების
შენდობის ძალა არ მაქვს, უფალო!..


აგერ, გაეროც –
წყალი დუბელა,
შესქელებული ლპობის სიმწვანით –
როდესაც თავში წამოუბერავს
დემოკრატიის „აბებს“ გვიგზავნის.

ფუჭი ლაქლაქი ჩირად არა ღირს,
ცხოვრება ისევ „საამურია“ –
ურიას მაინც დევნის არაბი,
ან პალესტინელს ჩაგრავს ურია.

მაინც გვეძახის ახალი რომი,
თავშესაფარი მრავალი ტომის.

მაინც ყველა გზა აქეთ მოძვრება,
ვის ხელს უპყრია დღეს კამერტონი,
მივხვდი, როგორც კი იგრძნეს
ბორბლებმა,
აეროპორტის ცხელი ბეტონი.

ვნახე, მოვდივარ.
იქ აღარა ვარ,



ვანო ჩხიკვაძე დაიბადა 1947
წლის 5 ოქტომბერს, გორის რაიონის
სოფელ კირბალში.

1972 წელს დაამთავრა თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფილოლოგიის ფაკულტეტი.
სხვადასხვა წლებში მუშაობდა
და გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ და
„ახალგაზრდა კომუნისტის“ კორექ-
სპონდენტად, სატელევიზიო თე-
ატრის რედაქტორად, გორის პრე-
ფექტის მოადგილედ.
მოსწავლეობის პერიოდიდან
მოყოლებული მისი ნაწარმოებები
ქვეყნდება ქართულ პრესაში, ლი-
ტერატურულ პერიოდიკაში. ლექ-
სების პირველი წიგნი „ნათდება“
გამოვიდა 1973 წელს.

ვანო ჩხიკვაძე ავტორია სამი
რომანისა: „ჩიტები ზამთარში“,
„ბებერაშვილების ამბავი“ და „შუ-
შების ომი“. ეს უკანასკნელი 2008
წლის აგვისტოს მოვლენებს ასახ-
ავს. მის კალამს ეკუთვნის ორმო-
ცამდე პოეტური და პროზაული
წიგნი, საბავშვო ნაწარმოებების
კრებული, ავტორია მრავალი პუბ-
ლიცისტური და ლიტერატურული
წერილის, სხვადასხვა ქვეყნებში
მოგზაურობის შთაბეჭდილების,
თარგმანების.

2002 წელს საერთაშორისო ასო-
ციაცია „კვალის“ კონკურსში გა-
მარჯვებული მისი პიესა „ორი
მდინარის შესართავთან...“ დაიდგა
გორის გ. ერისთავის სახელო-
ბის თეატრში და ნაჩვენები იქნა
ამერიკაში „ქართული კულტურის
დღეზე“.



მწერლის ნოველა „კობხა თამ-რომ“ დაიმსახურა ლიტერატურული კონკურსის – „შენ-მარათონი 2003“-ის პირველი პრემია. ამავე წელს ჟურნალ „ომეგას“ ლიტერატურულ კონკურსში „ლუარსაბ თათქარიძე“ მესამე პრემია მოიპოვა მისმა ნოველამ „იყო“.

2006 წელს ვანო ჩხიკვაძის „ზამთრის წიგნს“ მიენიჭა წლის საუკეთესო პროზაული კრებულის ლიტერატურული პრემია „საბა“, ხოლო ნოველა „ახადელების რძალმა“ გაიმარჯვა პორტალ „literatura.ge“-ს მიერ ჩატარებულ ლიტერატურულ კონკურსში – „წერო“.

2010 წელს მიენიჭა მაცყვალა მრევლიშვილის პრემია და გადაეცა მედალი.

1997 წელს დაჯილდოვდა „ღირსების ორდენით“, არის გორის საპატიო მოქალაქე.

სად შემოდგომის კარი ჭრიალებს, და წეროების უწყვეტ ქარავანს სამხრეთის ქარი მიაფრიალებს.

სადაც კაზინოს ამაოებით სუნთქავს ძველი და მარად ახალი, მექა, უცნაურ სარწმუნოების – ატლანტა-სიტი და ტაჯ-მაჰალი.

ვიცი, მრავალჯერ მომელანდება ამპარტავანი ხიდის პროფილი, მარადი ზეცა, თავის სიდიდით უკიდევანო და კმაყოფილი.

ვერეზანოზე კვივის საცობი, შემდორებული ტრანსპორტის გუბე. ქვემოთ კი ზანტი ჰუდსონი აცხრობს ლოუერ-ბეის ვენბიან უბეს.

მინდა აქ მაინც აღარ დავფიქრდე, არ გავიგონო ძახილი მხედრის – ატლანტა-სიტიში თეთრი ქაფიდან ველარ გამოდის კეისრის ეტლი.

ვნახე, მოვდივარ. ჩემი ვალია, შენთან და შენთვის ვიყო მარადის, ვიდრე სისხლიან სატევარივით ცაში ჰკიდია სიტყვა – ლალატი, არ შემიძლია მშვიდად ვუყურო, ამდენ ფლიდსა და ამდენ ფულუროს.

ამდენ ჭარტალა ენაჩხვლეტიას, ახალ თავადს და ძველ ნაბატონარს – თურმე სამშობლოს ბედი რგებია, ესენი რაკი მოსხდნენ პატრონად.

აბა, გაუძელ დარდებს მონოლილს, როცა გარიგებს ჭკუას ჩოჩორი... ეჰა, ცხოვრება ფინთი რამეა, დღე გგონია და, თურმე ლამეა.

რამდენი ვნახეთ ჯოგი ახვართა, ცეცხლს რომ ანთებდნენ გაღმა-გამოღმა, რამდენი „ჯიხვის“ ტყავი დახვავდა, დროის ლობეზე დალპა, ჩამოხმა.

ისროლეს, ძარცვეს და იქაქანეს, ამოგვადინეს ყელში ნალველი. ტყვიები წმინდა მკერდზე დაცალეს, მოკლეს სამშობლო ხალხის სახელით.

ღმერთო, რამდენი ვნახეთ ცრუ-გმირი, შემონთებული ტანზე ბუგრივით, მაგრამ ის ერთი მაინც სხვა იყო, ორჯერ მოვიდა, ორჯერ აიღო

ტახტი და ლხინი გარდაქმნა გლოვად, სიცილით დგამდა სპექტაკლს სისხლიანს, რომ ეთამაშა ეშმაკის როლი – ქვეყანა კუპრის ქვაბად გვიქცია...

და ჰა, შვილები, სხვათა ხიზნები, სხვის სახლს ათბობენ, სხვის მატყლს ჩეჩავენ, აქ, ამ შორეთში უფრო იგრძნობა ეგ სიძაბუნე და სიბეჩავე.

ისევ გლოკავენ ცეცხლის ენები, საზღვრებმომშლილო, სახლო – უკარო, შენ აპატიე, მე კი მკვლელების შენდობის ძალა არ მაქვს უფალო.

მოვდივარ. გული მაინც არ მწყდება, ვერაფერს გავცვლი ობლის ჯვალზე. სამშობლოს ცისარტყელას ნანყვეტი ჩემს სიმარტოვეს უავგაროზებს.

**გიზო თავაძე
ლაქსაზი**

იფერფლებოდნი, ვით იკაროსნი...

*„მცნებას ვერ შემაცვლევინებთ,
მოზღვავებულის ავითა...“*

ვაჟა

ენკენისთვეში, როცა ტაროსი,
მხურვალეებს და სითბოს გვიგ ზავნის,
იფერფლებოდნი, ვით იკაროსი
და კანკალებდნი, როგორც ხიზანი.

და კანკალებდნი უმწეო ჩვილი,
ენკენისთვეში და სიშიშვლეში...
ახალი მთვარე მთებში გაჩრილი,
ცაზე ეკიდა – მარტორქის ეშვი...

ტერფებს გითბობდა მსუყე ბარკლებით,
თმებჩამოშლილი დალი, – მისანი,
გთენთავდა სითბო არანაკლები
ადრე და... სულ სხვა იყო მიზანი...

აქ, სულში გედო თავშესაფარი
და არ გხიბლავდა ხორცის ქათქათი,
გასრულდა ღამე, როგორც ზღაპარი,
მოსხიპა ძალა და არაქათი...

ადრე ბებო რომ გითბობდა ფეხებს
და გეძახოდა ჭალა არესის...
დღეს ენკენისთვის უნაზეს შხეფებს,
კრიფავ წრფელი და უანკარესი...


თმეზი – ჩანჩქერი

ჩანჩქერში თმეზი უნდა დაგბანო!
ჩამოგიშალო თმეზი – ჩანჩქერი...
ნიაგარაა შენი აბანო,
თვალები ზღვაა, – როცა ჩაცქერი...

ხმელთაშუა ზღვის ქროლავს ზღვაური
და ქათქათებენ მარჯნის რიფები
და ვილენებით აურზაურით
ჩვენ, პოეტები და არიფები...


თოლიებიც კი გახდნენ მორცხვები,
გიაღერსებენ როცა ტალღები,
უძღური არის ყველა მოძღვრება,
რო აფეთქდება მკერდზე ნალმები...

ვერ გიურვებენ ნიაგარები,
როგორც კალმახი გასხლტი ჩქარ ჩქერში...
გბანო; მე, ზღვები და ნიაგარები
და თან ვიხრჩობით თმათა ჩანჩქერში...



გიზო თავაძე დაიბადა 1959 წლის 13 იანვარს. 1976 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა. 1978-80 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში, ლიტვაში. 1987 წელს დაამთავრა ინსტიტუტი პროფესიით ისტორიკოსია. 1988 წელს ქუთაისში აარსებს ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას. 1991 წლიდან არის საქართველოს დემოკრაფიული საზოგადოების, „იმერეთის სადროშოს“ თავმჯდომარე. 1991 წელს გამოვიდა მისი პირველი ლექსების კრებული „მესიზმრება შორეთი“. 1995 წლიდან საქართველოს მწერალთა კავშირის წევრია. 2003 წელს მოთხრობების კრებულისათვის – „ალიფამას მეორე ლალატი“ – მიენიჭა ნოდარ დუმბაძის პრემია. 2006 წელს ქუთაისის ლადო მესხივილის თეატრში დაიდგა მისი პიესა „კეთილშობილი მორიელი – ბა“. 2007 წელს კი რეჟისორმა ზაზა კოლელიშვილმა მისი სცენარით გადაიღო ფილმი „ქუთაისელი ბაბუა“. 2007 წელს მიენიჭა ჟურნალ „ოლეს“ პრემია. ხოლო 2008 წელს ნიგნისათვის „ვინ ირგებს ჩოხას“ – ტერენტე გრანელის პრემია.

ჰყავს მეუღლე თამთა კვიციანი და ოთხი შვილი, შვილები თუთია და თუთაბერი – მოსწავლეები.



გალადა სათვალეზე

როგორ მაკლდებით, მოკლე დღეებო,
 ისე გაფრინდით, ვეღარ დაგთვალეთ,
 თქვენც შეგპარვით ხმობა, ხეებო,
 ცელის სანაცვლოდ, ხელში ნაჯახით,
 რომ მოგადგებათ ვინმე ართვალი
 და თქვენ იქნებით ცამდე მართალი,
 ვინ შეგიბრალებთ, ცეცხლზე დაგდებენ
 და იანგლებენ ბანზე აგდებით
 იან ჰუსზე და ვინმე ბრუნოზე
 და თუ ბრუნავს ცა, და თუ ბრუნავს მზე,
 მკვდრეთით აღსდგებით და განედლდებით
 და იბრუნებენ კვლავ განედები...
 გაფრინდებიან მოკლე დღეები,
 არც ჩვენ ვიქნებით, არც ეს ხეები
 და როგორ ვნუხვარ, რომ ვერ დაგთვალეთ,
 დღეს მე მჭირდება, კარგო, სათვალე!..
 მხოლოდ დღეები კი არ მაკლდება,
 მაკლდება ღონე და თვალის ჩინი,
 ვდარდობ, ვაითუ ვერ დაგინახო
 და ამოუშვა ბოთლიდან ჯინი!..
 ჯინი, რომელიც მე ვიყავე შენთვის,
 სუნთქვა, რომელიც შენს სუნთქვას ერთვის...

როგორ მაკლდებით, მოკლე დღეებო
 და თვალის ჩინო – დიდო ნათელო...

მე...

შორიდან ვისმენ ელმავლის კივილს,
 ცელქი ბავშვივით ვითვლი ვაგონებს,
 მე სული მტკივა და ვუძლებ ტკივილს,
 ტკივილს, რომელიც შენს თავს მაგონებს...

გამოვექეცი მზის გახელებას,
 როცა გვალვებმა სული დაღარეს,
 მე მენატრება მკრთალი ხელები,
 ჩემმა ვნებებმა რომ ვერ დალაღეს...

ელმავალივით ჩემშიც კიოდა
 სისხლი: კოლხური, ლაზურ, ხეთური...
 შენში ნვეთ-ნვეთად გადმოვდიოდით:
 მე, ეს ღამე და ცა ქვიშხეთური...

და ივსებოდა შენი სხეული
 ცით, ღამეებით, – როგორც ორსული...
 მე ფირალივით გამოქცეული,
 მუხლზე სამთხვევლად ვიყავე მოსული.

შორიდან ვუსმენ ელმავლის კივილს,
 ცელქი ბავშვივით ვითვლი ვაგონებს,
 მე სული მტკივა და ვუძლებ ტკივილს,
 ტკივილს, რომელიც შენს თავს მაგონებს....

დათო აკრიანი
ზღვიდან ოქიანეში

აფეთქება

თითქოს უსაზღვროდ ხანგრძლივდებოდეს
დადგომა სულის აპრილ-მაისის...

ო, რა ზრიალით ჩამოიქცნენ იმ პანანინა ქოხის კედლები,
სად მშობელთა მშვეს,
სადაც უნდა მეცხოვრა თითქოს მე უდრტვინველად,
და მივეც თავი უძიროთა უძიროებას –

ო, რა მანძილებს, რა ტრამალებს ვფარავ ნამებში –
ო, რა საკვირველ შეხებათა მხურვალეებას ვეამბორები –
რა მენამული ნათებანი აღხდებიან
ამ მიწისძვრის ჟამს
შორს, უცხო და უკუნ ჰორიზონტს –

ო, როგორ ფეთქავს,
როგორ ბორგავს,
როგორ იმღვრევა-ინმინდება,
რა შმაგ ღვარებად მოიგრაგვნის და მოიქცევა სისხლი ჩემი,
აღარმსურველი ძველ კალაპოტის –

ო, რა ცეცხლები იბნევიან ურიცხვ ნინკვლებად,
რა უხელთებლად ცრიალებენ,
მესხურებიან და განმელტვიან –
რა ენითუთქმელ,
უზენაეს,
მომლოდინე და სულცრემლიან კვალებს აჭდევენ
ღვართქაფად ქცეულ ჩემს ნიაღში –

ო, რა მძლეთამძლე წინათგრძნობა იელვებს ხანაც
და აცისკროვნებს მთელს არემარეს –
რა არნახული აფეთქება გაჰკვეთავს სულის უსაზღვრობას –
ვით იდუმალი მღვიმე-ქვაბულის თალის გარდახსნა მეყსეული –
მაშინ მეხება აზრი რამე გალაქტიკების შემომკრები...
და მყისვე, კვალის უტოვებლად, იკარგვის სადღაც უმონყალოდ –

ო, რა ზრიალით ჩამოიქცნენ იმ პანანინა ქოხის კედლები,
სად მშობელთა მშვეს,
სადაც უნდა მეცხოვრა თითქოს მე უდრტვინველად,
და მივეც თავი უძიროთა უძიროებას –

სინათლეები



შუქი მეფინა: თითქოს დამყვა ქუდბედი მცირე,
შემოქმედების ზღვა როს ვპოვე და – ჩავიძირე:
სწორედ ის შემხვდა, უთუოდ რაც უნდა მენახა,
ყოველ ტალღაში ჩამალული მნიფე ვენახად.

ბოლოს მივუხვდი, ოქროსთევი გამომეგება:
ის ხარობს ყველგან, – ხილვა უნდა, მხოლოდ შეხება.



ვაგრძელებთ დათო აკრიანის
თხზულებათა ფრაგმენტების პუბ-
ლიკაციას საერთო ეპიგრაფით:

**„შემოქმედება, როგორც გუ-
ლის თვითგანხორციელება, რო-
გორც სინათლისაკენ ამაველი
შემეცნების საფესურები“.**

პირველი ფრაგმენტი, „ხმელეთ-
ზე და ზღვაში“, დაიბეჭდა 2010
წლის სექტემბრის ნომერში.



სჯულის ფიცარი

I

განმარტოვდი და დააგუბე შენი ძალები,
დაგუბდი და კამხალივით აივსე,
რათა ერთხელაც გადმოხეთქო.
თუნდ არც იცოდე, რას ელოდები:
ზღვამ თვითონ იცის, რას გამორიყავს,
ნაკადი თვითონ გაიკვალავს გზას.

განმარტოვდი,
რათა ყველაფერი თავიდან დაიწყო;
რათა მთელ შენ ძალა-უნართა მოკრებით
გაირღვეს მიწიერება-მატერიის
ბნელი რკალები
და გარდანყდეს სამყაროს გამოცანა;
რათა ჩამოადგეს მაისი,
აყვავდეს ბალი
და აღარასდროს გაუდაბურდეს.
ამ ბალიდან – თუ ცოტა ხნით მხრებზე
თვით **ცბს** იტვირთებ –
ოქროს ვაშლებს გამოგიტანენ.

განმარტოვდი,
როცა გაფაციცებულ სმენას შენსას
მოსწვდება კაკუნი მიღმიერი,
ყრუ და უხმოვანესი:
დიადი ფერისცვალების,
მკვდრეთით აღდგომის,
მიწიდან ცაში გადასახლების მაცნე.

განმარტოვდი არა უდაბნოდ,
არა ცივ სენაკში,
არამედ ტყეების, მდუღარების,
ნაკადულების სიახლოვეს:
ისინი ცვრად ეპკურებიან შენს
გავარვარებულ საფეთქლებს
და მსწრაფლ მოგეგებებიან,
როცა არსების შენის მზარდი მიმოქცევა
სახეებს მოგთხოვს ხორცშესასხმელად.

განმარტოვდი,
რათა აღკაზმო ულაყი შენი,
თუ ფლოქვ-ნაღვერდლები მისი
მოუთმენლად სცემენ შენს მზისწულს
და ცეცხლოვანი ფაფრის ენები
ლოკავენ ჰაერს:
აღკაზმო,
სასიცოცხლო ნახტომით ასხლტე
მიწიდან და –
უფსკრულის თავზე,
გულგამყინავი სიცარიელის გაკვეთით,

▼
შუქი მეფინა: ვეშვებოდი სტრატოსფეროდან,
მომიახლოვდა შორით გლუვი ღრუბლის თაველი:
აგორგლილიყო, ქარაფები ამოზნექოდა,
მაღე გავკვეთდი, ვფანცქალებდი: „ქვევით რა მელის?“
გაეტაცებულვარ ჩემსავ, თურმე, სიღრმეში ყვინთვით:
ფსკერზე ნიჟარა მეგულება მბრწყინავი ტვირთით.

▼
შუქი მეფინა: ვტრიალებდი მიწის გარშემო,
სუსტი, სნეული, დაკარგული და დაფლეთილი...
კინაღამ განყდა გულისძაფი, ოდეს გარემო
იცვალა უცებ – ავსხლტი ცისკენ, თითქმის შემლილი...

იხსნება ჯანლი... ცხრება თავბრუ... ეცემა ნწევა...
ქანიც კლებულობს... სხვა სივრცეთა ვყნოსავ სურნელებს...
იქ მიწა ბრუნავს – აქ სალბუნი-სიო ირწევა...
მარადიულში ვიძირები... **დრო სვლას უ-ნე-ლებს...**

და შევიცანი, გაციხკროვნდა გონება მაშინ:
ფესვს ვერ იპოვი მიწის ზურგზე, ძიქე ცაში.

▼
და **სხივი** კიდევ: იმ ბილიკზე, მე რომ მივეყვი,
იმ **მთვარიანში ლოკოკინას მოვერცხლილ კვალზე**,
ცეცებ-ცეცებით რომ ვიდოდი, ბრმა და მერყევი,
მარტოდმარტო სულ – ერთადერთსა და იდუმალზე:

ან, ვერცხლჩაფენილს, თითქოს ვამჩნევ აქა-იქ ხეებს
უცნობ მოყვასთა დანატოვარ ნიშნებს და ჭდეებს.

რიჟრაჟის ბინდი

ო, როგორც იქნა, მეხილა თვალი,
გასრულდა ძრწოლა, ბნელში ხეთქება,
თითქოს გამეხსნა მე მომავალი,
თითქოს ვიგრძენი, რა გზა მექნება.

ო, როგორც იქნა, ან უკვე ვარჩევ,
რა არის დიდი, რა არის მცირე,
თანდათანობით თვალს აისს ვარჩევ,
დაკარგულმა კი ბევრი ვიტყვი.

გავცდი ამაოს, წყალს აღარ ვნაყავ,
ვესწრაფო უჭკნობს – თავს მივეც ფიცი,
ოლონდ სად მივალ, რას დავინახავ,
ხან ვხვდები თითქოს და ხან არ ვიცი.

გაიხსნა ცა და გაჩნდა მიზანი –
ზრდა კვიპაროსის ეს მარადისი.
თავიც ნახევრად მე შევიცანი,
ფუჭი რა მიმაქვს და რა – ვარგისი.

ო, მოქცევისას, რა შორ კონცხებს შემოვწერ ფრთებით,
ვხვდები მისახვედენს... შორს გაბნეულს თავს ვუყრი რიფებს...
ეჰ, მე და შენლა, საცალფეხოვ ნაშლილო, ვრჩებით,
თუ გვერდი უნდა ავუქციოთ საწუთროს მყიფეს!

ათასი ხერხის გჭირდება ფლობა
და მომარჯვება ყველასი ერთად,
რომ გულის შეძლო ცის კვირტზე მყნობა,
უნყოფო ფრიალოს არ შერჩე კენტად.

სხვისი კარნახი ვერ წაგიძღვება,
შენივ მეგზური გყავდეს მაშველად,
ოდენ მისი ხმის ყრუ ნაბიძგება
რიჟრაჟის ბინდში გიხმობს სავლელად.

ცისკან წასული ცეცხლის ყვავილი

ყველაზე მეტს რას შეიძლება ელოდო **ნიგნიდან**,
ანუ დაწერილი სიტყვიდან,
ანუ რაღაც გარდასულის ან ყოველწამს მიმდინარის ანაბეჭდიდან?
რა შეიძლება შეინახონ და გადმოგცენ ფურცლებმა?
სასიცოცხლოდ, საბედისწეროდ არსებითს თუ მიიღებ რამეს?

ძველები დიდად არ დაგიდევდნენ დაწერილ სიტყვას:
ცოცხალ მეტყველებას სხვა ძალა აქვსო...

და მაინც, თავის გვირგვინში, რა ძალის შეიძლება იყოს **ნაპერნკალი**,
რომლითაც ნიგნი დაგმუხტავს?
ნუთუ არავისგან გსმენია:
ამ ნიგნმა ჩემი ცხოვრება შეცვალაო?..

მაშ, (ალა)დასტური **ნიგნს!**
ოღონდ ფრთხილად და გამორჩევით.
შენი და ჩემი დასტური **ნიგნს**
და არა ქვიშის მარცვლებივით მომრავლებულ **ნიგნუკებს!**
ჩვენი დასტური თუნდაც უკვე მომხდარის ანარეკლს:
მზეს თუ არა, ბადრ მთვარეს მაინც,
თვითონ თუ ვერ გიზგიზებს, კოცონზე მაინც გაიამბობს,
გიაამბობს ზოგჯერ ისე, უკვე ბრიალი და ტკაცატკუცი ჩაგესმის,
უკვე თავ-პირ-გულ-ღვიძლი გეტრუსება...

ცეცხლი ჯერ გელამუნება,
მერე გახურებს,
მერე – თუ მიეცემი – ეგებ თავისავით აგაბრიალოს
და ერთ სასწაულებრივ დღესაც გაუგონარი ძალით გიბიძგოს იქით,
საითაც თვითონ მიიწევს...

მხოლოდ **იპ** არის **მომ-სპე-ნე-ბა**.

ეს უწყის ცეცხლმა, მუსიკამ და – საუკეთესო ნიგნებმა.

P.S. ადამიანი იმისთვის არ გაჩენილა,
რომ გაუთავებლად წეროს და იკითხოს.
ამ ყველაფერს მხოლოდ იმდენად აქვს აზრი,
რამდენადაც ადამის წყალობაწართმეულ შთამომავალს
პირვანდელი სინათლისა და თავისუფლებისკენ უბიძგებს.
უამისოდ, ყოველგვარი შემოქმედება სხვა არაფერია,
თუ არა **ფუჩეჩი**, ნიჭიერი ან უნიჭო,
რითაც საპატიოდ გამოირჩევა დღევანდელი ლიტერატურა.



სინათლის სხივზე აღმატებული
ანუ **აბსოლუტური** სისწრაფით –
უკანმოუხედავად მიაშურო
ვარსკვლავთა მიღმა მოლივლივე
თეთრ სანაპიროს,
საიდანაც –
ოქროს მანტიით მხრებზე და
მარადისობის აღმასით გულში –
დაუბრუნდები
დედამინის პეპლებ-ყვავილებს.

II

არა სიცოცხლე,
არა სიკვდილი,
არამედ **აღმასი უკვეთელი**.

არა სიკეთე,
არა ბოროტება,
არამედ **ცეცხლი იღუმალი**.

არა ლირიკა,
არა რელიგია,
არა ფილოსოფია თუ
ბუნებისმეტყველება,
არამედ
სამკვდრო-სასიცოცხლო შებმა
ყრუ-უსინათლო ძალებთან,
ბოლო მონაწიეობა და მოკვეთა
უდღუური წარსულის,
საკუთარ სარეცელში
ჩაფერფვლა და –
აღდგომა ღიღ სიცოცხლეში.

და რაკი ერთიმეორეში
ჩამლღვალი გული და გონება
კვაზარვიით ფეთქავს,
ლაფა კი, სხვადასხვა ძალის
სპაზმურ ტალღებად ამოღვრილი,
ჟამიჟამ
ქარვის ამფორებშიც ისხმება,
მაშინ:
არა „ხელოვნება ხალხისთვის“,
არა „ხელოვნება
ხელოვნებისთვის“,
არამედ საბოლოო გვირგვინში:
შემოქმედება
როგორც რა-ლიზია,
როგორც მთელი შენი არსების
ერთ ბირთვად შეკვრა
და –
გატყორცნა ცისკენ.

მხატვრული პროზა



ირაკლი სამსონაძე

მწყერი

ნაწყვეტი რომანიდან „გადაფრენა“

მწყერმა, რალა თქმა უნდა, არ იცოდა, სწორედაც რომ მწყერი ერქვა კაცთათვის, მაგრამ არც ისაა გასაკვირი, მწყერად თუ გრძნობდა თავს, მხოლოდ ამიტომაც უნდა მიმხვდარიყო, ალბათ, როდის დაიწყებოდა დიდი გადაფრენა, მიხვდა კიდეც, თუმცა ერთობ თავისებურად მიხვდა, ჰოდა, ამაზე მინდა გაიმბოთ.

შარშანდელი მეორე ნაყარისა იყო. განა კი მაშინ, იმ ოქტომბერში არ ეძახდა შორეული გზა, მაგრამ ვერ მოასწრო მოფრთიანება, ვერ მოლონიერდა, თბილისის ზღვის მახლობელი სერიდან აფრენილი სხვა მწყერებს ჩამორჩა და თემქის დასახლების ერთ-ერთი კორპუსის ღია ლოჯიაში შეფრინდა. მას აქეთ ერთად ცხოვრობდნენ მწყერი და კაცი, რომელიც მინას და ხორბალს უყრიდა ჩიტს, დროდადრო წყალს აწვდიდა პატარა ჯამით, ფეხსაც მოირთხამდა ხოლმე მის გვერდით და ერთ ნერტილზე თვალმიბჯენილი გრძელ, სევდიან ამბავს ჰყვებოდა სათავისოზე, საკაცოზე.

ერთი პატარა მწყერი იყო, რა უნდა გაეგო ადამიანის ნაუბრიდან, მაგრამ ამჩნევდა, იცოდა, რომ ზრუნავდნენ მასზე: მშრალი, თბილი თივა დაუფინეს ოთახის კუთხეში; იქ დაფოფინებდა, იქ ამკვიდრებდა თავის მწყერობას, ზამთარი კი მინებს მიღმა დარჩა, ვერაფერს ერჩოდა იქიდან, ხოლო კაცის ხმა ისე მახლობლად ჟღერდა, რომ უმფოთველ ნეტარებაში ეტრუნებოდა მწყერს, ხან კი, ამდენი უმფოთველობისგან სულშეძრული უაზროდ დატრიალდებოდა ოთახში და „თვალი არ მეცეს“, „თვალი არ მეცესავით“ გააბამდა – ქვითკირ, ქვითკირსა.

კაცს ხშირად გადაუსვია ჩიტისთვის ხელი, თავზე მოჰფერებია, მაგრამ მთელი სხეული დაუფარავს; კაცის ვეება ხელს ქვეშ მშვიდობა სუფევდა, მინებს მიღმა ზამთარი ილეოდა, დილის ცვარ-ნამს კი იყო მოწყვეტილი,

მაგრამ წყალი არ აკლდა, არც სითბო და საკვები, რა უნდა ესურვა მეტი, ბედნიერებისგან აცეტდებოდა ხოლმე ასეთ წუთებში, თავის კუთხეს გამოსცდებოდა და სრულიად ოთახს მოდებულ მოწყვებოდა აქეთ თუ იქით, აქეთ თუ იქით გამალეზულ სირბილს. კაცი სკამზე ჩამოჯდებოდა, ფეხს ფეხზე შემოიდებდა, იდაყვს მუხლისთავს დააყრდნობდა, სანახევროდ მომუჭულ ხელისგულზე ჩამოიდებდა ნიკაპს და გალიმებული, შიგნიდან გამთბარი შეაცქერდებოდა ჩიტს.

ასეთ სურათს ხშირად შეესწრებოდა იმ დაუსრულებელ, უმზეო ზამთარში, ისიც გაგეფიქრებოდათ ძალაუნებურად, ნეტა მწყერს უფრო სჭირდება კაცი თუ კაცს მწყერი; რადგან გზარეული ჩიტისა არ იყოს, უხეიროდ აწონილი კაციც მოგაგონებდათ გუნდს ჩამორჩენილს.

განგებისგან დაწყვილებულეებსა ჰგავდნენ; განგება სხვა გადმოსახედიდან ხედავს, მან უკეთ იცის, ვის როგორ ნაუკრას ხელი, ანდა, ვინა რა განსაცდელში გამოატაროს; ამას ის მალაპარაკებს, რაც შემდეგ გადახდათ თავს; სიმათლე ითქვას, ეს ნიგნიც მათ ბედზეა.

ჰო, ზამთარში კარგი იყო, მეტად უხდებოდნენ ერთმანეთს. კაცს სამ დღეში ერთხელ უწევდა მახლობელ ავტოფარეხში ღამის თევა. შინ მცირეოდენი პროდუქტითა და უფილტრო სიგარეტის რამდენიმე კოლოფით ბრუნდებოდა. წყალს გამოუცვლიდა ჩიტს, ხორბალს დაუყრიდა, თვითონ წახემსებდა, ცოტას ნაუძინებდა, გაღვიძებული თავს მოინესრიგებდა, მაგიდაზე ფურცლებს გაშლიდა, ღუმელში ცეცხლს გააჩაღებდა, გააბოლებდა სიგარეტს და წერას შეუდგებოდა. ამ საქმესაც რომ მოილევა, ხან ნიგნის კითხვით, ხანაც ტელევიზორის ცქერით იქცევდა თავს.

მწყერმა კარგად შეისწავლა ბინა. იქით, მინებს მიღმა ღია ლოჯია

ირაკლი სამსონაძე დაიბადა 1961 წელს. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი (1978-1983). 1985 წელს ჟურნალ „ხელოვნებაში“ გამოქვეყნდა მისი პირველი პიესა „შუალამისას“. 1992-1996 წლებში იყო აღმანახ „დრამატურგიის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე, ხოლო 1996-98 წლებში – ამავე აღმანახის მთავარი რედაქტორი. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

გამოცემული ნიგნები: „ტრიპტიქი“ (პიესები) – 2000 წელს; „გარეუბანი“ (მოთხრობები), – 2003 წელს; „ყურთბალიში“ – 2004 წელს. მისი სცენარების მიხედვით გადაღებული ფილმები: „ეტლი შარაგზაზე“, 1989 (რეჟ. დავით ქვარცხავა); „დოგა დოგა“, 2006 (რეჟ. დ. ქვარცხავა);

საქართველოს თეატრებში სხვადასხვა დროის დაიდგა ირაკლი სამსონაძის პიესები: „შუალამისას“, „ბედნიერი ბილეთი“, „აღდგომა გაუქმებულ სასაფლაოზე“, „იქ სადაც ღვარად მოედინება“, „ვანილის მოტკობ, სევდიანი სურნელი“, „ბედნიერი ბილეთი“, „აღდგომა გაუქმებულ სასაფლაოზე“, „შუალამისას“, „ტელეშოუ მინისძვრის სინდრომით დაავადებულთათვის“, „აბეშურა – ფარნავა-ზიანთა უკანასკნელი დედოფალი“ და სხვა.

მინიჭებულია აქვს პრემიები: სახელმწიფო პრემია (2001), „კვალი“ (2002), „საბა“ (2005), მისმა ნამუშევარმა – „კლინიკური ქორნიზება“ – მიიღო პირველი პრემია მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ფონდის კონკურსზე „ახალი ქართული პიესა“ (2010).

იყო, სადაც ხშირად ხედავდა რაფაზე ჩამომსხდარ ბელურებსა და მტრედებს. ოთახის კუთხეში დაჩხილი შემა ეყარა, შემასთან ღუმელი იდგა, ღუმელის მილი თუნუქის გამოჭრილ ფირფიტაში გადიოდა და როცა კაცი ცეცხლს ააგიზგიზებდა, ღია ლოჯიაში თეთრი კვამლი გაიფანტებოდა, ღუმელიდან კი მოხშირებული ტკაცვა-ტკუცი ისმოდა. ერთ მხარეს სამზარეულო და სააბაზანო იყო, მეორე მხარეს გამოკეტილი ოთახი, სადაც მწყერმა ვერა და ვერ შეაღწია, რადგან ოთახის კარი არ გაუღია. სხვა რა, კუთხეში სანოლი იდგა, სანოლის პირდაპირ ძველი ტელევიზორი, შუაში მაგადა და სამი სკამი, – სულ ეს იყო. თუმცა მწყერისთვის სასახლეც გახლდათ ალბათ, კაცისთვის კი საკმარისი, ან საკმარისზე მეტი ფართიც, აკი ერთი ოთახი სულაც გამოეკეტა, თავის გვერდით კი ჩიტისთვისაც მოედებნა მომყუდროებული, პატარა კუთხე. გადაიზამთრეს.

მარტის თვემ კატების მოხშირებულ კრუტუნთან ერთად ჩამომდინარი, ნოტიო სევდა მოიტანა. საღამოობით განსაკუთრებით საგრძნობი იყო სიმარტოვის მწველი განცდა და თუმცა ისევ ერთად იყვნენ, ცივი ზამთრის საღამოებში, თითქოს, მეტად ეხალისებოდათ ერთმანეთი.

მწყერს არ ენახა კატა, მაგრამ გაბმულად დაჭერილ ერთ ბგერაშიც იოლად იგუმანა ხიფათი; ხიფათი ჰაერშიც ტრიალებდა, ხიფათი თუ დაუკმაყოფილებლობის შეგრძნება თუ რაღაც ანჩხილი და გაუგებარი, რაც გულის კოვზთან წრიალებს და ვილაცის მონატრებას გავალდებულებს.

სითბოში მონატრება დაძრწოდა, მაგრამ მწყერმა არ იცოდა, ვინ ან რა უნდა მონატრებოდა და სწორედ ეს ამფოთებდა.

კაცი სკამს გაიტანდა ხოლმე ღია ლოჯიაში და დაბერილ კვირტებს აცქერდებოდა ხეებზე. გაზაფხულის თავბრუდამხვევ სურნელში მწყერმა მომეტებულად იგრძნო, რომ რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი დაინწყებოდა, გული მოუვიდა თავის თავზე, ფრთა ფრთას შემოჰკრა, მაგრამ ეზოში კი არ გაფრინდა, ლოჯიის კედელს შეასკდა და ისევ აქეთ გამოფრინდა, ლოჯიის მეორე კედლისკენ და ისევ შეასკდა კედელს; ამით კი, იქნებ, ისიც ანიშნა

კაცს, რომ თავისუფლად შეეძლო აქედან გადაკარგვა, მაგრამ ახსოვდა, რა უსასოოდ დაეხეთქა ლოჯიის იატაკს, კაცის ამაგიც ახსოვდა და მხოლოდ ეს აჩერებდა მასთან.

– რა გემართება?! – მიმართა კაცმა მწყერს და დაკვირვებული მზერა შეავლო.

რა უნდა ეპასუხა, ის კაცი იყო, ეს კი მწყერი, რომელიც თავად ვერ გარკვეულიყო, რატომ მოიტანა ნოტიო, წვიმიანმა გაზაფხულმა ასეთი თავზარდამცემი სევდა.

მერე კატის გაბმული კნავილი შემოესმა ეზოდან და მიხვდა, რომ ის, ვილაც სამიში და ვერაგი არსება, ახლა სასიყვარულო თამაშს მისცემოდა.

მწყერმა თავისი პირველი გაზაფხული იგრძნო და საიდანღაც ლორთქო ჯეჯილის სუნი მოესმა.

ჰო, მოესმა, ლორთქო ჯეჯილის სუნი შრიალებდა, სველ მიწაში ჭიკაყელები დაფუთფუთებდნენ, მატლი ჰეპლად ქცეულიყო და მეორე პეპელას პეპლავდა, მზის სხივი წინმსწრავ სხივს ენეოდა, ქროლვაშივე ენასკვებოდა და ერთიანად აღმურასული ეხეთქებოდა მიწას, მიწიდან ბალახი მოდიოდა, ბალახი მწვანე იყო, მწვანე და ლბილი და ახალი, ყველაფერი ახალი იყო, – პირველშობილი, პირველწვეული, პირველად სასურველი, სურვილს სევდა მოჰქონდა; სევდა – საღამოს, როცა ვარსკვლავს შორიდან უყვარს ვარსკვლავი; დღისით – სიშლეგე, როცა მზის ერთი-მეორეზე გადანასკეული სხივები უკანასკნელი, გაბმული ამოხვნეშით იშლებიან ნოტიო მიწაზე; კატაც გაბმულად იჭერდა ერთ ბგერას: – აააა, აააა, აააა – და კატის აწყვეტილი, გადამდები ვენება იმას ახსენებდა, რომ ქვეყნად სხვა მწყერებიც არსებობენ, რომ მარტოა ახლა, მათ გარეშე, ამ კაცის ამარა დარჩენილი.

ალიზიანებდა თავისი მარტოობა და ბელურებთან ჩხუბს ეშურებოდა. დაკვირვებული იყო, ბელურა პირისპირ შეხლას გაურბოდა, ამიტომ გაცხადებულად გაენთებოდა ხოლმე მონინააღმდეგისკენ და მოპოვებული გამარჯვება გულში მონრიალე ფორიაქს უცხრობდა დროებით. ეს ერთგვარ თამაშად, გართობად იქცა მწყერისთვის, თუმცა მწარე გაკვეთილიც იწვინა. ერთად შეჯგუფებული ბელურებისკენ გაენთო, რამდენიმე დააფ-



ინგებორგ ბახმანი (1926-1973)
 XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ავსტრიელი პოეტია; ასევე ნოველების, რომანის, რადიოპიესების, ესეების ავტორი; ლიტერატურულ წრეებში თავი დაიმკვიდრა როგორც „ჯგუფ 47“-ის წევრმა. პროფესიით ფილოლოგი და ფილოსოფოსი, ბახმანი იკვლევდა ჰაიდეგერის შემოქმედებას და მუშაობდა ლიტერატურის თეორიის განხრით.
 იმ პერიოდში, როდესაც 1959-60 წლების ზამთრის სემესტრში ფრანკფურტის უნივერსიტეტის პოეტიკის კათედრაზე ლექციების წასაკითხად მიიწვიეს, ბახმანს უკვე აღიარებდნენ მნიშვნელოვან გერმანულენოვან ნოვატორ პოეტად, თუმცა, ამასთანავე, ის თავისი ლირიკისაგან გაუცხოვებას განიცდიდა და ამ დროიდან მოყოლებული თითქმის მთელ დროს პროზასა და მეცნიერულ კვლევას ანდომებდა. თანამედროვე ლიტერატურის პრობლემებისადმი მიძღვნილი მისი ხუთი ლექციისაგან შემდგარი ციკლი შემდგომში გამოიცა პროგრამული სახელწოდებით „ლიტერატურა როგორც უტოპია“. ეს ლექციები ლიტერატურულ სფეროში გარდაქმნებისა და ახალი ორიენტირებისაკენ შემობრუნების ეპოქაში იქნა ნაკითხული.





რთხო, მაგრამ ერთ-ერთი გამორჩა მხედველობიდან, სწორედ ის მიუხტა გვერდიდან და რამდენჯერმე მწარედ ჩაუნისკარტა თავში, შემდეგ მარდად გაეცალა და გაფრინდა. გალახული დარჩა, თუმცა ჭკუა კი ისწავლა, მას აქეთ გაურბოდა რამდენიმე ბელურასთან შებრძოლებას.

ერთ დღეს კაცმა ბალახები და მინდვრის ყვავილები მოიტანა პოლიეთილენის პარკით და ეს კარგი იყო, რადგან ბალახებში დაკლაკნილი ჭიალუა იპოვა, წამისწამში გადასანსლა, ნისკარტი ამაყად გაიღესა ქვის იატაკზე და თავისი მწყობის დასტურად პანია კლანჭები ერთხელ, ორჯერ თუ სამჯერ გაუსვა ბალახს; მოცელილი ბალახიდან რალაც სხვაც მოიხელთა და ისევ და ისევ გაუსვა კლანჭები, თავითაც გაეგლისა, ჩაჯდა ამ სურნელში და მიხვდა, რომ სხვა მწყრებს გადმოეფრინათ, აქ იყვნენ უკვე, სადღაც ახლოს ედოთ ბინა, ხოლო მამალ მწყერს ყელი შესქელებოდა და დაჟინებით უხმობდა თავისკენ.

იმდენად საყოველთაო, ყოვლისმომცელი და დაჟინებული იყო მამალი მწყერის ძახილი, რომ სულ აებნა თავგზა, ახალი გასართობი მოიგონა თავისთვის, ახალი ზნე დაიჩემა, – ბუდის მონყობას შეუდგა, კაცის მოახლოებისას კი აგრესიას ვერა, მაგრამ აშკარა, დაუფარავ უკმაყოფილებას ამჟღავნებდა.

– სულელო, – ეღიმებოდა კაცს, – შე სულელო, ჩემო სულელო, პატარა ჩიტო!

რა ექნა, მწყერი იყო და რაც მწყერისგან ითქმება, იმას ამბობდა თავისებურად; ანდა, თუ ვერ ამბობდა, მისი შეცვლილი ზნითაც ხომ უნდა მიმხვდარიყო, წესით, კაცი, რომ სხვა სადარდელს აეტანა ჩიტი, სხვა ეფორიაქებოდა გულზე და იქნებ კაცსაც ადანაშაულებდა, ბოლომდე რომ ვერ გრძნობდა თავს მწყრად, უმთავრესად მნიშვნელოვანსა და არსებობის გამამართლებელს რომ გამოკლებოდა; ვინ იცის, იქნებ კაცსაც წყევლიდა და თავსაც იწყევლიდა ასეთი ბედისთვის, მაგრამ ვის რა ბრალი ჰქონდა, ეს ოხერი?! – შარშანდელი ოქტომბრის შუა რიცხვებში ულონო, მიმკვდარებული მწყერი შემოუფრინდა ღია ლოჯიაში კაცს, მოასულიერა, გადააზამთრა, თავის მარტოობაში შემოიამხანაგა,

არც არაფერი მოუკლია ამ ხნის განმავლობაში, ამასობაში მიეჩვია, კარგა ხნის დახურული გული გაუხსნა და იქნებ იმიტომაც გაუხსნა, რომ თავად კაცი იყო, ხოლო ის, მისი ახალი მეგობარი – ჩიტი, ვისთანაც, ალბათ, იმას ამბობდა, რაც ადამიანისთვის სათქმელად არა თუ ვერ ემეტებოდა; მაგრამ, ჰა, მოვიდა გაზაფხული და თავისი მარტოობით შედუღებულნი თვალსა და ხელს შუა გაანაპირა, გაათითოვა, ხელახლა გაამარტოხელა.

ის შემთხვევა იყო, როცა არავინაა დამნაშავე, ორივეს თავისი სიმართლე კარნახობს საქციელსაც და განწყობასაც. კაცს ერთი ბავშვობის მეგობარი-ლა შერჩენოდა, ის აკითხავდა დრო და დრო, მაგრამ ყოველდღიურობის უღელი ჩიტთან ერთად ეზიდა და ამის მოგონებაც კი უყვარდა უკვე; ხოლო მწყერს თავისი მწყობის დაბრუნება სჭირდებოდა, სჭირდებოდა გაცდენილი გაზაფხული, როცა შორეული მოგზაურობით დაღლილი ზუსტად იგრძნობ, სად, რომელი ჯეჯილისთვის გადმოიფრინე ამხელა მანძილი; იქ დაივანებ, იქ მოითქვამ სულს, იმას მოისამშობლოებ, იმ ჯეჯილს, იმ ყანას, იმ მიწას, სადაც ჭიალუები დაფუთფუთებენ და გაგირბიან, გემალეებიან ჭიალუები, მაგრამ მაინც მოსწავლეები ნისკარტით, მიწის წიაღიდანაც გამოაძვრენ დაკლაკნილსა და სასურველს და კმაყოფილების ნიშნად კლანჭებს გაიღესავ მიწაზე – ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, კიდევ და კიდევ, სანამ სხვა ჭიალუას ანდა ხოჭოს არ შენიშნავ და ახლა იმას გამოუდგები, ჯეჯილი კი ისე თვალნათლივ იზრდება, ისე ლამაზად, ისე ყოჩაღად, რომ გესმის კიდევ თბილი მიწიდან ამოზრდილი ღეროს ხმალი. მისნი-მოსნია პატარა ბელტები, გამოალნია, გამოსცდა, მოდის, ჯიუტად მოინევეს მზისკენ, რომელიც დღითიდღე ძლიერდება, მცხუნვარდება, ყანას ამნიფებს და აი, მზარდი ყანის რომელიღაც კუთხიდან მამალი მწყერის ყელდაბერილი ძახილი მოატანს; გაეფონოს უნდა ამ ხმას, ამ ძახილს, ყელდაბურვას მამლისას; ოდნავ, სულ ოდნავ უნდა ჩაუჯდეს კლანჭებზე, ქედი წაუხაროს და დამორჩილების ნეტარებაში მიიღოს, რაც და როგორც დაუნესა ბუნებამ.

სჭირდებოდა, ძლიერ სჭირდებოდა ეს გაცდენილი გაზაფხული და არც ისაა გასაკვირი, რომ ძველებურად არ ეხალისებოდა ამ მარტოხელა კაცთან, რომელიც ზამთრის გრძელ საღამოებში სათავისოს ყვებოდა; რომ მარტია, ისე მარტია, რომ იმ კაცთა რიცხვიდან არის, ვისაც მხოლოდ ერთი ქალი უყვარდება, რომ მოუკვდა თავისი სიყვარული და რომ ჭკუაზე შეშალა მწუხარებამ...

მწყერს კი, მწყერს თავისი გასჭირვებია, სათავისო აფიქრებს, მწყერს გაცდენილი ზაფხულის დაბრუნება სჭირდება უკვე, ყანის ბიბინი, სიმძიმისგან დადრეკილი თავთავები, თავის დედობა, ჰო, დედობა, გოგმანი თავის პანია ჩოჩრებთან; მწყერს ის ხიფათიც კი სჭირდებოდა, რაც თან სდევს მწყრობას: – ცაში მიმინო, დაიმახსოვრეთ, ხიფათია! თავი სოროდან ამომძვრალი, გაეცალეთ! მელა, ტურა, კაცი და ძაღლი, – ხიფათია, ჩემო ბარტყებო, ხიფათია! ოლონდაც კი თქვენ დამეზარდენით, ოლონდაც კი თქვენ...

ხოლო კაცი სათავისოზე, საკაცოზე ყვება ჩიტთან: – რომ ვერაფერი გაუგო ამ დროს, რომ დრო მისთვის ჟამად იქცა, რომ ხვედრად ერგო მძიმე ჟამი, და რომ...

მწყერი კი ისევ სათავისოზე ფიქრით შეძრული: რომ გაზაფხულთან ერთად ახლა მწიფე ზაფხულიც მიდის, რომ ქრება სადღაც მწიფე ზაფხული, და რომ...

მწყერმა, რაღა თქმა უნდა, არც ის იცოდა, რას ეძახდნენ ადამიანები ფერიცვალებას, მაგრამ სწორედ 19 აგვისტოს, კაცისგან მოწვეული პატარა ჯამში, წყლის ზედაპირზე ცხადად და გარკვევით დაინახა სხვა კაცი, – თეთრი სუდარით მოსილი, მინაზე ყურდაბჯენილი, ძალიან სევდიანი თვალებით. ჩიტს შესცივდა კაცის სევდისგან და ნისკარტი ჩაჰკრა წყალს, შემდეგ კი ყელი აიღერა, ხოლო როდესაც წრეებად გაშლილ ზედაპირს დახედა, კაცი ვეღარ დაინახა, თუმცა სიცივე ისევ იგრძნო და ამით გულმოსულმა ისევ ჩაჰკრა ნისკარტი წყალს და ისევ აიღერა ყელი.

არ ვიცი მწყერის სიზმარი დავარქვა, არ ვიცი – მწყერის ხილვა, მაგრამ იმ დღიდან მეტი შფოთვა აჰყვა; უეცრად წამოუტივტივებოდა ხოლმე ერთ-

მანეთთან დაუკავშირებელი, ან იქნებ მისი გონებისთვის მიუწვდომელი სურათები, რომელშიც ისევე ცხოვრობდა, როგორც აქამდე იცხოვრა ამ ბინაში. ალბათ ხილვა უფრო იყო მაინც, რადგან თვალხილული, ჩვეულებრივი ცხოვრებით გართული, უეცრად გაყურდებოდა, თუ არადა, ფრთების ქნევას მოჰყვებოდა, ანდა დაფეთებული გაურბოდა რაღაცას თუ ვიღაცას.

ფერიცვალების საღამოს უდაბნო იხილა მწყერმა.

სხვა მწყერებთან ერთად მიფრინავს უდაბნოს თავზე. ჩქარ-ჩქარა ფრთები, თავისი ფრთები, ქვემოთ კი მინა, უსწორმასწორო მინა, აქა-იქ ბუჩქები მინაზე. მინაც, ბუჩქებიც უფრო მუქი, ვიდრე საღამო. აქეთ! აქეთ! არა, – იქით! არ იცის, მაგრამ მიჰყვება სხვა მწყერებს. საითაც გუნდი, ისიც იქით. ვიღაც მართავს, მაგრამ ქროლვაში სულერთია! სწრაფად, ჩქარ-ჩქარა თავისი ფრთები და შხხ, შხხ, და მერე ხალხი, და კარვები, გამოშვერილი თითები მათკენ, შეძახილები, ხოლო მწყერები მოციმციმე კოცონებისკენ, – შხხ! ცეცხლი! ცეცხლი! ცეცხლი! როგორ ჭრის თვალს, როგორ ითრევს, როგორ აბრმავებს მოთამაშე ცეცხლი მინიდან, გადასცდა კოცონს, – ერთს, მეორეს, მაგრამ იქით დიდი ცეცხლია, ძალიან დიდი, და ხმა ცეცხლის – გუუ, გუუ და ტკაცტკუციც და გაფანტული ნაპერწკლები აქეთ და იქით, ცეცხლი კი – გუუ, გუუ, და ცეცხლისკენ დაბრმავებული, თვალწაგვრილი, სხვა მწყერებს შეხილილი – ჰე, მინისკენ, ცეცხლისკენ, გამოწვდილი ხელისკენ – ჰაი! თავი, თავი, ნაწყვეტილი მის სხეულს თავი ჯერ კიდევ ხედავს, კიდევ ფიქრობს, კიდევ განიცდის, მაგრამ განიცდის სადღაც იქიდან, საითაც ახლა მოისროლეს; აი, თურმე, რა ყოფილა, როგორ ყოფილა; აი, თურმე, როგორ შიათ მისი ხორცი; აი, აი, აი, თურმე, როგორ აგლეჯენ სხეულზე ბუმბულს; მშიერ ხელეგში მომწყვდეული უკვე; ვიღაც კაცი სამადლობელ სიტყვებს გაჰკვივს; დუჟმორეული დედაბერი მინაზე ფორთხავს; გასიებული დედაკაცი ლამებს ილოკავს და: – ხორცი! ხორცი! – გაიძახის, – მომეცით ჩემი ნილი ხორცი, მე ისე მშაა! ხოლო მას, ასე უსასოოს, ასე მარტოს თავის სიკვდილში ბოლო ბუმბულ-



ინგებორგ ბახმანი

თანამედროვე პოეზიის პრობლემატიკა

რეალური და მოჩვენებითი შეკითხვები

ქალბატონებო და ბატონებო! ვგონებ, მეცნობა ის ცნობის-მოყვარეობა და ინტერესი, რამაც ამ დარბაზში მოგიყვანათ. ორივეს ბადებს იმ საკითხების შესახებ რაიმე დამატებითს გაგების სურვილი, რითაც დაკავებულნი ვართ, – მამასადამე, ისეთი რამის შესახებ განსჯის, თვალსაზრისთა, დასკვნათა მოსმენის სურვილი, რაც, წესით, თავისთავად, მხოლოდ მისავე არსით უნდა ვიკმაროთ. მამასადამე, ეს უფრო სუსტი, მეორეხარისხოვანი რამ უნდა იყოს, რადგანაც ყოველივე, რაც კი შეიძლება შემოქმედების შესახებ ითქვას, მასზე ბევრად უფრო სუსტი გახლავთ. ეს კრიტიკის უდიდეს მიღწევებსაც კი ენება და, მათთან ერთად, ყოველივე პრინციპულსა და საფუძვლიანს, რისი თქმის სურვილიც დრო და დრო გვიჩნდება და კვლავაც გაგვიჩნდება. ამ ყველაფერს გზის გაკვლევის მიზანი ამოძრავებს და სწორედ ასე, საორიენტაციოდ, ითქმის კიდევ. თავად მწერლებიც არც თუ იშვიათად იჩენენ ინტერესს სხვა შემოქმედთა აღიარებების, დღიურების, სამუშაო რეგულაციების, მიმოწერის და, ბოლო დროს, ასევე საქვეყნოდ გათქმული „პროფესიული საიდუმლოებების“ მიმართ. ჯერ კიდევ ოცდაათი წლის წინათ რუსმა პოეტმა მაიაკოვსკიმ გამოაცხადა, მკითხველს პოეტის შემოქმედებით საიდუმლოებებზე სრული უფლება აქვსო, ამ უკანასკნელმა არ შეიძლება ისინი თან ჩაიტანოსო საფლავში. ასეა თუ ისე, დღეს ამის საშიშროება

¹ თარგმანი შესრულებულია დათო ბარბაქაძის პროექტისათვის „XX საუკუნის ავსტრიული ლირიკა. მასალები“.

გაგრძელება მე-17-ე გვერდზე



საც შემოაცლიან, დანით კვეთენ და ნაწლავები მიწაზე! სისხლი! ცეცხლში დანვით! ცეცხლში, უწმინდური ნაწილები ცეცხლს მიეცით! გასიებული დედაკაცი თვალს აყოლებს მის შიგნულს, რომელიც ცეცხლში შეუძახეს და მერე მოთქმით, გაბმულად ხავის; – ხორცი! ხორცი! მომეცით ჩემი წილი ხორცი, მე მშია ხორცი! – და ჰა, ტრუსავენ, ნაწყვეტილი თავისი თავი კი ხედავს, როგორ ტრუსავენ მის სხეულს ცეცხლზე, ხედავს და ფიქრობს, ჯერ ისევ ფიქრობს; – აი, თურმე, როგორ ყოფილა, რა ყოფილა; აი, თურმე, აი, აი,.. ძაღლის ნერწყვი მალლიდან დაბლა, ძაღლის ხახაში, ძვლის ტკაცუნის, მერე წყვილია, იქ დამთავრდა.

უდაბნოს გარდასხვა ხილვაც აკითხავდა მწყერს. ის მხოლოდ და მხოლოდ ერთი პატარა ჩიტი იყო, საიდან უნდა სცოდნოდა სახელმწიფოებისა და საზღვრების არსებობა, მაგრამ მისი მოდგმა დიდი ხანია დაფრინავდა სამი ქვეყნის თავზე. გაზაფხულისთვის მწყერები ირანის დაბლობიდან აიყრებოდნენ, აზერბაიჯანს გადაუფრენდნენ, საქართველოში სააპრილოდ ჩამოაღწევდნენ და თბილისის მახლობელ სერებზე ბუდიანდებოდნენ. აქ იქცეოდნენ ერთი ათად, აქვე იფუფებოდნენ თუ კაცისგან, თუ ნადირფრინველისგან, მაგრამ ოქტომბრის შუა რიცხვებისთვის მაინც ნამატი ბრუნდებოდნენ უკან; რათა იქ გადაეზამთრათ, სადაც მეტი მზეა, შემდეგ კი ისევ იგივე გზა გადმოეფრინათ და ასე, საუკუნიდან საუკუნეში.

მწყერმა არც ის იცოდა, თუკი წინაპრების გზა აკითხავდა ხილვაში, ის ფრენაში ხედავდა თავს და მალლიდან დაბლა ამჩნევდა მიწას, ხეებს, წყალს, მალლიდან ტბა, ტბის ზედაპირზე მთვარის ანარეკლი, მოსაღამოვებულზე მიწა, ხეები, წყალი – უფრო ჩამუქებული, ვიდრე ჰაერია, რომელსაც არღვევს ქროლვაში და ფრთები, თავისი ფრთები სწრაფ-სწრაფად, რათა დიდხანს იყოს ქროლვაში, მერე სახლები, სოფლის სახლები ჩამუქებულ სილუეტებად, სახლებში შუქის ნაპერწკალი, ჩია ვარსკვლავი, აერიდოს უნდა, გადასცდეს, იქით, ასე, მალლიდან კი მიწა, ხეები და ბოძები, ელექტრო ბოძები, არ შეეჯახოს, არ შეეჯახოს, გვერდით მწყერი, იქითაც მწყერი, ბევრი მწყერები, მათ შორის

ისიც, ფრთები სწრაფ-სწრაფად, ერთ დიდ გუნდად, და ისევ ტბისკენ, მთვარის შუქი დაცურავს წყალზე, ისე მაცდურად უხმობს თავისკენ, ისე თეთრი, ისე ლივლივა, არ შეიძლება, გადაუფრენს, ძალა ეყოფა, ფრთები სწრაფ-სწრაფად, ფრთები მალი-მალ, რათა დიდხანს იყოს ქროლვაში, მთვარეს მიჰყვება, პანანკინტელა ვარსკვლავებით მოჭედო ცაში მზისკენ მიფრინავს, უფრო მეტი და ცხელი მზისკენ, ერთ დიდ გუნდად, სხვა მწყერებთან ერთად, – შხხხ, შხხხ, მალლიდან დაბლა კი სწრაფი მიწა, სწრაფი ხეები, სწრაფი ანარეკლი პატარა წყალზე, გადაუფრენს, ძალა ეყოფა, და მერე სადაც, რომელიღაც ყანაში, რომელიც უკვე მოიმკა, ჰო, ყანაში, რომელიც უკვე მოიმკა, ჰო, ყანისკენ, რომელიც უკვე მოიმკა, დაისვენებენ და შხხ, შხხ, ყანისკენ, მომკილი ყანისკენ ერთად.

პატარა იყო, ტვინიც პატარა ჰქონდა, რა გასაკვირია, რომ ხილვებითა და ამდენი ფორიაქით გატანჯულიყო; თუმცაღა მთავარი სასწაული წინ ელოდა თურმე, – დიდი გადაფრენის წინა საღამოს მწყერმა ადამიანების ენა გაიგო.

დუხჭირსა და სისხლიან დრო-ჟამს ორნიღა შერჩენოდნენ ბავშვობის სამეგობროდან, – უხეიროდ აწონილი კაცი და ის, ვისაც ბინის პატრონი შემოკლებული გვართით მიმართავდა, – სამსონა.

სამსონასაც კი გვარიანად მაღალი ეთქმოდა, მაგრამ თავისი მეგობრისგან განსხვავებით, ხორცი მოესხა; ლოყები და მუცელი საფუძვლიანად, კარგად ნაგები ციხე-სიმაგრის გალავანივით შემომკვიდრებოდა თუ შემომრგვალებოდა იმ სივრცეზე, რა სივრცეც სამსონამ თავის თავს მიუძღვნა თუ მიუსაჯა. მოკლედ, მოსული კაცი იყო, მაღალი, ერთობ მსუქანი, გულიანი სიცილითა და დარდიანი თვალებით.

მოვიდა სამსონა, მოიტანა ბადურით სანოვაგე და სასმელი, სავეს ბადურა მაგიდაზე შემოდგა, ღიმილი მოერია და კაცს მიმართა:

– ეს მწყერი კიდე არ შეგიჭამია?! გამაგებინე, რას ელოდები? გინდა, მე შევჭამ?

მწყერს შეეშინდა, სამზარეულოში გაიქცა, სანაგვე ურნის უკან დაიმაღლა.

იყო ასე ერთხანს, გული გამალეებით უცემდა, მერე მიხვდა, რომ სიტყვა-სიტყვით გაიგო სამსონას ნათქვამი, გაუკვირდა ძალიან, შიშს სძლია და ისევე ოთახში გამობრუნდა.

მეგობრები მაგიდას უსხდნენ, სვამდნენ.

– გააბამენ ახლა ღრეობას, – იფიქრა მწყერმა, – ვაი! – იფიქრა იქვე, – რა მემართება?! – შეეცადა კაცთა ენაზე ამოეთქვა თავისი უკიდურესი გაოცება, მაგრამ ძველებურად – ქვითკირი, ქვითკირი ამოცდა ყელიდან და გაჩუმდა.

სამსონამ თვალი დააბჯინა ჩიტს.

– მოსუქებულა! – თქვა სამსონამ, მეგობარს გადახედა და თვალიც ჩაუკრა.

– რას გადამეკიდა ეს სამსონა! – აფორიაქდა მწყერი.

– გადაფრენა იწყება, – თქვა კაცმა, – უკვე კარგა ხანია შვოთავს.

– სულელი! – იფიქრა მწყერმა კაცზე, შემდეგ კი ისევ იფიქრა, – ააა, გადაფრენა იწყება?! ეს ნიშანია!

– ჩვენც და ეს მწყერიც ერთნაირად ვარსებობთ უფლის ქვეშ, – თქვა სამსონამ, – დიდება უფალს! – და შესვა.

კაცი ჭიქას ჩასცქეროდა.

– ოთხი სტუდენტი ვნახე ტელევიზორში, – თქვა კაცმა, – წრე შეეკრათ, ერთმანეთს აფურთხებდნენ; ავანგარდული ხელოვნებააო, – ჩვენი ხნის კაცი კი აქეზებდა.

– თეფო ხო არა? – იკითხა სამსონამ.

კაცს არ უპასუხია, ისევ ჭიქას ჩასცქეროდა.

– სად მივექანებით, – თქვა კაცმა ცოტა ხნის შემდეგ, – რატომ მივექანებით ასეთი ალტაცებით დასასრულისკენ?! – და მანაც შესვა.

– დროა ასეთი, – თქვა სამსონამ, – თუ ყურადღების მიქცევა გინდა, ან საკუთარი დედა უნდა აგინო ან მეგობარს აფურთხო თვალებში, მაგათი... – და ძალიან მწარედ შეიგინა, შემდეგ კი ბოთლს მოსწვდა და ჭიქაში ჩააპირქვავა.

– უზრდელი, – იფიქრა მწყერმა სამსონაზე.

– ვითომ ძალიან თავისუფლები არიან? – იკითხა კაცმა, – კიდევ რამდენი უნდა ვიხეტიყოთ უდაბნოში, რომ ბოლოს და ბოლოს გავიგოთ, რა არის ნამდვილი თავისუფლება?!

– რა არის ნამდვილი თავისუფლე-

ბა? – კითხა სამსონამ მეგობარს.

– არ ვიცი, – გატანჯული ღიმილით უპასუხა კაცმა, მერე ჩაფიქრდა და ჩაილაპარაკა, – იქნებ არც უნდა ვიცოდე, მე ხომ იმ დროში გავიზარდე, როცა „ვრემიას“ გადმოსცემდნენ.

– ბევრი მეგობარი წავგვართვა „ვრემიამ“, – თქვა სამსონამ, – ღმერთმა გაანათლოთ! – და ჭიქა მიიტანა ტურქთან.

კაცმა უსიტყვოდ შესვა ეს სადღეგრძელო.

– ნახევარად დემოკრატიული ქვეყნების რიგში შევუყვანივართ, – თქვა სამსონამ.

– პოლიტიკაზე არ მელაპარაკო, – თქვა კაცმა.

– ხვალ მიტინგიაო, – თქვა სამსონამ.

– ხეტიალი, – გაუსწორა კაცმა მეგობარს, – მიტინგი კი არა, უდაბნოში ხეტიალი, ჯერ კიდევ უდაბნოში დავეხეტებით, ჟამია ასეთი, როცა ამას მივხვდით, ბოლოს და ბოლოს ისიც გავიგებ, თვითონ მე ვინ ვარ ამ ჟამში.

– ვინ ხარ? – კითხა სამსონამ კაცს.

– მე... – თქვა კაცმა, ცოტა ხანი შეყოვნდა, მერე მეგობარს თვალებში შეაცქერდა და ისევ თქვა, – მე ჟამთაღმწერელი ვარ. „ნეტა რას ნიშნავს ჟამთაღმწერელი“, – იფიქრა მწყერმა.

– შენ მწერალი ხარ, ჟამთაღმწერელი კი არა, – მიუგო კაცს სამსონამ. კაცმა თავი გადააქნია.

– მწერალი შენ ხარ, – თქვა კაცმა, – მე ჟამთაღმწერელი ვარ.

– კეთილი, – თქვა სამსონამ, – იყავი ჟამთაღმწერელი, თუკი ასე გსურს. არ დავლიოთ? – იკითხა შემდეგ.

– ჰო, – დაეთანხმა კაცი.

– გაგვიმარჯოს, – თქვა სამსონამ. შესვს.

– ფსევდოთავისუფლების დიქტატურა! – თქვა კაცმა.

– რაა? – დაეკითხა სამსონა.


– უდაბნოში ფსევდოთავისუფლების დიქტატურაა გამეფებული! – თქვა კაცმა.

– ააა, – თქვა სამსონამ.

– თავისუფლებას დანატრებულებს სანოვარას ჩრია პირში, – თქვა კაცმა.

– აკი პოლიტიკაზე არაო? – დაეკითხა კაცს სამსონა.

– პოლიტიკაზე კი არა, უდაბნოს ჟამზე გელაპარაკები, – თქვა კაცმა, – უდაბნოს შხამიან გველებზე, ვის-



ვლადიმერ მალიუკოვი

ნამდვილად აღარ არსებობს: განსაკუთრებით ლირიკოსები არ იშურებენ აღიარებებს, თუმცა ერთსულოვნება მაინც არ სუფევს: ლექსს ზოგი „აკეთებს“, სხვა კი გუმანიტი წვდება, კრუხივით ჩეკს, აშენებს ანდა ამონტაჟებს.

ასეა თუ ისე, მოლოდინისამებრ უხვად დაგასაჩუქრებთ აღიარებით, მეტიც: ისეთ საიდუმლოებსაც კი გაგანდობთ, სინამდვილეში იდუმალებისა არაფერი რომ არ სცხიათ. რამდენადაც მრავალფეროვანია მოლოდინი, იმდენად მრავალფეროვანი იმედგაცრუების საფრთხე გვემუქება და ეს, შესაძლოა, ჩვენი გაუმართლებელი იმედების გამართლებადაც გამოგვადგეს, მეც ხომ, ჩემის მხრივ, გულს იმ აზრით ვიმაგრებ, რომ თუკი ამ კათედრიდან ვერავის დავმოძღვრავ, იქნებ რაღაცის გამოღვიძება მაინც შევძლო: ეს რაღაც იმ სასონარკვეთისა და იმ იმედების თანაწვდომია, რითაც ერთეულები – ან იქნებ უკვე მრავალნიც? – საკუთარი თავისა და თანამედროვე ლიტერატურის პირისპირ დგანან.

„თანამედროვე პოეზიის საკითხები“ – თავდაპირველად სწორედ ეს სათაური შეგარჩიე ჩემი ლექციების სერიისათვის, მაგრამ მას შემდეგ, რაც მუშაობის დანყება ვცაადე და ხელმოსაჭიდი კუთხე ვერ მოვუძებნე ამ წამოწყებას, თავიდანვე რაღაცით რომ მაშინებდა, აი, მაშინ კიდევ ერთხელ ჩავუფიქრდი სათაურს. რა საკითხების განხილვას ვაპირებ აქ: თუ საქმე უკვე დასმულ საკითხებთან გვექნება, მაშინ კონკრეტულად რა საკითხებია ეს, სად და ვის მიერ დასმული? ან იქნებ სულაც პასუხები იყოს გასაცემი? იცნობთ კი თქვენ იმ ავტორიტეტებს, ვინც ამგვარ კითხვებს სვამს და პასუხობს კიდევ? ენდობთ მათ განსჯას? და, რაც მთავარია: სახელდობრ რა საკითხები შეიძლება იყოს ეს? ის, რასაც ყოველდღიური

გაგრძელება მე-19-ე გვერდზე



განაც ყოველ დღე ვიგესლებით! უდაბნოში დაგებულ ხაფანგებზე, სადაც ყოველ დღე გვიცდებოდა ფეხი! ფსევდოთავისუფლების უდაბნოზე გელაპარაკები, სადაც სიკვდილი გვინერია!

– ვინუნუნოთ? – იკითხა სამსონამ.

– ნუნუნნი ფსევდოთავისუფლების უდაბნოში ცხელი სიოა, – თქვა კაცმა.

– მაშინ არ ვინუნუნოთ, – თქვა სამსონამ.

– რა არის ნამდვილი თავისუფლება? – იკითხა კაცმა.

– არ ვიცი, – გატანჯული ღმილით მიუგო სამსონამ, – მოდი, დავლიოთ!

– „ბოდიში მომითხოვია და“, – იფიქრა მწყერმა, – „ბოდიში მომითხოვია და, ამათ შ... შ... შ... შ...“, – ველარ დაასრულა საშიშინო სიტყვა, აზრი სხვაგვარად ჩამოაყალიბა, – „ესენი მაგრად ურევენ, ხო იცი!“ – მერე ერთხანს გაყურდა და რალაც აუკივლდა თავში, – „მწყერებს აფრენენ, მწყერებს! იდიოტები! აფრენენო?! რა შუაშია, აფრენენო?! ა, ხო, ხვალ დიდი გადაფრენა დაიწყება, მეც გავფრინდები!“ – იფიქრა მწყერმა, მიღებული გადაწყვეტილების სიმტკიცემ დაამშვიდა და თვალებიც მიელულა.

კარის გაჯახუნების ხმამ გამოაფხიზლა. კაცი ბანცალით უახლოვდებოდა სანოლს. მერე ჩამიჯდა და მწყერს მიაცქერდა:

– სულელო, შე სულელო, ჩემო პატარა, სულელო ჩიტო, – თქვა კაცმა, – ძალიან შეიცვალე ამ ბოლო დროს, მართლა ხომ არ შემეჭამე, ჰა, შე სულელო?!

მწყერი მიხვდა, კაცი ხუმრობდა ახლა, მაგრამ მაინც დაიწყებდა გული მასზე, თავის ფიქრში ნიშნისმოგებითაც გაეპასუხა:

– ხვალდან ველარ მნახავ, ამ გადაფრენას არ გავაცდენ:

და ისევ დაიძინა.

მწყერმა, რალა თქმა უნდა, არ იცოდა, რომ ჟამიდან ჟამამდე, მწყერთაც და კაცთაც ახალი გზის ძიების ჟინი აიტანდა ხოლმე; არც ის იცოდა, მწყერთა და კაცთა გზა რომ ემთხვეოდა დრო და დრო; არც ის, რატომ ხდებოდა ასე და რას ნიშნავდა მწყერთა და კაცთა გზის დამთხვევა, – ცოდვას, მადლს, მსხვერპლს, თვითგანმენდას, ბედისწერას, თუ მადლსაც და მსხვერ-

პლსაც, ან იქნებ, ცოდვასაც და თვითგანმენდასაც ერთდროულად; ანდა, მწყერთათვის მსხვერპლს, ხოლო კაცთათვის მადლს; ან სულაც კაცთათვის ურწმუნობის ცოდვას, მწყერთათვის კი მაინც მსხვერპლს.

ჰო, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მწყერმა არ იცოდა, რადგან ასეც და ისეც მსხვერპლი ის იყო; ის, მწყერი, ერთ ლუკმად შესაჭმელი ხორცი, რომელსაც ფრთები გამოესხა, რათა ჟამიდან ჟამამდე რალაცის ნიშნად, გაფრთხილებად თუ შეგონებად ქცეულიყო, რასაც ან შეისმენდნენ ან – არა, ის კი მაინც მსხვერპლი იქნებოდა, მესამე და შესაჭმელი, მესამე და განწირული, მესამე და სამიზნე, ჰო, სამიზნეც, განწირულიცა და შესაჭმელიც, მაგრამ სამართლიანობა იმის თქმასაც მოითხოვს, რომ დიდი გადაფრენის წინ ეს პატარა ჩიტი ისევე მიილტვოდა თავისუფლებისკენ, როგორც ნებისმიერი კაცი, ვინც თავისი მონობა გააცნობიერა, შერცხვა, შელონდა მონური ყოფით, შემდეგ თავს შეუძახა და ახალ გზას დაადგა.

დილა-ბნელზე გაღვიძებულმა ჩიტმა ზუსტად იცოდა, რომ სწორედ დღეს იწყებოდა დიდი გადაფრენა და სწორედ დღეს დაიბრუნებდა თავის მწყრობას, ამიტომაც იყო დადარაჯებული, ერთი სული ჰქონდა, როდის გააღებდა კაცი ლოჯიის კარს, რათა სამუდამოდ გასცლოდა აქაურობას.

კაცს ადრე ეღვიძებოდა ხოლმე, მაგრამ ნუხანდელი ლოთობის შემდეგ, ჩვეულებრივზე გვიან გაეღვიძა. თავი მოინესრიგა, ცხელი ჩაი დალია, სიგარეტი გააბოლა და წერას შეუდგა. ერთხელ გავიდა ლოჯიაში, მაგრამ ისე სწრაფად მიხურა კარი, რომ მწყერმა ვერ მოასწრო ღია სივრცისკენ გაძრომა. კაცი ისევ მაგიდას დაუბრუნდა.

საფერფლე უფილტრო სიგარეტის ნამწვავებით ივსებოდა. ოთახში მძიმე სუნნი ჩამოდგა.

წერით გართულმა კაცმა როდის-როდის იგრძნო, რომ ჰაერი უნდა გაენმინდა. წამოდგა, ლოჯიის ფანჯარა გააღო, მაგრამ დასვრეტილი ფარდა ჩამოაფარა. ჩიტმა ისიც კი იფიქრა, დავილუბე, აღარ მელირსება აქედან გაღწევო; თუმცა, კაცმა კარიც შეაღო მალე და ისევ გავიდა ლოჯიაში. ამჯერად ფეხდაფეხ მიჰყვა, მასთან ერთად გამოვიდა და გამალე-

ბით აძგერებული გული რომ არ გასკდომოდა, მოჰყვა და მოჰყვა თავის ქვითკი-ქვითკირს!

კაცი ღიმილით დააცქერდა ჩიტს.
– რაო, შე სულე...

აღარ შეეძლო ამის ატანა, ნაჩქარევად შემოჰკრა ფრთა-ფრთას, კაცის გაცეხული სახე შენიშნა თვალის კუთხით, სივრცეში გაჭრილმა კი იგრძნო, რომ ღია ლოჯია ზურგსუკან მოიტოვა და ფრთები, მისი ფრთები სწრაფ-სწრაფად, მალი-მალ ფრთები, „გეც შენ, ეგეც შენ“! – ფიქრი ჰანია თავში, ქვემოთ ხე, სახლი, ქუჩა, მანქანა, კიდეც ხეები, მანქანები ქუჩაში ძაღლი, ელექტრობოძი, ხიფათია, იქით, ასე, ფრთები სწრაფ-სწრაფად, მალი-მალ ფრთები, გულიც სწრაფ-სწრაფად, ყელთან, ყელთან, წინ, წინ, წინ – ვერა, უნდა დაისვენოს, სადმე დაისვენოს, სად? – აქ.


სანამ ქალაქის შუაგულამდე მიალწევდა, სამჯერ მოუხდა დასვენება, თუკი ამას დასვენება ჰქვია საერთოდ. ერთხელ გვერდით ჩავლილმა მანქანამ დააფრთხო, ერთხელ ჭილყვაგმა,

მერე კატასაც გადაურჩა, ბოლოს კი, ცირკთან, იაფფასიანი მეძავების ბირჟაზე, მტანჯველი ხილვებიდან ნაცნობი, მსუქანი ქალის ფეხებთან დალია სული.

მკვდარ მწყერს ბირჟისკენ მიმავალი პედერასტი ზაქრო შენიშნავს და საინისპექციას შეატყობინებს. მოვლენ პირახვეულები, რეზინის ხელთათმანებით, სპეციალურ პარკში ჩააგდებენ და ლაბორატორიაში გააქანებენ. გაკვეთის შემდეგ დარწმუნდებიან, რომ ამ ჩიტს გული გაუსკდა და ფრინველის გრიპი არაფერ შუაშია. მურას მიუგდებენ, ლაბორატორიის ეზოს მიჩვეულ ძაღლს.

არ იყო მზად გადაფრენისთვის, ზედმეტად მისჩვეოდა კაცის ხელს, ისიც საკითხავია, რაღა ქალაქის თავზე მოინდომა გადაფრენა. თუმცა, როგორც ჩანს, ის უამი დამდგარიყო, როცა მწყერთა და კაცთა გზა ემთხვევა.


მოსალამოვებულზე, თბილისის ზღვის მახლობელი სერებიდან აფრენილი მწყერებიც ქალაქის თავზე აპირებდნენ გადაფრენას.



პრესა ნამოსვრის ხოლმე დრო და დრო თავის ფელეტონებში, ან იქნებ, ის, რაც აკადემიებსა და კონგრესებზე განიხილება? ან იქნებ კიდეც უფრო შორს წავიდეთ და რადიო-გამოკითხვებსა და საშობაო ლიტერატურული რუბრიკების გამოცანებსაც გადავწვდეთ? აი, ამ ზღვა შეკითხვიდან ზოგიერთი: „საჭიროა თუ არა მასალის ცივი გონებით განხილვა?“, „მართლაც მკვდარია თუ არა ფსიქოლოგიური რომანი?“, „ფარდობითობის თეორიის ხანაში კიდეც თუა შესაძლებელი რომანის ფარგლებში ქრონოლოგია?“, „ნუთუ აუცილებელია ახალი პოეზია ასეთი ბუნდოვანი იყოს?“, „დრამატურგია შემთხვევიდან შემთხვევამდე“.

იქნებ ყურადღება იმ ნაკლებად გახმაურებულ და ნაკლებად მიზიდველ შეკითხვებს უნდა დაეთმოს, რასაც ლიტერატურათმცოდნეობა სვამს? შესაძლებელია თუ არა სპეციალური განათლების გარეშე ამ სფეროს იმედი გვექონდეს? აქ ისეთი მაშველი რგოლები შეიქმნა, როგორცაა ემოციით გაჯერებული ინტერპრეტაცია, ისტორიზმი, ფორმალიზმი, სოციალისტური რეალიზმი. ვინ არ მოისურვებს ამგვარ ხსნას, თანაც, ყველასათვის უფლებელს! ფსიქოლოგია, ფსიქოანალიზი, ეგზისტენციული ფილოსოფია თუ სოციოლოგია აგრეთვე ებმევიან საქმეში, ლიტერატურისათვის დასასმელი შეკითხვები მათაც გაუჩნდათ. ყველგან რაღაც ფუნდამენტურსა და სოლიდურს ვაწყდებით, ყველგან – თვალსაზრისები, დევიზები, ჰუმანიტარული ცნებები და განსაზღვრებები, რომელთა მიღმაც გვიწევს ძიება. მხოლოდ იმ ადამიანისთვის მიჭირს განმსაზღვრელი სიტყვის შერჩევა, ვისაც საკუთარი სიტყვის თქმა თავადვე უწევს, ვისთვისაც ყველა ნაწარმოები, ყველა ეპოქა, თვით უახლესიც კი, რახანია ჩავლილია და ვინც შიშობს, რომ განსწავლულობა არ ეყოფა და რომ ენისა და ლიტერატურად

„ინტელექტი“ გთავაზობთ



ოთარ ჩხეიძე
„დროდადრო“

რა ჰქვია დროს, როცა მწერალი უბის წიგნაკში, ან ფურცელზე, ან კედელზე – ფიქრს ინიშნავს, ნააზრევს ინერს? მოცალეობა? თუ ეს ვეფხისტყაოსნური მოცალეობაა, მაშინ ყველა ნამდვილი მწერალი მუდმივად შეყვარებული ყოფილა – მხოლოდ სიყვარულით მობრიალე გული თუ გამოსტაცებს ყოველ ნაშბ მარადისობას.
ადამიანის, სამშობლოს, ღვთის სიყვარულით ანთებული გული.
იქნებ ყოვლად ჩვეული მოუცლელეობაა ამის მიზეზი, ან სულაც სიჩუმე, ან პირიქით – მხატვრულ ტექსტში ვერდატეული სათქმელის ტკივილი, ფუთფუთი, ღრიალი შემოქმედის სულში?!

მოკლედ, უსახელო პროცესია. სამაგიეროდ, როცა დიდი მწერლის ჩანაწერებს კითხულობ, საქმე სრულიად განსაკუთრებულ შინაარსთან გაქვს. დიდი მწერლის ჩანაწერებიც, ისევე, როგორც მთელი მისი შემოქმედება, მისი ცხოვრება – მისივე ქვეყნის ბიოგრაფიაა. დიდი მატინაე: შენივე სინამდვილე თავიდან გეძლევა – წლებით, თვეებით მონიშნული, კითხულობ მათ და გიკვირს, რამდენი გიცხოვრია, გიომია, ან აშდენი ტყუილის და მართლის შემდეგ როგორ გადარჩენილხარ...
ხოლო ამქვეყნად ყველა დანერვილი სიტყვის უფლებით კი დიდი მწერლის ჩანაწერებს, ყველაზე მეტად მომავლის მიზანი ახლავს. რადგან დრო ბორჯღალივით ბრუნავს და დროდადრო ყველა სიტყვას წინ გიხვედრებს. შენ, მომავალმა, ამ მარადიულ ტრიალში ნამდვილი და დიდებული უნდა იცნო.
თქვენს წინაშეა დიდი მწერლის – ოთარ ჩხეიძის ჩანაწერები.

ნინო სადღობელაშვილი

გაგრძელება 21-ე გვერდზე



მიხო მოსულიშვილი დაიბადა 1962 წელს. 1986 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი. ამასთან 1981-1984 წლებში სწავლობდა უნივერსიტეტის მეორად ფაკულტეტზე, სპეციალობით – კინოდრამატურგია (ერლომ ახვლედიანის და დავით აგიაშვილის სახელოსნო). პირველი მოთხრობა „ტყის კაცი“ გამოაქვეყნა ჟურნალ „ცისკრის“ დამატება „ნობათში“ 1984 წელს. 1986-1991 წლებში მუშაობდა საქართველოს გეოლოგიურ-გეოფიზიკური ექსპედიციაში ინჟინერ-გეოლოგად. იყო გაზეთ „საქართველოს“ კორესპონდენტი, გაზეთ „ერისიონის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე. 1994-1996 წლებში მსახურობდა საქართველოს შინაგანი ჯარების მთავარ სამმართველოში უფროსი ლეინტენანტის წოდებით. 1996-2004 წწ. იყო ჟურნალ „ცისკრის“ კრიტიკის განყოფილების გამგე. შემდეგ „იმედი-ჰოლდინგის“ ჟურნალ „იმიჯის“ ლიტერატურული თანამშრომელი. ამასთან სხვადასხვა ტელეკომპანიებისთვის თარგმნიდა მხატვრულ ფილმებს რუსულიდან და ინგლისურიდან. 2004-2009 წწ. ჟურნალ „ლიტერატურული პალიტრის“ მონვეული რედაქტორი. 2009-2010 წლის იანვრამდე თავდაცვის სამინისტროს ჟურნალ „სამხედროს“ რედაქტორი. გამოცემული აქვს წიგნები: „ტყის კაცი“ (1988); „მთვარიანი დღის ფრესკები“ (1990); „გველი მოვკალ უფლისათვის“ (1993); „სივრცე ვერტიკალში“ (1997); „უფამო ჟამის რაინდი“ (1999); „ფრენა უკასროდ“ (2001); „ბენდელა“ (2003); „გედები თოვლქვეშ“ (2004); „თითქმის პიკასო და ცოტა ბოსხი, მარჯვნიდან“ (2010).

მიხო მოსულიშვილი

დიდგორული ჩანახატები

1. სულ სხვა ჟამკრის იმ ერთი ციდა წამისა...

ჟამი რად წულილთა და
წმელთა აღმოფშვნათაა წარმოდგეს,
ზარი მეფობისაა წარჯდეს
და დიდებამ დაშრტეს,
შუებანი უქმ იქმნენ,
ყვავილოვნება დაჭნეს,
სხუამან მიიღოს სკიპტრამ,
სხუასა შეუდგენ სპანი,
მაშინ შემიწყალე, მსაჯულო ჩემო!

დავით აღმაშენებელი –
„გალობანი სინანულისანი“

მართლა ტყეების მეფე იყო და აკი მოსწერა კიდევ ერთმა სამხრეთელმა გვირგვინოსანმა – შენ ტყეთა მეფე ხარო...

ტყეთა მეფე იყო და გულზე მზე-მთვარესავით ესვენა ლიხის ქედის გაღმა-გამოღმა საქართველო...

სულ სხვა ჟამკრის წამებს დაეძებდა სანთელ-საკმეველით და რომ ვერ პოულობდა ამ მრუდე წუთისოფელში, თავადა ქმნიდა ეგეთ წამებს...

და მაშინაც შექმნა, მაშინაც, – დიდგორთან, ტყეში განაბული იმისი ჯარი რომ დამდგარა და ხმას არ იღებს არც ერთი...

და ამ დროს კიდევ ნეჯმ ედ-დინ ილ-ლაზის ზღვის კენჭებზე და ცის მასკველავებზედაც კი ურიცხვმა ლაშქარმა ლამის თავზე დაიმხოს მთელი დიდგორი, – ისეთი გნიასი, ჭიხვინი, ყროყინი და ჩარფუზანა გააქვს, – რა არის, რო შევაშინოთ ქართველებიო...

და ჩუმად რო არიან ესენი და მარტო თვალებში დაუხტით ნაპერწკლები. ამ ნაპერწკლებით თულა გავიგებთ, როგორ მოუჭიმავეთ თვითოეული კუნთი და საკუთარი თავიდან გამოუხმიათ სულ უკანასკნელი სულიერი ძალაც კი, სანამ შეტევაზე წავლენ...

და რო დგანან აეგრე, გაჩუმებულები, თავის დედ-მამაზე, ცოლ-შვილზე

და ახლობლობზე დაფიქრებულნი...

ერთი, სულ ერთი წამით, სანამ დავით მეფე მალლა აღმართავას სამკლავიან ხელსა და მოწყვეტით დაიქნევს და სულ პირველი ის წავა შეტევაზე...

და თავიანთ მეფეს დაედევნებიან ესენიც, თან ვეღარც გაარჩევენ, დავით მეფეა თუ წმინდა გიორგი მიუძღვით წინა და გააჩქარებენ ბედაურებსა, – რა არის, რომ როგორმე მიასწრონ მტრამდისა...

ახლა კი დგანან და მხედრების ეს ჩუმი სიკერპე რო გადასდებია იმათ ცხენებსაცა, რასაც მერე დაგვიდგენს და დაგვიზუსტებს ვაჟა-ფშაველა, რო იმათაცა, კაი მხედრების ცხენებსაცა, ლურჯა იქნება თუ თაფლა, ნისლა იქნება თუ სულაც სალარი ანდა ფეხკავშა, ყველასა ხო გრძნობა აქვს, როგორც კაცს, ადამიანსა და ისინიცა გრძნობენ, რო სულ სხვა ჟამში არიან, – ეს ისეთი ჟამია ჩამამდგარი, რომ ტყუილად კაცი არ შააცვდებისა ფუჭს, ცრუს და გაუტანელს წუთისოფელსა, აქა ისეთი ჟამკარ დატრი-ალდება მალე, რომ ყველა ქართველი გულზე ამოიბეჭდავს აემათს სახელებსა, ვინაც დიდგორში იდგა დავით მეფესთანა...

აესა იმისთანა წამია, იმისთანა სულ სხვანაირი ჟამკრის ერთი ციდა წამი, რო განატრებინებს კაცსა, – ნეტავ, მეაც იქა ვმდგარიყავ და გინდაც მტრის პირველივე ისარს მავეკალიო... ეგ არი...

ვაჟაიმაც ხერხიანად გამახსენა თავი დავით მეფის ხსენებაზე – აკი ისიც ვერა პოულობდა და ისიც თავად ქმნიდა ხოლმე სულ სხვანაირი ჟამკრის წამებს, როცა იმ თავის შედეგრებს ნერდა...

სულ სხვანაირი ჟამკრის წამების ძებნამ ადრე იცის კაცის სიკვდილი – დავით მეფე ხომ ორმოცდათორმეტი წლისა აღესრულა და ამაზე ორი წლით მეტილა იცოცხლა ვაჟა-ფშაველამ...

2. სიძე-სიმამრისა და ოძროს მანიაკისა (ციკლიდან: „აქა აბგაპი“)

„და ქალაქს სღვისა გამომრჩეველნი მივიდეს სრასა. და მოვიდა მეფე და მის წინაშე ლაშქარნი, სავენი წყალობითა ღმრთისათა, სახელითა მიუწოდებელითა და სარგებელითა გამოუტყმელითა. მოიღეს ნიჭი, არმადანი და განძი აურაცხელი კაცი (ხელმწიფე-აზნაურთა მონამდის) თორმეტი ათასი, ავაზა ორმოცი, ცხენი ოცი ათასი, ჯვრი შვიდი ათასი, აქლემი თხუთმეტი ათასი. დროშათა სხუათა, სიმრავლეთა საქურჭლეთა, ოქროთა და ლართა ვინმცა უძლო აღრიცხვად? იქმნა თამარისა შეწყალება, რომლისათვის დროშა იგი ხალიფასი, რომელი მოილო შალვა ახალციხელმან, წარგზავნა ესე მონასტერსა დიდსა წინაშე ხახულისა ღმრთისმშობელისასა, მსგავსად მამის პაპისა მათისა: მაშინ მას წარეგზავნა მოძრცივი ქედისაგან დორბეზე სადაყის ძისა, ჟამთა დიდგორთა გაქცევისათა მანიაკი ოქროსა, შემკული თუალებითა ძვირფასისათა“.

მეფე თამარის პირველი ისტორიკოსი – „ისტორიანი და აზმანი შარავანდეღანი“.

რა ხდება ამ ჩვენ ეპიგრაფში, საიდ-ან დაბრუნებული ამდენი ალაფითა და თვით სულთნის დროშით თამარის ლაშქარი?

შამქორიდან მოდიან, შამქორიდან, სადაც 1195 წლის 1 ივნისს სპარსეთს დამორჩილებული აზერბაიჯანის მაშინდელი ათაბეგის, აბუ ბაქრის (1191-1210) ლაშქარს სულ კუდით ქვა ასროლინეს, ქალაქ განძის ბაღებამდისა სდიეს და თავად აბუ ბაქრი საით გაიქცა კუდამოძუებული, ვეღარ გაიგეს, – ალბათ, თავის მფარველ, ბაღდადის ოცდამეთოთხმეტე ხალიფა ან-ნასირ-ლი-დინ ალლაჰთან (1158-1225), რომელმაც ამ ომის წინ ათასი ოქრო და თავისი ძვირფასი თვლებით შემკული დროშა გამოუგზავნა.

სწორედ ან-ნასირის ამ დროშას მართმევეს შალვა ახალციხელი თამარ მეფეს, რომელიც თავის მხრივ, მამამისის პაპასავით, დავით აღმაშენებელივით, – „მაშინ მას წარეგზავნა მოძრცივი ქედისაგან დორბეზე სადაყის ძისა, ჟამთა დიდგორთა გაქცევისათა მანიაკი ოქროსა, შემკული თუალებითა ძვირფასისათა“, – გელათში დასვენებულ ხახულის ხატს შესწირავს ამ დროშასაც...

წახვალ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში და ხახულის ხატს რომ დააკვირდები, უკვე ვეღარ გამოარჩევ, რომელი ძვირფასი თვლებია დუბიეს იბნ სადაყას ოქროს მანიაკიდან და რომელი კიდევ – ბაღდადის ხალიფა ან-ნასირის დროშიდან, ისეთი დიდი ოსტატობით ჩაუსვამთ მაშინდელ ხელოსნებს კარედში...

ისე, თუ კარგად დააკვირდები, ამ თვლებიდან ზოგ-ზოგიერთი მაინც თავისებურად ბრჭყვიანებს და, – სიძე-სიმამრისა და ოქროს მანიაკის ამბავს ათასერთი ღამის ზღაპარვით ფერად-ფერადად ჰყვება...

სელჯუკიდების დინასტიის დაქვეითება ერაცში აღინიშნა არაბული ტომების მძლავრი გამოსვლებით. ამ მოძრაობის სათავეში ბენი-მაზიადების ტომი იდგა, რომელთაც თავის ნათესავ ბენი-დუბეისის ტომის ხალხთან ერთად, ცენტრალური არაბეთის უდაბნოები მიატოვა და თავისი კარვები ჰილლედან ჰიტამდე, ბაღდადის დასავლეთ მხარეზე დასცა.

მეთერთმეტე საუკუნის პირველ ნახევარში ბენი-მაზიადის ტომის შეიხები აქტიურად ებრძოდნენ მეზობელ სახელმწიფოებს.

ალ ბასასირიამ რომ ბაღდადს შეუტია და იქ მყოფ თოღრულ ბეგს ბრძოლა გაუმართა, იმის ლაშქარში ბენი-მაზიადების რაზმიც იყო შეიხ დუბეისის მეთაურობით.

თოღრულ ბეგმა მომხვედურები დაამარცხა, ალ-ბასასირია ბრძოლის ველზე დაეცა და, ამის მიუხედავად, დუბეისმა შეიხის თანამდებობა მაინც მიიღო თოღრულ ბეგისგან.

დუბეისის შვილიშვილმა სადაყამ გააერთიანა ორივე მონათესავე არაბული ტომი, ბენი-მაზიადი და ბენი-დუბეისი, ხოლო ბაბილონის ნანგრევების მახლობლად მდებარე ქალაქი ჰილლე ჯერ თავის რეზიდენციად და მალე საკმაოდ აყვავებულ სავაჭრო ცენტრად გადააქცია.

მერე შეიხი სადაყა მალევე შაჰის შეილებს შორის დანყებულ ტახტისათვის



წოდებული ქმნილებების პირისპირ მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი მწივი გამოცდილებების ანაბარად რჩება. არადა, ხომ სწორედ გამოცდილებაა ამ საკითხებში ერთადერთი ჭეშმარიტი მოძღვარი. რაც არ უნდა მცირე იყოს იგი, მაინც უკეთ დაგვარიგებს, ვიდრე უსასრულოდ ხელიდან ხელში გადასული, მრავალნაცადი და ხშირად მცდარადაც გამოყენებული ცოდნა, დროთა განმავლობაში რომ ცვდება და იფიტება, თუკი ახალი გამოცდილებით არ გადახალისდა.

მწერლისათვის მხოლოდ ის შეკითხვები არსებობს, აშკარად რომ სცილდება ლიტერატურის საზღვრებს; ეს იმიტომაა აშკარა, რომ ლიტერატურული პრობლემატიკის ენაზე მათი თარგმნა მათ დაკნინებას და მათთვის სიმძაფრის ჩამორთმევას ნიშნავს; ამგვარი სახით მათ ხშირად ვერც კი ვამჩნევთ. ეს თავიანთი სიმარტივით ყოველად შემზარავი შეკითხვებია და ნანარმოები, რომელიც მათ არ წამოჭრის, რაიმე მნიშვნელოვანის მთქმელი არც არის.

თუ გადავხედავთ განვლილი ორმოცდაათი წელიწადის ლიტერატურას, დაყოფილს ნატურალიზმისა და სიმბოლოზმის, ექსპრესიონიზმის, სიურეალიზმის, იმპიზმის, ფუტურიზმის, დადაიზმის თავებად და იმგვარი რამეების შემცველსაც, ვერც ერთ თავში რომ ვერ მოთავსდება, – გვექმნება შთაბეჭდილება, რომ ლიტერატურა არაჩვეულებრივად ვითარდება, მართალია, ცოტაოდენ პარადოქსულად, მაგრამ, მთლიანობაში, ძველებურად – „ქარიშხალსა და შემოტევას“ კლასიკა მოსდევს, კლასიკას რომანტიზმი და ასე შემდეგ, ამის თაობაზე რთული როდია შეთანხმების მიღწევა; მხოლოდ თანამედროვეობა გამოიყურება გაურკვეველად, წესიერად არ ჩანს, თუ რა და საითკენ ვითარდება, არანაირი გეზი ან მიმართულება კი არ გაირჩევა. იგივე ამბავი

გაგრძელება 23-ე გვერდზე



ბრძოლაში ჩაერთო. ხან ერთ, ხანაც მეორე მხარისკენ მიმხრობით სადაცამ შეძლო თავისი ავტორიტეტის ისე ამალღება არაბთა შორის, რომ თანდათან სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ქალაქები დაიმორჩილა: ჰიტი, ვასიტი...

დაახლოებით 1102 წელს აიღო ქალაქი ბასსორუ, სადაც ის ტახტზე ახლად ასულმა სულთანმა მუჰამედმა გააგზავნა აჯანყების ჩასაქრობად.

ბასსორუში რომ შევიდა, სადაცამ ჯერ თავისი მოლაშქრე ბედუინები გაუშვა საონავროდ და საალაფოდ, მერე კი მმართველად პაპამის დუბეისის მამულეკი, ალტუნტაში დაადგინა.

შემდეგ წელს სადაცამ დაიმორჩილა ქალაქი ტეკრიტი მდინარე ტიგროსზე, ბაღდადიდან ჩრდილოეთით.

მოკლედ, ამ მარჯვე და მამაცი ბედუინის ძალაუფლებაში მოექცა ერაყის დიდი ნაწილი, საიდანაც ოცი ათასი ცხენოსნის და ოცდაათი ათასი ქვეითის საომრად გამოყვანა შეეძლო.

შეიხ სადაცას სულ უფრო მზარდმა ძალამ, ბოლოსდაბოლოს, სულთანი მუჰამედიც შეაშფოთა და იმის მომიზეზებით, რომ სადაცამ უარი უთხრა ქალაქ ჰილეში თავშესაფარზე სავეს ოლქის გამგებელს, ლაშქრით დაიძრა თავისი თავგასული ვასალისკენ.

1108 წელს ბაღდადის მახლობლად სისხლისმღვრელი ბრძოლა გაიმართა სულთან მუჰამედის და შეიხ სადაცას ჯარებს შორის, სადაც შეიხი გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე.

დუბეის იბნ სადაცა, – შეიხის შვილი, რომელსაც პაპამისის სახელი ერქვა, ტყვედ აიყვანეს და სულთან მუჰამედის შინაპატიმრობაში იყო მისი მმართველობის განმავლობაში, მთელი ათი წელიწადი და მხოლოდ მაშინ განთავისუფლდა, როცა ტახტზე ახალი სულთანი მაჰმუდი ავიდა 1118 წელს. განთავისუფლდა და ქალაქ ჰილეს გამგებლადაც დაინიშნა.

დუბეის იბნ სადაცა, არაბული ჩვეულების მიხედვით, მამის სისხლის შურისმაძიებელი და სელჯუკიდების შეურიგებელი მტერი გახდა, თავისი ცხოვრების მიზნად ამ დინასტიის დამხობა განიზრახა.

შურისძიებით ანთებული შეიხი უკან არაფერზე იხევდა და სად ღიად,

სად ინტრიგებით მოქმედებდა მამამისის მკვლელის, სულთან მუჰამედის შვილების დაპირისპირებაში.

დუბეისმა იმდენიც კი შეძლო, რომ სულთანის შვილებისათვის იმათი ბიძის, ხორასნის მმართველ სინჯარის რისხვა დაეტეხა, რომელმაც ორჯერ ილაშქრა თავის ძმისშვილების დასასჯელად.

სანამ დიდგორის ომში წამოვიდოდა, ერთი მანამდელი ცნობა ქამალ ად-დინ ალ-ადიმის (1192–1262) იმ ქრონიკებში მოიძიება, რომლის სახელწოდებაა „ზუბდატ ალ-ჰალაბ ფი ტა'არის ჰალაბ“ (The cream of the history of Aleppo – „ნაღები, მოხდილი ალექსის ისტორიიდან“):

„ხოლო მეფე არაბთა დუბეის იბნ სადაცა ალ-ასადი ილტვოდა [ბაღდადიდან] ალ-მუსტარშიდისაგან და სულთან მაჰმუდისაგან, და მივიდა ჯაბარის ციხეში, სადაც ის პატივით მიიღო ნაჯმ ად-დაულა მალიქმა. შემდეგ ილ-ლაზისკენ გასწია მარდინში, იმან მისცა თავისი ქალიშვილი ცოლად, და აკმაყოფილებდა იმის სურვილებს, და მფარველობდა. და მისცა ილ-ლაზიმ აურაცხელი სიმდიდრე და დიდი საჩუქრები“.

კოალიციასთან ერთად დიდგორისაკენ გზად მომავალი დუბეის იბნ-სადაცა რა გეგმებს აწყობდა, ამასაც ზემოთ მოხსენიებული არაბი ისტორიკოსი გვაუწყებს იმავე ნაშრომში:

„ხოლო მალიქ თორღული დახმარებას სთხოვდა ილ-ლაზი იბნ ართუკს გურჯთა და მათი მეფის, დავითის წინააღმდეგ, და წავიდა იგი (ილ-ლაზი) იმასთან უამრავი ხალხით და დუბეის იბნ სადაცათი. და გატეხეს ისინი (გურჯები) მუსულმანებმა და გამოედევნენ ხეობაში. ხოლო გურჯები ხეობაში თავს დაესხნენ მუსულმანებს, და დაამარცხეს ისინი, და სდევნიდნენ, კლავდნენ და ტყვედ აჰყავდათ. ხოლო დუბეისმა დაკარგა [ქონება] სამასი ათასი დინარისა, ხოლო თავად სალ-სალამათი დაბრუნდა მარდინში ნაჯმ ად-დინ ილ-ლაზისთან ერთად.

სულეიმანის ამბოხი: ილ-ლაზიმ ჰალაბში თავის შვილს, სულეიმანს წერილი გაუგზავნა თხოვნით, მაგრამ მისმა

[დაახლოებულიებმა] შეურაცხყოფელად ჩათვალეს და ამ მიზეზით აქეზებდნენ თავისი მშობლის წინააღმდეგ ამბოხისაკენ. და გამოვიდა და გამოყარა მმართველები – სულთან შაჰისა, იბრაჰიმისა და სხვებისა, – ჰალეზიდან, და ისინი ჯაბარის ციხისკენ გაემართნენ. და სულეიმანმა ჰალეზის მცხოვრებთათვის ქონების წართმევა და მათთვის ავისა და ბოროტის შემთხვევა დაიწყო.

ამ ამბოხების მიზეზზე ამბობდნენ: „ჭეშმარიტად, დუბაის იზნ სადაყამ, როცა ის ილ-ლაზისთან ერთად გურჯებზე წავიდა, ჰკითხა ილ-ლაზის გზაში, მისცემს თუ არა ჰალეზს, თუკი დუბაისი გაიღებს ასი ათას დინარს იქ თურქმენთა ახალი არმიის შესაქმნელად და მიეხმარება მას [ილ-ლაზის] ანტიოქიის აღებაში“. ილ-ლაზიმ მიიღო ეს პირობა და დუბაისს ხელი ჩამოართვა [თანხმობის ნიშნად].“

მოკლედ, ურიგოდ არა ჰყვება არაბი ისტორიკოსი, – მარდინში კი დაბრუნდნენ სიძე-სიმამარი, მაგრამ სიმამარი რომ თავში მძიმედ იყო დაჭრილი, ამაზე არაფერია ნათქვამი...

უკვე წაუგიათ დიდგორის ბრძოლა და ვისაც საით შეუძლია, იქით გარბის თავგამეტებით.

ერთი უკვე მანგლისს გაცდენილი, ძვირფასად, სულ ბრჭყვიალ-ბრჭყვი-ალა ტანისამოსით შემოსილი მხედარი გამალებით მიაჭენებს არაბულ ცხენს.

უკან ყიჟინით მისდევენ ცხენებდაოთხებული ქართველები.

მდევართაგან ერთი კაცი დაწინაურდება, გაქცეულ სარდალს ქეჩოში წაატანებს ხელს, მაგრამ კისრამდე უწვდენს და ხელში ოქროს მანიაკილა შერჩება. გაკვირვებით დახედავს მოპოვებულ ნივთს და ამასობაში დუბეის იზნ სადაყა თვალს მიეფარება, – თავისი წინაპარი ბედუინების გამოცდილება თუ უშველის...

ქამალ ად-დინ ალ-ადიმი კი ასე გაწაგრძობს თავის ქრონიკას:

„ხოლო როცა გურჯთა წინააღმდეგ ლაშქრობა წარუმატებელი აღმოჩნდა, [ილ-ლაზიმ] შეცვალა თავისი გადაწყვეტილება და საიდუმლოდ უბრძანა თავის შვილ სულეიმანს, რომ ვითომ

მამამისის წინააღმდეგ აჯანყდა, რათა მიზეზი ჰქონოდა დუბაისთან დადებული შეთანხმების უარყოფისა. მაგრამ უგუნურებამ სულეიმანი იქმდე მიიყვანა, რომ ნამდვილი ამბოხი დაიწყო“.

ილ-ლაზიმ ჩააქრო ის ამბოხი და ფეხებში ჩავარდნილ-აქვიტინებული შვილი კი შეინყალა, მაგრამ იმის ნაზირ-ვეზირებს შავი დღე გაუთენდაანია: მაკი იზნ კარნასს ენა და ქუთუთოები დააჯგლჯა, ჰაჯიზ ნასირს ცალი თვალი ამოსთხარა, ხოლო ტახირ იზნ ზაირს კოჭები დააჭრა...

შემდეგ კი, ფრანკებთან ომისას ილ-ლაზის ფარსაგი ამბავი შეემთხვაო, გვაუწყებს ალ-ადიმი:

„და გასწია ილ-ლაზიმ ნავაზისაკენ და იმყოფებოდა იქ სამი დღე, ფრანკებს უტევდა, ხოლო ისინი არ გამოდიოდნენ უდაბნოში. და ისე მოხდა, რომ ილ-ლაზიმ შეჭამა ბევრი გამომშრალი ხორცი, მწვანე კაკალი, საზამთრო და ხილეული. და გაიბერა მისი სტომაქი, და ცუდად გახდა. და გაუარესდა მისი მდგომარეობა, და გასწია ჰალეზისკენ, ხოლო მისი ავადმყოფობა გაძლიერდა. ხოლო თუგთეგინი წავიდა დამასკოში, ხოლო ბალაკ გაზი – თავის ოლქში. და მოვიდა ილ-ლაზი ჰალეზში სამკურნალოდ და სასახლეში დაივანა, მაგრამ ავადმყოფობა არ უშვებდა.“

...რამდენიმე დღის შემდეგ მისი ავადმყოფობა შესუსტდა, და მან მარდინისაკენ გასწია. მერე გამოვიდა იქიდან, მიიფარაკინისკენ მიდიოდა, ხოლო გზაში ავადმყოფობა გაუძლიერდა, და მოკვდა მიიფარაკინის მახლობლად, სოფელში, რომელსაც ჰქვია აჯულინი, ხუთას თექვსმეტი წლის რამადანისთვის დასაწყისში“.

ხუთას თექვსმეტი წელი, – ეს ჰიჯრით და ჩვენებურად 1122 წელს ნიშნავს, ხოლო რამადანის თვე სამი ნოემბრიდან ორ დეკემბრამდე გრძელდება ხოლმე.

დუბეის იზნ სადაყა კი არა ტყდებოდა, კვლავაც თავის იმ ოცნებას უნანაევებდა, რომელიც ერაცში დამოუკიდებელ არაბულ სამეფოს შექმნას შეეხებოდა.

მთლად ზუსტადაც ვერ ზომავდა და მეტისმეტად გათამამებულმა ორჯერ



გვჭირს, რაც უახლეს ისტორიას; ვიდრე მეტისმეტად ახლოს ვართ, ვერაფერს ვარჩევთ, მხოლოდ მას მერე, რაც ამა თუ იმ დროის გამოთქმები ხმარებიდან გამოდის, მაშინლა ვაგნებთ მისი გადმოცემისა და წვდომისთვის საჭირო ენას. დროულად რომ გვექონოდა ეს სიტყვა, ეს ენა, მაშინ ხომ არც იარაღი დაგვჭირდებოდა.

რაც შეეხება ლიტერატურას, ძნელი არაა იმის გახსენება, თუ დღესდღეობით უფრო ხშირად რაზე დავობენ ამ სფეროში. ერთი მხრივ გამოუდგებიან ევრემის ჩივილი შუაგულის დაკარგვის შესახებ, შუაგულის გარეშე დარჩენილ ამგვარ ლიტერატურას კი შემდეგნაირ იარაღიყებს აკრავენ: ალოგიკური, მეტისმეტად გათვლილი, ირაციონალური, მეტისმეტად რაციონალური, დესტრუქციული, ანტიჰუმანისტური, – ანუ ყველა შესაძლო უარყოფითი განსაზღვრებით ამკობენ. ამ ტერმინებს თანამედროვე ლიტერატურის დამცველთა ლექსიკონი უპირისპირდება, თუმცა ის სინამდვილეში ძალზე ჰგავს და მეტწილად იმეორებს კიდევ მას, ნეგატიური წინდებულებიცი შენარჩუნებულია, ოღონდ განწყობაა საპირისპირო: დიახაც, ამბობენ ისინი, შევეგებოთ და ხოტბა შევასხათ ალოგიკურს, აბსურდულს, გროტესკულს, ყოველივეს, რასაც ანტი-, დის- და დე-ახლავს, გაუმარჯოს დესტრუქციასა და დისჰარმონიას! უკვე არსებობს ანტიდრამა და ანტირომანი, შესაძლოა, მალე ანტილექსიც კი მოგვევლინოს. ამას გზადაგზა მოჰყვება უფრო ტრადიციული ქმნილებები, რომელთაც ტრადიციული კრიტიკაც ახლავს თან, ისეთი ტერმინებით აღჭურვილი, როგორცაა: სრულყოფილი, შემოქმედებითი, არსებითი. ამ ჩამონათვალის გაგრძელება ნებისმიერი ვარიანტებით შეიძლება. უშუალოდ ომისშემდგომი, შფოთითა და იმედით სავსე წლებიდან ასეთი ცნებებიც გვახსოვს: „კალშ-

გაგრძელება 25-ე გვერდზე



ნარუმატებლად სცადა ბაღდადის აღება:

პირველად 1123 წელს, როცა ნილის არხთან ხალიფატის ჯარებმა დაამარცხეს, – სამაგიეროდ, მუნტეფიკებთან ერთად თავს დაესხა ქალაქ ბარ-სორუს და სასტიკადაც გაძარცვა.

მეორედ, 1125 წელს, სულთან მაჰმუდის ძმის, თორღულის მხარდაჭერით, დუბეის იბნ სადაყამ კინალამ დაიპყრო ხალიფატის დედაქალაქი ბაღდადი.

ამ ნარუმატებლობის შემდეგ დუბეისის ერაყიდან გაქცევა მოუწია და სირიისკენ მიემართებოდა, როცა გზაში ბენი-ქელბის ტომის ბედუინებმა შეიპყრეს და ქალაქ მოსულის მმართველს, იმადე ედ-დინს მიჰყიდეს, რომელიც დაეხმარა დუბეისის, რომ ისევე ჩართულიყო სულთან მაჰმუდის სიკვდილის შემდეგ დაწყებულ შინაომებში. მიუხედავად იმისა, რომ დუბეისი ამ მძიმე და ლალატიან დროშიც ჩვეული ენერჯით და სიმარჯვით ირჯებოდა, მდგრადი ნარუმატების მიღწევა მაინც ვერ შეძლო და, ბოლოსდაბოლოს, ახალ სულთან მასუდს ჩაუვარდა ხელში.

1135 წელს სულთანმა მასუდმა ბრძანება გასცა, თავი გაეგდებინებინათ სელჯუკთა ამ დაუძინებელი მტრისათვის.

როგორც ისტორიკოსები ამბობენ, თურმე, დუბეის იბნ სადაყა თავისი ეპოქის იმდენად შესანიშნავი ფიგურა გახლდათ, რომ პოეტმა ჰარირამ თავის ლექსებში შეაქო, როგორც ნამდვილი არაბი გმირი...

დუბეისის შვილი და ილ-ლაზის შვილიშვილი, სადაყა იბნ დუბეისი დაუახლოვდა სულთან მასუდს და იმისი ქალიშვილიც კი შეირთო ცოლად, მაგრამ ბედი რისხვით შემოუტრიალდა და შავბედად გადაექცა.

1137 წელს, მამამისის სიკვდილიდან ორი წლის შემდეგ, სულთან მასუდისა და ფარსის, – ხუზისტანის გამგებელს შორის გამათულ ომში სადაყა იბნ დუბეისიც მოკლეს.

წახვალ საქართველოს სახელმწიფო მუზუმში და ხახულის ხატს რომ დააკვირდები, უკვე ვეღარ გამოარჩევ,

რომელი ძვირფასი თვლებია დუბეის იბნ სადაყას ოქროს მანიაკიდან და რომელი კიდევ – ბაღდადის ხალიფა ან-ნასირის დროშიდან, ისეთი დიდი ოსტატობით ჩაუსვამთ მაშინდელ ხელოსნებს კარედში...

ისე, თუ კარგად დააკვირდები, ამ თვლებიდან ზოგ-ზოგიერთი მაინც თავისებურად ბრჭყვიალებს და, – სიძე-სიმამრისა და ოქროს მანიაკის ამბავს ათასერთი ლამის ზღაპარით ფერად-ფერადად ჰყვება...

3. ლაშარის ჯვრის მადლისა, მუხრანის გზის სამზღვარზე შემოყრილი ყივჩაღისა და სხვისას წასული ქალისა

„შემომეყარა ყივჩაღი სამზღვარსა მუხრანისასა. პური მთხოვა და ვაჭმიე, ვურჩევდი თავთუხისასა. ხორცი მთხოვა და ვაჭმიე, ვურჩევდი ხოხობისასა. ღვინო მთხოვა და ვასმიე, ვურჩევდი ბადაგისასა. ცოლი მთხოვა და ვერ მივეცე, მიმყავდა სიდედრისასა, – ან კი ცოლს როგორ მივსცემდი, შვილსა გაზრდილსა სხვისასა. ხელი მოჰკიდა, აკოცა, მოზიდნა ნანწავს თმისასა. შესტირა საბრალო ქალმა: „ვაი, ცოლს ცუდის ყმისასა“. მეც გულმა ვეღარ გამიძლო, მოვზიდნე ვადას ხმლისასა, უმალვე იმან დამასწრო, ელვასა ჰგვანდა ცისასა, – ახლა მე შემოვუქნიე, ვენდვე მადლს ლაშრის ჯვრისასა. გავჭერი ცხენი და კაცი, წვერიც ვუნვდინე ქვიშასა, – არ იყო ღირსი, მოშორდა ცქერას წითელის მზისასა. აქეთ მე ვკვდები, იქით – ის, ქალი ნავიდა სხვისასა“.

(ხალხური)

ადამიანის ამ ქვეყანაზე სიცოცხლე იქნებ სხვა არც არაფერია, თუ არა აი, ეგრე, საფათერაკოდ შემოყრილი ყივჩაღი.

მუხრანის გზის სამზღვარზე შემოხვედრილი ყივჩაღი – ეგება სიკვდილიც კია...

რა იცი?..

კაიყმას თავისი ცოლი სიდედრისას მიჰყავს და მუხრანის გზის სამზღვარზე გადაეყრებათ ყივჩაღი.

პურსა სთხოვს კაიყმასა და თავ-
თუხისას აჭმევს ისიცა.

ხორცს სთხოვს და აჭმევს იმასაც,
თან ხობზისას ურჩევს.

ღვინოს სთხოვს და ბადაგისას ასმევს.

მოკლედ, კაი გუნებაზეა ყივჩაღი
და ამ კაიყმის ცოლიც მოსვლია უკვე
თვალში.

შენი ცოლი უნდა მომცეო! – ახლა
ცოლსა სთხოვს და პასუხსაც აღარ
უგდებს ყურს, ქალს ხელს მოჰხვევს,
თმის ნაწნავით მოიზიდავს და აკო-
ცებს კიდევაც...

ისიც უნდა ვიფიქროთ, ცხენზეც
შემოისვამს...

და კაიყმა თავისი ხმლის ვადას მო-
ძებნის, მაგრამ არც ყივჩაღია უყურ-
ადლებოდ...

აქამდე რატომ მიიყვანა საქმე კაი-
ყმამ და იმისი ცოლი რომ მოსდიოდა
თვალში ამ თანდათანობით თავსგა-
სულ ყივჩაღს, რატომ არ ალაგმა თა-
ვიდანვე?

იმიტომ არ გააჩერა, რომ სტუმარი
იყო და სტუმარ-მასპინძლობის წესს
ვერ გადავიდოდა ვერაფრით...

„ან კი ცოლს როგორ მივცემდი,
შვილსა გაზრდილსა სხვისასა“.

– ამ ნათქვამმა არ შეგვაცდინოს, –
იცინა ფშვებებმა ეგეთი ლაპარაკი.
მასპინძლობის წესზე არი ეს ნათქვამი,
– შენ სტუმარი ხარ, ჩემსას ყველაფერს
მოგცემ, მაგრამ სხვისას – ნულარ მომ-
თხოვო. ამ ირონიული ფრაზით არის
დაფარული, რომ კაიყმას უყვარს თა-
ვისი ცოლი, მაგრამ ამას ხმამაღლა
არ იტყვის, – გულჩვილობა ვაჟკაცის
საქმე არ არის და იმიტომ...

საიდან ჩანს, რომ კაიყმას უყვარს
თავისი ცოლი? – როგორ თუ საიდან, იმ
დღეს თავისი ცოლის სურვილის აღმს-
რულებელია: სიდედრისას, ქალისთვის
კი – მამისსახლში მიჰყავს მეუღლე.

ჰოდა, მოზიდა თავისი ხმლის ვადას
კაიყმამ, მაგრამ ყივჩაღმა დაასწრო
ცხენიდან – აკი მაგარი მეომარი იყო
ისიც! – და მხარიღლივ გადაჰკრა ხმა-
ლი...

გადაჰკრა და წითლადაც გადაუღე-
ბა ჩოხა-ახალუხი...

და მერე თავის ამ ქვეყანაზე არსე-
ბობის საბოლოო გამართლებას – ხმ-
ლის სასწაული ძალით დარტყმას უკვე
სასიკვდილოდ დაჭრილი კაიყმა ასრუ-
ლებს.

ლაშარის ჯვრის მადლს დაენდობა
და...

ველარც ცხენზე შეჯდომას მოას-
წრებდა...

დაბლა, ქვიშაზე დგას, გულ-მკერ-
დიდან სისხლი გასთქრიალებს და ისე
უპირებს ხმლით ავ გამუსაიფებას
ცხენზე მჯდომარე ყივჩაღს...

ცნობილი ამბავია, რომ ჩვენი პატა-
რა კახი, მეფე ერეკლე მეორე ისე გაჰ-
კვეთდა ხოლმე მოპირდაპირეს, რომ
ის კაცი ცხენზე ისევე ცოცხალივით
იჯდა და იმისი შემხედვარე იფიქრებ-
და, არც არაფერი მოსვლიაო.

გაჭენებული ცხენი რომ რომე-
ლიმე ღრმულში ჩაჰკრავდა ფეხს და
შეტორტმანდებოდა, იმ კაცის ერთი
ნახევარი ერთ მხარეს გადავარდე-
ბოდა, მეორე ნახევარი კიდევ – მეორე
მხარეს...

აი, მაშინლა მიხვდებოდნენ ხოლმე
იმასა, რაც მეფე ერეკლეს ხმაღზე
ენერა:


„მე ვარ ავი მუსაიფი კახთ ბატონის
ირაკლისა“.

მეცხრამეტე საუკუნის ბოლო ხა-
ნებისკენ მთელ პირიქით და პირაქეთ
ხევსურეთში სახელგანთქმულ ხმლის
მომხმარეს, ვეშაგურ ლიქოკელს რა-
ღაც ფათერაკად პრისტავი შემოჰკე-
დომია. შეუბიათ ბორკილი და, ციმ-
ბირი უკან მოუტოვინებიათ, კუნძულ
სახალინზე ციმციმ გადაუსახლე-
ბიათ – ეს „ციმციმ“ აქედან არი ად-
ვილი სათქმელადა, თორო კაი შორი
გზა, ლამის ნახევარი დედამინა უნდა
ეტარებინათ იქამდინა...

ჰოდა, იმასაც რალა ექნა, ყოფილა
იქა და ამასობაში დაწყებულა იაპონ-
ია-რუსეთის 1905 წლის ომი.

ომი კიდევ იმისი ომია, რომ მტრის
რაზმები უნდა შემოვიდნენ შენს ტერ-
იტორიაზე და იაპონელებიც შესულან
სახალინზე და, ერთი ყაზარმის გარდა,
მთელ კუნძულზე ოხრად და დასატ-
ირებლად დაურჩენიათ ყველა.

სწორედ აიმ ყაზარმაში გამაგრებუ-



ფრიდრიჰ ჰებელი

ლაგი“ (გაკაფული ტყეების ლიტ-
ერატურა), ნულოვანი წერტილი,
კალიგრაფია, ეგზისტენციური,
ყოფიერების მდგომარეობები,
წინა პლანი და უკანა პლანი; ამას-
თან, ჩვენი თაობა ანგაჟირებულ
ლიტერატურასა და l'art pour l'art-
ს შორის ბრძოლის გაჩაღებასაც
შეესწრო. ეს შედეგად მოჰყვა
გერმანიაში მომხდარ პოლიტიკურ
კატასტროფას, რომელშიც მასთან
ერთად მეზობელი ქვეყნებიც იქნა
ჩათრული, ამ ყოველივეს კი მო-
მავალი კატასტროფების წინათ-
გრძნობა ამძაფრებდა.

მამასადამე, თავისუფლად შეგი-
ძლიათ აირჩიოთ, რომელი მხარე
გაკიცხოთ, რომელს მიემხროთ.
იქნებ თქვენ იმაში გარკვევას ცდი-
ლობთ, თუ ფრონტის რომელ მხ-
არეზე გაიძულებენ ბრძოლას, ან
იქნებ ფიქრობთ, რომ ნეიტრალურ
პოზიციაზე დაგტოვებენ, რათა
არც მწვადი დანვით, არც შამფური.
რადგან მწერალი მუდამ წყალო-
ბისა და შერისხვის, წარმატებისა
და ხელმოცარულობის ბადეშია
გახლართული და შეუძლებელია
იმაზე თვალის დახუჭვა, რომ
დღევანდელი ლიტერატურა სხვა
არაფერია, თუ არა ბირჟა. მაგრამ
ეს შედარება არც მე მეკუთვინს,
არც ჩვენს დროებას, ის ჰებელმა,
ფრიდრიჰ ჰებელმა მოახდინა 1849
წელს. ამ გაგებით ეპოქები ცვლი-
ლებას არ განიცდიან.

მაგრამ მოდით დავანებოთ თავი
როგორც პარტიებად დაყოფას, ისე
ნეიტრალიტეტს და მესამე გამო-
სავალი გამოვინახოთ: ეს უნდა იყოს
ენათა ბაბილონური აღრევიდან
ურთულესი გზით თავის დაღწევა.

პირველი და ურთულესი იმ
შეკითხვათაგან, რომელთა შესახებ
მოგახსენეთ, მწერლის არსებო-
ბის გამართლებას ეხება. ცხადია,
საკუთარი ნიჭით ფრთაშესხმული
ცალკეული მწერალი მას იმთა-
ვითვე როდი აცნობიერებს, მს-
ოლოდ მოგვიანებითაა უსვამს ამ

¹ „ხელოვნება ხელოვნებისათვის“
(ფრანგ.).

გაგრძელება 27-ე გვერდზე



ლა ვეშაგურ ლიქოკელი.

ჩაურაზავს შემოსასვლელი კარი და ჯერ თოფით იგერიებდა მტერს, სანამ ვაზნები შემოეღებოდა.

ამასობაში იაპონელ ჯარისკაცებს, მორით იქნებოდა თუ ძალაყინებით, შეუნგრევიათ ყაზარმის კარი.

მერე ვინაც კი იმ ყაზარმის გასანმენდად გაუზავნია იაპონელთა მეთაურს, იმათგან ერთიც აღარ გამოსულა გარეთ.

რა ძალა ჩაუყენებიათ აქა რუსებსა, რომ ვეღარ მოგრევივართო, – გაბრაზებულა ის მეთაური, თურმე, და თავის შაშხანებმომარჯვებულ ოცეულთან ერთათ თავადაც შევარდნილა ყაზარმაში.

შევარდნილან და, თურმე, ამას რას ჰხედავენ, – ეს ჭალარა, სამოცდაათ წლამდის კაცი დგას სისხლიანი ხმლითა და ძირს კიდევ ნაკაფი მეომრები ნაჭერნაჭერ დაცურავენ სისხლის ტბაში...

იაპონელების მეთაური სამურაების კასტიდან გამოსული ოფიცერი იქნებოდა, ვისაც პატარაობიდანვე ისე აჩვევდნენ ხმალს, რომ ეს იარაღი იმისი სხეულის და სულის ნაწილად ქცეულიყო და როგორც კი თვალეში ჩახედავდა ვეშაგურ ლიქოკელს, – არანაირი ლაპარაკი და თარჯიმანი აღარ დასჭირდებოდა, – ეგრევე მიხვდებოდა, ვისთანაც ჰქონდა საქმე.

ჰო, სწორედ ხმლის ოსტატი მდგარა მეთაურის წინაშე და იმასაც ბევრი აღარ უყოყმანია, თავისიანები ხელით შეუჩერებია და ელვისუმალ უშიშვლებია ხმალი – პირისპირ, ერთი ერთზე ბრძოლაში გაუნვევია და სწორედ აქ მოსვლია გამოუსწორებელი შეცდომა, რადგან მალე იმისი სხეულის ნაჭრებსაც დაუყია ცურვა ყაზარმაში დამდგარ სისხლის ტბაში...

მერე სხვადასხვას ჰყვებიან, – ზოგი ამბობს, ვეშაგურ ლიქოკელი იქვე დაცხრილეს ტყვიებითაო და სხვები ამტკიცებენ, ჯერ შეიპყრეს და მერე დახვრიტესო...

აქვე ისიც უნდა დავძინო, რომ ვინაც „უბრალო ხევსურ გლეხად“ მოიხსენიებს ვეშაგურ ლიქოკელსა, ძალიან მწარედ აცდებია – ხევსურეთს ამაზად არ თქმულა და ანდრეზადა, რომ იქ თავადაზნაური გამოჩენილიყოს ოდესმე და თავის ყმა-გლეხად ექციოს ვინმე.

მარტო ერთხელ, სისხლის წვიმების

ჟამში, ზურაბ არაგვის ერისთავმა მოუნდომა ფშავ-ხევსურეთს დაჩოქება და კაი მელაღ დაიჭირა...

ეს ამბავი კიდევ მეჩვიდმეტე საუკუნის ანდრეზებიდან მოდის:

ერთი ვინმე სახელშემოურჩენელი აფციაური და ხირჩლა არაბული დიდხანსა შულღობდნენ ერთიმეორესა.

ბოლოს ის სახელშემოურჩენელი აფციაური იმ ბილიკის მიმდებარე ბუჩქებში ჩასაფრებულა, სადაც მესულღეს ყოველმიზეზგარეშე უნდა გამოეგლო.

ჰოდა, გაბანული ზის, თურმე, და გაჰყურებს ბილიკის ბოლოსა...

გაჰყურებს, გაჰყურებს, გასცქერის თვალმოუშორებლად და აგერა, ამოჩნდა ხირჩლაცა თავისი ჯვრებდაქარგული პერანგითა.

ამოჩნდა და ლალის ნაბიჯით გამოაგრძელა გზა სახელშემოურჩენელი აფციაურის სამალავისკენა, – აბა, იმან რა იცის, რომ ბუჩქებში მესულღე არის გატრუნული და მაგრადა ჰბლუჯავს ხმლის ვადასა.

მოდის, მოდის, თურმე, და ამ დროს, სად იყო და სად არა, თავისებური მჭახე შეძახილით როჭო არ წამოუფრინდა ბუჩქებიდანა?! – ხომ წარმოგიდგენიათ, როგორ გაუნძრევლად და რამდენი ხანი უნდა მჯდარიყო ის სახელშემოურჩენელი აფციაური იქა, რომ როჭოს ვერა გაეგო რა იმისი იქ ყოფნისა და შეგოგმანებულიყო იმავე ბუჩქებშია...

თვალის ერთ დახმანამებაში გაუძვრია ხირჩლა არაბულს თავისი დავითფერული და ის როჭო ისე გაუსხეპავს შუაზე, რომ ხმალს სისხლის წვეთიც კი არ შერჩენია...

მერე ისე ჩაუგია ქარქაშში თავისი დავითფერული ხირჩლასა, ისე აუღია იმ როჭოს ორივე ნაჭერი და ისე ჩაჰფარებია გორაზე ქვე-ქვე გადამავალ ბილიკსა, რომ ბუჩქებში უფრო უარესად სულგაქანქულ მოშუღარს ჩქამი ვეღარ გაუღია...

მეფე ერეკლემ ხომ თავისთავად და, სხვა მთიელი მეომრების არ იყოს, ამ ვეშაგურ ლიქოკელმა და ხირჩლა არაბულმა იცოდნენ ფარიკაობის ისეთი ილეთები, რაც ამ ყივჩაღთან დაპირი-

სპირებულმა ლაშარის ჯვრის ყმამაც მშვენივრად უწყის...

ხმლით ბრძოლის რა წესები გააჩნდათ ლაშარისა თუ გუდანის ჯვრების ყმებსა, დამალული იყო და ჩვენთვის უცნობია. კექნაობაზე რომ გიყვებიან მთიელები, აუცილებლად გიხსენებენ სხვადასხვა ძალის დარტყმებს – მაჯიდან, იდაყვიდან და მხარიდან. კექნაობისას რომელიმე მოხმალავს რომ თავისი თავი გაჰქცეოდა ხელიდანა და მაჯიდან კი აღარ, იდაყვიდან დაეკრა მოპირდაპირესთვის, მაშინვე ასეთი შეძახილით შეწყდებოდა ბრძოლა – მშიშარა ყოფილაო!

რაკი ხატობებისას იცოდნენ ეს კექნაობაც, მე ვფიქრობ, თავად ხევისბერი არჩევდა ხმლის დამორჩილების ნიჭით გამორჩეულ ახალგაზრდებს და იმათ კიდევ სხვანაირად ასწავლიდა. ისე ზრდიდა, რომ იმათთვის ხმალი – სულის ნაწილი იყო, სუნთქვა იყო...

და თავიანთი სალოცავი ხატისაგან მადლმცემული მეომრები იყვნენ ეგეთები...

ასე რომ, „ვენდე მადლს ლაშრის ჯვრისასა“-ო, ტყუილ-უბრალოდ არ ამბობს კაიყმა, – ამასა ლაშარის ჯვრის მადლი აქვისა...

ამ მადლით შეასრულა უკვე სასიკვდილოდ დაჭრილმა ეს უკიდურესი ძალის დარტყმა, – აკი ვთქვი, თავისი ამ ქვეყნად ყოფნის გამართლება, რადგან თუკი ვისმე სახელი დაუგდია, ეს კაიყმაც იმათშია მოსახსენიებელი და ლექსითაც ამად შემოგვინახა ხალხმა ამისი საბედისწერო ფათერაკი...

აი, ეგრე აღასრულა კაიყმამ თავისი საამქვეყნო ვალი და იმქვეყანას წასვლამდის შუაზე გადაჭრილი ცხენკაციც, ქვიშას დანვდენილი სისხლიანი ხმლის წვერიცა და ისიც ნახა, რომ ამ ყველაფრის შემხედვარე ქალი სწორედ იქით წავიდა, საითაც უნდა წასულიყო ეგეთ შემთხვევაში, – „სხვისასა“...

და, – ვერ გასჭრიდა ცხენ-კაცსაო და ეს პოეტური გაზვიადება არისო, – ეს ფიქრი, მოდით, სკეპტიკოსებს დავუტოვოთ, სოკოებივით რომ მრავლდებიან ამ ბოლო ხანებში...

აი, ეგეთი ამბავია მომხდარი და ამ ლექსის იმ ვარიანტზე, რომ „ცოლი სიდედრსა მივგვარე, ის კი იქა სჭამს ქვიშასა“, – ხმას არ ამოვიღებ, ჭკუაში

არ მომდის ეგეთი Happy ending და იმიტომაც...

მოდით, ისიცა ვთქვათ, სად „სხვისას“ უნდა წასულიყო კაიყმის ცოლი.

ამ ქალს ხომ ორ ოჯახში – ქმრისაში და თავის მამისსახლში მიესვლებია და „სხვისას“ რაილა უნდა?

ქმრის ოჯახს დიდხანს ვერ შერჩებოდა დაქვრივებული ქალი, საკუთარ ოჯახში მიბრუნებულს კი, – თან როგორი ლამაზია, რომ ეგრე გადარია ის ყივჩაღი! – გაათხოვებდნენ უთუოდა და უთუმცაოდა. ეს მკაცრი და უღმობელი რეალობა და ამ ქალის სიყვარულის ხსოვნას არც ერთ ოჯახში არ დაუნწყებდნენ ლოლიაობასა, და მართლებიც იქნებოდნენ, – აკი თქმულა, თუ მაგრად არ დაუხვდი ცხოვრებასა, ეგრე მოგთელავს, როგორაც დიდოელი ლეკი ნაბადსაო...

მოკლედ, სანამ ახლობელ-ნათესავებს გაუგიათ კაიყმის სიკვდილის ამბავი, „სხვისას“ მიიპარება ეს ქალი და, მე სულაც არა მგონია, რომ ეს „სხვისას“ სხვა კაცს გულისხმობს მაინცდამაინც, – სხვისასა, რომ ყველას თვალიდან გაჰქრესა და ამ თავისი კაიყმის ხსოვნა სიკვდილამდე თან ატაროს...

თუმცა ეგრე არა, ისევე იმით უნდა დავამთავრო, რითაც დავიწყე:

ადამიანის ამ ქვეყანაზე სიცოცხლე იქნებ სხვა არც არაფერია, თუ არა აი, ეგრე, საფათერაკოდ შემოყრილი ყივჩაღი.

მუხრანის გზის სამზღვარზე შემოხვედრილი ყივჩაღი – ეგება სიკვდილიც კია...

რა იცი?..

4. ჯჰპარ-ხატისა და ბარული სამართლისა

გია არგანაშვილს



ბარის კანონების გარეშე დატოვეს მთაო, – ისე ამბობ, თითქოს მთიულეთში არ იყო დაბადებულ-გაზრდილი და მთის ცხოვრება ყურმოკვრივ იცოდე...

ბაგრატიონები კი არა, ყველა ქვეყნის მეფეები რომ ერთად მისდგომოდნენ ბარული კანონის შემოსაღებად, ის



შეკითხვას საკუთარ თავს. რისთვის ვწერო? რა აზრი აქვს ამას? რისთვის – თუკი ზევიდან აღარ ჩამესმის არანაირი მოწოდება, ბრძანება? ვისთვის ვწერო, ღირს კი ამ სამყაროში ადამიანებს გამოუთქვა საკუთარი გრძობები, მოსაზრებები? განა მას, ვინც სხვებზე მეტადაა მონყურებული წვდომას, საზრისს, განმარტებას, დააკმაყოფილებს სხვისადმი მიმართული საკუთარი განმარტება ან უბრალო აღწერა, რაგინდ ზუსტად მოეჩვენოს ის თავად ავტორს? განა მისეული ენობრივი შეფასება, – ის კი გამუდმებით, ყოველი განსაზღვრებით შეფასებას ანიჭებს საგნებსა და ადამიანებს, – გულგრილი, მცდარი, სულაც უფარგისი არაა? და ის ამოცანა, რომელსაც საკუთარი თავის წინაშე გაუბედვად სვამს (ხოლო დღეს მხოლოდ თავად თუ დაუყენებს საკუთარ თავს რაიმე ამოცანას), განა სრულიად შემთხვევითი და უზადრუკი არ არის? განა, რაგინდ ეცადოს, მაინც ჭეშმარიტების გამოუსყიდველ მოვალედ არ რჩება? განა მთელი მისი ქმედება უგვანო ჰიბრიდი არ არის და განა ყოველწუთს არ უწევს საკუთარი თავის, საკუთარი მიზნის ეჭვქვეშ დაყენება? გამოგინებელია, რომ ამ საკითხს ასე კარგა ხანს მხოლოდ მათი ბოიგრაფიისათვის ჰქონდა სასიცოცხლო მნიშვნელობა, ვინც თავი ლიტერატურას შეესწირა. რადგან როდესაც ლაპარაკია „შემოქმედების აღსასრულზე“, როდესაც ხდება მის შესაძლებლობათა სევედნარევი ან მტრულად განწყობილი აწონ-დანონვა, – გეგონება, თავად შემოქმედებას უნდოდეს ეს აღსასრული, ანდა, ეს მისი უკანასკნელი თემა ყოფილიყოს, – ამ დროს შეუძლებელია, მხედველობაში არ ვიქონიოთ ამ აღსასრულის ერთ-ერთი მიზეზი, იმთავითვე რომ არსებობდა. თვით შემოქმედნი გვევლინებიან ამ მიზეზად, – საკუთარი თავით მათი უკმაყოფილება, მათი სინდისის ქენჯნა. ტოლსტოიმ

გაგრძელება 29-ე გვერდზე



ხევსურების წარმომადგენლობის მიმართვა ამერიკის მთავრობისადმი.

კანონები ორნყალს ზევით მაინც ვერ ააღწევდა – მთა თავის ჭკუაზე ივლიდა მაინც.

თემის სამართალი აწესრიგებდა ფშავ-ხევსურეთში ყველაფერს და, ხშირად ვერც ესა სჭრიდა, – მკვლევლობას რომ ალტერნატივად გვარის ამონყვეტა ჰქონდა, ესეც ვეღარ შეაჩერებდა ხოლმე ფიცხ მთიელებს, – იმიტომ არის, რომ მისურაულებიდან მხოლოდ მარტილადა შემორჩენილი და ისიც მხოლოდ ამ ლექსში:

მითხოს აღდი სჯობ მამაცად,
მშავლებს სჯობ კუკუმაური,
თუშებსა – ლუის ლუხუმი,
გუდამაყრელთ – ბუბუნაური,
მოხვევით – დუდუმაური,
ხევსურებს – ხოშურაული.
ხმლის ქნევად, ფარის ფარებად –
მარტია მისურაული,
ამაგის გვერდის სადგომლად –
იმედა მინანაური.
ცხვარს ვინ მოზვერავს მითხოსა? –
ახალა შუქიაური,
ვინ ჩავას მოზვერულ ზედა? –
გამახელთ თემროზაული.
კაცსა ვინ მახკლავს მითხოსა? –
ჩააცვეთს ბაბურაული.
ხუთ-ხუთს ვინ ჩახხოცს მარტო? –
ძალლიკა ხიმიკაური.
ვინ გაღმეტდების ლაშქართა? –
დულელი არიშაული.

ანდა ამავე ლექსში ნახსენები არიშაული, კუკუმაური, მინანაური, ხიმიკაური, ბაბურაული და თემროზაული სად არიან დღეს, – და კიდევ რამდენი გვარია ეგრე ამონყვეტილი...

დავით აღმაშენებელი რომ დგალეთში და ოვსეთში ლაშქრობდა, რათა იქიდან ათრაქა შარალანისძის ყვიჩალები გადმოეყვანა, როგორ გგონია, ვის ეყრდნობოდა, ვინ იდგნენ იმასთან, თუ არა ფხოველები?

ამოუდგებოდნენ მხარში ფხოველები, დავით მეფეს რომ იქ რომ ბარული კანონების შემოღება დაეწყო?

განა ვერ შემოიღებდა, ბოლოსდაბოლოს, სულ ცეცხლით და მახვილით გაავრცელებდა, მაგრამ მეფეს არც იმის მიხვედრა გაუჭირდებოდა, რომ მთელი ფხოვი ზედ შეაკვებოდა იმის ლაშქარს და აღარავინ დარჩებოდა იმ ბარული კანონების ამსრულებელი, – ამიტომაც დავით მეფეს ეს არ გაუკეთებია.

ამავე მიზეზით არც თამარ დედოფალს და არც ლაშა-გოორგის უცდიათ

ბარული კანონების შემოღება მთაში, პირიქით, ერთიც და მეორეც ხატის მოდედ და მოძმედ იყო ხევისბერების საბჭოსგან და იმათი თავხევისბერისგან დასახული, ფშავლების ხატს იმიტომაც შეერქვა ლაშარის ჯვარი.

მეფეების გამოცდილება ეს იყო და დიდი ფეოდალებიდან ზურაბ არაგვის ერისთავმა რამდენჯერმე სცადა მთის დამორჩილება, რასაც ბარული, ბატონ-ყმური კანონების შემოღება და ჯვარ-ხატების განადგურებაც მოჰყვებოდა, მაგრამ ზურაბი ჭრილობებით და განყვეტილი მოლაშქრეებით დაბრუნდა უკან...

ლაშარის ხატში წმინდა მუხის მოჭრა ზედ კატის სისხლის წაცხებით, – მეტისმეტი მოუვიდა ზურაბ ერისთავს...

თავისი ჯვარ-ხატის შებიწვას მთა არავის აპატიებდა. რაც არ უნდა დიდი ლაშქრით მისდგომოდნენ, მეფეები იქნებოდნენ თუ დიდი ფეოდალები, სულ ზედ შეაკვებოდნენ და არ მოუთმენდნენ ამას.

ეს ერეკლე მეფემაც კარგად იცოდა და, რაკი ისიც ხატის მოძმედ დაესახა ხევისბერს, იმიტომ შედიოდა გუდანის ჯვრის ხატში, იმიტომ გამოისმოდა ხატის დარბაზიდან პატარა კახისა და ჯვრის ლაპარაკი; იმიტომ გამოვიდოდა ხოლმე იქიდან მეფე და, – ხატმა ლაშქრობა ბრძანაო, – ეტყოდა ხევისბერსა და ის კიდევ მთელ საყმოს გამოუცხადებდა ამას; იმიტომ დაჰყვებოდნენ პირად მცველებად ხმალნადმოხი ხევსურები და თავისუფლად ეკაფიებოდნენ ბატონიშვილებსა და, – არ იწყინოთო, – სულ ეგრე არიგებდათ ხოლმე თავის ქალიშვილებს პატარა კახი...

იმიტომ იყო, რომ ორნყალზევით კიდევ უფრო განსაკუთრებულად უყვარდათ მეფე ერეკლე და ეგრე ეფერებოდნენ, –

ჩვენი ბატონი ერეკლე
ერთი პატარა კახია,
რკინის აბჯარი ჩააცვეს,
გაჰკრა ხელი და გახია.

და თბილისის ომში, კრწანისთან რად აკვებოდა სამასი არაგველი თათრებს, თუ ეს ლაშქრობა ჯვარ-ხატებისგან არ ჰქონდათ ნაბრძანები ხევისბერების პირით და თუ არ იცავდ-

ნენ ხატის მოძმე მეფე ერეკლეს?

ჰოდა, იმიტომ ვამბობ დაბეჯითებით, რომ ვერც ბაგრატიონები და ვერც დიდი ფეოდალები ბარის კანონებს ვერ შემოიღებდნენ მთაში და თუნდაც მოენდომებინათ, მაინც ვერაფერს გახდებოდნენ, – მთა თავისი წეს-სამართლით იცხოვრებდა მაინც...

გაუგებარს ზურაბ ერისთავის გზას გაუყენებდნენ და ბაგრატიონებივით გამგები კიდეც – გაიგებდა...

ბოლოს, მეოცე საუკუნეში მოსული კომუნისტები სხვა რისი მიმხვედრ-გამგებები იყვნენ, რომ მთისთვის გაეგოთ და ხევსურეთს ასულემა რჯულის აკრძალვა დაიწყეს, რასაც პასუხად 1936 წლის 23 ივნისს დაწერილი ეს წერილი მოჰყვა:

„ამირიკის დიდს მთავრობას ხევსურეთის წარმომადგენლობის თხოვა.

ჩვენი ხევსურეთის ხალხი შენუხე-ბულ არს ბალშოვიკებით. გვიკრძალავენ რჯულს. უნდათ კოლხოზების გაკეთება და ბევრის ნალოგების გამორთმევა და მოდიან, ხშირად გვეუბნებიან, მაგრამ ჩვენ თანახმა არა ვართ. მანამ სრუა და-ვიხოცებით, მთელი ხევსურეთი თანახმად არ ვიქნებით. მართალია იარაღი კი არა გვაქვ, მაგრამ ხმლითა და ხანჯრით უნდა ვიომოთ, მაგრა ამერიკას გთხოვთ დიდის თხოვნით, ძრიელის სახელმწიფო ხართ და მოგვეშველენით და დახმარება გაგვინიჭეთ, თორე ცოდო ვართ. იმედი გვაქვს, რომ მოგვეშველებით თუ გვიშველით თქვენ, თუ არა ჩვენი მეშველი აღარა არი. აბა ძმებო უკანასკნელს დღეში იართ ჩვენ.

მთელი ხევსურეთის წარმომადგენლები.
გიგა ლიქოკელი.
ვ. გორგილაშვილი.
23/VI-36 წ“.

ეგეთი რამის დაწერა 1936 წელს, როცა რეპრესიები და შიში მძვინვარებს, ლამის სიგიჟეა და, – სწორედ მაშინდელ უშიშროებას ჩაუვარდა ეს წერილი ხელში და დღესღა გამოაქვეყნეს...

არად დაგიდევნენ გიგა ლიქოკელი და ვ. გორგილაშვილი რეპრესიებს, თავისას ამბობენ მაინც...

და ეგრეც უნდა – მაამებლები ვერ იქნებოდნენ ეს კაი ყმები და შეეწირებოდნენ კიდეც იმ პირსისხლიან „ბალშოვიკებს“, აღმა-დაღმა რომ გვიხნავდნენ ქვეყანას, – ესეც თავისი ჯვარ-ხატის დასაცავად თავის გა-

დადება და მტერზე შეკვდომაა, როგორც მე მგონია...

5. დარუბანდისა და ბანძის კარიბჭეები რომ აიღონ
ერთიმეორეში...
(ჩანახატი სამ ესკიზად)

ესკიზი პირველი:
კარიბჭე დარუბანდისა

ერთხელაც არის და, ერთს ქართველს ვაჭარს კასპიის ზღვის ზედ კარიბჭე ალაგზე, შუაგულ დარუბანდში ლეკები დაეცემიან და ტანისამოსსაც აღარ შეარჩენენ, ისე გასცარც-ვავენ.

რა ვქნა, რა ვუყოო და, ლეკების ბელადთან მივა ის ვაჭარი და შესჩივლებს, – ჩემი საქონელი დამიბრუნეთ, რომ მართალმა სამართალმა პური სჭამოსაო.

ვისი ხარ, ვაჭარო, შენაო, – ჩაეითხება ირიბად მომღიმარე ლეკთა ბელადი, რახან იცნო, რომ ქართული კაბა-ჯუბა აცვია ისევე და იმასაც ეს უკვირს, – ამ გალოკილი თითივით ოხრად დარჩენილმა კაცმა, ნეტავ, საიდანღა იშოვნა ეგრე სახელდახელოდ ეს ტანისამოსიო...


ვისი ვარ და, არ მეტყობა ჩაცმულობაზე, რომ დავით მეფისა ვარო, – მიუგებს ესეცა ამაყადა.

ჰოდა, რაკილა დავითისა ხარ, წადი და მართალი სამართალი დავით მეფესა სთხოვეო, – ძალიან ცუდად ჩაიცინებს ლეკთა ბელადი.

ვაჰმეო, – დაიდარდებს გაძარცვული ქართველი ვაჭარი, – დავითს რომ ვუთხრა, ძაან შავად გექნება საქმეო.

შავადა, თორემა, იმანაც დარუბანდის კარი არ ჩამომიხსნასო!.. – ახარხარდება ლეკთა ბელადი, აიყოლიებს თავისს დაახლოებულს მოხელე-კარისკაცებსა და სულ ეგეთა სიცილ-ხარხარით გამოისტუმრებენ იმ ვაჭარს შინა.

დავით მეფემ რო ეს ამბავი შეიტყო, კარგახანს გაჩუმდა, თურმე; გაჩუმდა და მარტო თვალებში აკიაფებული ნაპერწკლებილა ატყობინებდა გარშემო მყოფებს, რომ კარგს არაფერსა ჰფიქრობდა დარუბანდელ ლეკებზე იმ თავიანთი ბელადიანადა და...



ლ. ტოლსტოი

უკანასკნელ წლებში ყველანაირი შემოქმედება დანყველა, საკუთარი თავიც და ყველა გენოსიც აბუჩად აიგდო, საკუთარ თავსაც და სხვებსაც ყოველგვარი სატანური ცოდვა დასდო ბრალად: ქედმაღლობა, ჭეშმარიტებისა და სიყვარულის შებღალვა, და თავისი სულიერი და ზნეობრივი დაცემა საქვეყნოდ განაცხადა. გოგოლმა „მკვდარი სულების“ გაგრძელება ცეცხლს მისცა. კლაისტმაც დაწვა „რობერტ გუისკარდი“, რის შემდეგაც თავი ხელმოცარულად ჩათვალა და სიცოცხლე მოისწრაფა. მის ერთ წერილში ვკითხულობთ: „უდიდესი სწრაფვა დამეუფლა, რომლის აღსრულების გარეშეც ვერასოდეს ვიქნები ბედნიერი; ესაა რაიმე კარგის შექმნის წყურვილი“. ან სხვას რას უნდა ნიშნავდეს გრილპარცერის თუ მიორიკეს უეცარი შემოქმედებითი დადუმება? ცხოვრებისეული გარემოებებით ამის ახსნა შეუძლებელია. ანდა ბრენტანოს გაქცევა ეკლესიის წიაღში, სადაც მან სასონარკვეთილებით შეაფარა თავი ყოველივე მშვენიერს, რაც მანამდე დაწერა? და ყველა ეს უარყოფა, პროტესტი, დადუმება, თვითმკვლელობა, შეშლილობა, დუმილი და კვლავაც დუმილი საკუთარი ცოდვილობის განცდითა განპირობებული, მეტაფიზიკური და ადამიანური დანაშაულის, საზოგადოებისადმი გულგრილობის შეგრძნებით. უკმარისობის ყოველგვარი გამოვლენა იმთავითვე ძვეს ჩვენს ეპოქაში. ჩვენი საუკუნის ფონზე დუმილის უფსკრულში ამგვარი ვარდნა, მისი მოტივები და დუმილიდან კვლავ დაბრუნება ენობრივი შემოქმედების წვდომისათვის უმნიშვნელოვანეს საშუალებად იმიტომ მეჩვენება, რომ ჩვენს დროში მდგომარეობა უკიდურესადაა დამძიმებული. შემოქმედის არსებობის ორატორიკულ დასაბუთებას დღეს კაცობრიობის ისტორიაში პირველად შეესაბამება ობიექტური პირობების ბუნდოვანება. სივრცისა და დროის რეალიებმა

გაგრძელება 31-ე გვერდზე



რალა ბევრი გავაგრძელო, თავის დურგლებს კიდობნები დაამზადებინა დავით მეფემ და ჯვორებით, ცხენებით და აქლემებით ჩაიტანა დარუბანდამდე. მერე თითო ეგეთა კიდობანში თითო შეიარაღებული მეომარი ჩაასხმევინა, აქეთ-იქიდან გადააკიდებინა აქლემებზე, ვაჭრულად გამოწყობილ სპასალარებს ის უსამართლოდ დაჩაგრული ვაჭარი დაუყენა წინ და ეგრე განწყობილი ქარავანი გაისტუმრა ქალაქ დარუბანდში. თანაც შიკრიკი აფრინა ლეკთა ბელადთან, – რა არის, რომ, ვითომცდა ის ვაჭარი უთვლიდა, – ჩემი მაშინდელი წყენა წყალმა წაიღო და აეხლა კიდევ ურიცხვი საქონელი მომაქვს გასაყიდად, ორმოცი აქლემკიდებულიო.

მოგაქვს და მოიტანეო, – გაჰხარებიყო ლეკთა ბელადსა, – ორმოცი კიდობანკიდებული აქლემი ხუმრობა საქმე არ არი, რახან ჩვენთანა თხუთმეტ-ოც აქლემიანი ქარავნები იარებიან ძირითადად და ორმოცი აქლემი – ძან ქარავანი იქნებისაო და ჩვენაც აქ ყოჩაღად დაგიხვდებიო.

და ლეკებმაც თავიანთი ჭკუით საამურად დატვირთულ ამთვენ აქლემს ფართოდ განუხვენეს რკინით ნაჭედი კარიბჭე, – „აუჰ, რა კარგი გასაცარცვია და აუჰო, ორმოცდათორმეტი აქლემი დავითვალე უკვეო...“, „შენა თვლა არ იცი, შვილოსა, სიხარბით მოგდის, თორემა ორმოცდახუთსა წყალი არ გაუვა, ორმოცდახუთი აქლემია არი სულა, ორმოცდახუთიო...“, – გუშაგები დაობდნენ ერთიმეორეშია, თურმე... ითვლიდნენ და ვერც ითვლიდნენ, თავიდან აპირებდნენ დათვლასა...

მერე რაც მოხდებოდა, ძნელი წარმოსადგენი აღარ არის, – კიდობნებიკიდებული აქლემების ქარავანი რომ შევიდა ქალაქში და მთავარ მოედანზე შეჩერდა, იმ კიდობნებიდან სულ დარჩეული და ტალიკ-ტალიკი ვაჟკაცები ამოვიდნენ, – ხრმლისა და ჰოროლ-ჩუგლუგის თავის ნებისად მომხმარებელი მეომრები, სულ ოთხმოცი, ალბათა, – რა ვიცი, კაცოო, იმათი გუშაგების შემყურეებსა, ჩვენაც არ აგვერიოსა სათვლავი: ორმოცი აქლემი იყო, თითოზე ორ-ორი კიდობანი ეკიდა და თითო კიდობანში თითო კაცი იმალებოდა და რამდენი გამოდის?... ჰო, ჰოო, ეგრე ხო მართ-

ლა ოთხმოცი დარჩეული მეგრძოლი გამოდის, ოთხმოცი და, – აბა, იმათ გაუჭირდებოდათ, რომ ქვიშის საათის ერთი გადაბრუნების ჟამამდე გარეთ ჩადარაჯებული ძირითადი ჯარისთვის ქალაქის კარიბჭე გაელოთ და მერე, თავიანთი თანამებძოლების შემატებით გაძლიერებულებს მთელი ქალაქი ციმციმ აელოთ?

აიღეს და ლეკთა ბელადი მიჰგვარეს დავით მეფესა სხვა დატყვევებულ ლეკებთან ერთადა.

მიუყვანეს და, – აბა, რაო, რას ამბობდიო? – ჩაჰკითხვია დავით მეფე, თვალეში ისევ ის ნაპერწკლები უთამაშებდა, რომლებიც კარგს არაფერს უქადადა იქაურებსა, – დარუბანდის კარიბჭე არ ჩამოგისხნა, არაო?!

ჰოო, ეგრე თქვაო, – დასტური დაუცია გამხიარულებულ ვაჭარსა.

ნაიყვანეთ ეხლა ესენიო, – თავისებს უბრძანა დავით მეფემ, – ჩამაჰხსენით დარუბანდის კარიბჭე, აჰკიდეთ აემათა და ქუთაისს ჩამოგვიტანეთო...

რად რა გვინდა, მეფეოო? – გაკვირვებულიყვნენ დავითმეფისები და რაკი ხელმწიფის საბუთიანი კრიტიკაც მოსული და ნახალისებული ამბავი იყო დავით მეფის კარზე, ჩაჰკითხვოდნენ, – აემას რო ეთქო, ყურებზე ხახვი არ დამაჭრასაო, ყურები უნდა დაგვეჭრა და ზედ ხახვი მოგვეყარნა, ჩვენი ძველი წესითაო?

მე ვიცი, რადაც გვინდაო, – გასცინებოდა დავით მეფესა, ისე გასცინებოდა, რომ თვალეში მაინც ვერ ნაჰშლოდა ბაგრატიონთა მარადიულად თანამდევი სევდა, – ეგეთი შესაკუთრებული სევდა ამ ერთ სვიან გვარზედ, ეგეთი, რო მემატთანები სწერენ – სევდიანებ არიან ბაგრატივნები, ქალ იქნებისა თუ კაციო, და აღარა ეთქვა რა, – მარტო საქართველოს აღმოსავლეთ მხარეზე მონაპირე ჰერეთელები დაედგინა მეციხოვნეებად დარუბანდშია და გამობრუნებულიყო შინა...

ბაგრატივნებისა არ იყვეს, გზასაც ხო მარადიული სევდა სჭირს, რაკილა დრო-ჟამის მონაცვლეობისა და ჟამთა სიავისა არა იცის რა, არც რას დაიკლებს თავის სავალსა და არც რას მოიმატებს, – ჰოდა, დარუბანდიდან გელათამდე ხომ კაი შორი გზა-სავალი არის ეხლაც და მაშინაც ხო ზუსტად ეგრევე იქნებოდა და, – სულ ოხერა-

კენესით და ვაი-ვიშით უტარებიათ ლეკებს იმსიმიძე კარიბჭე გელათის ტაძრის ეზომდინა...

აი, ეგრე ილაშქრა დავით აღმაშენებელმა დარუბანდის მხარეზე 1124 წელსა, თთუესა აპრილისასა...

მოდით, ისიც ვიფიქროთ, რომ დარუბანდის საამირომ ხარკი ხომ თავისთავად და, პოლიტიკური თანადგომის და მოგზაურ-ვაჭართათვის მშვიდობიანი გზის მიცემის ვალდებულებები იკისრა საქართველოს წინაშე.

ჰოდა, სწორედ ამიტომ აცხადებს დავით მეოთხე აღმაშენებელი ანდერძში:

„გარნა განბჭო მართლადმსაჯულობამან ღმრთისამან და, ესერა, მიწოდა მე, და უწოდა მაგას მეფობად, მამული და ახლად მოგებული ღვანლითა ჩემითა და თქვენითა: ნიკოფსითგან დარუბანდისა ზღვადმდე და ოვსეთიდგან სოერად და არეგანადმდე“.

ესკიზი მეორე: კარიბჭე განძისა

1138-1139 წლებში ადარბადაგანსა და ირანში ძალიან მიწისძვრა მოხდა, – მარტო სპარსეთისა კი არა, ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანის ქალაქები და მათ შორის, – მაშინდელი განძა და ამჟამინდელი განჯაც დაანგრია. ამით ისარგებლა დემეტრე მეფემ, მიმონგრეულ ქალაქზე გაილაშქრა, გაუჭირვებლად აიღო და ნადავლით დაბრუნდა უკანა.

სომეხი ისტორიკოსი, კირაკოს განძაკეცი გვაუწყებს, – გამარჯვებულმა მეფე დემეტრემ ქალაქ განძას ალაყაფის კარიბჭე ჩამოხსნა და საქართველოში წაიღო.

წამოიღო და, მამამისის არ იყოს, განძის კარიბჭე გელათის მონასტრის შესწირა იმანაც...

კარიბჭეზე ამოკვეთილი იყო არაბული წარწერა:

„სახელითა ხეთისათა ყოვლად მონყალისა და შემწყალბლისა! ამ კარების დამზადება ბრძანა ჩვენმა

მბრძანებელმა ამირამ, სახელოვანმა საიდ შავირ ჰაზლას ძემ. ღმერთმა ახანგრძლივოს მისი მფლობელობა! კადი აბულ ფარაჯე მუჰამედის, აბდ-ალაჰის ძის ხელმძღვანელობით. ღმერთმა ახანგრძლივოს მისი წარმატებები. ნამუშევარი იბრაჰიმისა, ძისა ოსმანისა, ძისა მჭედლის ანქაველჰისა, წელსა 455-სა“.

455 ჰიჯრით არის და 1068 წელსა ჰნიშნავს ჩვენებურადა.

მეფე დემეტრეს ბრძანებით ამუკვეთავთ ქართული წარწერაც...

ამჟამად უკვე წაშლილი ეს ქართული წარწერა თავის დროზე მარი ბროსეს ამოუკითხავს და თედო ჟორდანიას თავის „ქრონიკებში“ შეუტანია, – ქართულად აი, ეგრე წერებულა განძის კარიბჭეზე:

„მეფემან დიმიტრი... ნანი დაარღვია და ეს კარი მუნით (მოიტანა) წელსა მეფობასა მისისა იგ: ხოლო დასაბამითგან (ხღ) მ (ბ)“.

„იგ“ – ნიშნავს ცამეტს, დემეტრე პირველი გამეფდა 1125 წელს და, თუკი ვიყოჩალებთ და, ამ თარიღს ცამეტს დავუმატებთ, განძაზე ლაშქრობის წელიწადსაც შეუცდომელად გამოვითვლით...

ესკიზი მესამე: კარიბჭეები რომ აირია ერთიმეორეში

ჰოდა, აეს მეფე დემეტრეს ჩამოტანილი განძის კარიბჭე დავით აღმაშენებლის საფლავის ქვის სიახლოვეს, გელათის ტაძრის კედელზე ჰყუდავ ამჟამადა და, თურმე, ამას „დარუბანდის კარად“ დიდხანს მიიჩნევდა ხალხი.

იმიტომ, რომ აკი დავით მეფის ბრძანებით გელათსვე იყო შეწირული ლეკების ჩამოტანილი „კარი დარუბანდისა“, მაგრამ, როგორც გამოიკვავა, განძის კარიბჭისგან განსხვავებით, იმას ჩვენამდე ველარ მოუღწევია, – რაკილა ის უფრო მძიმე იყო, გადაუდნიათ, რკინის მასალად უქცევინათ და გელათის მონასტრის განსაახლებლად გამოუყენებიათ ხელოსან-ოსტატებსა...



გიორგი შაველიძე

საზრისი დაკარგა, სინამდვილე ახალ განსაზღვრებებს ელის, რადგან მეცნიერებამ იგი მშრალ ფორმულებად აქცია. „მე“-ს, ენასა და საგანს შორის ნდობა და ურთიერთკავშირი დარღვეულია. ერთ თემად ქცეული თვითდაექვების, ენისაგან იმედგაცრუებისა და მოუხელთებლად ქცეულ საგნებთან კავშირის გაქრობის პირველ წერილობით დოკუმენტად გვევლინება ჰუგო ფონ ჰოფმანსტალის „ლორდ ჩენდოსის წერილი“. ამავე დროს, ამ წერილით ჰოფმანსტალი უარს ამბობს თავის ადრეულ, წმინდა და მომავადობელ ლექსებზე, მამასადამე, – ესთეტიზმზე.

„მაგრამ, დარბაისელო მეგობარო, მიწიერი ცნებები ზუსტად ასევე მისხლტება ხელიდან. როგორ ავიღწეროთ ჩემი ეს სულიერი ტანჯვა-წამება, როდესაც ნაყოფით დახუნძლული რტოები შრიალით ეშურება ჩემი ხელეწიისთვის მიუწვდომელი სიმალისაკენ, მოზუტბუტე წყარო კი გაურბის ჩემს მწურვალ ბაგეს?“

ერთი სიტყვით, ჩემი მდგომარეობა ასეთია: სრულიად წამერთვა ნებისმიერი რამის შესახებ აზრიანი ფიქრის თუ საუბრის უნარი.

თავიდან ჩემთვის შეუძლებელი შეიქნა ამაღლებულ ან თუნდაც განზოგადებულ თემაზე მსჯელობისას იმავე სიტყვების გამოყენება, რასაც ყველა ადამიანი დაუფიქრებლად მიმართავს ყოველდღიური ლაპარაკისას. ყოვლად აუხსნელ უხერხულობას ვგრძნობდი მაშინაც კი, როდესაც უბრალოდ გამოვთქვამდი სიტყვებს „სული“, „სამშვინველი“, „სხეული“. აღარ შემეძლო სამეფო კარის სიახლეების, პარლამენტში მომხდარი მოვლენების თუ სხვა ნებისმიერი თემის შესახებ აზრის გამოთქმა. ამის მიზეზი არ გახლდათ რაიმე შიში თუ რიდი: მოგეხსენებათ, ქარაფშუტობამდე მისული გულწრფელობა მახასიათებს. მიზეზი ეს იყო: ის აბსტრაქტული სიტყვები,

გაგრძელება 33-ე გვერდზე

ესეისტიკა/დოკუმენტური პროზა



ანდრე ჟიდი

ილამაზ მინიშვილი

ანდრე ჟიდის საბედისწერო სტუმრობა დიდი მწერლის თვალთ დანახული საბჭოთა კავშირი

როსტომ ჩხეიძემ, დაიმონმა რა¹ გერონტი ქიქოძის „თანამედროვის ჩანაწერები“ – „ფრანგი რომანისტი ანდრე ჟიდის სტუმრობას რამდენიმე კაცი შეენირა საქართველოში“ – შეეცადა სიცხადე შეეტანა ამ საკითხში და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ამ „საბედისწერო სტუმრობას“ სულ ცოტა სამი ადამიანი მაინც ემსხვერპლა: პაოლო იაშვილი და ტიცთან ტაბიძე – როგორც უშუალო მასპინძლები (ავტორი ეყრდნობა ირაკლი აბაშიძის გამონათქვამს – „მისი მასპინძლობა და გიღობა პაოლოსა და ტიცთან თვითონ მთავრობამ დაავალაო“) და, აგრეთვე, ფრანგი მწერლისადმი მიძღვნილი სტატიის ავტორი – სტუდენტი გივი ქიქოძე, თუმცა აღნიშნავს – პაოლოსა და ტიცთანისათვის ეს სტუმრობა უფრო ანგარიშსწორების საბაბი იყო, აი, გივი ქიქოძე კი ჟიდის დღიურს ემსხვერპლაო.

ასეთ მოსაზრებას ტიცთანისა და პაოლოს შესახებ გასტონ ბუაჩიძეც იზიარებს: „თბილისიდან ზღვისპირეთამდე მას ქართველ მწერალთა ჯგუფი აცილებდა, მათ შორის ტიცთან ტაბიძე და პაოლო იაშვილი. როგორც კი ეს წიგნი გამოიცა, ისინი ავტომატურად გადაიქცნენ ხალხის მტრებად. მაშინდელი ლოგიკით, თუ ჟიდმა საბჭოთა კავშირი გააკრიტიკა, მათი ბრალი იყო. ამან იმსხვერპლა ტიცთანი და პაოლო“². ამ აზრსვე იზიარებს ქ-ნი ლალი ავალიანი წერილში – „ყველაზე არაადამიანური დროის ფრანგული ანარეკლი: ანდრე ჟიდის „დაბრუნება სსრკ-დან“³, რომელშიც პაოლოსა და ტიცთანის ისიც ჟიდის „მეგზურებად“ მოიხსენიებს.

მკითხველს მინდა ამ საკითხთან დაკავშირებული ჩემი წერილიდან⁴ მცირე ამონარიდები შევთავაზო: „...ცნობილი ფაქტია, რომ სტალინი მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში ავტორიტეტის დამ-

კვიდრებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ამ მიზნით მან მოიწვია ცნობილი ფრანგი მწერალი ანდრე ჟიდი (როგორც ამაზე თავად გვარი მიუთითებს – ნარმოშობით ებრაელი)“.

ანდრე ჟიდი მოსკოვში ჩამოვიდა 1936 წლის 17 ივნისს (გორკის გარდაცვალების წინა დღეს და მის დაკრძალვაზე სიტყვითაც გამოვიდა) და საბჭოთა კავშირში დაჰყო 24 ავგისტომდე.

ჟიდის მოწვევა, ბუნებრივია, შემთხვევითი არ იყო – მის მაღალავტორიტეტს ანგარიშს, როგორც ჩანს, საბჭოთა კავშირშიც უწევდნენ, რასაც თუნდაც ასეთი, ერთი შეხედვით უმნიშვნელო, ფაქტიც ადასტურებს: საქართველოს სარედაქციო-საგამომცემლო სამმართველოს თემატური გეგმით⁵ 1934 წელს, რუბრიკით – „ფრანგული მწერლობა“ – გათვალისწინებული ყოფილა გამოცემა მისი წიგნისა „მოგზაურობა კონგოს მხარეში“⁶, თუმცა, თუ არ ვცდები, ეს განზრახვა არ განხორციელებულა. ასეთი პიროვნების ჯეროვანი დახვედრა ყველამ პატივის საქმედ მიიჩნია და, ალბათ, არც ჩვენებს უღალატნიათ ჩვეული სტუმართმოყვარეობისათვის. როგორც გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ იტყობინებოდა⁷, ქართველ მწერლებს მისთვის შეხვედრა 17 ივლისს ქერჟინსკის სახელობის ბაღში მოუწყვიათ. სტუმარს ფრანგულად არისტოჭუმბაძე მისალმებია, ხოლო ჟიდის საპასუხო სიტყვა ქართულად პაოლო იაშვილს უთარგმნია. მეორე დღეს იგი წინანდალსა და თელავს ეწვია, 19-ში სილნალსა და ნუკრიანში იყო, 24-ში გორსა და ცხინვალში (მაშინდელ სტალინში), 25-ში ბორჯომი მოინახულა, იქიდან კი სოხუმში გაემგზავრა.

სახელმწიფოს მიერ მოწვეული პერსონის ვიზიტის პროგრამა, ჩვეულებრივ, წინასწარ იგეგმება და თანხმდება ხოლმე.

¹ „საბედისწერო სტუმრობა“. „ჩვენი მწერლობა“, № 9, 2009

² „მტკვარსა და ლუარას შორის“ (ესაუბრა რუსუდან დარჩიაშვილი). „Weekend“, 22-28.10. 2010, № 31, გვ. 13

³ „ლიტერატურული პალიტრა“, 2010 წ., ივლისი, № 7, გვ. 168-170

⁴ „ლიტერატურული საქართველო“, 1999 წლის 9-16 ივლისი, № 28, გვ. 6

⁵ ლხცა ფ. 49, აღ. 1, საქ. 10, გვ. 2

⁶ ეს წიგნი იმ დროისათვის რუსულ ენაზე უკვე გამოცემული იყო (Андре Жид – «Путешествие по Конго», М., 1931). რაც შეეხება მეორე მოგზაურობის ამსახველ წიგნს – «Возвращение из колонии Чад» – იგი 1934 წელს გამოიცა.

⁷ 31 ივლისი, № 12, გვ. 4

არც ფრანგი სტუმრის საბჭოეთში მოგზაურობის შემთხვევა იყო გამონაკლისი. შემონახულია ასეთი მოსაწვევი ბარათი (ლხცსა, ფ. 8, აღწ. 1, საქ. 544):

„საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი გთხოვთ დაეხსნოთ საქართველოს მწერლებისა და ხელოვნების მუშაკთა შეხვედრას საფრანგეთის გამოჩენილ მწერალ ანდრე ჟიდთან.“

შეხვედრა შედგება ა/წ 16 ივლისს საღამოს 9 საათზე ძერჟინსკის სახ. კლუბში (ყოფილი „სტილლა“).

პროგრამა:

1. მწერლებისა და ხელოვნების მუშაკთა მისალმებანი

2. ქართველი პოეტების გამოსვლა

3. საკონცერტო განყოფილება“.

დაკვირვებული მკითხველი ერთდღიან განსხვავებას შეამჩნევს თარიღებს შორის, რის მიზეზიც სტუმრების ნაგვიანევი ჩამოსვლა იყო და ამისთვის უიდი ბოდიშს მოუხდის კიდევ ქართველ მასპინძელ პოეტებს თავის ჩანაწერებში.

ქართველმა მწერლებმა მას საზეიმო სუფრაც მოუწყვეს, თუ არ ვცდები, კოჯორში. ამას მაფიქრებინებს ის გარემოება, რომ კოჯორში იყო მწერალთა დასასვენებელი სახლი, სადაც, ვფიქრობ, იმ ზაფხულს ჩვენც ვისვენებდით – ხუთი წლის ბავშვს შორს ვერ წამიყვანდა. „მამაჩემს, როგორც ჩანს, ამასთან დაკავშირებით რაღაც ევალეზობდა, რადგან, როგორც მახსოვს, სტუმრების მოსვლამდე ცოტა ხნით ადრე წვეულების სამზადისის შესამომწებლად გაეშურა და მეც წამიყვანა. ხელი რომ არავისთვის შემეშალა, კუთხეში სკამზე დამსვეს და კაკლის მურაბით გამიმასპინძლდნენ. ვიჯექი და ბავშვური ცნობისმოყვარეობით ვადევნებდი თვალს ქათქათა სუფრათადაფარებულ გრძელ მაგიდებს და მათ შორის თეთრჩაჩიან და თეთრსამოსიან მომსახურე პერსონალთან ერთად ენერგიულად მოფუსფუსე მამას. მაშინ რა ვიცოდი, რომ ეს ეპიზოდი ერთ-ერთ ყველაზე ძვირფას მოსაგონრად დამჩრებოდა“.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართველების დახვედრით ოფიციალური კმაყოფილი დარჩა. ამის საფუძველს გაზეთ „პრავდაში“ (9 სექტემბერი, № 244, გვ. 3) გამოქვეყნებული სურათიც იძლევა, რომელზედაც ანდრე ჟიდი აღბეჭდილია ქართულ გარემოცვაში – ილიო მოსაშვილი, აკაკი თათარაშვილი, პაოლო იაშვილი, ბესო ჟღენტი.


ანდრე ჟიდი, როგორც ჩანს, გამჭრიახი კაცი აღმოჩნდა და ამ საჩვენებელი შეხვედრების მიღმა საბჭოური წყობის ქეშ-

მარტი არსი დაინახა – სამშობლოში დაბრუნებულმა, გამიგია, მეტად უარყოფითი შეფასებებიანი წიგნი გამოაქვეყნა (პირადად მე იგი არ წამიკითხავს და არც ვინმე შემხვედრია მისი წამკითხველი). სტალინი, ბუნებრივია, ვერ შეეგუებოდა ასეთი წარმოდგენის დამკვიდრებას და ახლა ლიონ ფოიხტვანგერი (ასევე ებრაელი) მოიწვია. მასაც ყველა პირობა შეუქმნეს „საბჭოური სინამდვილის“ გასაცნობამ. მანაც მოიარა სსრკ, დაბრუნდა შინ და დაპირებული წიგნის („მოსკოვი, 1937“) გამოცემა კარგა ხანს დაავიანა. სწორედ ამ დროს გავრცელდა ცნობილი კალამბური – Как бы этот еврей не обернулся Жидом!“

30-ანი წლების რეპრესიული საქმეები საესეა „ბომბიდან ლონდონამდე გვირაბის გაყვანის“ მცდელობის მსგავსი „მტკიცებულობებით“ და თუკი ჟიდის მოგზაურობების შთაბეჭდილებებში ვინმე სიმპატიითაა მოხსენიებული, „ჩეკა“ მისთვის მიწოდებულ ასეთ „სამხილს“ ხელიდან როგორ გაუშვებდა. ისე, რომ, ზოგადად, ბ-ნი როსტომის აზრს საბაბის შესახებ ძნელია არ დაეთანხმო, ჩვენ მხოლოდ დღიურთან დაკავშირებით გვინდა ზოგი რამის დაზუსტება, მითუმეტეს, რომ იგი თავად სვამს კითხვას – „არის კი ანდრე ჟიდის მოგზაურობის ჩანაწერებში რაღაც მსგავსი პასაჟი?“ (იგულისხმება მინიშნება ჟიდის მიერ მიხეილ ჯავახიშვილის მოხენიების შესაძლებლობაზე).

როსტომ ჩხეიძე წერს: „უშუალოდ რა ენერა იმ დღიურებში, ეს არავინ იცოდა, რაკილა რკინის ფარდის მიღმა არსებული თხზულება საზღვრებს აქეთ ვერაფრისდიდებით ვერ შემოაღწევდა, მაგრამ ყველასათვის ცნობილი გახდებოდა, რომ დღიურის იმ ცალკეული პასაჟებისთვის გაუკიცხავთ პაოლო იაშვილი და განსაკუთრებით ტიცციან ტაბიძე, ვინც ფრანგ მწერალს სულაც მონმედ დაესახელებინა“.


ჟიდის მოგზაურობების შთაბეჭდილებებს საბჭოთა მკითხველი პირველად საჟურნალო ვერსიით გაეცნო («Звезда», 1989 г. № 8), ხოლო უკვე 1990 წელს გამოიცა წიგნი, რომელიც რუბრიკით – «Два взгляда из-за рубежа» – საბჭოთა კავშირში ორივე მწერლის სტუმრობის შთაბეჭდილებებს აერთიანებს: Андре Жид – «Возвращение из СССР» და Лион Фейхтвангер – «Москва, 1937» (ეს წიგნი ზემოთ მოშველიებული ჩვენი ნერილის გამოქვეყნების შემდეგ ჩაგვივარდა ხელთ). მკითხველს პირველ მათგანზე გვინდა გავესაუბროთ, იქნებ ამით მაინც



აზრთა გამოთქმისას ბუნებრივად რომ უნდა დაჰყოლოდა ჩემს ენას, პირში ფუყე სოკოებოვით მეფშვნებოდა“.

უფრო ქვემოთ კი ვკითხულობთ: „თანდათანობით ეს შემოტევა მთელ ჩემს არსებობას მოედო ყანვივით. საქმე იქამდე მივიდა, რომ საოჯახო, საყველპურო საუბრებზეც კი იმდენად საეჭვო და ორაზროვანი მეჩვენებოდა, რომ საერთოდ შევწყვიტე რაიმე მოსაზრების გამოთქმა. ძლივს ვახერხებდი, არ გამემჟღავნებინა თავად ჩემთვისაც აუხსნელი ბრაზი, რომელიც, აი, ამგვარი მოსაზრებების მოსმენისას მიპყრობდა: ეს ამბავი ამა თუ იმ პიროვნებისთვის ცუდად დამთავრდა; შერიფი ნ.-ი ცუდი ადამიანია, პასტორი ტ. კი – კარგი; არენდატორი მ.-ი სიბრაალულს იმსახურებს; მისი ვაჟები ქონებას ანიავევენ; სხვას კი შესაშურად აქვს საქმე, რადგანაც მისი ქალიშვილები კარგი დიასახლისები არიან; მავანი ოჯახი ძლიერდება, სხვა კი დაქცევის პირასაა. ეს ყოველივე სრულიად დაუსაბუთებლად, ყალბად და მყიფედ მესახებოდა. ჩემი სული მაიძულებდა, ამგვარ საუბარში ნახსენები თითოეული საგანი უახლოესი მანძილიდან განმეხილა: ერთხელ გამადიდებელი შუშით რომ შევხედე ჩემი ნეკათითის კანს, ის ღარებითა და ორმოებით დაფარულ მინდვრად მეჩვენა. ზუსტად ასე მომდიოდა ახლა ადამიანებსა და მოვლენებთან დაკავშირებით. აღარ შემეძლო ჩვეულებრივი გამარტივებული მზერით განმესაჯა ისინი. მთლიანი ნაწილებად მეშლებოდა, ნაწილები – უფრო მცირე ნაწილებად და სახელს თუ ცნებას ვერაფერს ვუსადაგებდი. ცალკეული სიტყვები ტივტივებდნენ ჩემს გარშემო; დაჭყეტილი თვალების ბურთულებად იკვრებოდნენ და ერთთავად მე მაშტერდებოდნენ. მეც მონუსხულივით ვუშტერებ თვალს: თავბრუდამხვად ტრიალებენ მორევივით და უფსკრულში

გაგრძელება 35-ე გვერდზე



ანდრე ჟიდის წიგნის – „დაბრუნება საბჭოთა კავშირიდან“ – ერთ-ერთი გამოცემის გარეკანი



ანდრე ჟიდის „დაბრუნება საბჭოთა კავშირიდან“ – რუსული გამოცემის გარეკანი

შეივსოს ის ნაკლი, რომ დედნიდან ქართულ ენაზე თარგმნილი იგი ჩვენი მკითხველისათვის ჯერ არ შეუთავაზებიათ. ჩვენი ეს მცდელობა, იქნებ, ზედმეტიც არის, რადგან, ჯერ ერთი, – ქ-ნ ლალი ავალიანის ნახსენებ ნერილში საკმაოდ ნათლადაა ასახული წიგნის შექმნის წინაპირობები, დახასიათებულია ავტორის პიროვნება და წარმოდგენილია წიგნის არსის ზოგადი სურათი და, მეორე, – მკითხველი, ალბათ, მალე მიიღებს მის დანაპირებ გამოკვლევას – „ანდრე ჟიდი საქართველოში“.

თავად წიგნი, რომელიც პარიზში, 1936 წლის ნოემბერში გამოიცა, სამი ნაწილისაგან შედგება: ძირითადი ტექსტი (35 გვ.), „დამატება“ (8 გვ.) და საკმაოდ მოცულობის „ჩასწორებანი ჩემს „დაბრუნებაზე საბჭოთა კავშირიდან“ (55 გვ.). „დამატება“ ხუთი მცირე ზომის ნარკვევისაგან შედგება: ანტირელიგიური ბრძოლა; ოსტროვსკი (თავის დროზე ძალიან ცნობილი წიგნის „როგორ იწრთობოდა ფოლადის“ ავტორი); კოლმეურნეობა; ბოლშევიკი; მიუსაფარნი). ქვემოთ გთავაზობთ შესავალსა და მხოლოდ იმ ამონარიდებს, რომლებიც საქართველოს შეეხება. ბარედამ აქვე აღვნიშნავ, რომ რუსული გამოცემის საკმაოდ ვრცელი (270 გვერდიდან 60) და არანაკლებ საინტერესო წინათქმა ეკუთვნის ცნობილ რუს ჟურნალისტსა და კრიტიკოსს ალბერტ პლუტნიკს (როდისმე, იქნებ, მასაც გაეცნოს მკითხველი).

დაბრუნება საბჭოთა კავშირიდან¹

ეჟენ დაბის ხსოვნას ეძღვნება ეს ფურცლები

– ანარეკლი მის გვერდით და მასთან ერთად განცდილისა და გააზრებულია.

დემეტრას სადიდებლად ჰომეროსის მიერ აღვლენილი ჰიმნი მოგვითხრობს

¹ მსგავსი მისიით ანდრე ჟიდი აფრიკის ორ ქვეყანაში – კონგოსა და ჩადში – იმყოფებოდა და ამ მოგზაურობებისას მიღებული შთაბეჭდილებების წიგნები ასეა დასათაურებული – „მოგზაურობა კონგოში“ და „დაბრუნება ჩადიდან“. აქვე გვინდა განვმარტოთ, რომ რუსულსათვის ჩვეული აბრევიატურის – «СССР» – შესაბამისი „სსრკ“-ს მაგივრად ჩვენ, მეტ შემთხვევაში, ქართველი მკითხველისათვის უფრო მისაღებად „საბჭოთა კავშირი“ ან „საბჭოეთი“ მივიჩნით – მთარგმნ.

იმის შესახებ, თუ ქალიშვილის საძებნელად გამოსული დიდი ქალღმერთი როგორ მოხვდა კელეოსის სასახლესთან. ძიად სახეშეცვლილი, იგი ვერავინ იცნო და დედოფალმა მეტანეირამ მას ანდო ახლადშობილი ჩვილი დემოფოონი, რომელსაც შემდგომში ტრიპტოლემად – მინათმოქმედების მფარველ ღმერთად – მოვლინება ჰქონდა დაწესებული ბედად.

როდესაც სახლის ყველა კარი ირავებოდა და მისი ბინადარი ძილს მიეცემოდნენ ხოლმე, დემეტრას ფაფუკი აკვნიდან ამოჰყავდა დემოფოონი და უცხო თვალთ დამნახველისთვის გაუგონარი სისასტიკით, სინამდვილეში კი უსაზღვრო სიყვარულით, ნაკარნახევით იმის სურვილით, რომ ბავშვი ღმერთად ქცეულიყო, შიშველს აწვენდა გავარვარებულ ნაკვერცხლებზე. წარმომადგენია, როგორ დაფოფინებდა დიადი დემეტრა ბავშვს – როგორც მომავალს კაცობრიობისას. ხედავდა, როგორ იტანჯებოდა ბავშვი გავარვარებული ნაკვერცხლებზე, მაგრამ ეს გამოცდა აკაჟებდა მას. მასში ყალიბდებოდა რაღაც ზეადამიანური, ძლიერი და ჯანსაღი, განმაპირობებელი მომავალი სიდიადისა. და რაოდენ დასანანია, რომ დემეტრამ ვერ აღასრულა ჩანაფიქრი – ლეგენდა მოგვითხრობს, რომ, ერთხელაც, მეტანეირამ შეიხედა დემეტრას ოთახში, დანახულით შემოთვებულმა ხელის კვრით ჩამოაშორა დემეტრა გავარვარებულ სარეცელს, მიფანტ-მოფანტა ნაკვერცხლები და, ბავშვის გადარჩენის ფასად – დაღუპა ღმერთი.

წინასიტყვაობა

სამი წლის წინ მე ვლაპარაკობდი ჩემი ალტაცების შესახებ საბჭოთა კავშირით, ჩემს სიყვარულზე მისადმი. იქ ხორციელდებოდა უპრეცედენტო ექსპერიმენტი, რომელიც ავსებდა ჩვენს გულს იმედით, იქიდან ველოდით ჩვენ დიად პროგრესს, იქ ისახებოდა აღმაფრენა, რომელსაც მთელი კაცობრიობის აყოლებდა შეეძლო. მე ვფიქრობდი, რომ ღირდა სიცოცხლე იმისათვის, რომ მოწმენი ვყოფილიყავით ამ განახლებისა, ამ პროცესის შესაშველებლად სიცოცხლის განირვაც კი ღირდა. საბჭოთა კავშირის

ნათელ მომავალს ჩვენ ჩვენს გულებსა და გონებაში გადაჭრით ვუკავშირებდით თავად კულტურის მომავალს. ჩვენ ეს ხშირად გაგვიმეორებია და ახლაც გვინდა გვქონდეს ამის გამეორების შესაძლებლობა.

საბჭოეთში გამგზავრება განვიზრახეთ იმისათვის, რომ ყველაფერი გვენახა საკუთარი თვალთ, მაგრამ შეხედულებათა ცვლის დამადასტურებელმა იმ გადანყვეტილებებმა, იქ რომ მიიღეს გამგზავრებამდე ცოტა ხნის წინ, ჩვენი შეშფოთება გამოიწვია.

მაშინ, 1935 წლის ოქტომბერში, მე ვწერდი: „საბჭოთა კავშირზე თავდასხმების სისულელე და უპატიოსნობა გვაიძულებს უფრო მეტი სიბეჯითით გამოვიდეთ მის დასაცავად. როგორც კი ჩვენ ამის კეთებას შევწყვეტთ, საბჭოეთის დასაცავად მაშინვე თავს წამოყოფენ მისი მაგინებლები. ეს მოხდება იმიტომ, რომ მათთვის მოსაწონია ყველა დათმობა და კომპრომისი, რომლებიც მათ მისცემს საბაბს წამოგაძახონ: „აი, ხომ ხედავთ ახლა!“ და რომელთა მიზეზით საბჭოეთი გადაუხვევს დასახულ მიზანს. დაე, ამ მიზანზე კონცენტრირებულმა ჩვენმა შეხედულებებმა არ მოგვცენ საბჭოეთისათვის ზურგის შექცევის უფლება“.

ისევ ისე დარწმუნებულმა, მაგრამ უფრო დაწვრილებითი ცნობების მიღებამდე უკვე საკუთარ თავში დაქვებულმა, მოსკოვში ჩასვლიდან ოთხი დღის შემდეგ გორკის დაკრძალვასთან დაკავშირებით ნათელ მოედანზე ჩემს გამოსვლაში მე განვაცხადე – „გონებაში ჩვენ კულტურის ბედს საბჭოთა კავშირს ვუკავშირებთ და ჩვენ მას დავიცავთ“.

მე ყოველთვის ვამტკიცებდი, რომ სურვილში – იყო მუდმივად საკუთარი თავის ერთგული – ხშირად იმალება იმის საშიშროება, რომ შესაძლოა უღალატო გულწრფელობას და მიმანია, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იყო გულწრფელი სწორედ მაშინ, როდესაც საქმე ეხება მრავალი ადამიანის რწმენას, მათ შორის საკუთრივ შენი ხალხისაც.

თუკი მე დასაწყისშივე შევცდი, ყველაზე კარგია, ვალიარო ეს რაც შეიძლება მალე, რადგან მე პასუხისმგებელი ვარ იმათ წინაშე, ვინც შეიძლება ჩემი შეცდომის მსხვერპლი

გახდეს. ასეთ შემთხვევაში თავმოყვარეობა არ უნდა იყოს ხელშემშლელი პირობა, თუმცაღა მე იგი ისედაც ცოტა მაქვს – არსებობს რალაციები, რაც ჩემთვის უფრო ღირებულია, ვიდრე „მე“, ვიდრე საბჭოთა კავშირი: ესაა კაცობრიობა, მისი ბედი, მისი კულტურა.

მაგრამ შევცდი კი მე თავიდანვე? ისინი, ვინც თვალს ადევნებდნენ უკანასკნელ წელს საბჭოეთში განვითარებულ მოვლენებს, განსჯიან – ვინ შეიცვალა ჩვენს შორის: მე თუ საბჭოეთი? ვგულისხმობ იმათ, ვინც ხელმძღვანელობს საბჭოთა კავშირს.

ჩემზე მეტად ინფორმირებულები იტყვიან, – არის ეს ცვლილებები მხოლოდ მოჩვენებითი, თუ ის, რაც ჩვენ გეზიდან გადახვევად მივიჩნით, არის ფატალური შედეგი გარკვეული წინასწარგანწყობისა.

საბჭოეთი „შენდება“. მნიშვნელოვანია, რომ ეს მუდამ გვახსოვდეს ჩვენ. და მაშინ ამაღლებულად საინტერესო იქნება ყოფნა ამ უკიდურესო ქვეყანაში, რომელიც განიცდის მშობიარობის ტკივილს, თითქოს თავად მომავალი იბადება ჩვენ თვალწინ.

იქ არის კარგიც და ცუდიც. უფრო ზუსტად: ყველაზე კარგი და ყველაზე ცუდი. ყველაზე კარგი ხშირად წარმოუდგენელი მცდელობის ფასად მიიღწეოდა. მაგრამ ამ მცდელობებით არა ყველგან და არა ყოველთვის ხერხდებოდა სასურველის მიღწევა. ხანდახან შეიძლება ვიფიქროთ კიდევ: ჯერჯერობით. ზოგჯერ უარესი თანხვედა უკეთესს, შეიძლება ითქვას – ერთი გაგრძელებაა მეორისა. და კაშკაშა სინათლიდან უკუნეთში ასეთი გადასვლები – დამთრგუნავად მკვეთრია. ამის გამოა, რომ იმ მოგზაურის მესხიერებას, რომელსაც გარკვეული თვალთახედვა გააჩნია, შემორჩება ხოლმე მხოლოდ ან ერთი, ან მეორე. ძალიან ხშირად საბჭოთა კავშირის მეგობრები უარს ამბობენ ცუდის დანახვაზე, ან, უკეთეს შემთხვევაში, – მის აღიარებაზე. ამის გამოა, რომ საბჭოთა კავშირის შესახებ სინამდვილე არც თუ იშვიათად გამოითქმის სიძულვილით, სიცრუე კი – სიყვარულით.

მე კი ისეთი გამაჩინა ბუნებამ, რომ უფრო მკაცრი ვარ იმათ მიმართ, ვინც მინდა, რომ მიყვარდეს. ბევრად არ ღირს ის სიყვარული, რომელიც მხ-



რაინერ მარია როლანდ

ჩასანთქმელად მომიხმობენ“.

ერთუროთისაგან აბსოლუტურად განსხვავებული ხილვების საფუძველზე იგივე განცდაზე მოწმობს რილკეს „მალტე ლაურიდს ბრიგეს ჩანაწერები“, მუზლის ზოგიერთი ნოველა და ბენის „რიონე. ექიმის ჩანაწერები“. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ლიტერატურაში არ ხდება ამგვარი გამოცდილების ურთიერთგაცვლა. უფრო სწორი იქნება, თუკი ამ მოვლენას ცალკეული რევოლუციური ამოფრქვევების დახასიათებას მივცემთ. გარკვეული მოვლენები თუ იდებები, გავრცელებული აზრისამებრ, ჰაერში ტრიალებს. არა მგონია, რომ მართლაც ასე თავისუფლად, ყველასათვის ხელმისაწვდომ სიმაღლეზე ტრიალებდეს. ახალ გამოცდილებას, თავად თუ არ შეიძინე, ჰაერიდან ვერ აიღებ. გამოცდილებას სხვისგან მხოლოდ ის სესხულობს, ვისაც თავად არაფერი გამოუცდია. ჩემი აზრით, სადაც არ იმის აუცილებელი სახადივით მოსახდელი ეს მარადიული შეკითხვები შემოქმედების საზრისისა და მიზნის შესახებ (თუ გნებავთ, დანაშაულის შესახებაც) და მათი თანხლები სხვა შეკითხვები, სადაც არ არის ეჭვი და, აქედან გამომდინარე, არც შემოქმედებითი პრობლემატიკა, – იქ ახალი ხელოვნების ნიმუში ვერ შეიქმნება. ეს შეიძლება პარადოქსულად ჟღერდეს, რადგან მანამდე ლაპარაკი გქონდა იძულებითი დუმილზე, როგორც შემოქმედის საკუთარ თავთან და სამყაროსთან გართულებული მიმართებისა, – იმ გასაჭირზე, რომელმაც ახალ დროში უბრალოდ ახალი ფორმა შეიძინა. რელიგიური და მეტაფიზიკური კონფლიქტები პოლიტიკურმა, სოციალურმა და საზოგადოებრივმა კონფლიქტებმა შეცვალა. მაგრამ ყველა ეს კონფლიქტი მწერლისათვის საბოლოო ჯამში ენასთან დაპირისპირების სახეს იღებს. რადგანაც უკანასკნელი ორმოცდაათიანი წლების

გაგრძელება 37-ე გვერდზე



ანდრე ჟიდის ჩამოსვლა საბჭოთა კავშირში

ოლოდ ქება-დიდებათ გამოიხატება და მიმაჩნია, რომ დიდ სამსახურს გავუწებ საბჭოეთსაც და მის საქმესაც, თუკი ვილაპარაკებ მის შესახებ გულწრფელად და არა პირმოთნედ. ჩემი აღფრთოვანება საბჭოთა კავშირით, აღფრთოვანება მის მიერ უკვე მიღწეული წარმატებებით, მაძლევს მისი მისამართით კრიტიკის გამოთქმის უფლებასაც – მასთან დაკავშირებული ჩვენი მოლოდინების სახელით, განსაკუთრებით ყოველივე იმის სახელით, რისი იმედის უფლებასაც იგი თავად გვაძლევს.

ვინმეს თუ შეუძლია სრულად განსაზღვროს – რა იყო ჩვენთვის საბჭოთა კავშირი? ის იყო არა მარტო გამორჩეული ქვეყანა, რომელიც იძლეოდა მაგალითს, სახელმძღვანელოს მოქმედებისას. ყველაფერი, რაზედაც ჩვენ ვოცნებობდით, რასაც ვაფიქრიანებდით, რისკენაც მისწრაფოდნენ ჩვენი სურვილები და რისთვისაც მზად ვიყავით არ დაგვეზოგა ძალ-ღონე, – ყველაფერი ეს იყო იქ. ეს იყო ქვეყანა, სადაც უტოპია გარდაიქმნებოდა რეალობად. აღსრულებულის სიდიადე გვისახავდა კიდეც უფრო დიდის, გრანდიოზულის იმედებს.

ყველაზე ძნელი, თითქოს, უკვე უკან იყო მოტოვებული და ჩვენ, გულგახარებულებმა ვირწმუნეთ ის უფალი გზები, რომლებიც აირჩია საბჭოეთმა ტანჯული კაცობრიობის სახელით.

მაგრამ მარცხის შემთხვევაში რა დონემდე იქნებოდა გამართლებული ჩვენი რწმენა? თუმცა, მარცხის თაობაზე ფიქრიც კი დაუშვებელია.

თუ ზოგი დაპირება ვერ შესრულდა, რაში უნდა ვექებოთ ამის მიზეზები? იქნებ უნდა ჩავთვალოთ, რომ ამის მიზეზები პირველ დეკრეტებშია, ან იმაში, რომ ისინი ჯეროვნად ვერ სრულდებოდა (რითაც არ უნდა ვცადოთ შეუსრულებლობის გამართლება – გინდა გადახრებით, გინდა დარღვევებით თუ მდგომარეობებთან შემგუებლობით)?

მე აქ ვსაუბრობ ჩემს პირად შთაბეჭდილებებზე იმის შესახებ, რასაც მე კანონიერი სიამაყით მაჩვენებდნენ საბჭოთა კავშირში და რისი ნახვაც თავად შევძელი. საბჭოეთის მიღწევე-

ბი ბევრ რამეში შესანიშნავია. ხანდახან იმის წარმოდგენაც შეიძლება, რომ აქ, თითქოს, ბედნიერებაც კი სუფევს.

ნუთუ ისინი, ვინც კმაყოფილებით შეხვდა ჩემს მცდელობას კონგოში – ყველაფერში თავად გავრკვეულიყავი, როდესაც უარი ვთქვი გუბერნატორის მიერ გამოყოფილ ავტომობილზე და ვცდილობდი გავბასებოდი ყველა შემხვედურს, დამადანაშაულებენ იმაში, რომ საბჭოთა კავშირშიც ვცდილობდი არ შემოეყარათ ჩემთვის თვალებში ნაცარი?

ექვციც არ მეპარება, რომ ამ წიგნით ისარგებლებენ მოწინააღმდეგენი, ისინი, ვისთვისაც „წესრიგის სიყვარული თავსებადია ტირანიისადმი განწყობისა“¹. ნუთუ ამის გამო ეს წიგნი არ უნდა გამოქვეყნდეს? მაგრამ მე ხომ დარწმუნებული ვარ, ჯერ ერთი, რომ საბჭოთა კავშირი გადალახავს ამ სიძნელეებს, და, მეორე, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, – ერთი ქვეყნის შეცდომებმაც კი ვერ უნდა მოახდინონ კომპრომეტირება იმ ჭეშმარიტებისა, რომელიც ემსახურება ზოგადსაკაცობრიო, ინტერნაციონალურ საქმეს. შეიძლება ვინმეს გამართლებულად მოეჩვენოს ტყუილის მიჩუმება, ან თავგამოდებით სიცრუის დაცვა, მაგრამ სინამდვილეში ეს ხომ მხოლოდ მტრისთვის სარგებელია, ჭეშმარიტებით მიყენებული ჭრილობები კი, რაოდენ მწარეც არ უნდა იყოს ისინი, განკურნებას ემსახურება². (გვ. 65)

I

...ანდა მოულოდნელი სტუმრობა ბორჯომთან განლაგებულ ბავშვთა ბანაკს – ძალიან მოკრძალებულს, თითქმის უბადრუქს, მაგრამ რომელშიც ბავშვები გასხივოსნებულნი იყვნენ ჯანმრთელობით, ბედნიერებით, თითქოს სურდათ ჩემთვისაც ეწილადებინათ თავიანთი სიხარული. რა უნდა ვთქვა? ძნელია სიტყვით გამოხატო ეს გულწრფელი და

¹ ა. ტოკვილი – „დემოკრატიის შესახებ ამერიკაში“ (შესავალი). სქოლიოები და შენიშვნები, თუ სხვა რამ მითითებული არ არის, ავტორისეულია – მთარგმნ.

² აქამდე თარგმნილი სრულად შეესაბამება წიგნის ტექსტს, შემდეგ – მხოლოდ ამონარიდებია, რუსული გამოცემის გვერდების მითითებით – მთარგმნ.

ალალი გრძნობა.

... და რამდენი იყო ამის შემდეგ მს-გავსი შეხვედრა? ქართველი პოეტები, სტუდენტები, ინტელიგენცია, განსაკუთრებით მუშები, – სავსებით შეესაბამებოდნენ ჩემს სულიერ განწყობას და ძალიან ვნანობდი, რომ არ გამეგებოდა მათი. მათ ღიმილში, მათ გამოხედვაში იმდენი ხალასი, უტყუარი გულითადობა იყო! უნდა ითქვას, რომ მე ყველგან წარმადგენდნენ ხოლმე, როგორც მეგობარს და ყველგან ვგრძნობდი ჩემს მიმართ მეგობრულ დამოკიდებულებას. მე მინდოდა ვყოფილიყავი ღირსი უფრო მეტი მეგობრულობისა და ესეც მაგალდებულებს, ვილაპარაკო (გვ. 66).

ასაკთან ერთად სულ უფრო მიფერ-მკრთალდება ინტერესი პეიზაჟების მიმართ, რაგინდ მიმზიდველნი არ იყვნენ ისინი. ჩემში უფრო მატულობს ინტერესი ადამიანების მიმართ. ადამიანები კი საბჭოთა კავშირში შესანიშნავნი არიან. ასეა საქართველოში – კახეთში, აფხაზეთში (მე მხოლოდ იმაზე ვლაპარაკობ, რაც თავად ვნახე) და, განსაკუთრებით, როგორც მე მეჩვენება, – ყირიმსა და ლენინგრადში (გვ. 68).

II


მე უკვე ვთქვი ზემოთ, რომ ნაკლებად მაინტერესებს პეიზაჟები... მაგრამ მაინც მინდა მოგიხროთ კავკასიის შესანიშნავი ტყეების შესახებ – კახეთთან მიახლოებისას, ბათუმის შემოგარენში, განსაკუთრებით – ბაკურიანში, ბორჯომთან, უფრო სწორად – ბორჯომის თავზე. უფრო ლამაზი ტყე მე არც მინახავს და ვერც წარმომედგინა: ტყის აქოჩრილი ნაყარი ვერ თრგუნავს უზარმაზარ ხეებს, იდუმალ მდელოებს მწუხრი უფრო ადრე ჰფარავს, ვიდრე თავდება დღე და გეჩვენება, რომ თითქოს სწორედ სადღაც აქ აებნა გზა ცეროდენა ბიჭს ზღაპრიდან. გადავიარეთ ეს ზღაპრული ტყე, აღმოვჩნდით მთებში ჩაკარგული ტბის პირას, სადაც აგვიხსენს, რომ უცხოელთაგან ჩვენ გვერგო პატივი, პირველებს დაგვედგა აქ ფეხი. მაგრამ მე უამისოდაც შევიგრძე-ნი აქაური ადგილების სიმშვენიერე.

ტბის პირას განლაგებულია პატარა, უცნაური სოფელი (ტაბანყური) – იგი წელიწადში ცხრა თვის მანძილზე თოვლით არის დაფარული – მე მას სიმოვნებით აღვწერდი. აფსუს, რატომ არ ჩამოვედი აქ უბრალო ტურისტად ან ნატურალისტად, რომელიც ალტაცებით წაანყებოდა აქ მისთვის უცნობ მცენარეებს, მაღალმთიან პლატოზე აღმოაჩენდა მისი ბალის ბინადარ „კავკასიურ სკაბიოზას“... მაგრამ მე ხომ ამისთვის არ ჩამოვსულვარ საბჭოთა კავშირში. ყველაზე მნიშვნელოვანი აქ ჩემთვის არის ხალხი, ადამიანი, რა შეიძლება მათგან შეიქმნას და რა შეჰქმნეს მათგან. ტყე, რომელმაც მე საბჭოეთში მომიზიდა, შემზარავად გაუვალია და ის, რომელშიაც მე ამჟამად დავეხეტები – სოციალური საკითხებია. საბჭოთა კავშირში ეს საკითხები ღალადებენ, გვედრებიან და ყოველი მხრიდან თავს გატყდებიან (გვ. 71).

ღვინო, ზოგადად, კარგია (მაგონდება, კერძოდ, მშვენიერი წინანდალი კახეთში). (გვ. 74).

სოხუმის შემოგარენში სამაგალითო საბჭოთა მეურნეობა მოვინახულეთ. იგი ექვსი წლისაა. პირველ ხანებში ძლივს ირჩენდა თავს, ამჟამად კი ერთ-ერთი წარმატებულია, მას „მილიონერად“ იხსენიებენ. ყველგან ჩანს შეძლებულობა. კოლმეურნეობას ძალიან დიდი ფართობი უკავია. კლიმატი ხელსაყრელია, ყველაფერი სწრაფად ხარობს.

ძელებზე შემდგარი, მიწას მოცილებული ხის სახლები მშვენიერი და ხატოვანია, მათ გარს ხეხილის დიდი ბაღები არტყამს, ხეებს შორის კი ყვავილები, ბოსტნეულია. წინა წელს კოლმეურნეობას დიდი შემოსავალი ჰქონია, რამაც მას დიდი დანაგროვები შესძინა და საშუალება მისცა შრომადღის სარგო დღეში თექვსმეტ მანეთამდე გაეზარდა. როგორ მოხერხდა ეს? ზუსტად ისე, როგორც მოხდებოდა, კოლმეურნეობა კაპიტალისტური სასოფლო-სამეურნეო წარმოება რომ ყოფილიყო და შემოსავალი აქციონერებს შორის თანაბრად გაენაწილებინა. ეს ასეა,



რობერტ მუხილი

მიღწევები, რომელმაც ახალი ლიტერატურა წარმოაჩინა, იმის შედეგად როდი მოგვევლინა, რომ შემოქმედებს ახალ-ახალი სტილით ექსპერიმენტირება, სათქმელის სხვადასხვაგვარად გამოხატვა და თანამედროვედ ყოფნა სურდათ: ეს მიღწევები მუდამ იქ იჩენდა თავს, სადაც დენთივით აფეთქებული ახალი აზროვნება უმძლავრეს ბიძგს აძლევდა ახალ წვდომას, – სადაც ახალი მორალის ჩამოყალიბებას ახალი მორალური მისწრაფება უსწრებდა წინ, სადაც ახლადმომნიფებული ზნეობრივი შესაძლებლობის გააზრება იყო საჭირო. ამდენად, არც იმ აზრს ვეთანხმები, თითქოს დღეს მოჩვენებითი, თავს-მოხვეული პრობლემების წინაშე ვიდგეთ: სამწუხაროდ, ყველანი ამ პრობლემების გაზვიადების, მათ შესახებ ლაყობის ცდუნებას დავყევით. არც ის მგონია სწორი, რომ ამდენი ფორმალური აღმოჩენა-თავგადასავლის შემდგომ, რაც ამ საუკუნეში (მეტწილად – ამ საუკუნის დასაწყისში) გადაგვხვდა თავს, სხვა აღარაფერი დაგვრჩენია, თუ არა ეპიგონობა, თუკი, ცხადია, არ შევეცადეთ, სიურეალისტებს ვაჯობოთ სიურეალიზმში, ექსპრესიონისტებს კი – ექსპრესიონიზმში, და რომ გვსურს ეს თუ არა, მოგვიწევს ჯოისისა და პრუსტის, კაფკასა და მუხილის მონაპოვრის გამოყენება. საქმე ისაა, რომ ჯოისსა და პრუსტს, კაფკასა და მუხილს არც თავად მიუშარითათ ვინმესაგან მემკვიდრეობით მიღებული გამოცდილებისათვის, ხოლო რასაც მიმართეს და რაც მათი შესწავლისას სამეცნიერო ნაშრომებსა და დისერტაციებში წარმოჩინდა, მათი ღვაწლის მცირე, უმნიშვნელო ნაწილია, – ზედაპირული, გარედან მიტმასნული. სინამდვილის ამ ყავლგასულ განსაზღვრებათა, ამ გუშინდელ ჭეშმარიტებათა ბრმა გადმოღებას შედეგად მხოლოდ მიმბაძველობა, დიდი შემოქმედების უნიათო გამოე-

გაგრძელება 39-ე გვერდზე



1936 წლის 23 ივნისს მოსკოვში, ნითელ მოედანზე, მაქსიმ გორკის დაკრძალვისას. მარცხნიდან: ალექსეი ტოლსტოი, მიხაილ კოლცოვი, ანასტას მიქოიანი, ნიკიტა ხრუშჩოვი, ნიკოლაი ბულგანინი, ანდრე ჟიდი, ვიაჩესლავ მოლოტოვი, იოსებ სტალინი.

რადგან რჩება უცილობელ ფაქტად – საბჭოთა კავშირში უმცირესობის მხრიდან უმრავლესობის ექსპლუატაციას ადგილი უკვე აღარა აქვს! ეს უდიდესი მიღწევაა. „აქ ჩვენს შორის აქციონერები უკვე აღარ არიან. შემოსავალს, სახელმწიფოსათვის ყოველგვარი ანარიცხების გარეშე, ერთმანეთში თავად მშრომლები ანაწილებენ (იგულისხმებინან, რასაკვირველია, კოლმეურნეები)“¹. ეს საუცხოო იქნებოდა თუ არ იარსებებდნენ სხვა – ღარიბი – კოლმეურნეობები, რომლებიც თავის შენახვას ვერ ახერხებენ. ამას იმიტომ ვამბობ, რომ, რამდენადაც მე გავიგე, კოლმეურნეობები სრულიად ავტონომიურები არიან და მათ შორის რაიმე ურთიერთდახმარება არ არსებობს. იქნებ მე ვცდები? ნეტამც ასე იყოს².

¹ ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეუბნებოდნენ. მაგრამ მე ყველა ასეთი შეუმომხებელი „მონაცემი“, კოლონიებიდან მონოდებულების მსგავსად, საეჭვოდ მეჩვენება. ძნელად თუ დავიჯერებ ამ კოლმეურნეობის პრივილეგიურობას, რაც ყველა დანარჩენი კოლმეურნეობებისათვის სავალდებულო წლიური შემოსავლის 7 პროცენტის არგადახდაში გამოიხატება, რომ აღარაფერი ვთქვათ თითოეულ კაცზე 35-დან 39 მანეთამდე ინდივიდუალურ გადასახადზე.

² დანართში (იგულისხმება ა. ჟიდის ამ წიგნის დანართი – მთარგმნ.) მოყვანილია ზოგიერთი უფრო ზუსტი მონაცემი. ხელთ ბევრი სხვაც გამაჩნია, მაგრამ მე ციფრებში ჯეროვნად ვერ ვერკევე და ეკონომიკურ საკითხებში არ ვთვლი თავს საკმარისად კომპეტენტურად. ასეც არ იყოს, მიუხედავად იმისა, რომ ეს ციფრები თავად ჩემ მიერ არის მოპოვებული, მათ სანდოობაზე თავს ვერ დავდებ. კოლონიებში

მე ამ წარმატებული კოლმეურნეობის ბევრი კოლმეურნის ოჯახში ვარ ნამყოფი...³ მინდა გამოვხატო ჩემი უცნაური და სევდიანი შთაბეჭდილება, რომელიც მათი სახლების ინტერიერებმა დასტოვეს ჩემში: ეს არის შთაბეჭდილება აბსოლუტური უსახურობისა. ყოველ სახლში ერთნაირად უხეში ავეჯი, ყოველ სახლში სტალინის პორტრეტი – და მეტი არაფერი. არც ერთი ისეთი ნივთი, ან არც ერთი ისეთი საგანი, რომელიც სახლის პატრონის პიროვნებაზე მიუთითებდეს. საცხოვრისები იმ ზომამდე ურთიერშემანაცვლებელია, რომ ერთის მაგივრად მეორეში მოხვედრილ კოლმეურნეებს (რომლებიც, ასევე, ურთიერთშემანაცვლებლებლად გეჩვენებინან) შეიძლება ვერც კი შეემჩნიათ ეს.⁴ რასაკვირველია, ასეთი ხერხით ბედნიერების მიღწევა უფრო ადვილია – როგორც მე მეუბნებოდნენ, მათ სიხარულიც საერთო აქვთ. ადამიანს საკუთარი ოთახი მხოლოდ ძილისათვის სჭირდება, დანარჩენმა ყველაფერმა გადაინაცვლა კლუბში, კულტურისა და დასვენების პარკში, შეკრებების ადგილებში. უკეთესი მეტი რაღა უნდა ისურვო? საყოველთაო ბედნიერება მიიღწევა თითოეულის ბედნიერების ხარჯზე. იყავით როგორც ყველა, თუ გინდათ იყოთ ბედნიერი (გვ. 76).

შეძენილმა გამოცდილებამ მასწავლა უნდობლობა „მონაცემებისადმი“. და ბოლოს, რაც ყველაზე მთავარია, – ამ საკითხებზე თავისი აზრი უკვე გამოსთქვეს სპეციალისტებმა და ამას მე აღარ დავუბრუნებდი.

³ ბევრ სხვა კოლმეურნეობაში ინდივიდუალურ საცხოვრებელზე ლაპარაკიც კი არ არის. ხალხს სძინავს საერთო საძინებელში, ცხოვრობენ საერთო საცხოვრებელში.

⁴ ასეთი დეპერსონალიზაცია იმის დაშვების საშუალებასაც კი იძლევა, რომ ადამიანებს, რომლებსაც სძინავთ საერთო საძინებლებში, ანუხეხილ პრომისკუიტეტი (ლათინურიდან – *promiscuus* – შერეული, საერთო. სავარაუდოდ, ოჯახისა და ქორწინების შესახებ რაიმე ნორმების შემოღების წინარე, სქესთა შორის შეუზღუდავი ურთიერთობის სტადია – მთარგ.), უფრო მეტად იტანჯებებიან განმარტოების შეუძლებლობით, ვიდრე იმ შემთხვევაში მათ ინდივიდუალობის შენარჩუნების შესაძლებლობა რომ ჰქონოდათ. და განაპიროვნული სანყისის დაკარგვის ეს, საბჭოეთისათვის საერთო ტენდენცია შეიძლება განხილულ იქნეს როგორც პროგრესი? რაც შემეხება მე, მე არ შემიძლია ეს დავიჯერო.

IV

სტალინის გამოსახულება გვხვდება ყველ ნაბიჯზე, მისი სახელი ყველას პირზე აკერია, მისი დიდება ყველა გამოსვლაში ისმის. ასე, მაგალითად, საქართველოში, ნებისმიერ საცხოვრებელში, თუნდაც ყველაზე უბადრუკსა და შესაბრაღისში, თქვენ აუცილებლად ნახავთ სტალინის პორტრეტს იმ ადგილას, სადაც წინათ ხატი ეკიდა. მე არ ვიცი, რას გამოხატავს ეს: გაღმერთებას, სიყვარულს, შიშს, მაგრამ ფაქტია – ის ყველგან და ყოველთვის არის.

თბილისიდან ბათუმში მიმავალთ, გზად გავიარეთ პატარა ქალაქი გორი, სადაც დაიბადა სტალინი. მე ვიფიქრე, რომ ეს იქნებოდა ყველაზე ხელსაყრელი შემთხვევა, გამეგზავნა მისთვის დეპუტა მადლიერების ნიშნად იმ დახვედრისა, საბჭოთა კავშირში რომ მოგვინყვეს – ჩვენ ყველგან ძალიან თბილად გვიღებდნენ, ავლენდნენ ჩვენს მიმართ სითბოსა და ყურადღებას. ვიფიქრე, რომ უკეთესი შემთხვევა არ მექნებოდა. მანქანა ფოსტასთან გავაჩერებინე და გავუწოდე ტელეგრამის ტექსტი. მისი შინაარსი დაახლოებით ასეთი იყო: „ვიმყოფები რა გორში, საბჭოთა კავშირში გასაცარი მოგზაურობისას, განვიცდი გულთადად სურვილს გამოვთქვა თქვენს მიმართ...“

ამ ადგილას თარჯიმანი იშმუშნება: ასეთი ფორმულირება არ ვარგა. არ არის საკმარისი „თქვენს მიმართ“ სტალინთან მიმართებაში. არამცთუ საკმარისი არ არის, ეს – შეუძლებელია. რალაცის დამატებაა საჭირო. ჩემი დაბნეულობის შემხედვარე დამსწრეებმა თათბირი გამართეს და შემომთავაზეს: „თქვენ, მშრომელების წინამძღოლს“, ან – „ხალხთა ბელადს“, ანდა... აღარც მახსოვს კიდევ რა¹. მე ეს აბსურდად მომეჩვენა, გაეაპროტესტე და განვაცხადე, რომ

¹ გეჩვენებთ, რომ ვიგონებ, არა? სამნუხაროდ, არა! და ნურავინ ეცდება ჩემს დაჯერებას იმაში, რომ საქმე მხოლოდ რომელიღაც არც თუ გონიერი ჩინოვნიკის უხერხულ თავგამოდებაშია. სრულიადაც არა, იქ იყო საკმაოდ მაღალი თანამდებობის, ყოველ შემთხვევაში ასეთ საქმეებში კარგად გამოცდილი, ბევრი ადამიანი.

სტალინი ამ მლიქვნელობის ყოველივე გამოვლინებაზე მაღლა დგას. ჩემი მცდელობა ამაო იყო. მეტი რა გამოსავალი დამრჩენოდა. ტელეგრამას არ მიიღებდნენ, თუ მე შემთავაზებულ დამატებას არ დავთანხმდებოდი. რადგან საქმე ეხებოდა თარგმანს, რომელსაც მე ვერ შევამონმებდი, შეუპოვარი წინააღმდეგობის შემდეგ დავთანხმდი იმ დამალონებელი ფიქრით, რომ ყველაფერი ეს ჰქმნის შემადრწუნებელ უფსკრულს სტალინსა და ხალხს შორის, და რადგან მე უკვე მივაქციე ყურადღება საბჭოთა კავშირში ჩემი გამოსვლების თარგმანში მსგავსი დამატებებისა და დაზუსტებების შემთხვევებს², მე მაშინვე განვაცხადე, რომ უარს ვაცხადებ ყველაფერზე, რაც კი ჩემი სახელით გამოქვეყნებულა საბჭოთა კავშირში³ ჩემი ყოფნის დროს და რომ მე ამის შესახებ განვაცხადებ. აი, სწორედ ამას ვაკეთებ ახლა.

ემშაკმა დალაზეროს, ყველა ამ მცდელობის იქით, რომელთაგანაც უმეტესობა, ალბათ, უნებურია, მე არ მინდა დავინახო ფეხის დადების რაიმე მცდელობა, ეს უფრო, ალბათ, სურვილია, უბრალოდ დაეხმარო ადამიანს, რომელიც არ იცნობს ადგილობრივ ჩვევებს და რომლისთვისაც უკეთესია დავეთანხმოს და შესაბამისად შეარჩიოს გამონათქვამები და გამოთქვას აზრი (გვ. 88).

V

თბილისში მე დავესწარი თანამედროვე ფერწერის გამოფენას – თუ

² X-მა (ასეთად დაშიფრულ პიროვნებას ა. ჟიდი თავის წიგნში ხშირად ახსენებს, თუმცა არსად არ ამხელს მის ვინაობას! – მთარგმნ.) განმიმარტა, რომ სიტყვა „ბედს“, რომელსაც მე საბჭოეთზე ლაპარაკისას ვხმარობ, უნდა დაემატოს რაიმე განმარტება. მე შევთავაზე: „დიდებული“ („славная“ – მთარგმნ.). მას მოეწონა ჩემი შეთავაზება და მითხრა, რომ ეს სიტყვა ყველას დააკმაყოფილებს. მეორე მხრივ, მანვე მიჩნია არ ვინმარო სიტყვა „დიდი“ („великий“ – მთარგმნ.), როცა ლაპარაკია მონარქზე. მონარქი არ შეიძლება იყოს „დიდი“.

³ განა არ მაძალებდნენ განმეცხადებინა, რომ ფრანგ ახალგაზრდობას ჩემი არ ესმოდა, რომ მათ მე არ ვუყვარდი, რომ მე ვაღიარებულვას ვიღებ ამას იქით ვწერო მხოლოდ მშრომელთა კლასისათვის და ა. შ.



ჯეიმზ ჯოისი

რება და ამით მისი გაუფასურება მოსდევს. ძველის გაგრძელება და საკუთარი გამოცდილების გარეშე ექსპერიმენტირება რომ ერთადერთი შესაძლო გამოსავალი იყოს, მაშინ დღესდღეობით ახალგაზრდა მწერლებისადმი მიმართული ზოგიერთი ბრალდება ვინძლო გამართლებულიც იყოს. მაგრამ, აი, უკვე სახურავის კოჭებს გაუდით ტკაცატკუცი, ღამის ბინდბუნდში გაჩაღებული ხანძარი განთიადამდე ანათებს წყვიდადს.

სინამდვილის განახლებულ ენასთან შეხვედრას მუდამ იქ აქვს ადგილი, სადაც გამოცხადების მგავსი მორალური აღმოჩენა გვატყდება თავს, და არა იქ, სადაც ვცდილობთ, შევცვალოთ ენა როგორც ასეთი, თითქოს ენას შეეძლოს ახალი წვდომა მოგვანიჭოს და განგვაცდევინოს, რაც არასოდეს გამოგვიცდია. ენით უბრალო მანიპულირებისას, მისი ახლებურად შემობრუნების მცდელობისას ენა აუცილებლად შურს იძიებს და ამ უღირს ჩანაფიქრს გამოამჟღავნებს. ახალ ენას ახალი მიხვრა-მოხვრაც უნდა გააჩნდეს, ეს კი მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუკი მასში ახალი სული დაივანებს. გვგონია, რომ ენას ყველანი ვიცნობთ, აკი ყოველნითიერად ვიყენებთ კიდევ; ყველანი ვიყენებთ, გარდა მწერლისა: მას იგი ხელიდან ეცლება, აშინებს, არასოდეს ევლინება თავისთავად ცხად მოვლენად: ენა ხომ ლიტერატურამდე არსებობდა და კვლავაც იარსებებს, ენა იმ საარსებო პროცესს ემსახურება, რომელშიც მწერალი ვერას გახდება. მისთვის ენა არ არის უშრეტი მარაგი, რომელსაც უსასრულოდ დაეხსება, არც სოციალური ობიექტი გახლავთ, ყველა ადამიანს თანაბრად რომ ერგო წილად. საიმისოდ, რაც ხელოვანს სურს მოიმოქმედოს ენის საშუალებით, ენა ჯერაც არ არის საკმაოდ დაცული; თავის საზღვრებში მოქცეული შემოქმედი ენობრივ ნიშნებს აფიქ-

გაგრძელება 41-ე გვერდზე



ლიონ ფოიხტვანგერი და იოსებ სტალინი

გულმონყალენი ვიქნებოდით, ჯობდა საერთოდ არ გვეხსენებინა იგი, მაგრამ საბოლოოდ მხატვრებმა მიაღწიეს დასახულ მიზანს, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ ხალხს ასწავლონ ჭკუა (თვალსაჩინო მხატვრული სახეების მეშვეობით), დაარწმუნონ, გააერთიანონ (ილუსტრაციებად გამოყენებული იყო ეპიზოდები სტალინის ცხოვრებიდან). ისინი, რასაკვირველია, არ იყვნენ „ფორმალისტები“, მაგრამ, სანუხაროდ, არც მხატვრები იყვნენ. მათ მაიძულეს გამხსენებოდა აპოლონი, რომელმაც, ადმეტიისათვის რომ ესიამოვნებინა, ჩააქრო მზის სხივები, მაგრამ მაინც ვერ უშველა მას (გვ. 94).

ჩასწორებანი ჩემს „დაბრუნებაზე საბჭოთა კავშირიდან“

თანამგზავრები

I

ლენინგრადიდან, სადაც პიერ ლებარი და მე დავხვდით გემით ჩამოსულ გიიუს, შიფრინს, ლასტსა და დაბის, ყველა ერთად გავემგზავრეთ მოსკოვში სპეციალური ვაგონით. რამდენიმე დღის შემდეგ იმავე ვაგონით გავემგზავრეთ ორჯონიკიძეში. შემდეგ სამი კომფორტული ავტომანქანით ჩავიარეთ კავკასია და ერთი დღის შემდეგ აღმოვჩნდით თბილისში. საქართველოს დედაქალაქში ერთი დღის დაგვიანებით ჩავედით. ამის გამო ჩვენს შესახვედრად გამოგზავრე-

ბული, თავაზიანი ქართველი პოეტები იძულებული გახდნენ ერთი დღე დაგვლოდებოდნენ მთებში განლაგებულ სასაზღვრო პუნქტში. ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა აღვნიშნო, რომ გულაჩუყებული დავრჩი მათი მიღებით, მათი თავაზიანობით, დახვეწილი ზრდილობით, ყურადღების მუდმივი გამოჩენითა და ყოველი სურვილის წინასწარ მიხვედრილობით. თუ ვინცობაა, რაიმე სასწაულით ეს წიგნი მათ ხელში ჩაუვარდათ, იცოდნენ, რომ მათ მიმართ მე – რაც არ უნდა უთხრან ჩემზე – შევინარჩუნებ მათდამი უღრმესი მადლიერების გრძნობას (გვ. 140).

II

თბილისი, რომელმაც თავდაპირველად დიდი იმედგაცრუება გამოიწვია, დღითიდღე უფრო და უფრო გვხიბლავდა. ჩვენ იქ ორი კვირა დავყოფნით და იქიდან კახეთში გავემგზავრეთ ოთხდღიანი – ყოველმხრივ საინტერესო და შესანიშნავი მოგზაურობით, რომელმაც, მეორე მხრივ, ჩვენი ძალების არც თუ მცირე ნაწილი შეინირა – მოგზაურობების სიძნელებთან შეუგუებელმა შიფრინმა და გიიომმა ბოლოს განაცხადეს, რომ ძალიან დაიღალნენ ამდენი შთაბეჭდილებებისაგან, ემოციებისაგან და გამოთქვეს საფრანგეთში დაბრუნების სურვილი.

ჩვენ დიდი სინანულით დავეთხოვეთ მათ – ისინი მშვენიერი საუცხოო თანამგზავრები იყვნენ – თუმცა შემდგომ, როდესაც სიცხე აუტანელი გახდა, მათ მაგივრად გავიხარეთ.

მეორე მხრივ, ჩვენი მოგზაურობის მეორე ნაწილი უფრო ჭკუის სასწავლებელი აღმოჩნდა – ჩვენ უფრო თავისუფლად ვიგრძენით თავი, ადამიანებთან უშუალო ურთიერთობის შესაძლებლობა მოგვეცა, უფრო ნაკლებად ვტყუვდებოდით და სინამდვილეზე თვალები უფრო მეტად აგვეხილა (გვ. 141).

უბის წიგნაკიდან

ავტომანქანაში, გზად ბათუმისაკენ, ჩემი თანამგზავრები აღფრთოვანებას ვერ მალავენ გზის ორივე მხარეს ახლახან დარგული ხეების შემხედ-

ვარე, რამდენიმე წლის მერე ისინი ხომ ჩრდილს მოჰყვინენ არემარეს. და განა ღირს იმაზე მათი ყურადღების მიპყრობა, რომ ამ ხეებს შორის არც ერთი არ არის ცოცხალი. ეჭვს არ ინვევს, რომ ისინი დარგეს უდროო დროს, ანუ არა იმ სეზონში, როდესაც ისინი გაიხარებდნენ. უნდა ვივარაუდოთ, რომ ხალხმა ვერ გაბედა შენინაალმდეგებოდა ზემოდან მოსულ ბრძანებას და, უბრალოდ, შეასრულეს ის. ბუნებაც უნდა დაგემორჩილოს, არა აქვს მნიშვნელობა ადამიანზეა ლაპარაკი, თუ ხეზე.

ვორონოვის აცრებსა თუ სხვა ექსპერიმენტებთან დაკავშირებით სოხუმში არსებობს მაიმუნების დიდი სანაშენი. მე მოვინდომე გამერკვია თუ საიდან შემოჰყავთ ცხოველები, მაგრამ შევეჩხე იმასვე – აქ ისეთივე მრავალსიტყვიან და წინააღმდეგობრიობით აღსავსე განმარტებებს იძლევიან, როგორც ზღვისიქითა კოლონიებში. ისე კი, არიან ადამინები, რომელთაც უშინაარსო მრავალსიტყვიერება ახასიათებთ. აი, მაგალითად, მომხიბლავი ამხანაგი **ბოლია** (გვარია – მთარგმნ.), გამყოლად და თარჯიმნად რომ არის ჩვენთან მომარტებული. მას არაფერი აცბუნებს, იგი ნებისმიერ კითხვაზე გაგცემთ პასუხს. თანაც, რაც უფრო ნაკლებად იცნობს საკითხს, მით უფრო დამაჯერებლად ლაპარაკობს. იგი ვერ აცნობიერებს თავის უმეცრებას, რასაც იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ გაუთვინცნობიერებული უმეცრება შეიძლება იყოს მიზეზი რაგინდ ყველაზე მტკიცე მტკიცებებისა. ასეთია ამ ხალხის თავისებურება, ასეა მონყობილი მათი ტვინი, რომელიც კმაყოფილდება გაურკვევლობით, მიახლოებულობით, მხოლოდ გარეგნული ნიშნებით:

– შეიძლება გავიგო, საიდან არიან ჩამოყვანილი მაიმუნები, რომლებიც აქ ბინადრობენ?

– რასაკვირველია. ეს ძალიან მარტივია (აქ თარჯიმანი, თავის მხრივ, მიმართავს ჩვენს თანმხლებ პიროვნებას).

– მაიმუნების უმეტესობა აქ დაიბადა. დიახ, თითქმის ყველა მაიმუნი აქ არის დაბადებული.

– კი მაგრამ, ჩვენ გვითხრეს, რომ ამ მხარეში მაიმუნები არ ბინადრობენ. აქედან გამომდინარე, ოდესღაც ისინი აქ საიდანღაც დაიბადნენ უნდა ჩამოეყვანათ.

– დიახ, მართალი ბრძანდებით.

– მაშ, მაინც, – საიდან არიან ისინი ჩამოყვანილი?


აქ კი, ისე რომ დახმარებისათვის არავისათვის მიუმართავს, იგი საზრიანი თავდაჯერებულობით გვპასუხობს:

– ცოტ-ცოტა ყველა მხრიდან.

ჩვენი მომხიბლავი თარჯიმანი ძალიან კეთილგანწყობილი, ჩინებული, კეთილმოსურნე ადამიანია. მაგრამ აი რა არის მასში, ცოტა არ იყოს, დამლელი: თუ მის მიერ მონოდებული მონაცემები ზუსტია, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი არასწორია. (გვ. 152)

მთარგმნელისაგან

ამით, შეიძლება ითქვას, ჩემი მისია ამოიწურა. თავს უფლებას მივცემ და დასკვნის მაგიერ მოვიყვან რამდენიმე სიტყვას ა. პლუტინიკის წინასიტყვაობიდან – „ესოდენ განსხვავებული შეხედულებების ანატომია“ – „მწერლები, რომლებმაც ერთსა და იმავე დროს მოინახულეს ჩვენი ქვეყანა, დიდ განსხვავებულობას ავლენენ მასში მიმდინარე მოვლენებისა და მთავარ მოქმედ პირთა შეფასებისას“. და, ასევე, – „ერთი კი უცილობელია: თვითმხილველთა ჩვენებები, თავისი ისტორიული ფასეულობით, განუზომლად უფრო ნიშნადია, ვიდრე შთამომავალთა ბევრი სხვა გვიანდელი დასკვნა“.



ფრანკ კაფკა

სირებს, რათა კვლავაც სიცოცხლე ჩაბეროს, შესძინოს ისეთი მოძრაობები, როგორც ენას ლიტერატურული ნაწარმოების გარდა არსად გააჩნია. აქ, მართალია, გვეძლევა მისი მშვენიერებით ტკბობის საშუალება, მაგრამ ის მაინც უზენაეს ცვალებადობას ემორჩილება, რომელსაც ესთეტიკური დაკმაყოფილება კი არ სჭირდება, არამედ გამოხატვის ახალი ძალა.

საუბარია ისეთ აუცილებელ სწრაფვაზე, რომელიც მხოლოდ შემდეგნაირად შემიძლია დავახასიათო: ესაა ყველანაირი მორალის უწინარესი მორალური მოთხოვნილება; ეს ძალა ისეთი ახალი აზროვნებისაკენ გვიბიძგებს, ჯერაც რომ არ ადარდებს გეზი და მიმართულება, მხოლოდ ენის საშუალებით რაღაცის წვდომა და მოხელთება წყურია. მოდით, დროებით ამ რაღაცას რეალობა ვუწოდოთ.

ერთხელ და სამუდამოდ არჩეული ეს გეზი, – რომელიც არც ფილოსოფიურია, არც ლიტერატურული, – თითოეულ შემოქმედს ახალ-ახალი მიმართულებით შემოაბრუნებს. ჰოფმანსთალს მან გეორგესგან სრულიად განსხვავებულ გზაზე გადაახვევინა, სულ სხვა გზით ატარა რილკე, კაფკასთვის კიდევ სულ სხვა მიმართულებას ნიშნავდა; მუზილსა და ბრენტს სრულიად განსხვავებული გზები არგუნა. ასე ირჩევენ მიმართულებას, რომელიც შემდგომ თავადვე გადასტყორცნის მათ იმ კალაპოტში, საიდანაც ვეღარ დაგაუხვევენ, სადაც ადგილი არ აქვს შემთხვევით სიტყვებს თუ მოვლენებს; მასში ჩაივლის მათი უხვი ჭირნახულიც და ჭკნობის დროებაც... ამის მომსწრენი ბევრად მეტს ვგებულობთ მათი შემოქმედების აუთენტურობაზე, ვიდრე მათ ნაწარმოებებში ილბლიანი მიგნებების ძებნისას და მათი ხარისხის შეფასებისას. ხარისხი ხომ მუდამ საეჭვო, საკამათო, ზოგან მიუღებელიც არის. ხარისხს ხომ ხშირად საშუალო

გაგრძელება 43-ე გვერდზე

კრიტიკა



როსტომ ჩხეიძე

ანდერბრაუნდიდან: გობი მაისურაძე (ციხური ნოველების ქართული რკალი)

– პატიმრის ხვედრი სულიერი მარტობაა, – იტყვის მურმან ლებანიძე ჭაბუა ამირეჯიბთან ლიტერატურული დიალოგისას და გაიხსენებს, თუ როგორ დააპატიმრეს პოლიტიკურ დანაშაულზე ორი ძმა, მისი მეგობრები – ერთი თექვსმეტი წლისა და მეორე – ჩვიდმეტის. თვითონ იმხანად ომში იმყოფებოდა და ზუსტად ვერ მოუგონებია წელი, თითქოს 1943-ში. უმცროსს კარგი პოეტის პერსპექტივა უჩანდა, უფროსს – კარგი ფეხბურთელის. უმცროსი პატიმრობაში გარდაიცვლებოდა, უფროსი კი, რომელსაც სიყმაწვილეში მწერლობაზე არც უფიქრია, რვა წლის შემდეგ რომანებით დაბრუნდებოდა პატიმრობიდან.

ესეც ყველაზე მკაფიო და დამაჯერებელი დადასტურება იმ ფსიქოლოგიური დაკვირვებისა:

– აი, რა იცის მარტობაში...

ისე მოხდებოდა, რომ უფროსს მოუწევდა სიჭაბუკეშივე დაღუპული ძმის ბიოგრაფიის შედგენა ლამის ნახევარი საუკუნის შემდგომ, იმის პოეტური კრებულითაგან წინასიტყვაობად განზრახული, და არაერთ საგულისხმო ცნობასაც შემოუნახავდა შთამომავლობას და ფსიქოლოგიურ პორტრეტსაც წარმოსახავდა გულანთებული ყმაწვილკაცისას, ვისაც გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის ატყდომისთანავე საფიქრალი გაუჩნდებოდა, რა გზას დადგომოდა ქაოტური რეალობის წინაშე მდგარი – ხომ არ შეიძლებოდა ამ უაღრესად მწვავე ვითარების გამოყენება ანტი-საბჭოთა საქმიანობისათვის?!

ეს ფიქრი მიიყვანდა იმ იატაკქვეშა ჯგუფში, რომელიც 17-18 ახალგაზრდას აერთიანებდა და სამ-ოთხ თვეს გასტანდა მათი მცდელობა. თანამოაზრეთა ეს ჯგუფი დაუახლოვდებოდა ტყეში გასულ გომბორელ ხევსურებს, მათ მეთაურს ირაკლი გიგაურს და შეიარაღებული აჯანყებისთვისაც განწყობდნენ შესაფერისი პირობების მოლოდინში. ხმას ჩამოედნია, გერმანულ არმიას თან მოჰყვება ქართველ-

თა სამხედრო ნაწილებიო, და მათთან დაკავშირების იმედი ჰქონდათ გერმანელთა შემოსვლისთანავე... მაგრამ შეწყდებოდა თუ არა მათი ძლევა მოსილი წინსვლა და უკან დახევას დაიწყებდნენ, იატაკქვეშელთა ეს ჯგუფი კიდევ შეწყვეტდა არსებობას.

თითქოს საფრთხე ჩავლილიყო პროტესტანტებისათვის, მაგრამ სწორედ მაშინ მოწვევობდათ ჩეკისტების ხელი და **ოთარ მაისურაძეც** საპატიმროში ამოჰყოფდა თავს, მისი ძმა **გოგიც**, და სხვანიც... და სამხედრო ტრიბუნალი თორმეტ პატრიოტს რომ გაასამართლებდა და რვას დახვრეტას მიუსჯიდა, სამს – ათ წელიწადს, ერთს კი – შვიდ წელიწადს, ოთარი დასახვრეტა სიაში აღმოჩნდებოდა, ხოლო მისი ძმა – გადასახლებულთა.

მათი მამისათვის ეს სასტიკი გადაწყვეტილება – მწუხარებასთან ერთად – საამაყოც იქნებოდა: ჩემმა შვილებმა მაინც გაბედეს ის, რაც მე ვერ გავბედეო.

ისე ღვინოს დალევდა თუ არა, ყოველთვის **ქაქუცა ჩოლოყაშვილის** სახელი ეკერა პირზე. ერთად ემსახურათ **გენერალ ჭავჭავაძის** ცხენოსან ჯარში, ქაქუცას – ოფიცრად, ამას კი ვახმისტრად, და თურქეთის ფრონტზეც მოუწევდათ მხარდამხარ ბრძოლა.

ამ სახელის გარემოცვაში რომ იზრდებოდნენ ძმები, რა გასაკვირია, ოთარს ვრცელი მოთხრობის სიუჟეტური ქარგა ქაქუცას სახის შთაგონებით შეეთხზა – ვითომდა ერთ ჭაბუკს ციხეში შეეტყო პარტიზანთა ბელადის არსებობის თაობაზე და სურვილიც გასჩენოდა, რომ მისი მეთაურობით ებრძოლა. როდესაც შეფიცულნი, აჯანყების დამარცხების შემდეგ, თურქეთისაკენ დაადგებოდნენ დრამატულ გზას, ეს ციხიდან ველარ დაეწყო, რადგანაც მესაზღვრეები მოკლავდნენ.

დაუმთავრებელი დარჩებოდა ეს მოთხრობა.

დაუმთავრებელი დარჩებოდა საიმედო პოეტური წამოწყებაც.

და დაუმთავრებელი ბიოგრაფიითაც შერჩებოდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ისტორიას – დახვრეტა მასაც გადასახლებით შეეცვლებოდა, მაგრამ ავ სენს ემსხვერპლებოდა.

ლექსების ნამსხვრევები მაინც მოიყრიდა თავს, როგორც საფლავზე მიტანილი ყვავილი, კრებულისათვის ნამძღვარებული წინათქმა კი **გოგი მაისურაძის** ციხური ჩანაწერების გამოცემასაც დაერთვოდა წინ, როგორც ძმის ბიოგრაფიასთან ერთად საკუთარი ავტობიოგრაფიაც.

ნოველების ამ ციკლში მასაც ნოველა დაერქმეოდა, თუმცა გამომცემელი – **დავით ზუაძე** – მხოლოდ პირობითად მოიხსენიებდა ამ ტექსტს მოთხრობად. მიუხედავად ამისა, მაინც ამ ჟანრში რიგ განსაზღვრებას ამჯობინებდნენ, რაკილა თემატურად არამარტო ესადაგებოდა ამ ჩანაწერებს, არამედ გზამკვლევად გამოადგებოდა მკითხველს, თუ რა მიზეზით მოხვედრილიყო გოგი მაისურაძე მსჯავრდებულთა შორის და ამდენი ტანჯვა-წვალებაც გადაეტანა.

ამ ყაიდის ბიოგრაფია არაერთი შეგხვდებათ **ვარლამ შალამოვის** კოლიმური ნოველების ციკლში. და მათ სწორედაც მოთხრობები ჰქვიათ ყოველგვარი შედავათის გარეშე. და ეს იმიტომ, რომ თვითულის ფინალში უსათუოდ გაივლევს ისეთი ფრაზა, რაც თითქოსდა ოქმურ ჩანაწერს სულ სხვა თვალთ შეგახედებს და ნოველასავით ჰკრავს სულ რამდენიმე ფურცელს.

გოგი მაისურაძეს ასეთი დანიშნულება არ მიუნიჭებია ძმის ბიოგრაფიული ქარგისათვის – სტატიად ჩაეფიქრებინა და სტატიის კვალობაზეც გამართავდა.

ისე, ციხური ციკლის ნაწილად რომ ეგულისხმა, ნეტა მოახერხებდა შალამოვივით იმ მოულოდნელი და მრავლისმეტყველი ფრაზის მიგნებას, რაც ძმის გახსენებას მოთხრობად გადააქცევინებდა?

მისი მწერლური უნარი გვიდასტურებს, რომ ამგვარი განზრახვისას უთუოდ იპოვნიდა შესაფერის დაბოლოებას, ისევე, როგორც მთელი ეს ციხური ციკლი დღიურისა და პროზის ზღვარზე მიმდინარეობს, ერთი შეხედვით ვერც კი ამჩნევ მის მხატვრულ ქსოვილს და გეჩვენება დოკუმენტურ ჩანაწერებად, უაღრესად დრამატული გარემოს უშუალო აღწერად, პატიმართა ამბების პირდაპირ გადმოტანად ფურცელზე.


არადა, ეს სწორედ ის სტილური მანერაა, რაც ნიშანდობლივია ვარლამ შალამოვისათვის, ვინც თავის კოლიმურ ჩანაწერებს მოთხრობებად არც მიიჩნევდა, ყოველ შემთხვევაში კლასიკური ბელეტრისტული ნიმუშების გვერდით არ აყენებდა და წერის ამ ყაიდს ეპოქის თავისებურებით ხსნიდა, თითქოსდა წასულიყო მხატვრული გამოწვევის დრო და მწერლის ერთადერთ მოვალეობად რჩებოდა რეალობის გადმოტანა დოკუმენტური სიზუსტით, არა მარტოდენ გაღრმავება დოკუმენტური ფონისა, არამედ მხატვრობის სრული განდევნა ახალი დროის პროზიდან, როგორც გულუბრყვილობისა და თხრობისათვის დამამძიმებელი ბალასტის.

თუმცა ერთია მწერლის თეორიული შეხედულებანი და მეორე – თვითონ ნაწერი. ეს ორი მხარე კი ყოველთვის არ ემთხვევა ერთიმეორეს, ის კი არა, უფრო ხშირად არ ემთხვევა, რაკილა თხრობა ასე ადვილად არ ემწყვდევა გარკვეულ ჩარჩოებში და, მწერლის ტალანტის შესაფერისად, ცდილობს თავი დააღწიოს შემზღვეველ არტახებს.

ვარლამ შალამოვის კოლიმური ციკლიც ამ ვითარების თვალნათლივი დადასტურებაა. ნეტა გოგი მაისურაძეც თუ ამავე თვალსაზრისისა გახლდათ თანამედროვე პროზისა საერთოდ და კერძოდ მისი ციხური განშტოების თაობაზე? იქნებ მარტო თვითონ კი არ ამჯობინებდა ამ სტილურ მანერას, არამედ სხვებისგანაც ვერ წარმოედგინა, რატომ უნდა დამშვრალიყვნენ სიუჟეტთა გამოგონებასა და კრებითი ხასიათების შესაქმნელად, თუკი ახალი დროის პროზა აღარც მოითხოვდა წარმოსახვის ამუშავებასა თუ ფანტაზიის გაქანებას და თვითონვე გიბიძგებდა რეალური ამბებისა და ხასიათების გადმოსახატად ყოველგვარი ჩარევის, ფერუმარილის ნაცხების გარეშე?

გინდ ასეც ეფიქრა და გინდ თეორიული საფანელი არც ჰქონოდა შემუშავებული, მისი ჩანაწერები – კოლიმური ნოველებისა არ იყოს – ძალდაუტანებლად არღვევენ ყოფითობის არტახებს და მარჯვედ მოძებნილი ფორმის წყალობით მხატვრულ ნიმუშებად გვევლინებიან, მკვეთრი დოკუმენტური ფონი რომ გასდევთ და ისტორიკოსთა და სოციოლოგთათვისაც არანაკლებ საგულისხმონი არიან სათვალსაჩინო მასალების დამონშებისას, ვიდრე ლიტერატურის მკვლევართა და კრიტიკოსთათვის.

მასალა კი მართლაც უხვადაა ამ ციკ-




ბერტოლდ ბრეხტი

ადამიანის ლექსშიც კი იპოვით, კარგ მოთხრობაში, გულწრფელ, ჭკვიანურ რომანში. ეს ხდება ხოლმე. მარჯვე ოსტატთა ნაკლებობა არც დღესაა. მათ გარდა არიან ისეთები, შემთხვევით, ბრმად რომ ახვედრებენ მიზანში. არსებობს კიდევ განაპირას მდგომი უცნაური შემთხვევები, რომლებმაც შეიძლება პირადად ჩვენი გული მოიგოს. მაგრამ მწერალს შეუძნეველად სიმაღლეზე აყენებს მხოლოდ გეზი, მტიცად დასმული პრობლემის მანიფესტაცია, მისეული ენის, ფორმების, კონფლიქტების სამყაროს თვითმყოფადობა, შეუცდომლად რომ ამოიცნობა. მის არსებობას სწორედ მისი ეს გეზი განაპირობებს, რომელსაც ისე მიჰყვება, როგორც ერთადერთ შესაძლო გზას, ამ გზაზე ზიდავს თავის ჯვარს, სასწრაფოკეთილი ცდილობს, აღასრულოს თავისი ვალი და მთელი სამყარო საკუთარ შინაგან სამყაროდ აქციოს, საკუთარი უტიფრობით იტანჯება, რაკილა მთელი სამყაროს სიტყვით სახელდება განიზრახა. რაკი იცის, ვერაფერს გადამიჭრისო გზას და რაკილა თავადაც არ ძალუძს გზიდან გადახვევა, – სწორედ ამიტომ გამოიქცაბება მისი დავალება. რაც უფრო ცხადი ხდება მისთვის ეს დავალება, მით უფრო მეტად იმსჭვალება მისი ნაწარმოებები შეფარული თუ გამოთქმული თეორიული განსჯით. ხშირად გვესმის, რომ, მართალია, რიკუდი დიდი პოეტია, მაგრამ მისი პოეზიის მსოფლმხედველური შინაარსი ჩვენ არას გვარგებს, მეტიც: ზედმეტი, ხელისშემშლელი დანამატია. მნიშვნელობა მხოლოდ ცალკეულ სრულყოფილად დაწერილ ლექსს თუ სულაც პნკარს აქვსო, ასე ამბობენ. გვესმის ისიც, რომ, მართალია, ბრეხტი დიდი პოეტი იყო, ჩვენი ერთ-ერთი უდიდესი დრამატურგი, მაგრამ შემწყნარებლურად გვიწყნებს იმის დაგინწყება – ან დიდი სინანულით მოხსენიება, – რომ იგი კომუნისტი იყო. უხეშად რომ ვთქვათ: მთავარი ლამაზი სიტყვებია, **გაგრძელება 45-ე გვერდზე**



კონსტანტინე გამსახურდია



ლევან გოთუა

ლში. ისეთი ნიუანსები და დეტალებია მიკვლეული და შემონახული, რაც იქნებ სრულიად დაკარგულიყო, ანდა პირნ-მინდად დოკუმენტურ წყაროებში ვერ მიგვექცია შესაფერისი ყურადღება, ახლა კი აღარ გამოგვრჩება, რაკილა გოგი მაისურაძის ნოველებსა და მოთხრობებში მრავლისმეტყველად წარმოჩნდა ან თუნდ გაიეღვა, ოღონდ დასამახსოვრებლად.

გოგი მაისურაძე ვარლამ შალამოვის სკოლის მიმდევარია?

იყო დრო, როდესაც ამგვარი მტკიცებანი აუცილებელიც გახლდათ, რათა ქართველი მწერლის ნაწერს მნიშვნელობა მინიჭებოდა – რუსის მოწაფედ უნდა გამოცხადებულიყო, იმისი იდეების მიმდევრად, იმისი მხატვრული მეთოდის გამმეორებლად, და აღარც დაგიდევენ, გარეგნული საერთო თუ მაინც დასტურდებოდა მათ შორის, გარეგნული, მოჩვენებითი მაინც, თორემ სულიერი შეხვედრის ნიშნები რომ არ მოიპოვებოდა და იდეური მრწამსით სულაც საპირისპირო პოლუსზე იდგნენ, ამის აღნიშვნა არც უნდა მოგვეთხოვა.

ამჟამად ამის აუცილებლობა აღარაა, სახელმწიფოებრივმა დამოუკიდებლობამ ეს უფლებაც დაგვინარჩუნა, რომ არარსებული გაგვენები არავინ მოგვახვიოს თავს – რუსული იქნება თუ ამერიკული... და თუ მწერლური მანერის მსგავსებას ვამჩნევთ ერთი მხრივ აღიარებულ რუს მწერალსა და მეორე მხრივ ნაკლებად ცნობილ ქართველ პროზაიკოსს შორის, ხელალებით ნუკი გამოვაცხადებთ გოგი მაისურაძეს ვარლამ შალამოვის მიმდევრად, არამედ დაუუკვირდეთ ქართული ნოველების დაწერის თარიღებს – ეს ნიმუშები ხომ მაშინ იქმნებოდა, როდესაც შალამოვის კოლიმური ციკლი ხელმოწველომელი გახლდათ და ვერც გოგი მაისურაძე ისარგებლებდა თავისი მწერლური მანერის შემუშავებისას.

ძალიან კი დაგვიანდა მისი ციხური ჩანაწერების გამოცემა. უპატიებელია ასეთი ლიტერატურული სიბეცე და გულარხინობა, რომ ამ რანგის იატაკქვეშა მოთხრობები მოგეპოვებოდეს და ცენზურის გაუქმებისა და ტაბუს ახსნიდან ოცი წლისთავზე და ელირსოს ნიგნად აკინძვა.

კიდევ უფრო გადაივადებდა, რომ არა დავით ბუაძის თავგამოდება, ვინც არამარტო შემოიტანდა ამ მიფარებულ მოთხრობებს სალიტერატურო მიმოქ-

ცევაში, არამედ ჩინებულ წინასიტყვაობასაც ნაუმძღვარებდა, ბელეტრისტული დაკვირვებებითა და შტრიხებით სავსეს, რაც ამ რამდენიმე გვერდს გოგი მაისურაძის რელიეფურ პორტრეტად აქცევს.

„კაცრიელ თუთბერიძის სახლეულნი“, ვეება რომანი, რითაც სცადა დამკვიდრება პატიმრობაგამოვლილმა და მანამდე მწერლობაზე არც კი მეოცნებე დისიდენტმა სალიტერატურო ასპარეზზე, მაინცდამაინც ვერ დაიქადნიდა მხატვრული ძალით და იოლად შეერეოდა ნაცრისფერ ნაკადს – არც მაშინ მოჰყოლია კრიტიკისაგან გამამხნეველი სიტყვა და დღესაც ნაკლებმოსალოდნელია, რომ საგანგებოდ დაინტერესდეს ვინმე ამ რომანით, თუ ციხური ნოველების ხათრით არ გადაავლო თვალი.

„კერპი და ჯვარიც“, მეორე რომანი, ასევე მიიკარგებოდა.

და თუ მურმან ლებანიძე კეთილგანწყობით მიანიშნებდა ამ ორი რომანის არსებობას, ისიც იმიტომ, რომ ნაპატიმრალ კაცს ის გაუტეხელობა შემორჩა, რომ ამ ჟანრს შებმოდა და თავისთვის მაინც ეპოვნა სულიერი თავშესაფარი.

მაგრამ, აი, ციხისა და საკონცენტრაციო ბანაკის შთაბეჭდილებებსაც უნდა გაეკვალა გზა და კიდევ მოეპოვებინა ავტორისათვის ის ადგილი ჩვენს სამწერლო ცხოვრებაში, ადვილად რომ ვეღარ დაივინყებ – ხოლო ამ ციკლის ანდერგრაუნდობა კიდევ ცალკეა დასაფასებელი.

გოგი მაისურაძის ნოველებმა ციხე-ბანაკის თემატიკაში მიაღწია იმ რანგს, რომ აუცილებლად უნდა შეირჩეს მათი უკეთესი ნიმუშები უცხოეთისთვისაც, თორემ აქ ხომ აშკარა აღემატა **კონსტანტინე გამსახურდიასა და ლევან გოთუას** ნოველებს, ამავე სინამდვილით შთაგონებულს – „მტრების მეგობრობასა“ და „იმედის სანერგეს“.

ციხე-ბანაკის სიმწარე კონსტანტინე გამსახურდიამაც გამოსცადა ერთხანს, თორემ ლევან გოთუა სულაც 22 წელიწადს ენამა კატორლაში, მაგრამ რაც მათი თემა არ იყო, ვერც დაამუშავებდნენ ჩვეული ხელოვნებით.

როგორც „მტრების მეგობრობა“ ყველაზე სუსტი კონსტანტინე გამსახურდიას ნოველებს შორის, ისე „იმედის სანერგე“ ლევან გოთუას ნოველისტიკაში. მათ ამ ბელეტრისტულ მცდელობებს ფსიქოლოგიური მნიშვნელობა თუ ენიჭება და მკვლევართათვის უფ-

როა საგულისხმო, ვიდრე მკითხველი-სათვის.

და ერთბაშად ამდენი ჩინებული ნოველის გამოჩენა თავისებური მოვლენაა ჩვენს საზოგადოებრივ-ლიტერატურულ სინამდვილეში.

მკვეთრი დოკუმენტალიზმისაკენ სწრაფვა მიიყვანდა გოგი მაისურაძეს იქამდე, რომ მოზაიკურად დალაგებულ ტუსადთა სილუეტებს პირვანდელ იერს შეუნარჩუნებდა – ყველას თავთავისი ხასიათითა თუ თვისებებით შემოიყვანდა თხრობაში და სახელებსაც დაუტოვებდა და გვარების ინიციალებსაც.

დოკუმენტალური ფონის გამკვეთრება თვითონ მოსთხოვდა, რომ მხატვრულობა კომპოზიციური ქარგის შემოხაზვასა და სიუჟეტის დინამიკაში ეძია, პიროვნულ ხასიათთა შერჩევასა და წერტილის დროულად დასმის ხელოვნებაში, ეს ყოველივე კი თავისით გაუძღვებოდა იმ განზოგადებისაკენ, ურომლისოდაც მხატვრული ქმნილება ჟურნალისტურ რეპორტაჟამდე ქვეითდება.

ამ მხრივ გოგი მაისურაძის ციხური ციკლიც სრულყოფილებიანი ნაწილია იმ მიდრეკილებისა ქართულ ნოველისტიკაში, რაც აქამდე უმთავრესად **დავით ვაჩნაძისა** და **ოთარ ჩხეიძის** სახელებს უკავშირდებოდა, მანამდე კი გარკვეულად **ალექსანდრე ორბელიანის** ნაწერებშიც ეჩინა თავი, თუმც მას თავისი თხზულებების ჟანრობრივი განსაზღვრა არც უცდია. ეს რომ განეზრახა, წარმატებითაც შეასახამდა ხორცს და სწორედ იგი შექმნიდა ქართული დოკუმენტური ნოველის კლასიკურ სახეს და მთელ ციკლსაც დაგიტოვებდა. ამჟერად კი ამ მიდრეკილების წინამორბედად წარმოადგება.

როდესაც გოგი მაისურაძე ამ მანერას გამოძებნიდა ანდერგრაუნდული ჩანაწერებისათვის, მიყრუებულყოფილ ალექსანდრე ორბელიანის თხზულებანი და ხელმოწვევადმიერი გახლდათ დავით ვაჩნაძის ნოველები, ოთარ ჩხეიძის ნოველისტიკაში კი ჯერ ასე მკვეთრად არ ეჩინა თავი დოკუმენტურ ფონსა თუ პერსონაჟთა თავიანთივე გვარ-სახელით შემოყვანის მანერას, ასე რომ, ციხური ციკლის ავტორი თავისით მიაკვლევდა ამ სტილურ მეთოდს, და ამიტომ საკვებით ბუნებრივად ჩნდება ერთ-ერთ ნიმუშში („ღრმადელის პატიმართა ბანაკში“) **შალვა ნუცუბიძეც**, ეს მაშინ, როდესაც ტუსალები ავჭალი-სა და გლდანის გზაგასაყართან ახლოს

საცხოვრებელ სახლს აშენებენ და კაცი და ათი-თორმეტი წლის ბიჭი მიუახლოვდება. კაცი დაინტერესდება: რას აშენებთ? – და გოგი მაისურაძემ იერზე უნდა იცნოს მეცნიერი, რომლის ნაღვანიდანაც უპირველესად ახსენდება „ვეფხისტყაოსნის“ რუსული თარგმანი, რაკილა ამ თარგმანმა გამოიხსნა იგი საკონცენტრაციო ბანაკიდან, ახალგაზრდებმა კი ეს ამბავი შეიტყეს მწერალთა სასახლეში, სადაც ხშირად დადიოდნენ და სხვაც ბევრი რამ შეისრუტეს იქაური საჯარო გამოსვლებიდან თუ მძაფრი დისკუსიებიდან.

მეცნიერს გლდანში აგარაკი ჰქონდა და შემთხვევით რომ გადაწყდებოდა მშენებლობაზე გამოყვანილ პატიმრებს, გული არ მოუთმენდა, რომ არ გამოლაპარაკებოდათ. სერჟანტი ნებას დართავდა და პროფესორის პირველი ფრაზა დანაწილისა იქნებოდა:

– თქვენ ახლა შთამომავლობას უნდა ქმნიდეთ.

მერე კი ორიოდ სიტყვით უნდა გაიხსენოს ციმბირიდან მოსკოვში ჩამოყვანის ეპიზოდი და იქ **ლავრენტი ბერიასთან** შეხვედრა, ვინც ბელადის ნათქვამს ამცნობს: „ვეფხისტყაოსანი“ დაასრულებინეთო, – საქალაქში ჩანყობილ ხელნაწერებს დაუბრუნებს და შინაგან ციხეში ცალკე ოთახსაც გამოუყოფს სამუშაოდ.

– მეწვია რალაც საოცარი შთაგონება და აღფრთოვანება, რომლის მსგავსი არასდროს არ მიგრძენია.

ენვეოდა, აბა, რა იქნებოდა, რადგანაც მიხვდა, უკვე გადარჩენილი ვარო. და ასეცაა – თარგმანი მოთავდება თუ არა, მაშინვე დაუბრუნდება სამოქალაქო ცხოვრებას.

ოღონდ, ცხადია, ტუსალებთან არ გაუშხელია, როგორ მიაწოდა ხელნაწერი **სტალინს** საკონცენტრაციო ბანაკში მყოფმა. ამის თაობაზე არც სხვაგან მოუყოლია და დაფარული რჩება და ეგაა მისი მარიფათიანობა იმ უმწვავეს ყოფაში – ჯერ რომ მოიფიქრა, რა ხერხი აჯობებდა საბჭოთა იმპერატორთან დასაკავშირებლად, მერე კი ჩანაფიქრი კიდევც აღასრულა.

– წაწოლის პოლიტიკამ გაამართლა? – უნდა ჰკითხოს გოგიმ, რაკილა სმენოდა, თუ როგორ გამოსულა შალვა ნუცუბიძე უნივერსიტეტის სტუდენტთა წინაშე 1921 წელს, საქართველოს გასაბჭოებისთანავე, და გაუხსენებია მუხისა და ლერწმის არაკი – როგორ იხიბლებოდა ლერწამი მუხის ძლიერე-



მარსელ პერლსტი

პოეზია, ეს კარგია, ეს მოგვწონს, განსაკუთრებით – ქლიავის ხეები და პატარა თეთრი ღრუბელი. – ჰოფმანსტალის ძალისხმევა, რომელიც მან თავისი ნაწარმოებებით ევროპის განადგურებული სულიერი ტრადიციის აღორძინებას მიახარჯა, მაშინ როდესაც სწორედ ამ ტრადიციის ადგილი ვაკუუმმა დაიკავა, მაგანს ფუჭ გარჯად ესახება, მაგრამ ამ ფიქტურ მიმართებათა გარეშე ვერც მისი თეატრი იარსებებდა და ვერც მის ესეებს ექნებოდა განსჯის სიმწვავე. – პრუსტი „დაკარგული დროის ძიების“ უკანასკნელ ტომში ლამის ერთი თეორიით ეცადა მთელი ნაწარმოების „დაზღვევას“, მისი წარმოშობის შესახებ მსჯელობით სურდა თავისი ქმნილების გამართლება. შეიძლება გვეკითხა: განა ეს აუცილებელი იყო? მე ვფიქობ, რომ იყო. ერთხელ ასეთი მოსაზრებაც მოვისმინე: რატომ არ აგვარიდაო გოტფრიდ ბენმის თავისი რადიკალური ესთეტიზმის ფორმულირება, რად მოგვახვია თავს გამოხატვის საშუალებათა მთელი თავისი სამყარო, ეს ფანტიკური ტერმინები: თრობა, გამძაფრება, მონოლოგური „მე“? მაგრამ განა ამის გარეშე შეძლებდა იმ ორიოდ ლექსის დაწერას, რითაც შეკითხვის ავტორის მონონება დაიმსახურა? – განა მუზილის „უთვისებო კაცის“ ესეისტური პასაჟები რომანის სრულფასოვან ნაწილს არ წარმოადგენს? ეს რომანი ხომ წარმოუდგენელია იმთავითვე მარცხისათვის განწირული უტოპიის ანდა „დღესავით ნათელი მუსიკის“ ძიების გარეშე. განა მხოლოდ ეს სააზროვნო ცდები არ აქცევს წიგნს იმად, რასაც ის წარმოადგენს?

ამ ყოველივეს იმისთვის როდი მოვიხსენიებ, რათა არ დაეუშვა ცალკეული მწერლების, მათი ცდომილებებისა და ცალსახობის გაკრიტიკება. ამას იმიტომ ვსჩადი, რათა დღევანდელი დეზორიენტაციის პირობებში შეგახსენოთ,

გაგრძელება 47-ე გვერდზე



ვარლამ შალამოვი



შალვა ნუცუბიძე

ბით, მაგრამ ერთხელაც ამოვარდნილა ქარიშხალი, რომელსაც მუხა მძლავრი ტოტებით იგერიებდა, ლერწამი კი მიწაზე წაუნებოდა, და როდესაც გრიგალი ჩადგებოდა და ლერწამი თავს წამოყოფდა, დაინახავდა, რომ ქარაშოტს მუხა ძირფესვიანად ამოეთხარა.

გამჭირვალე გახლდათ არაკის დედაზრიც და პროფესორის მიერ მისი დამონების განზრახვაც, ამ გზას რომ ურჩევდა საკუთარ თავსაც და ახალგაზრდებსაც: ქარიშხალში ვართ მოყოლილნი და პირდაპირ შეტაკებასა და ზედ შემსხვრევას ლერწამით მოქმედება აჯობებს, გრიგალი ჩადგება თუ არა, კვლავ სამზეოზე რომ ამოვყოფთ თავსო.

წანოლის პოლიტიკა შეერქმეოდა ამ შეგონებასაც და ამ გზის არჩევასაც, და ოცი წლის ჩავლის შემდეგ, რა გასაკვირია, ახალგაზრდა კაცი დაინტერესებულიყო, ამ გადასახედიდან როგორ უყურებდა სახელმძღვანელო მკვლევარი ამგვარ არჩევანს, კვლავაც იზიარებდა, კიდევ უფრო დარწმუნებულიყო მის სისწორეში თუ გული ეთანადებოდა, სხვა გადაწყვეტილება – მკვეთრი დაპირისპირება – სჯობდაო?

შეკითხვა კარგა ხანს ჩააფიქრებს შალვა ნუცუბიძეს და პასუხად ამას ათქმევინებს:

– გაამართლა? იქიდან ისე ჩანდა, თითქოს... ახლა აღარ ვიცი..

უფრო ცხადლივ თქმას მოერიდებოდა, თუმცა გამჭვირვალეა მინიშნება, რომ მაინცდამაინც კმაყოფილი არ არის „წანოლის პოლიტიკით“ და სულაც არ ესახება მარჯვე გადაწყვეტილებად.

იქიდან ისე ჩანდაო...

იმ წუთას თავშესაფარს ეძიებდა, გადარჩენაზე ზრუნავდა, გრიგალთან შეჯახებას გაურბოდა და ლერწამის სიმბოლიკა უნათებდა გზასავალს, მაგრამ ორი ათეული წელი რომ გადაიკეცებოდა, დარწმუნდებოდა, გამოსავალი ესეც არ ყოფილაო – გადარჩენა გადარჩენად, მაგრამ არსებობის შენარჩუნება განა რა ისეთი წარმატებული ნაბიჯი იყო, როდესაც თვალდათვალ ირღვეოდა საზოგადოებრივი მორალი, ეროვნული თვითმყოფადობა, იკარგებოდა სულიერი სიმხნევე და ყოველივე შეუჩერებლივ მიექანებოდა უფსკრულისაკენ.

ზურგს უკან ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და მისი შეფიცულთა თავგანწირვა რომ არ დაეგულეზინათ, ჰეროიკული ჟამის მოლანდებას რომ არ გადაექროლა მათი გამობრწყინებით და მუხაც ზედ არ

შელენვოდა ამ უსასტიკეს პოლიტიკურ რეჟიმს, თავქვე სვლა კიდევ უფრო სწრაფი იქნებოდა.

თუმცა ვის როგორ – დაე ყველას საკუთარი ფსიქოლოგიური წყობისა და იდეურ-ეთიკური მრწამსის კვალად აერჩია ცხოვრების სტილი, რომელიც ბოლოსდაბოლოს იმით ფასობს, რომ მრავალგვარად იტოტება და ჰეროიკის გვერდით წანოლაც არსებობს, ერთიმეორეს რომ ავსებენ. ასეა, ასე – თუ ყველა თავგანწირვით შეენარცხება ძალმომრეობას, ერს საყრდენი სრულიად გამოეცლება, ისევე, როგორც ყველას ქედისმოდრეკა დააკარგვინებს ქვეყანას საკუთარ სახესა და იმ ეროვნულ თავისებურებებს, ურომლისოდაც მოძალადე ქვეყნის პროვინციად დარჩება სამუდამოდ, თანდათან სულაც მონობის კმაყოფილებაში ჩაძირული.

საგულსხმოა თუნდ ეს პასაჟი თავისი სიღრმით, პიროვნული ხასიათისა და ეპოქის ზოგადი შინაარსის ხელშესახები წარმოჩენით, და ამისთანა პასაჟი ერთი და ორი არ შეგხვდებათ ციხური ჩანანერების ამ ციკლში.

განსაკუთრებით მაინც ის ფრაზა დაამახსოვრდება მკითხველს ნოველიდან „გზად ციხე-ციხე“, როდესაც პოლიტპატიმრები ძველ ბოლშევიკებს ნიშნს უგებენ, არ პატიობენ მენშევიკთა აუგად ხსენებას და წასძახებენ: **ნოე ჟორდანი**ა თქვენსავით სისხლისმსმელი მაინც არ ყოფილაო.

პატიმართა შორის მყოფი მომავალი მწერალი თავის მხრივ დასძენს:

– **ლენინი** ვეგეტარიანელს ეძახდა, ვითომ სისხლისღვრა რომ არ სურდა, იმიტომ.

სხვა საისტორიო თუ მემუარულ-დოკუმენტური წყარო არ გვამცნობს ნოე ჟორდანიას ამ მეტსახელს – ვეგეტარიანელი – და ნოველის „გზად ციხე-ციხე“ ამ პასაჟს სწორედაც დოკუმენტურ ცნობად გამოიყენებენ მკვლევარები.

ხოლო ნოველაში „სასიკვდილო საკანი“ არეკლილია უნივერსიტეტის ჯგუფისა და **სამანელთა** ტრაგიკული ხვედრი – უნივერსიტეტელთა შეპყრობა-დახვრეგით რომ სულაც არ მოთავებულა ეს თავგანწირული გაბრძოლება და მისი უშუალო გაგრძელება აღმოჩნდებოდა შეიარაღებული მემბოხების გასვლა თუშეთის ტყეებში, ერთხანს წარმატებასაც რომ მიაღწევდნენ, მაგრამ სასტიკი სახელმწიფო მანქანა ბოლოს მაინც სისხლში ჩაახშობდა თავისუფლების ამ წყურვილსაც.

მუსტაფა შელიას მოკვლაცაა გახსენებული ორმხრივი სროლისას და ამ საქმეზე მჯდარი ამირან მ-ძის სილუეტიც გაიღვებს. ეს კვლავ ის ნოველაა – „ღრმადელის პატიმართა ბანაკში“, რომელშიც ნატურალისტურ და, ამავდროულად, სიმბოლურ სურათად წარმოსახება, თუ როგორ ამოთხრის მიწიდან კოკისპირული წვიმა ზედაპირზევე სახელდახელოდ ჩაყრილ პატიმართა გვამებს და გზაზე დააქანებს.

რა არის ეს – კომპარული ხილვის გასაგნება თუ ის რეალობა, რომელსაც მწერლური ფანტაზიის მიშველება არც სჭირდება, თვითონვე განზოგადდება საბჭოური ყოფის, კომუნიზმის ალაჟღაყებული მწვერვლებისაკენ მიმავალი გზატკეცილის ხელშეშახებ ხატად?!. უშუალოდ ამ მოთხრობაში კი ჩნდება ერთი დამაფიქრებელი პერსონაჟი და მისი უცნაური ხვედრიც, რისთვისაც მწერალს სხვა განსაზღვრება ვერ შეუჩრევია, გარდა „ახირებულად დადანაშაულებულისა“.

ეს პერსონაჟი ზემოიშრული ქვითხურო შალვა ჭა-ძეა, ვინც დაბაქალაქში მოედანზე თანამოქალაქეებთან ერთად უსმენდა რადიოს, როდესაც საომარი ინფორმაციის გადმოცემისას დიქტორს ეს ცნობაც ეუწყებინა: ჩვენმა ჯარმა ქალაქი ტაგანროგი დატოვაო. იმავე ღამეს დააპატიმრებდნენ ქვითხუროს და ბრალდებად წაუყენებდნენ: როდესაც გამოცხადდა საბჭოთა არმიის მიერ ტაგანროგის დატოვება, შენ უღვაშებში ჩაგელიმარო. შალვა უარყოფდა ჩალიმებას: ტირილი ღიმილს მიგავს, იქნებ ჩამეტირაო. გამომძიებელი ჩაეძიებოდა: ჩალიმებისას რა ჩაილაპარაკეო? – და სასურველ პასუხს რომ ვერ მოისმენდა, მონშებებს, უფრო ზუსტად, ცრუმონშებებს, დააყენებდა პირზე, თითქოს ქვითხუროს ესეც ეთქვამს: ეგ ერთი და სხვა ათასიო.

ასე მიუსჯიდნენ აგიტაცია-ლაყობოსათვის ათ წელიწადს.

რაკილა კოჭლობდა, შორეულ ეტაპში არ გაგზავნიდნენ და სასჯელს ღრმადელის ბანაკში მოახდევინებდნენ. იქ რომ ზოგჯერ გაეხუმრებოდნენ: მაგ ღიმილმა დაგლუპა და კიდევ ილიმები? მოიპარსე ეგ უღვაშებო. – არ ვილიმები, რა ვქნა, ასე ჩანსო, – ირწმუნებოდა შალვა.

ეს ხასიათი დაენანებოდა მწერალს მოზაიკურ სურათში ჩასატოვებლად და კვლავ დაუბრუნდებოდა ნოველაში „ღრმადელის ბანაკი“, სადაც პერსონაჟს კაცია მლიმარადის გვარ-სახელით


გამოხატავდა, და რათა ხალხოსნური წერის მანერისათვის მიბაძვად არ ჩამოერთმიათ გვართ მინიშნებული ტენდენცია, ასეთ ახსნას ჩაურთავდა: საოცარია, მაგრამ ასეა, კაცის გვარი ან სახელი ზოგჯერ ემთხვევა მისი პატრონის საბედისწერო ხასიათს, ან პირდაპირ მიუთითებს ბედსა თუ უბედობაზე. ან გამოხატავს მისი ცხოვრებისა თუ ყოფის ბუნებას, რაღაც მის თავსგადამხდარ ამბავს, ან პირდაპირ, ან სანინალმდეგოდ, ანდა ზოგჯერ აფრთხილებს ან მოუწოდებსო.

მწერალი ფსიქოლოგის თვლით უკვირდება პერსონაჟის ამ უცნაურ გამომეტყველებას, საბედისწეროდ რომ გადაექცა („მე მაინც ვერ გავიგე, ეს „ტოკვა“ დაპატიმრებამდე სჭირდა, რაც უღვაშებში ჩალიმებად დაინახეს თუ დაპატიმრების შემდგომ დაემართა დამღუპველი „უღვაშებში ჩალიმების“ აკვიატებით, რაც ბრალდების უარყოფის ბიო-ფსიქოლოგიური რეაქცია იქნებოდა. ანდა ეს ტოკვა იყო მხოლოდ და მხოლოდ სიმულაცია მართალი ჩალიმების უარსაყოფად“), რათა გროტესკული სურათი და ვითარება დაბეჯითებით ჩაუბეჭდოს მკითხველს, როგორც საბჭოური აბსურდის – ყირაზე დამდგარი რეალობის – ასერიგად მეტყველი და სახიერი ნიმუში.

კაცია მლიმარაძე ამ მეორე ნოველის მთავარ გმირად წარმოდგება და ეს გარემოებაც, სიუჟეტური ქარგა მის ირგვლივ რომ იკვრის, ხელშეხახებად გამოკვეთს საბჭოური სინამდვილის არსს.

სახის გამომეტყველების საბედისწერობა თემად და სიუჟეტადაა გამოყენებული **ჰაინრიხ ბილის** ნოველაში „ჩემი ნალვლიანი სახე“.

პერსონაჟი ნავსადგურში დგას და მოფარფარტე თოლიებს გასცქერის – ყოვლად მშვიდი, უწყინარი სურათია, მაგრამ უბნის მორიგე პოლიციელმა ოფიციალურად უნდა დაადოს მხარზე ხელი და უბრძანოს: გამომეყვითო. მიზეზი? თურმე არსებობს კანონი, რომლის მიხედვითაც ყველა მოქალაქე ბედნიერი უნდა იყოს. – მე ბედნიერი ვარ, – ირწმუნება პერსონაჟი, მაგრამ პოლიციელის მოტყუება ადვილი არ არის: მამ რას ნიშნავს თქვენი ნალვლიანი სახე? – მართალია კანონი ახალია, ოცდათექვსმეტი საათია, რაც გამოქვეყნდა, მაგრამ რაკილა ყოველი კანონი ძალაში შედის გამოქვეყნებიდან ოცდაათხი საათის შემდეგ, ნალვლიანი სახე უკვე დანაშაულად ცხადდება. მითუმეტეს,



თუ რითი ამოცნობა ჭეშმარიტი შემოქმედის და ზოგადად შემოქმედების გამოჩენა. მისი ამოცნობა შესაძლებელია ახალი ყოვლისმომცველი დეფინიციით, ახალი კანონების დამკვიდრებით, შეუცდომელი აზროვნების იდუმალი თუ სიტყვიერი გამოცხადებით.

მარადიული ხომ მხოლოდ სურათ-ხატებია. აზროვნება კი დროითია და ამიტომაც დროის მსხვერპლი ხდება. მაგრამ სწორედ მისი წარმავლობის გამო უნდა ესწრაფოს ჩვენი აზროვნება განახლებისკენ, თუკი გულგონი ელობა და მისი მეოხებით რაიმეს შეცვლა გვსურს.

ხომ თავში არ მოგვივა, ჩავებლაუჭოთ კლასიკის ან რომელიმე სხვა ეპოქის იდეებს, რადგან ისინი ჩვენთვის განმსაზღვრელი ვეღარ იქნება; ჩვენი სინამდვილეც და ჩვენი კამათიც უცხოა მათთვის. რაოდენ ბრწყინვალედ უნდა გვეჩვენოს გარდასული დროიდან ჩვენამდე მოსული ცალკეული აფორიზმები, ჩვენ მათ დღევანდელი საფიქრალის დასტურად ვიყენებთ. არც იმის გაფიქრება გვეპატიება, აქაოდა, ყველაფერი უკვე მიღწეულია, რაკილა ქვეყანას 40-50 წლის წინათ რამდენიმე დიდი მოაზროვნე მოეველინა. არას გვარგებს, მათ, როგორც ამოჩემებულ ვარსკვლავებს, დღევანდელი აზროვნება მივანდოთ. არც ის მოგვიტანს რაიმე სარგებელს, თუკი იმ საოცარ ქმნილებებს დავეყრდნობით, გასულ ათწლეულებში რომ შექმნა კაცობრიობამ. მათგან მხოლოდ იმის სწავლა შეგვიძლია, რომ იმავე საფრთხისგან, მათ რომ ემუქრებოდა, არც ჩვენ ვართ დაზღვეულნი. ხელოვნებაში არ არსებობს ჰორიზონტული წინსვლა, – მხოლოდ მარად განახლებული ვერტიკალური ნახტომით სივრცის გაპოზა. წინსვლის ილუზიას მხოლოდ ხელოვნების ტექნიკური საშუალებანი გვიქმნის. სინამდვილეში კი მხოლოდ სახეცვლაა შესაძლებელი. და ის

გაგრძელება 49-ე გვერდზე



კანონი რადიოთი ცეუნყა მოსახლეობას და გაზეთის ფურცლებიდანაც, ხოლო მათთვის, ვინც პრესითა და რადიოთი არ სარგებლობს, ქუჩებში მიმოფანტეს საგანგებო ფურცლები.

თურმე პერსონაჟი ახალი გათავისუფლებულია პატიმრობიდან, და როდესაც პოლიციის განყოფილებაში მოსთხოვენ აღიაროს მაშინდელი ბრალდება, ამცნობთ: ჩემი მხიარული სახეო.

თურმე საყოველთაო გლოვის დღეს, უმაღლესი მმართველის გარდაცვალებისას პოლიციელს თვალში მოხვედრია მისი მხიარული სახე და ხუთი წელიც ამიტომ მიუსაჯეს.

ამჯერად მონყენილი სახისათვის ათწლიან პატიმრობას შეუფარდებენ.

სასჯელის მოხდის შემდეგ რა გზას შეიძლება დაადგეს?

სხვა გამოსავალს ვერ პოულობს, გარდა იმისა, რომ:

– უნდა ვეცადო, არავითარი სახე არ ვიქონიო, თუკი ეს შეეძელი, ათი წლის შემდეგ, ბედნიერებისა და უხვი საპნინობის პირობებში...

თავზარდამცემი რეალობაა – გროტესკი უკიდურესობას აღწევს... ოღონდ ის, რაც გერმანელი მწერლის ნოველაში მხატვრული წარმოსახვის ნაყოფია, კომმარული სინამდვილის თავისებური გააზრება, ქართველი პროზაიკოსისათვის უშუალო რეალობაა, ნატურალიზმიც კი... და სწორედ ნატურალისტური სურათი ემგვანება გროტესკს თავისი უჩვეულობითა და დაუჯერებლობით.

დაენანებოდა მოზაიკურ სურათში ჩასატოვებლად...

მწერალს თითქოს არც სჯეროდა, თუ ციხე-კატორღის თემაზე მთელ ციკლს შექმნიდა და ლამობდა ბევრი რამ ჩაეცია ღრმალელის პატიმართა ბანაკის აღწერაში, დაწურულად წარმოეჩინა ტუსალთა პორტრეტები და მწარე ხვედრი. და თუ დასცალდებოდა, სიუჟეტთა გაშლა მერეც შეიძლებოდა.

– კაცი ისე არსად არ იცნობა, როგორც პატიმრობაში, – აცხადებს პერსონაჟის პირით („ტანჯული“). და თუ ერთი მხრივ ეს გარემოება ამარტივებს პერსონაჟთა მხატვრულ ხორცშესხმას, რაკილა ზედაპირზევეა მათი ხასიათები, მეორე მხრივ კიდევ ართულებს, რათა ზედაპირზე მაინც საერთო თვისებანი მოტივტივებს, უკეთურობანი უფრო ამოჩნდება, და პიროვნული თავისებურებანი, ასერიგად მნიშვნელოვანი

მწერლობისათვის, სადღაც იჩქმალება.

მიჩქმალულს კი შემჩნევა და წარმოსახვა ესაჭიროება.

ასე წარმოდგება გოგი მაისურაძის მოთხრობებისა და ნოველების ციკლში პერსონაჟთა მრავალფეროვანი გაღერა – დანყებული ღირსებისა და მეობის გადარჩენისათვის თავგანწირული მცდელობით და დამთავრებული გაქცეულთა მიერ ერთ-ერთი თანამზრახველის მიჩნევით „ზვარაკად, ცოცხალ ულუფად“, რათა მისი შეჭმით მოითქვან სული სანოვავის გათავების შემდეგ.

ციხე იმის ციხეა და „კონცლაგერიც“ იმის „კონცლაგერია“, რომ სიველურის არანაირი გამოვლინება აღარ უნდა გიკვირდეს... და დაე ეს ყოველივე დაუფარავად, გაშიშვლებულად შემოინახოს მწერლობამ, მითუმეტეს, საბჭოთა სასჯელაღსრულებითი სისტემა, რომლის ძალმომრეობასა და განუკითხობასაც ვერ უძლებდნენ თვით ის ადამიანებიც, რომელთაც მეფისდროინდელ რუსეთის იმპერიაში ათი და მეტი წელი გაეტარებინათ პატიმრობაში და სულიერ განადგურებას მაინცდამაინც არ უჩიოდნენ.

სანატორიუმში არც ისინი ყოფილან, მაგრამ ხომ არსებობს რაღაც ზღვარი, რომლის იქითაც აღარ გრძელდება ადამიანური დამცირება და მორალური წნეხი.

საბჭოთა სინამდვილეში ასეთი ზღვარი არ არსებობდა.

ამ ტრაგიკული ვითარების სათვალსაჩინო ნიმუშთა შორის გოგი მაისურაძის ნოველები და მოთხრობებიც გვეგულება – სანდო გზამკვლევად შემზარავ გზებზე.

ციხური ჩანაწერების სახელწოდების ქვეშ რომ მოაქცევდა ამ ციკლს, სხვა სათაურს ისევე ამ ჟანრობრივ თუ თემატურ განსაზღვრებას ამჯობინებდა... მაგრამ გამომცემელს არ დააკმაყოფილებდა წიგნის სათაურად ჟანრის გამოტანა და გოგი მაისურაძის ერთ-ერთ საუკეთესო ნოველის სახელწოდებას შეურჩევდა წიგნს – „ყუდიერას“, როგორც უფრო ორიგინალურსა და ეფექტურს. ჟანრობრივი დაზუსტება კი დაე ქვესათაურად წაწეროდა წიგნს.

ყუდიერა მოხუცი დედაკაცია, არაფრისდიდებით რომ არ დათანხმდა ნათესავებსა და მეზობლებს, რათა მათთან ერთად ჩამოსახლებულიყო ბარად ცხრაბურჯა ჭიუხზე ორბის ბუდესავით

შეფენილი სოფლიდან, ან უკვე ნასოფლარიდან. და შერჩენია იქაურობას, ვაითუ საკონცენტრაციო ბანაკიდან დაბრუნებულმა შვილმა ჩემს ასავალ-დასავალს ველარ მიაგნოსო.

მარტოობისა და მოლოდინის მოტივს ოთარ ჩხეიძე რომ მიმართავდა 40-იანი წლების დასაწყისში, ეს მხატვრული ხერხი შემაშფოთებელი აღმოჩნდებოდა რედაქციისათვის, ოფიციალურ მოთხოვნათაგან მკეთერ გადახვევად, რადგანაც დედა საბჭოთა ხელისუფლებას შეუძლებელია დაეტოვებინა მწუხარე განცდების ამარა. კოლექტივს სასწრაფოდ უნდა გამოეღო ხელი და საერთო ფერხულში ჩაბმულ ქალს იოლად გადაეყროდა ყოველგვარი დარდი.

მერე მოლოდინი აუცილებელი მოტივიც შეიქნებოდა საბჭოთა ეპოქის ლიტერატურისათვის – ეს მას შემდეგ, რაც დიდ სამამულო ომად მონათლული ქართველი გადაივიდა და დედები თუ ცოლები მოუთმენლად ელოდნენ საბჭოთა არმიელთა შინ დაბრუნებას. განყალდებოდა, გაცვდებოდა დაკვეთილი მოლოდინი და თანდათან გაქრებოდა თვით მედროული მწერლობიდან.

მაგრამ ნაკატორღალის მოლოდინი? დედის მარტოობა და გზისაკენ გულათრთოლებული ცქერა წლების მანძილზე, ნაპატიმრალი შვილი როდის გამოემცხადებო?

ამ განცდით სწორედ „ყუდიერა“ განმსჭვალული და თავისებურადაც მოჩანს ამ გადასახედიდან საერთო ლიტერატურულ ფონზე – ანდერგრაუნდმა ამჯერადაც გაამართლა და დიდი სულიერი ტრაგიზმი დედის სახედ შენივთდა, იმ დედის, რომლის მხატვრული წარმოჩენაც მკაცრად იკრძალებოდა საბჭოური იდეოლოგიის მიერ.

ყუდიერა ამ საქციელის – მარტოშენილობის, დაყუდებულობის – გამო შეერქმევა მეტსახელად, და ეს მეტსახელი კი მთელი იმ მხარის ხსოვნაში ინახავს გადაკარგული კაცის სახებას, ვინც შორეული გზებით ადრე თუ გვიან მაინც უნდა მოაღწიოს სამშობლომდე, სადაც – დედის წყალობით – ანთებული კერა ელოდება.

ყუდიერობა სულიერი გაუტყეხლობაა.

ყუდიერობა განგების განაჩენის მოლოდინია.

ყუდიერობა იმ გარდუვალობასთან შეხვედრის ნატვრაა, ბედისაგან განწირულნი უფლის კალთამ რომ უნდა დაიფაროს და სატანჯველში გამოტარებული თავისუფლების ნალვერდალი კვლავაც ჩაუმქრალი შემოუნახოს შთამომავლობას.

გოგი მისურაძესაც შეიძლებოდა ეს სახელი შერქმეოდა.

ისიც ამ გამთანგავი მოლოდინით რომ არ ყოფილიყო აღვსილი – საბჭოთა იმპერიას აუცილებლად დაუდგება დანგრევის ჟამი და კომუნისტური დოქტრინაც სამუდამოდ ჩაბარდება ისტორიასო, არამცთუ ციხური ჩანაწერების ციკლს, ერთ ნიმუშსაც არ დაწერდა ამ თემაზე – ვისთვის, რისთვის?..

არადა, ორ წიგნადაც კი ევარაუდა და ქრონოლოგიურადაც დაელაგებინა – პირველ ნაწილში 13 ნიმუში და მეორეში – 6, რაც გამომცემელს აფიქრებინებდა, ამ ნაწილს უთუოდ შეავსებდაო. ეგაა, რვა მოთხრობა ჯერჯერობით არსად მოიძიება – მათი მხოლოდ სათაურები და დაწერის თარიღები ვიცით მწერლის მიერ შედგენილი ნუსხის მიხედვით.

ჯერ დალხინებული ქვეყანა ვერ უნდა ეგუებოდეს ასეთ დანაკარგს და ჩვენთვის ხომ მეტად და მეტად გულსატკეპნი იქნება, თუკი ვერც ვერასოდეს მივაკვლევთ.

ჩვენს თვალწინ ასე როგორ უნდა გამქრალიყო რვა ნიმუში იმ თემატიკაზე და იმ ჟანრისა, უკეთესი რომ არც მოგვეპოვება.

თუმც რაც ხელთ გვაქვს, იმას მაინც ნულა მივიჩნევთ რიგით მოვლენად და უგულისყუროდ ნუ გადავატარებთ, თითქოს თავზე გადაგვიდოდეს საბჭოური ციხისა და საკონცენტრაციო ბანაკების ცხოვრების ჩინებულად წარმოსახული სურათები და ველარ ავუდიოდეთ მათ კითხვასა და ანალიტიკურ განსჯას.

ჯერ ისიც არ ვიცით, კიდეც რას გვიმზადებს ქართული ანდერგრაუნდი, რა შემოუნახავს, რა ახალ კუთხეს შეგვახედებს, რა ახალი სახელით გაგვაოცებს თუ თვალსაჩინო მწერლის რომელ დაკარგულ ხელნაწერს მიგვაგნებინებს.

ქართული ანდერგრაუნდი – ჯერაც დაუფასებელი და არაერთხელ იოლად ხელნაწერულიც ჩვენი დაბეჩავებულები ქვეყანასავით, ყრუ ძახილად რომ ჩაგვესმის ჟამიდან ჟამად **ნიკო ლორთქიფანიძის** ვედრება: მოუარეთ საქართველოს!.. მოუარეთ საქართველოს!..

– მოუარეთ ქართულ ანდერგრაუნდს! – ესეც იმ შეგონების თავისებური პერიფრაზი.



ფიოდორ ნიცშე

შემცვლელი გავლენა, ახალ ქმნილებათაგან რომ მოდის, გვანიჭებს სამყაროს ახლებურ აღქმას, ახალ შეგრძნებებს, განახლებულ ცნობიერებას.

როგორც კი ახალ შესაძლებლობებს მოიხელთებს, ხელოვნება საშუალებას გვაძლევს განვჭვრიტოთ, თუ რანი ვართ და რანი შეიძლება ვყოფილიყავით, რა ბედი გვეწევა და რა ბედი შეიძლება გვენოდა. მისი მონახაზები ხომ არასოდეს ჩნდება სიცარიელიდან. დღეს უკვე ველარების დავაჯერებთ, თითქოს ლიტერატურული ნაწარმოები ისტორიული გარემოებისაგან დამოუკიდებლად ითხზებოდეს, თითქოს არსებობდეს თუნდაც ერთი მწერალი, რომლის ამოსავალი მდგომარეობა დროითი მოცემულობით არ იყოს განპირობებული. საუკეთესო შემთხვევაში მან შეიძლება ორი რამ განახორციელოს: იყოს თავისი დროის წარმომადგენელი და, ამასთანავე, თავის ეპოქას წარმოუდგინოს ისეთი რამ, რისი დროც ჯერაც არ დამდგარა. მართალია, არის შემთხვევები, როდესაც ერთი შემოქმედი შორიდან აკვესებს ნაპერწკლებს მათთვის, ვისაც სხვისაგან სჭირდება სულიერი ენერჯის მიღება და ვინც მისი ნათელისაკენ იშვერს ხელებს. მთელი თაობისათვის ასეთ მნათობად ნიცშე ქცეულიყო, მან გადასცა ნაპერწკალი ანდრე ჟიდს, თომას მანს, გოტფრიდ ბენსა და მრავალ სხვას. ბრეხტისთვის ეს როლი მარქსმა შეასრულა, კაფკასთვის კირკეგორმა; ჯოისი ვიკოს ისტორიოსოფიის გავლენით აენტო, ურიცხვი შემოქმედებითი იმპულსი გასტყორცნა ფროიდმა, უკანასკნელ დროში კი იგივე როლს ჰაიდეგერი ასრულებს.

როგორ, საიდან მოხდება ახალ-ახალი დაკვესებები? ძნელი სათქმელია. სპეციალისტები, ექსპერტები ძალზე მომრავლდნენ. მთაწროვნენი კი არსად ჩანან. შესაძლოა, გარკვეული გავლენა ვიტგენშტაინმა მოახდინოს. შესა-

გაგრძელება 55-ე გვერდზე

ქართველები შინ და გარეთ

ლია ჩლაიძე
ოთხი დღე თურქეთში

გამოჩენილი მწერალი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი თამაზ ჭილაძე წელს 80 წლის გახდა. განუზომელია თამაზ ჭილაძის დამსახურება მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ქართული ლიტერატურის ძირეული განახლების საქმეში. მან ახალი იდეებით, თემებით, მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებით გაამდიდრა უახლესი ქართული მწერლობა. ძნელად მოიძებნება მწერალი, რომელსაც, თამაზ ჭილაძის მსგავსად, ერთნაირი წარმატებით ეღვანოს პოეზიის, პროზის, დრამატურგიისა და ესეისტიკის სფეროებში. ოთხივე ეს სამწერლო დარგი მან მრავალი შედეგით გაამდიდრა, რომლებიც თანამედროვე ქართველი მკითხველის ერთ-ერთ მთავარ სულიერ საზრდოს წარმოადგენს აგერ უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია.



თამაზ ჭილაძე, ლია ჩლაიძე და ოთარ ჭილაძე ქართველ მამათა სავანეში. სტამბოლი, 1996.



„ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემს ნაწარმოებებს წაიკითხავენ თურქეთის ქართველები“ – ბრძანა თამაზ ჭილაძემ, როცა გაიგო, რომ **ჰასან ჩელიქი (მელიქიშვილი)** მისი ნაწარმოებების თარგმნას აპირებდა.

„მთელი ცხოვრება ვოცნებობდი თურქეთის ქართველებთან მიახლოებას და ვერ მოვახერხე, მიხარია, თუ ჩემი ლექსები მივლენ მათთან“, – ბრძანა **ოთარ ჭილაძემ**, როცა თურქულ-ქართველოვან ჟურნალ „ჩვენებურებში“ დაბეჭდილი თავისი ლექსების თარგმანები იხილა.

„გვიხარია, თუ ამხელა მწერლებს ჩვენი გაცნობა უნდათ“, – თქვეს სტამბოლის, იზმირის, ბურსას ქართველებმა და თურქეთში მიიწვიეს სახელოვანი ძმები.

1996 წლის 27 ოქტომბერს ტრაპიზონში საქართველოს საკონსულოს თანამშრომლების, ჩვენი მეგობრის, **ნათე ბანაშის** მანქანით თბილისიდან გავედით.

რიკოთის უღელტეხილიდან აყოლილმა წვიმამ და ქარმა ხოფამდე გვდია. ზღვის ტალღები მანქანაზე გადადიოდა. „გემით მიმყავხართო“, – ხუმრობდა ნათე.

ოთარს ძვირად დაუფჯდა ქობულეთში მანქანიდან ცოცხა ხნით გადმოსვლა, ისედაც შეუძლოდ იყო და ახლა გაცივებაც დაემატა.

ქობულეთში გვითხრეს, „მთელს სანაპიროზე ასეთი ამინდიაო“. ვწუხარ, ვაითუ, ამინდმა ჩაგვაშხამოს ის ათიოდე დღე, რომელიც თურქეთში უნდა გავატაროთ.

რაც „სარფის კარი“ გავიარეთ, თამაზს ხმა არ ამოუღია. ფიქრობს თუ ანუხებს რამე?

ნათეს არაფერი გამოეპარება და აი, ტრაპიზონში შესვლამდე მანქანამ გზიდან გაუხვია და სოფლის ორღობეს შეუყვა. ლამაზ ლაზურ სოფელში კოცა ოდას მივადექით, გაიშალა სუფრა, შეისვა იმ მიწა-წყლის სადღეგრძელო. „შემძრა აქაურობის ხილვამ. არა, ბატონო, არავინ მითხრას, ტაო-კლარჯეთში წამოდიო – ამბობს თამაზი. ნაცნობი განცდაა! აი, თურმე, რატომ იყო ცუდ ხასიათზე!

ტრაპიზონში ღამე გავათიეთ და გავუდექით გზას სტამბოლისაკენ, გრძელია და მომქანცველი ეს გზა. იძულებული ვართ, ერთი ღამით ადაფაზარში შევჩერდეთ. მეორე დღე – 29 ოქტომბერი – „რესპუბლიკის დღესასწაული“ – ხმაურით, აღლუმით გათენდა.

ჩვენი მეგობარი **მუსტაფა იაქუთი (გურამ ხიმშიაშვილი)** იზმითში (ძველი ნიკომედია) შეგვეგება და გაგვყვა სტამბოლს, რათა გზა არ აგვრეოდა. ეს არცთუ მოულოდნელია 12-მილიონიან ქალაქში.

არაჩვეულებრივი ამინდი დგას სტამბოლში. ახალი „ფათიჰის ხილით“ გადავდივართ მზით აბრჭყვილებულ ბოსფროზე. მერჩია, ძველი, „ათათურქის ხილით“ გადავსულიყავით, იქიდან უფრო ლამაზი ხედა. ჩვენს სტუმრებს აქედანაც ხიბლავს სტამბოლი.

ოთხვარსკლავიანი სასტუმრო სტამბოლის ცენტრში, შეხვედრებით, შთაბეჭდილებებით აღსავსე ოთხი დღე...

„პარიზში შევესწარი თქვენი „რკი-

ნის თეატრის“ პრეზენტაციას, ვნახე, როგორ ალაფრთოვანა ყოვლისმნახველი ფრანგები ამ რომანმა. ვიფიქრე, ასეთი რა დაწერა ქართველმა მწერალმა-მეთქი, ვიყიდე, წავიკითხე, მეც გავგიჟდი, ჩამოვიჭყერი თურქეთში და დავინწყე თარგმნაო“, – უთხრა ოთარ ჭილაძეს ცნობილმა მთარგმნელმა **ის-მაილ იერგუზმა**, რომელმაც მეორე დღესვე მოაკითხა სასტუმროში. აქვეა **შაბან თაბანი** (წარმოშობით ქართველი), რომელიც სოლიდური გამომცემლობის პატრონია. გამომცემლობისათვის ქართული სახელი „სინათლე“ დაურქმევია, „სულ ქართული წიგნები უნდა გამოვცეო“ – ამბობს და თამაზ და ოთარ ჭილაძეების წიგნებით იწყებს.

30 ოქტომბერს ქართველი მწერლები „თურქეთის მწერალთა სინდიკატი“ მიიწვიეს.

– Господа, я же знаю вас! – ამ სიტყვებით შეეგება სტუმრებს სინდიკატის თავმჯდომარე, ცნობილი პოეტი **ათაოლ ბეჰრამოღლუ**, რომელიც რუსული ლიტერატურის სპეციალისტია. „კარგად ვიცნობ პასტერნაკის შემოქმედებას და იქიდან ვიცი, რა ღირებულებისაა ქართული პოეზიაო“. ბევრი ქართველი მწერალი წაუკითხავს რუსულ თარგმანში, მათ შორის ჭილაძეებიც.

თბილ, მეგობრულ ატმოსფეროში, „ჭიქა ჩაიზე“, ქართველი და თურქი მწერლები საუბრობენ ლიტერატურაზე, ლიტერატურულ ურთიერთობებზე, კითხულობენ თამაზ ჭილაძისა და ოთარ ჭილაძის ლექსების ჰასან ჩელიქისეულ თარგმანებს.

თამაზმა მადლობა გადაუხადა მასპინძლებს, ილაპარაკა ქართულ-თურქული კულტურული ურთიერთობების პერსპექტივებზე, „თქვენს ღიმილს თან წავიღებ ჩემს სამშობლოში“, – უთხრა თურქ პოეტებს.

გამომშვიდობებისას ათაოლ ბეჰრამოღლუმ ერთხელ კიდევ აამა სტუმრებს: „ჩვენ ახლა ფიროსმანის ოცნება შევასრულეთ, ოღონდ სამოვარი გვაკლიაო“ (საუბარი მრგვალი მაგიდის გარშემო მიმდინარეობდა).

„ბედნიერი ვარ აქაური ქართველების გაცნობით. ვხედავ, რომ ჩვენი აქაური ძმები თურქეთის საზოგადოებაში კარგად ცხოვრობენ. დიახ, ჩვენ, ქართველები ვართ თუ თურქები, უპირველესად ყოვლისა, ადამიანები



ვართ. ეს არ უნდა დაგვავიწყდეს და უკეთესად ცხოვრების გზები უნდა მოვიძიოთ“. ამ სიტყვებით დაასრულა თამაზ ჭილაძემ თავისი გამოსვლა „შეგარდნადის ფონდის“ სტამბოლის ფილიალში გამართულ პრესკონფერენციაზე, სადაც თავი მოიყარეს ჟურნალისტებმა და მწერლებმა, სტამბულელმა ქართველებმა. პრესკონფერენციას ცნობილი თეატრმცოდნე, ქართული კულტურის დიდი დამფასებელი, ლაზი **ჰაიათი ასილიაზიჯი** უძღვებოდა.

იზმითელი ქართველები სასტუმროში ელოდებიან სტუმრებს – ლამაზი, მოხდენილი, კარგი მოქართულე ზრდილი ჭაბუკები.

– ნუთუ თურქეთის ქართველები ყველანი ასეთი კარგები არიან?! – აღფთოვანებულია ოთარი, განსაკუთრებით გაიხარა გურამ ხიმშიაშვილის შვილების – ლევანისა და მიხოს ნახვით.

– ლევან ხიმშიაშვილი?! იცით, ეს რა სახელია?!

– რომ ვიცით, სწორედ იმიტომ ჰქვია, – იყო პასუხი.

– წაიყვანეთ ეს ბიჭი და თქვენ გაზარდეთო, – მითხრა ბ-ნმა თამაზმა მიხოზე, როცა დაინახა, როგორ გვიყვარს მე და მიხოს ერთმანეთი.

მიხო ჯერ პატარაა, დედასთან უნდა, სკოლას რომ დაამთავრებს, მაშინ ვნახოთ.

იზმირსა და მის შემოგარენში XIX საუკუნის 70-იან წლებში აჭარიდან წასულ მუჰაჯირთა შთამომავლები ცხოვრობენ. კარგად შემოუნახავთ ენა. ქალაქი ორ რაიონად არის დაყო-

ოთარ ჭილაძე, ჰაიათი ასილიაზიჯი, ლია ჩილაძე და თამაზ ჭილაძე

თამაზ ჭილაძე, ზუსტი პოეტური ხედვის მქონე ლირიკოსი, პროზის ოსტატი, დრამატული ცხოვრებისეული სიტუაციების შემჩნევია და პიესის ფორმით მათი გადმოცემის ხელოვნებით გამორჩეული შემოქმედი, ღრმად ჩასწვდა თავისი თანამედროვე ახალგაზრდობის სულიერ მისწრაფებებს და შთამბეჭდავად მოგვითხრო მათ შესახებ.

განსაკუთრებულია თამაზ ჭილაძის მოღვაწეობა ესეისტიკის სფეროში. კლასიკური ქართული ლიტერატურის შესახებ დაწერილი მისი ესეები ორიგინალურობით, სიახლით, მკითხველისთვის კარგად ნაცნობი შედეგების ახლებურად წაკითხვა-გაზრებით რომ გამოირჩევა, აზრის გაცხოველებულ მოძრაობას იწვევს, აცოცხლებს ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებას, ხელახლა მიგვაპყრობინებს მზერას თითქოსდა ყველასათვის კარგად ცნობილი მხატვრული სამყაროებისადმი და მოულოდნელი კუთხით წარმოგვიჩენს მათ.

ჟურნალ „ქართული მწერლობის“ რედაქცია ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ახალ შემოქმედებით წარმატებებს უსურვებს მწერალს, რომლის გამოცდილება, ოსტატობა, სიბრძნე და გულისხმიერება ჩვენს საზოგადოებას მეტისმეტად სჭირდება სწორედ დღეს არცთუ სახარბიელო აწმყოდან ღირსეული მომავლისაკენ გზების ძიებისას.



თამაზ ჭილაძე, ფაჰრედინ ჩილოღლუ და ოთარ ჭილაძე

სამი დღეა სტამბოლში ვართ. „აია სოფია“ ყველაზე დიდი შთაბეჭდილებაა. თანაგრძნობაზე მეტად აღშფოთებას იწვევს – მეზობელ ქრისტიან ქვეყნებს უპირებდა ჩაყლაპვას და თვითონ ეტირა დედა! მუჰამედმა სისხლიანი ხელის ანაბეჭდი შეატოვა სამუდამოდ...

რა შემიძლია ვთქვა თურქეთზე? უპირველეს ყოვლისა, რასაკვირველია, არ უნდა წამოვსულიყავი ავადმყოფი... ამავე დროს, ეს ალბათ ერთადერთი შესაძლებლობა იყო, საერთოდ, თურქეთის ნახვისა. ხომ უნდა მცოდნოდა, ბოლოს და ბოლოს, ვინ დამანგრია და დამასახინრა სამუდამოდ?! მიუხედავად, ევროპისკენ [...] ლტოლვისა (მიმბაძველობისა), უფრო აზიური (ჩემი გაგებით) ქვეყანა, მაინც ძნელი წარმოსადგენია. საბრალო საქართველო აქაურებთან შედარებით – საფრანგეთია.

ოთარ ჭილაძე – „ცა მიწიდან იწყება“ (ჩანაწერები), „ინტელექტი“, 2010

ფილი თითოეულს თავის მერი ჰყავს. ორივე მერი, ვიცე-მერები – ყველანი ქართველები არიან. კარგად გვიმასპინძლეს. თამაზი ქ. გოლჯუქის

ქართველებს შეხვდა. ემაყოფილი იყო. ავჩქარდით. ბურსას მივდივართ. მაგრამ იქ, როგორც გურამ ხიმშიაშვილი იტყოდა, „მთელი პროგრამა თავდაყირა დგება“. ველარც ინეგოლში მივდივართ, ველარც ქართულ სოფლებში, ველარც ანკარაში.

– რას ჰქვია, არ მოდიხართო? – რეკავენ ხან საიდან, ხან საიდან.

საქართველოდან საელჩო მანქანას გვიგზავნის და ვბრუნდებით საქართველოში.

ვიცი, გავა დრო, თან წაიღებს ავადმყოფობას, დალლას, წვრილმან დისკომფორტს. ყველა მოგზაურობას რომ ახლავს და დარჩება სასიამოვნო მოგონება საოცარ სტამბოლზე, „მწვანე ბურსაზე“. იქ მცხოვრებ ჩვენებურებზე, უშურველად რომ გასცემენ სიტბოსა და სიყვარულს, „მემლექეთიდან მოსულ დიდრვან კაცობაზე“. დარჩება თურქულად თარგმნილი ქართველ დრამატურგთა პიესები. თამაზ ჭილაძის პიესების კრებული, ოთარ ჭილაძის „რკინის თეატრი“.

„თამაზ ჭილაძის პიესები – „ბუდე მეცხრე სართულზე“ და „როცა შუქი ქრება“ თანამედროვე მსოფლიო დრამატურგიის ბრწყინვალე ნიმუშებია. ორივე პიესა სახელმწიფო თეატრს წარუვადგინე. ერთ-ერთს უეჭველად დადგამენ. თამაზ ჭილაძის სხვა პიესებიც გვინტერესებს. ქალბატონმა ჰაჯერ ოსკანმა (ეკა ირემაძე) ზოგიერთი მათგანი წამიკითხა და ძალიან დავინტერესდი. „როცა შუქი ქრებაზე“ მუშაობისას ბევრი ვიტყვი. ვისურვებდი, პიესის პრემიერაზე სტამბოლში შევხვედროდი ავტორს. ბატონო თამაზ, თქვენ მსოფლიო მნიშვნელობისა ხართ, თვალსაწიერს გვიფართოვებთ.

პატივისცემით,
თუნჯერ ჯუჯენოღლუ“ (1997 წ.).

1990 წლის შემოდგომა იყო. ჩვენს ქვეყანას მძიმე დღეები ედგა. რუსთაველის პროსპექტზე „საუნჯეში“ ვარ. როგორც ყოველთვის, აქ ხალხმრავლობაა. ათასი სიმძიმით დაღლილ სულს „საუნჯეში“ იბრუნებდნენ თბილისელები. დახლთან ვდგავარ და წიგნებს ვათვალიერებ. ერთბაშად მომესმა, რომ ვილაც ჩემს გვერდით მდგარმა ყმანვილმა ოთარ ჭილაძის ლექსების კრებული მოიკითხა. უარი რომ მიიღო, ძალიან შეწუხდა, თვალეები ცრემლით აეესო. გამიკვირდა, ვისაც ოთარ ჭილაძე უყვარს, იცის, რომ მისი ნაწარმოებები გამოსვლიდან რამდენიმე დღეში დახლზე აღარ დევს. ის კი წლებს წინათ გამოცემულ წიგნს ეძებდა. იქნებ იცოდა კიდევ, რომ ვერ იშოვიდა, მაგრამ მაინც ეძებდა. ძალიან უნდოდა და იმიტომ ეძებდა. მისი სული განგაშის ზარებს არისხებდა და ყმანვილს თავის გადარჩენის გზა ბატონი ოთარის ლექსებში ეგულებოდა.

ლია ჩლაიძის გამოსვლიდან სტამბოლის მწერალთა კავშირში (1996 წ.).

ორი ფინჯანი

„ჩემი ადამიანები... კარგი ადამიანები არიან“

კატო ჯავახიშვილს ესაუბრება თემურ ჩხეტიანი

– მართალია, ჩვენი საუბარი ვირტუალურია, მაგრამ მოდი, ტრადიციას ნუ დავარღვევთ და რაიმე ცხელი მივირთვით. მით უფრო, რომ გარეთ ქარიანი თებერვალია და სახლშიც კი ძვლამდე ატანს ზამთრის სიცივე.

– ზუსტად ამიტომ, გარეთ რომ ქარიანი თებერვალია, ჩაის ჭაჭა მიირჩევინა, ჩვენიც. ისედაც, ყოველ დღე 100 გრამი მაქვს გამოწერილი.

– ბაბუაჩემი სვამდა ხოლმე კონიაკს უზმოზე. სასარგებლოა – ამბობდა. ისე, თქვენებური ჭაჭა ბომბივით არის, კახეთში სტუმრობისას დავაგემოვნე და ერთ ჭიქაში ისე გამაბრუა, ყველაფერი ტრიალებდა ირგვლივ. მე მწვანე ჩაის დავლევე, გურიიდან ჩამომიტანეს, ნამდვილი, ისეთი კი არა, აქ რომ იყიდება. მოდი, მომიყევი რამე შენს ვაჩნაძიანზე. როგორი სოფელია?

– ჩვეულებრივი სოფელია კახეთში. ხალხიც უბრალო, მშრომელი და ერთმანეთის მიმხედავი. ძირძველ ვაჩნაძიანლებთან ერთად ვცხოვრობთ აქ ჩამოსახლებულებიც – ლეჩხუმიდან, იმერეთიდან. ჩემი მამა-პაპა 1936 წელს დასახლებულა აქ და მას შემდეგ მოვიდვართ ასე.

– სულ მგონია, ვისაც სოფელთან ხანმოკლე შეხება მაინც ჰქონია, სხვანაირად იცის მიწის ფასი. ყველანი ხომ ისედაც მიწის ვართ, მაგრამ ასფალტიზაციამ თითქოს ეშპირია დავაკარგინა ადამიანებს. გავგაუხეშა.

– არ ვიცი, კატო... შეიძლება ასე იმეტი ჩანს, რომ სოფელ ადამიანს ნაკლებად ან გვიან ეხება ცივილიზაციის და დროის უარყოფითი მოვლენები; მიწასთან სიახლოვეც რალაცნაირად უნარჩუნებს პირვანდელ ხიბლს და უბრალოებას. მიწა ბევრს მოითხოვს ადამიანისგან და მას სხვა რამეებისთვის დრო ნაკლებად რჩება. ყოველ შემთხვევაში, ასე იყო მეოცე საუკუნის ბოლომდე. ახლა ინტერნეტის ეპოქა როგორ იმოქმედებს სოფელზე

და სოფელ ადამიანზე, ამასაც დრო გვიჩვენებს.

– ამ სუროგატებით გაჟღენთილ და უჰაერო სივრცეში სოფელი მაინც თავშესაფრად რჩება ჰაერის მოყვარული ადამიანისათვის. დილით, თვალის გახელის შემდეგ, ჩემი უძილო თვალების ფოკუსში საავადმყოფოს მაღალი კედელი ექცევა ხოლმე, რომელიც ყოველ დღე მიმალავს მზეს და მერე მთელი დღე დამაქვს ეს შეგრძნება უმზეობის ჩაკეტვის. უჰაერობის.

– აქ გარეთ მზეა, მაგრამ ცივი ქარია და შინ ჯდომა სჯობს. სარკმლის გადაღმა წყნარი ქუჩაა – მანქანებიც დადიან, მაგრამ მათი ხმაური არ მანუხებს. ქუჩის იქითა მხარეს ისევ ის სახლია... სახლი, რომელიც ნახსენები მაქვს ლექსში „სახლი ქუჩის გადაღმა“.


– „გაიხედავ და მკაფიო ჩანს:

მხოლოდ კედლები და სახურავი შემორჩენია“... თითქოს იქით გახედვისაც კი გეშინია ადამიანს... ამასწინათ, მე და გიორგი კეკელიძე ვსაუბრობდით. საუბრისას აღვნიშნეთ, რომ ჩვენი ბავშვობის უმეტესი ნაწილი წავშალეთ საკუთარი ცნობიერებიდან, ცხოვრებიდან, მომავლიდანაც კი. უცებ, ამ სახლივით წარმომიდგა წინ ჩვენი ბავშვობა.

– ეს საკმაოდ მტკივნეული თემაა ჩემთვის, მაგრამ შენთან მაინც ვისაუბრებ. ჩემთვის ბავშვობაში დასმული დიაგნოზი – ცერებრალური დამბლა – ერთგვარი განაჩენი იყო: მე თითქოს თავიდანვე განწირული ვიყავი... ფეხი 5 წლისამ ავიდგი. მერე 6-დან 13 წლამდე სანატორიუმში ვიზრდებოდი – სურამში. სწავლაც იქ დავინწყე. მე-7 კლასიდან უკვე სოფლის სკოლაში გავაგრძელე სწავლა. მიჭირდა სიარული, მეტყველებაც, მაგრამ მასწავლებელთა კეთილგანწყობით და თანაკლასელთა თანადგომით სწავლა არ გამჭირვებია. წიგნი და კითხვა იმთავითვე მიყვარდა, თუმცა



დღეს უცნაური საღამო მაქვს. ჩემი სტუმარი პოეტი თემურ ჩხეტიანია. ადამიანი, რომელმაც ჭადრაკის დაფაზე გაათამაშა თავისი ცხოვრების დრამა და ზედიზედ ბევრი პარტია მოიგო. მე ის არასდროს მინახავს, თუმცა კი დიდი ხანია ვიცნობ. დანარჩენს კი, ჩვენი დიალოგიდან შეიტყობთ...



ლექსებს, საერთოდ, იშვიათად ვწერ. ლექსიდან ლექსამდე შუალედი... ვჩერდები და ისევ პაუზა... ისევ მოლოდინი. მერე შეიძლება რამდენიმე ლექსიც დამეწეროს მიყოლებით, მაგრამ ეს დიდხანს არ გრძელდება. ამჟამადაც ასეა: ისევ ველოდები როდის მომიფრინდება სათქმელი ისე, რომ მისი ლექსად ქცევა შეიძლებოდეს. ძნელია ასე ლოდინი. ძნელია ასეთ სიცარიელეში ყოფნა და უნდა შევეცადო, შევაფასო რაიმეთი. გადავწყვიტე დავიწყო პატარ-პატარა ჩანაწერების კეთება – უბრალოდ, რაც თავში მომივა ან წამომავიწყდება, იმას მოვიწინააღმდეგავ. ამის გამოცდილება მაქვს. თავის დროზე რვეულებში ვინერდი რაღაც-რაღაცებს. მოგვიანებით იმ ჩანაწერებიდან ზოგი ლექსებადაც გარდაიქმნა... ასე, რომ ვწერთ ეს „რაღაც-რაღაცები“ და დაველოდოთ ლექსებს!..

თემურ ჩხეტიანი

ლექსს და პოეზიას მხოლოდ სკოლის დამთავრების შემდეგ, სტუდენტობის წლებში გავუგე გემო. უნივერსიტეტის საალრიცხვო-ეკონომიური ფაკულტეტი დავამთავრე 1978 წელს. პროფესიით მხოლოდ მცირე ხნით ვმუშაობდი. არ მიზიდავდა ჩემი საქმე და საზოგადოებასთან ურთიერთობაც გამიძინელდა. ჰოდა, შევეშვი...

– **ამ ყველაფრის მიუხედავად, ამხელა ადამიანური თუ ლიტერატურული რესურსი ძალიან დიდი გმირობაა, თემურ... ცხოვრება საომარი ადგილია, სადაც ხშირად ჭურვები ცვივა და ჩვენ, ფრთამოტეხილებს გვინწევს გადარჩენისთვის ბრძოლა. ნაპოლეონს აქვს ასეთი ფრაზა: „საომარი მოქმედებების ადგილი არის გენერლის ჭადრაკის დაფა, სწორედ მისი არჩევა ავლენს მხედართმთავრის ნიჭს ან უგუნურობას“. ყველას ხომ ჩვენ-ჩვენი გვაქვს ეს დაფა და მასზე ხშირად დრამაც თამაშდება და კომედიაც.**

– ჭადრაკი ჩემი ყმანვილობისდროინდელი გატაცებაა. ვერ ვიტყვი, რომ სათანადო ნიჭი მქონდეს, მაგრამ ჭადრაკისადმი სიყვარულს უკვალოდ არ ჩაუვლია და მოგვიანებით კომპოზიციაში ჩემი მუშაობით გამოიხატა. შედეგად – 200-ზე მეტი პუბლიკაცია მსოფლიოს საჭადრაკო გამოცემებში და ადგილი საქართველოს ნაკრებში... ჭადრაკი მხოლოდ მის არმცოდნეთათვისაა შავ-თეთრი. ვინც იცის, ის დამეთანხმება, რომ ასე არაა და ამ სამყაროშიც თავისებური ფერებია. ცხოვრებაში კი იმდენი ფერია, რამდენის ალქმა და წარმოდგენაც ადამიანს შეუძლია. ამ სფეროთი ბევრი ლიტერატორი იყო დაინტერესებული. არსებობს ტერმინი „მიუსეს შამათი“; ვლადიმერ ნაბოკოვს აქვს წიგნი, სადაც მისი ლექსები და საჭადრაკო ამოცანები ერთადაა თავმოყრილი. საჭადრაკო კომპოზიციას საჭადრაკო პოეზიასაც უწოდებენ.

– **არის ჭადრაკში პოეზია, რა თქმა უნდა. და არა მარტო. ცხოვრებაც. ის კი მრავალღაბრიანითიანი დერეფანია, საიდანაც გამოსასვლელი კარის ძებნისას ყოველთვის სხვადასხვა ოთახებში ვხვდები. და რაღაც არ მგონია, ეს ჩემი არჩევანი იყოს.**

– ადამიანს აქვს არჩევანის უფლება.

კი, არსებობს განგება და ბედისწერა, მაგრამ თვითონ ადამიანსაც მიანიჭა ღმერთმა ნება და უფლება გზის არჩევისა. გახსოვს ფროსტის ლექსი ორი გზის შესახებ? და დასკვნასავით: მე იმიტომ ვარ დღეს ასეთი, რომ მაშინ მაინცდამაინც ეს გზა ავირჩიეო. შეიძლება ვიფიქროთ, რომ პოეზია ჩვენი არჩევანია, მაგრამ ბედნიერება იქნება, თუ გაირკვევა და დადასტურდება, რომ სწორედ პოეზიამ აგვირჩია ჩვენ. ჩემთან ეს არჩევანი ცოტა გვიან მოხდა – ლექსების წერა ფაქტობრივად 26 წლის ასაკში დავიწყე (სტუდენტობის დროინდელ ორიოდე უსუსურ ცდას არ ვთვლი). სხვათა შორის, მერე რილკეს წერილებში რომ ვნახე ასეთი ფრაზა: „არ შეცდეთ და არ დაინყოთ ძალიან ადრე“, მენიშნა და გამიხარდა. ეს ნათქვამი ალბათ იმასაც გულისხმობს, რომ არც ცალკეული ლექსი არ უნდა დაიწყოთ ავტორმა ძალიან ადრე და რომ ლექსის იმპულსიდან მის დაწერამდე რაღაც დრო უნდა გავიდეს. რაღაცის მონიშვნა, ცხადია, შეიძლება.

– **რა თქმა უნდა. თუმცა მე მაინც მგონია, რომ ისეთი კაზუსიც არსებობს, რომელთანაც განგება ხშირად თავად იქცევა შემთხვევად და ადამიანს არჩევანის უფლებას ართმევს. სამყაროს ჩვენიული ალქმა იქნება სულაც არ შეეფერება სინამდვილეს... იქნებ სამყარო სულაც ჩვენი სიზმარი არის და მაშინ, როცა ჩვენ ნამდვილად გაგვეღვიძება, აღარც კი დაგვხვდეს.**

– არიან ადამიანები, ვისთვისაც პოეზია ვერც ვერაფერს გაართულებს და ვერც ვერაფერს გაამარტივებს – ეს პოეზიის გარეთ მყოფი ხალხია და, რა გაეწყობა? რაც შეგვეხება ჩვენ, ვინც ერთხელ „მოვწამლულვართ“ ამ ულამაზესი სანამლაავით (ელა გოჩიაშვილს დავესესხები) და ველარ შევეშვებით, განა ცხადი არაა, რომ ეს ჩვენი მასულდგმულებელია, ჩვენი მეორე სინამდვილეა, ურომლისოდაც ძალიან გაგვიჭირდებოდა?! ჩემთვის სინამდვილეა ყველაფერი, რაც გარშემოა და ჩემზე ზემოქმედების უნარი გააჩნია. იქნება ეს ერთი ჩვეულებრივი დღე თუ ხსოვნიდან წამოფრენილი მელოდია ან ლექსის სტრიქონი. მთავარია, მე ვგრძნობდე ამ დღეს, ამ მელოდიას, ამ სიტყვებს. ცხოვრება კი... ცხოვრება ისედაც რთულია, პოეზიით მას ვე-

ღარ გავართულებთ. პოეზიით ჩვენ უფლებას ვიტოვებთ, გვექონდეს სხვა სამყარო, დაე, ილუზორული თუ ვირტუალური, მაგრამ ისეთი, რომელსაც ვერ შეგვეცილებიან.

– და კიდევ კარგი, რომ ეს სამყარო არსებობს. ხშირად ადამიანებს ვუყურებ, ვუსმენ და ვფიქრობ, როგორ არ უნდა ვიყო მე, როგორ არ უნდა ვფიქრობდე, როგორ არ უნდა ვიქცეოდე, რომ რამენაირად გადავრჩე. ჩემი სრულიად არაპოეტური სამსახური ერთ-ერთი ის ადგილია, სადაც ჩემი პოეზია ისეთივე ზედმეტია, როგორც პოეზიაში შეიძლება ელექტროობა იყოს. თუმცა, ასევე ის ადგილიც არის, სადაც ადამიანები გადარჩენისთვის იბრძვიან. და ამ ორივე სამყაროს, თავისი უამრავი ტკივილითა თუ სიხარულით, ადამიანები აბალანსებენ. ადამიანები, რომლებზეც ვზრუნავთ, გვიყვარს, გვჭირდება...

– ამაზე უსასრულოდ შემძლია ვილაპარაკო... ოჯახის წევრებიდან და სკოლის მერხის მეგობრით დაწყებული, აგერ ფეისბუქელ მეგობრებამდე. ჩემი ადამიანები... კარგი ადამიანები არიან. მთავარი მაინც სიყვარულია. მყავს და, ნინო და ძმა ზურაბი. რძალი ნუნუ და გადასარევი ძმისშვილები: რუსიკო და ირაკლი. ზამთარს მათთან ვატარებ ხოლმე. მყავს კარგი მეზობლები სოფელში – ბევრი მათგანი ნამდვილი კოლორიტია!.. რაც შეეხებათ მეგობრებს, ბევრი კარგი მეგობარი მყავს: ბავშვობიდან და სოფლიდან მოყოლებული, ლიტერატორი მეგობრებით დამთავრებული. რეალობა არცთუ მრავალფეროვანი მაქვს და ინტერნეტით გაცნობილი ადამიანები ლამის რეალურები გახდნენ ჩემთვის. ბევრი მათგანი გულწრფელად მიყვარს. შენი? ვინ არიან შენი მეგობრები?

– მეგობრები? მეგობრები ის ადამიანები არიან, რომლებიც ვიცი, მიყუდებისას რომ არ ჩამოინგრევიან... ჩემი კედლები. მოდი, შენს წიგნებზე მომიყევი, მათ დაბადებაზე. მე კი ამასობაში კიდევ ერთ ფინჯან მწვანე ჩაის მოვიტან.

– კარგი. ჩემი პირველი წიგნი „სალამოს ფოსტა“ 1987 წელს გამოიცა. წიგნი ერქვა და გარეკანზეც ასე ეწერა: „მწერლის პირველი წიგნი“, მაგრამ რა წიგნი ის იყო? – როტაპრინტზე დაბე-


ჭდილი და სახელდახელოდ აკინძული რამდენიმე ფურცელი. მაინც გამიხარდა. საინტერესოა, რომ ჰონორარი მხოლოდ ამ წიგნისთვის მაქვს მიღებული. ჩემი მეორე და მესამე კრებულებიც გამომცემლობა „მერანმა“ დასტამბა. მაშინ დირექტორი გურამ გვერდნითელი გახლდათ, მთავარი რედაქტორი კი გივი ალხაზიშვილი. ორივე ამ კრებულის რედაქტორი ზვიად რატიანი. მაშინ დაიწყო ჩვენი მეგობრობაც. თუ ეს კრებულები რამენაირად კარგია, ამაში თავიანთი წვლილი ამ ადამიანებსაც მიუძღვით. გამომცემლობა „დიოგენემ“ 2006 წელს გამოსცა „ფოთლების პასიანსი“. შარშან, „დიოგენეშივე“ დაიბეჭდა ჩემი მეხუთე კრებული „უადრესათოდ“... ამ კრებულების რედაქტორი ანა ჭაბაშვილი გახლავთ – არაჩვეულებრივი ქალბატონი და ლიტერატორი. წიგნი იმპულსურად იწერებოდა. ლექსიდან ლექსამდე საკმაო პაუზებიც მქონდა და ბოლომდე არ ვიცოდი, როგორ სახეს მიიღებდა. მერე... მოხდა რაღაც, რამაც რამდენიმე ლექსის დაბადება განაპირობა და ამ ყველაფერმა წიგნის სახე მიიღო.

– და არაჩვეულებრივი წიგნისაც, ჩემს თაროზე საპატიო ადგილი რომ უჭირავს...

– კატო, ეს ხომ დიალოგია და აქვე მინდა გკითხო: რას იტყვის პოეტი კატო ჯავახიშვილი ქართულ თანამედროვე პოეზიაზე და წინა თაობის პოეტთა შესახებ?

– ჩვენ, 2000-ელების თაობას, საკმაოდ კარგი და მყარი ნიადაგი დავგვხვდა ლიტერატურული თვალსაზრისით. 60-იანელებიდან დაწყებული, ძალიან ბევრი კარგი პოეტი დაბადა მეოცე საუკუნის მიწურულმა. ლიტერატურული გარდატეხების პერიოდი, კატაკლიზმების. ბევრი რამ გადაფასდება და მარადიული თემების ახლებური, ინოვაციური ინტერპრეტირების საკითხი, მგონია, რომ უფრო აქტიურად იქნება დასმული.

– მიუხედავად მძიმე პოლიტიკური და სოციალური ფონისა, მეც მიმაჩნია, რომ თანამედროვე ქართული ლიტერატურა მაინც მაღალი დონისაა. განსაკუთრებით მიხარია ის, რომ ახალ თაობაში ასეთი ხალხმრავლობაა – ბევრი საინტერესო სახე და სახელია ჩვენს წინაშე პროზაშიც და



ერნსტ ბლოხი

ძლოა, ერნსტ ბლოხმაც. ეს წმინდა ვარაუდებია.

ხელოვნება გვეცლის?... „ცვლილება“ საერთოდ ის საკითხია, უპირველეს, ყოვლად საეჭვო და საზარელ შეკითხვათა რიცხვს რომ ეკუთვნის. რას ვგულისხმობთ ცვლილების ცნებით და რატომ ვითხოვთ ცვლილებას ხელოვნებისაგან? რადგან, რაღაცას რომ ვითხოვთ, ეს ნათელია. ხელოვნებაში ხომ უკვე იმდენჯერ გამოიწვალა ბინა, ღვთის სახლიდან იდუალთა საცხოვრისში გადაინაცვლა, house beautiful!-იდან bateau ivre-ზე ავიდა, იქიდან გზისპირა თბრილში გადაეშვა, – შიშველ სინამდვილეში, როგორც ამას უწოდებდნენ, შემდეგ კვლავაც დაუბრუნდა ოცნების სავანესა და კიდულ ბაღნართა ტაძარს, სისხლისა და ნიადაგის სურნელით გაჯერებულ ფსევდომისტიკურ ჰაერს, ბოლოს კი ჰუმანურობის სახლსა და პოლიტიკის შტაბ-ბინას მიაშურა. გეგონება, ვერსად პოულობსო სიმშვიდეს, ვერც ერთ თავშესაფარს ვერ გუობს. ერთხანს ყურს უგდებს და ასრულებს კიდევ ბრძანებებს, ერთ მშვენიერ დღეს კი ახალ მოხმობას მიჰყვება. ესაა მისი უცნაური სვლა, მისი მოძრაობა.

რამდენი ხელწიგნება ხელოვანს, ვისაც რაღაცის შეცვლა სწადია? აი, კიდევ ერთი შეკითხვა. მისი დრამა მხოლოდ დღესდღეობით გამოჩნდა სრულად: რაკილა ადამიანებისა და სამყაროს მთელ ჭირვარამს მზერით მოიცავს, შეიძლება კიდევ გვეჩვენოს, რომ ამ უბედურებას მიესალმება და განზრახვის აღსრულებას განგებ აყოვნებს. ის წინდანინვე ხელმოცარულია, თითქოს რასაც ცვლის, ყოველივე უცვლელად რჩება. ვხედავთ, პირზე დუჟმოდგარი როგორ იღვწის და მდუმარედ ვუკრავთ ტაშს. არავითარი ცვლილება – გარდა ამ საბედისწერო ტაშისა. მე მგონია, ასე, თამამ-თამამით ხელოვანმა

¹ „მშვენიერი სახლი“ (ინგლ.).
² „მთვრალი ხომალდი“ (ფრანგ.).

გაგრძელება 59-ე გვერდზე

პოეზიაშიც. მე იმედი მაქვს, თქვენი თაობა ბევრს და ღირებულს შესძენს ქართულ ლიტერატურას.

– ვნახოთ, დრო გავა, ან ჩვენ გადაგვაგებენ გზად მასზე, ან თავად გადაგვაგება ასფალტად.

– დრო იქნებ უზარმაზარი ფირფიტაა, სადაც ყველაფერია ჩანერილი და ჩვენი ანმყო მხოლოდ პანია ნემსია, ახლა რომ ფირფიტის რაღაც ნერტილშია და დღევანდელ ხმებს გამოსცემს...

– ამ ძაფს თუ გავყვებით, შეიძლება ისიც კი ვიფიქროთ, რომ ეს ყველაფერი აბსურდია და ანმყო, როგორც დროის განსაზღვრება, საერთოდ არ არსებობს ცნობიერებაში. ხშირად მიფიქრია, არჩევანის უფლება რომ მქონოდა, სად დავიბადებოდი, ვინ ვიქნებოდი...

– იქნებ ერთი შენი ფიქრთაგანი გამიმხილო ამაზე და მეც შევეცდები გიპასუხო.

– მიფიქრია, ვყოფილიყავი ბოშა, გავყოლოდი ქარავანს, ფეხშიშველი და საერთოდ არ მეფიქრა იმაზე, თუ რა იქნებოდა ხვალ, მაგრამ ანმყო, ეს პანია ნემსი, უფრო ძლიერია ვიდრე ნებისმიერი თეორია და ილუზორული წარმოსახვა დროში მოგზაურობაზე.


– რატომ მაინცდამაინც ბოშა და არა, ვთქვათ, კლეოპატრა ან მარიამ სტიუარტი?

– ალბათ იმიტომ, რომ ვალდებულებებს გავურბივარ.

– და თავის მოკვეთისაც გეშინია. მე არ ვიცი, რომელ დროში და ვის გვერდით ვისურვებდი ყოფნას. ბევრი იმდენად ძვირფასი ადამიანი შემხვდა ცხოვრებაში, რომ მათ უბრალოდ ვერ შეველევი. ბედია თუ ბედისწერა, ეს ჩემი დროა, თუმცა ამ დროშიც ალბათ მქონდა არჩევანი და ვერ გამოვიყენე.

– ჩვენ, ადამიანებს. ნამცეცები გვხვდება იმ მწარე შოკოლადის ტორტიდან, რომელსაც ცხოვრება ჰქვია. ზოგს უფრო მეტი, ზოგს ნაკლები. ზოგისთვის ის ცოტაც საკმარისია და ზოგიერთს კი ბევრიც არ ყოფნის. აი, მაგალითად, ის, რაც ჩემთვის ბედნიერებაა, იქნებ სხვისთვის ერთი უმნიშვნელო ცხოვრებისეული ეპიზოდი აღმოჩნდეს. როგორია შენი ბედნიერება, თემურ?

– ჩემი ბედნიერება ბედნიერებაზე ფიქრი და მისკენ სწრაფვაა, კატო. ძნელი გზაა და ბევრი ტკივილიც მხვდება ამ გზაზე, მაგრამ რას ვიზამ?... ისე, ბედნიერების განცდა მაინც პიროვნულია, რა თქმა უნდა. ბედნიერებაა საყვარელ ადამიანთან ყოფნაც და კარგი მუსიკის მოსმენაც... ბედნიერი ვარ, როცა ლექსი უკვე არსებობს ჩემში და დროა საწერ მაგიდასთან დავჯდე და დაწერო... გეთანხმები, ჩვენ, ადამიანებს ალბათ მხოლოდ ნამცეცები თუ გვხვდება იმ დაკარგული ბედნიერებიდან, რომელსაც სამოთხე ერქვა. ვინ იცის, ბედნიერება იქნებ სწორედ სამოთხის ხსოვნაა და სხვა არაფერი...



„ინტელექტი“ ბთავაზოვთ

ირაკლი ჯავახიაძე
„სამი ძველი მოთხრობა“

ირაკლი ჯავახიაძის მოთხრობებს მკითხველი კარგად იცნობს. ამ მწერალმა გამოჩენისთანავე მიიპყრო ყურადღება და მკითხველს თავი ნამდვილი, ადამიანური ამბების თხრობით დაამახსოვრა.

კრებულში შესულია მოთხრობები: „კოლია“, „თავიდან ბოლომდე მოგონილი ამბავი“ და „ადამიანი ზერო“.

ამ მოთხრობების გმირებში ნებისმიერმა ჩვენგანმა შეიძლება ამოიცნოს თავი, ნაცნობი ტკივილებით, მარცხითა და გამარჯვებებით, სიყვარულითა და უსიყვარულობით. ირაკლი ჯავახიაძე კარგი მთხრობელია, მისი ამბის შინაგანი ენერგია მუდამ გადამდებია და მთამბეჭდავი.

უკვდავი სახელები

მაია ცერცვაძე

დავით ჭავჭავაძე და მისი ოჯახი ელისაბედ
ერისთავის მოგონებებში

მოგონება ე. ე. ერისთავისა 13258-ბ

ჩემო გაცნობა ბიძა[+ჩემი]ს დავით ჭავჭავაძისა და მისი სახლობისა.


რა ბედნიერათ ვსახამდი ჩემ[ს] თავს[ს], რომ ველირსებოდი მამი[+ჩემის] გულით და სულით საყვარელ[ი] ბიძის¹ სახლობის გაცნობას. რასაკვირველია[ს] რამდონიმე დღის შემდეგ ბიძა[+ჩემი]² თავის ქალებით³, ჩემი და ნინა ქობულაშვილისა⁴ და მისი ქმარი⁵ ნავედით წინანდალს. რა მშვენიერი მდებარეობა აქვს წინანდალს და განსაკუთრებით ბიძი[+ჩემის] სასახლეს[ს], ბაღს და ვენახს. ეხლანდელი სასახლე[ს] რასაკვირველია[ს] შამილმა⁶ რომ დაწვა[ს] იმის ნანგრევებ[ს] ვზე იყო[ს] აშენებულ⁷. ანა ილინიშნამ⁸ და ბიძა[+ჩემმა] ძალიან სიამოვნებით მიგვიღეს და მაშინათვე ვუაღებო მოგვხნეს[ს] აბა[ს] კარგათ გა[გ]შინჯოთო[ს] როგორები ხართო. სადილათაც არ გამოგვიშვეს. დიდათ გამხიარულდა ბიძა[+ჩემი] და ჩვენც ვისიამოვნეთ იმათი ხილვით. იმათ შვილებში წინანდალში იყვნენ კაკო⁹, ნასტინკა¹⁰, სანდრო¹¹ და ილიკო¹², დანარჩენები¹³ — თბილისში. კაკო[ს] ზაქარია ჭავჭავაძის¹⁴ მეუღლე[ს] დიდი ჭკუის პატრონი[ს], დიდი სასიამოვნო ადამიანი[ა]. ნასტინკა[ს] შემდეგში კიკო ჩალაყაშვილის¹⁵ ცოლი[ს], ერასტის¹⁶ ძმისა[ს] სახე მშვენიერი რამე. ილიკო ძალიან ლამაზი[ს] მშვენიერი მომღერალი. ალექსანდრე ვაჟკაცური შეხედულობისა[ს] მოსული[ს] შავგრემანი[ს] მშვენიერათ გაზ[რ]დილი საფრანგეთში. დედამ წაიყვანა დიდი ავანტიურა[ს] არ ეგონა[ს] რომ როდისმე ის ადამიანათ იქცეოდა[ს] მა[გ]რამ რომ[მ] მოვიდა[ს] ვერც კი ვერავინ შეამჩნევდა[ს] რომ ეს კაცი დიდი ავანტიურა იყო. ჩვენსა ხშირათ დაიარებოდა[ს] ჩემ[ს] დას ნინას შახმათს ეთამაშებოდა ხოლმე. Онъ былъ законодателемъ моды: მშვენიერათ იცამამდა[ს] შავი ჩერკესკა[ს], თეთრი არხალუხი და ქართული ხმალი სუყოველთვის ერტყა და ეტყოდა ხოლმე: ყმანვილებო[ს], ქართული ხმალი ყოველთვის გერტყა[ს]თ[ს], მხოლოთ სახლში მოიხსენითო[ს]. ბოლოს შეირთო ცოლათ შაქრო მაგალოვის¹⁷ და თიკო¹⁸. სადილი აივანზე ვჭამეთ[ს], რომელიც იყო გ[რ]ძელი და ძალიან განიერი. სადილი[ს] შემდეგ ბიძა[+ჩემმა] მიმიყვანა თავის შკავთან და მაჩვენა თავისი ბიბლიოთეკა[ს]. აიო[ს] ნიგნები[ს], რამდენიც გინდა[ს] წაიღე ხოლმეო. ბიძაჩემი დღითიდღე ელოდა პეტერბურლიდგან ამბავს — წინანდლის გაყიდვის გადაწყვეტილობაზე ამბავს¹⁹. რა[+საკვირველია[ს], დიდი შესაწუხარი იყო ამის ამბის გადაწყვეტილობა[ს], მა[გ]რამ რა გაეწყობოდა[ს], მდგომარეობა იყო იმისთანა[ს], რომ იძულებულები იყვნენ[ს] გაეყიდნათ[.]. ვალები ბევრი ჰქონდათ[.]. ამასთან თ[ვ]ითონაც გრძნობდა[ს], რომ მალე მისი ახსასრულიც მოვიდოდა და შვილებსაც უნდოდა დაბინავება. იმ ზაფხულს რამდენჯერმე ვნახე ბიძა[+ჩემი] და მერე რომ დავბრუნდი გორში[ს], იმ ზამთარს გარდაიცვალა²⁰. წინანდლის გაყიდვა დამთავრდა კარგათ[.]. ვალები გაისტუმრეს[.]. შვილებმაც მიიღეს თითომ 50,000 და ილიკომ კი იყიდა დილიჯანში მშვენიერი ფერმა განუსევიჩისა[ს] ბალით[ს], ტყით და ყოველისფრივ შემკულ[ს] და ანა ილინიშნა [თ]ავისი რძლით[ს], ილიკოთი და ორი შვილიშვილებით გადავიდნენ იქ საცხოვრებლად[.].

ერთხელ გრაფი სალაგუბი²¹ ეწვია ბიძაჩემს[ს]. დიდხანს იყო[.]. კარგათ ისიამოვნა[ს]. მერე ქობულაა[ნ]თ დაჰპატიჟეს და რომ გამოვიდა აივანზე და ალაზნის ველებს გადახედა[ს], სთქვა:



საქართველოს გიორგი ლეონიდის სახლობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა კოლექციაში დაცულია 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მეთაურის, ელიზბარ ერისთავის უმცროსი ქალიშვილის, ელისაბედ ერისთავის (1864-1849) საინტერესო მემუარები. ისინი მნიშვნელოვან წყაროდ გვესახება მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოების ისტორიის შესწავლისათვის. მოგონებებთა ავტორი იხსენებს ხუთსამდე პირს, ქართული არისტოკრატისა და ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლებს, რომელთა წრეშიც უხდებოდა მსცხოვრება და რომლებიც დიდ როლს თამაშობდნენ ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ პირთა შორისაა ალექსანდრე ჭავჭავაძის ვაჟი დავით ჭავჭავაძეც.

დავით ჭავჭავაძე დაიბადა 1817 წლის 15 აგვისტოს. ერთადერთ ვაჟს მშობლებმა სათანადო სამხედრო განათლება მისცეს. მან პეტერბურგის პოდპრაპორშჩიკთა სკოლა დაამთავრა. 1834 წელს ულანთა პოლკის უნტერ-ოფიცერი. 1838 წელს, 21 წლის ასაკში, გახდა ოფიცერი. 1839-1840 წლებში მსახურობდა ფსკოვის კირასირთა პოლკში. 1840 წლიდან მსახურობს კავკასიაში, გენერალ-მაიორ ნ. რაევსკის რაზმში, 1841 წლიდან – ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში. 1843 წელს მონაწილეობს შამილის წინააღმდეგ მოწყ-



ობლ ექსპედიციამი. 1844 წელს დაინიშნა შტაბს კაპიტნად, 1847 წელს კავკასიის მთავარსარდლისა და მეფისნაცვლის მ. ვორონცოვის ადიუტანტი გახდა. 1851 წელს მცველთა გრენადერთა პოლკში გადაიყვანეს. 1854 წელს გახდა კავალერიის ლეიტენანტ-პოლკოვნიკი. ყირიმის ომის დროს 1853-1856 წლებში ხელმძღვანელობდა კახეთის დაცვას შამილის არაზმებისაგან. თავი გამოიჩინა შილდის დაცვის დროს 1854 წლის ივლისში, რისთვისაც პოლკოვნიკის და მეფის ფლიგელ-ადიუტანტის წოდება მიიღო. 1856 წლიდან თბილისის ეგერთა პოლკში მსახურობს, 1861 წლიდან გენერალ-მაიორია, შემდგომ იმპერატორის ამაღლამია. თავდადებული სამსახურისათვის დაენიშნა პენსია 12 წლის ვადით და გადაეცა უამრავი ჯილდო. სამხედრო სამსახურიდან გადადგომის შემდეგ დავითმა ოჯახური საქმეების მართვა და საგვარეულო ტრადიციების გაგრძელება გადაწყვიტა. დავითი, როგორც მამამისის ერთადერთი მემკვიდრე მთლიანად განაგებდა ალექსანდრეს მამულს და მუდმივ საცხოვრებლად წინანდალი აერჩია.

დასასრული მე-60 გვერდზე

Вот Алазань долина, скалы,
Кругомъ леса и чудный видъ[.]
А тамъ направо Цинандали[.]
Где блаженствуетъ Давидъ!.

ბოლოს ხანებში მწუხარებით შეეყურებდი ხოლმე რიყეს და წინანდლის ხევის ნაპირებს[.] სადაც იდგა საყდარი[.] რომელშიაც დაინერა ჯვარი წინა გრიბაედოვამ²²[.] როგორ ნელ[-]ნელა ინგრეოდა. ზაფხული გავატარე კახეთში. ჩამოვედი თბილისში ჩემ[ს] დეიდა სოფიო ორბელიანთან²³, რომელმაც მითხრა[.] მთავრინაო[.] მამიდაშენი ეკატერინა დადიანისაო²⁴ ჩამობ[რ]. ძანებულაო და ნავალ[.] ვნახამო და მერე შენც ნაგიყვანო. დეიდაჩემი წავიდა. რო[მ] დაბრუნდა[.] დიდი შეწუხებული იყო. ეკატერინე ვნახეო[.] ძალიან გამოცვლილი[.] დიდი ავათმყოფიო[.] კონ[ს]ულიუმი აქვთო ექიმებსაო[.] მე დიდათ შევწუხდი[.] რასაკვირველია[.] აღარ მეღირსა მისი ნახვა და მეც მალე დავბრუნდი გორში[.] სადაც მელოდებოდა ჩემი მშობელი და ბევრნი ჩემი სულით და გულით მეგობარნი ბიძაშვილები[.] ჩემი ბედნიერი დღეების და სიყმაწვილის მეგობარნი.

ელისაბედ ელიზარის ასული ერისთავის მოგონებანი 13265-ხ (ვრამეგნტი)

„... მეორე დღეს წავედი წინანდალში ბიძა[+]ჩემ დავით ჭავჭავაძესთან. ეს დიდი კაცი იდგა მართლა დიდებურათ. ბიძა ჩემ[მა] და ანნა ილინიშნამ სიამოვნებით მიგვიღეს. ბიძა[+]ჩემმა გვიბ[რ]ძანა[:] აბა[.] ქალებო[.] [ვ] უალბები მოისხენითო[.] გა[გ]შინჯოთ[.] როგორები ხართო[.] რასაკვირველია[.] იმიტომ უფრო[.] რომ დავრჩენილიყავით იმათთან სადილათ. ბევრი რამ გამოგვ[კ]ითხა სწავლაზე[.] ჩვენ[ს] ცხოვრებაზე[.] მერე ნამიყვანა[.] თავისი ბიბლიოტეკა მაჩვენა[.] როცა გაიგო[.] რომ მე მთელი ზაფხულით ჩემ[ს] დასთან დავრჩებოდი და მითხრა[.] აიო[.] რამდენიც გინდა[.] წიგნები წაიღეო და იკითხეო. მისი შვილები იქ იყვნენ[:] ილიკ[ო], ნასტინკა, და წინა²⁵ და სანდრო[.] ყველანი დიდათ აღზ[რ]დილნი და ლამაზები. მე დიდი ბედნიერი ვიყავი იმათ[ი] გაცნობით. დანარჩენი შვილები გავიცანი თბილისში[.] ე.ი.[-] სალომე ოსტენ საკინისა[.]²⁶ კაკო ჭავჭავაძისა[.] ასტაფიევისა²⁷ და თამარა გრუზინისკისა.²⁸ თამარი რომ დაქვრივდა[.] ერთი ორი წლის შემდეგ[.] როგორც აქ[ექ]უნმა და ბიძამა ბარონ ნიკოლაიმ²⁹ ურჩია თამარას[.] თავისი ქალები წაეყვანა სამძღვარგარეთ და იქ მიეცა სწავლა[-]განათლება. პირველათ თამარი წავიდა დრეზ[დ]ენში და დიდათ იყო მიღებული იქაური მფლობელისაგან და მის[ი] ოჯახობისაგან. მე რომ კახეთიდან დავბრუნდი თბილისში დეიდა[+]ჩემ სოფიოსთან[.] დეიდა[+]ჩემმა მითხრა: “დღესაო მთავრინა ეკატერინა დადიანისა ჩამოსულა ავათმყოფი[.] ბიძა[+]ჩემ გრიგოლთან³⁰ ჩამოხტაო[.] ნავალო იმის სანახავათაო და მერეო შენც ნაგიყვან მამიდაშენის სანახავათაო; მა[გ]რამ[.] ჩემდა სამწუხაროთ[.] არ მეღირსა იმისი ნახვა. რადგანაც დეიდა[+]ჩემი დაბრუნდა დიდი შეწუხებული და ნამტირაღევი[.] მითხრა[.] ეკატერილე დიდი ავათმყოფი არისო და ეხლა კონსილიუმი ექნებათო ექიმებსაო. ასე რომ[.] მე მალე წავედი გორში და იქიდან კარალეთში[.] სადაც მელოდნენ ჩემი ძვირფასი მეგობრები და ბიძაშვილები. მით უმეტას[.] რომ უფროსი ქალი და სიკვდილამდინ ჩემი მეგობარი³¹ თხოვდებოდა დიმიტრი ამილახვარზე[.]³² ხელ[მ]წიფი[ს] კანკოი[ს] ნაჩაღნიკზე. თამარა გრუზინისკისა[მ] ათი წელიწადი იცხოვრა ვენეციაში[.] როცა ქალებმა გაათავეს პარისში ბრწყინვალეთ საკრეკერის ინსტიტუტი[.] სადაც ელისაბ[ედ] ირაკლის ასული³³ იყო მარმარილოს ასპიდზე ვარაყით ჩანერილი[.] როგორც უპირველ[ეს]ი მონაფე[.] გათავების უმაღლე ვენეცია-

შია ათი წლით დასახლდნენ. ათი წლის შემდეგ აქ ჩამოვიდნენ. საზოგადოება ამ ახტაცებით მიიღეს[,] მთელიმა საზოგადოებამ. ყოველ დღე ვეჩერები[,] სადილები იმართებოდა[,] რომ ეს იამოვნათ. პირველი ვეჩერი თ[ვ]ითონ თამარმა გამართა[.] რა სიამოვნება და აღტაცება იყო[,] როდესაც თამარმა თ[ვ]ითონ დაუკრა დაირა და კაკომ³⁴ მშვენიერი ლეკური ითამაშა. ყველა ყმანვილი კაცები აღტაცებაში იყვნენ და დიდათ მოსწონდა[თ] ორივე ქალები[.] ბოლოს თ[ვ]ითონ ა[ი]რჩიეს თავიანთი საქმროები[,] ერთი[,] ესე იგი ე. ირაკლის ასულ[ლ]მა შეირთო მამუკა ორბელიანი[,]³⁵ მაშინდელ[ი] დროისთვის დიდი მდიდარი და მეორემ [—] ივანე რატიშვილი[,]³⁶ ძალიან მშვენიერი სახითაც და აღზრდილი ყმანვილი კაცი[.] რატიშვილს დაქვრივებულს ერთი ქალი³⁷ და ერთი შვილიშვილი[,]³⁸ პატარა ქალი [დარჩა.]

ე. ელიზბარის ასული ერისთავისა.

როდესაც მწერალი და პოეტი გ. სალაგუბი მობძანდა თბილისში[,] რამდენიმე ხნის შემდეგ გემგზავრა წინანდალში დავით ჭავჭავაძისა და მისი სახლობის სანახავათ[.] დიდხანს დარჩა იქა[.] ვის არ ესიამოვნებოდა ამისთანა კულტურულ და მშვენიერ სახლობაში დრო გაეტარებინა. და რა[+]საკვირველია[,] გაიმართებოდა სხვადასხვა ქართველური მეჯლიშები. კისისხვეში ქობულა[ან]თაც დაპატიჟეს. სადილშემდეგ გრაფი სალაგუბი რომ გამობძანდა აივანზე და გადახედა ალაზანს, წარმოსთქვა:

Вот Алазань долина, скалы,
Кругомъ леса и чудный видъ[.]
А тамъ направо Цинандали[.]
Где блаженствует Давидъ!

ჩემდა სამწუხაროთ[,] ბევრს ვერას ვიტყვი ბიძაჩემ ალექსანდრე ჭავჭავაძეზე[,]³⁹ რადგანაც მე ვერ მოვესწარი, მაგრამ ჩემს სიყმანვილის გარეშემო სუყოველთვის აღტაცებული აზრი [მესმოდა] ალექსანდრეზე[,] მის სახლობაზე[,] იმის სიმშვენიერეზე[,] იმის აღზრდაზე და იმის ლექსებზე. მამაჩემს ხომ გატაცებით უყვარდა თავისი ბიძა. ყოვლის მხრივ ამტკიცებს. 1832 წელს[,] როდესაც ჩვენი ყველა დეკაბრისტები⁴⁰ დატუსაღებულნი იყვნენ[,] მამაჩემი ძალიან სტანჯეს[,] უნდოდათ ეთქმევინ[ებინ]ათ[,] ალექსანდრე ერია იმათ შორის თუ არა? მაგრამ მამაჩემი გამცემი კი არ იყო[,] რომ ვინმე გეცა[.] არამ[ც]თუ თავისი საყვარელი ბიძა ალექსანდრე ჭავჭავაძე...“

ე. ე. ერისთავი

შენიშვნები

¹ დავით ჭავჭავაძე ბიძად ერგებოდა ელისაბედ ერისთავს. ელისაბედ ერისთავის მამა – ელიზბარ მანშეს ძე ერისთავი (1810-1872) იყო ალექსანდრე ჭავჭავაძის (1786-1846) შვილების დეიდაშვილი – ალექსანდრე ჭავჭავაძის მეუღლე სალომე (1795-1847) და ელიზბარ ერისთავის დედა, შანშე ქსნის ერისთავის (1765-1831) მეუღლე ელენე (1785-1817) იყვნენ ღვიძლი დები, სარდალ იოანე ორბელიანის (1765-1808) ასულნი.


² იგულისხმება ელისაბედ ერისთავის ბიძა დედის – ქეთევან ერისთავის (1819-1906) – მხრიდან – რევაზ შალვას ძე ერისთავი (1828-1899), პოეტი და კო-

ზლოვის „შეშლილი“ ქართულ ენაზე მთარგმნელი, რომლის დისკუსიამ ილია ჭავჭავაძესთან სათავე დაუდო „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლას.

³ იგულისხმებიან რევაზ ერისთავის (1828-1899) ქალიშვილები ანასტასია (1863-1942), ელისაბედ (1866-დაახ.1942) და ეკატერინე (1867-1940 წ.-მდე) ერისთავები.

⁴ ნინო ქობულაშვილისა – ნინო ელიზბარის ასული ერისთავი (1860-?), 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მეთაურის ელიზბარის ერისთავის (1810-1872) ასული, ელისაბედ ერისთავის და.

⁵ ნინო ელიზბარის ასული ერისთავი გათხოვილი იყო თეკლე ბატონიშვილის (1776-1846) შვილიშვილის შვილზე, ევგენი დავითის ძე ქობულაშვილზე (1856-



ევგენ ელიტაშვილი

უკვე იმდენჯერ მოახერხა პუბლიკის შოკირება, რომ ამ უანასკნელს ემჩნევა ჩვევა თუ გრძობათა დადამბლავება, ნარკოტიკის მსგავსად, მუდმივი შოკის განცდაც უკვე მოთხოვნილებად ექცა. დღეს მხოლოდ ღრმა სერიოზულობა და ძველად განცდილი დიდი სატანჯველის გაყალბების წინააღმდეგ ბრძოლა თუ გადაგვარჩენს, მხოლოდ ეს თუ გამოგვავლიძებს ლეტარგიული ძილიდან. „ხალხს პოეზია პურივით სჭირდება“, – ეს გულისამაჩუყებელი ფრაზა, – უფრო ნატვრა – ზომონე ვაილმა გამოთქვა. სინამდვილეში დღევანდელ ხალხს კინო და ილუსტრირებული ჟურნალი სჭირდება ათქვეფილი ნაღებივით, ხოლო უფრო მაღალგემოვნებიანი მოთხოვნილებების ადამიანებს (რომლებსაც, რა თქმა უნდა, ჩვენც ვეკუთვნივ) ცოტაოდენი შოკი სჭირდებათ, ცოტა იონესკო ან ბიტნიკების ყმწილი, რათა საერთოდ ყველაფრის მადა არ დაეკარგოთ. პოეზია პურივით? ეს პური, ალბათ, კბილებს შორის ხრაშუნობს და, ვიდრე დაგვანაყრებდეს, უფრო უარეს შიმშილს აღგვიძრავს. ამ პოეზიამ უმძაფრესი წვდომა და უმწარესი ლტოლვა უნდა მოგიტანოს, რათა მძინარე ადამიანები შეაჯანჯღაროს. ჩვენ ხომ თავი მარადიულ ძილ-ბურანს მივეცით, რადგან ჩვენი თავისა და სამყაროსათვის თვალის გასწორებისა გვეშინია.

ჩვენ ერთურთისაგან სრულიად გათიშული ურიცხვი რეალობის გადაკვეთაზე ვარსებობთ, ამ რეალობებში კი სრულიად ურთიერთგამომრიცხავი ფასეულობები დავანებულან. თქვენს საკუთარ ოთხ კედელში შეგიძლიათ პატრიარქალური ოჯახური ბედნიერება გაითამაშოთ ანდა ანარქიის იდეები იქადაგოთ, მაგრამ როგორც კი ზღურბლს გადააბიჯებთ, მაშინვე სარგებლის გამომშუშავებელი ფუნქციური სამყაროს ჭანჭიკად იქცევით, სულ სხვა წარმოდგენები რომ აქვს სინამდვილეზე.

გაგრძელება 61-ე გვერდზე



დავით ჭავჭავაძეს ცოლად ჰყავდა ანა ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის უკანასკნელის მეფის – გიორგი მეთორმეტის შვილიშვილი. მათ ცხრა შვილი – ექვსი ქალიშვილი და სამი ვაჟიშვილი დარჩათ.

იგი ელისაბედ ერისთავის ნათესავი იყო, ბიძად ერგებოდა მას. მემუარისტის სიყვარულით იგონებს დავითის გაცნობას, მასთან სტუმრობას წინანდალში, მის მეუღლეს, დავითის შვილებს, ოჯახის სხვა წევრებს, წინანდლის სასახლესა და სანახებს.

ვფიქრობთ, მკითხველი ინტერესით გაეცნობა მოგონებათა ტექსტს. ავტორისეულ სტილს და ორთოგრაფიას უცვლელად ვტოვებთ.

ცნობები დავით ჭავჭავაძის სახლობაზე თავმოყრილია ორ ხელნაწერ მოგონებაში: პირველი 13258-ს მთლიანად მას ეძღვნება, ხოლო მეორედან 13265-ს ამოვიღეთ შესაბამისი ფრაგმენტი. ამ ორ ტექსტში, რომლებიც ერთსა და იმავე ცნობებსაც იმეორებს, არის განსხვავებანიც, ამიტომ ვაქვეყნებთ ორივე მათგანს.

1915), ალექსანდრე ორბელიანის (1801-1869) ქალიშვილის დარიას (1828-1884) შვილებზე.

⁶ შამილი – (1797-1871) კავკასიელი მთიელების საერო და სასულიერო წინამძღოლი, იმამი, თეოკრატიული სახელმწიფოს – იმამატის (დაღესტანი, ჩეჩნეთი) მეთაური. ენერგიულად იბრძოდა რუსეთის მიერ კავკასიის დამორჩილების წინააღმდეგ, დაატყვევა ბარიატინსკიმ ლუნიში 1959 წ. გადასახლეს კალუგაში, ბოლოს ნება მისცეს მექაში მომლოცველად წასულიყო, სადაც გარდაიცვალა კიდეც.

⁷ როგორც ცნობილია, 1854 წლის 4 ივლისს შამილის რაზმებმა ალექსანდრე ჭავჭავაძის მიერ 1818 წელს აშენებული წინანდლის სასახლე და მამული, რომელიც 1846 წელს მამის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეობით გადაეცა მის ვაჟს დავითს, დაარბიეს, გადანვეს და მძევლად წაიყვანეს დავით ჭავჭავაძის მეუღლე ბავშვებითა და ძიძით, მისი და, ილია ორბელიანის (1815-1853) ქვრივი ბარბარე (1831-1884) შვილით – გიორგით (1853-1924) და მულიშვილით, პოეტ ნიკოლოზ ბარათაშვილის დით – ნინო ბარათაშვილით (1828-1906), აგრეთვე ფრანგი აღმზრდელი ანა დრანსე, რომელმაც აღწერა შამილთან ტყვეობის ისტორია. ამ თავდასხმის დროს დაიღუპა დავით ჭავჭავაძის უმცროსი შვილი, რამდენიმე თვის ლიბია. გატაცებული ტყვეების სანაცვლოდ შამილი ითხოვდა თავისი უფროსი ვაჟის – ჯემალ ედ-დინის დაბრუნებას რუსეთიდან, რომელიც 1839 წელს ექვსი წლის ასაკში ახულგოს ალების წინ რუსებმა ტყვედ აიყვანეს. ტყვეთა გაცვლა შედგა 1855 წლის 10 მარტს, მდინარე მიჩიკის ველზე, კურინსკის სიმაგრეში. (დანერვილებით იხ. ანა დრანსე. „შამილის ტყვე ქალები“. თარგმნა, შენიშვნები და ფოტომასალა დაურთო მურმან თავდიშვილმა. „არტანუჯი“. თბილისი. 2010 წ, აგრეთვე *E. Вердеревский. Кавказские пленницы, или Плен у Шамля. С.-Пб, 1856.* და მარიამ დავითის ასულ ჭავჭავაძის შთამომავლის, ამერიკაში მცხოვრები პავლე ჭავჭავაძის (1899-1971) ინგლისურ ენაზე დაწერილი რომანი „მთები ალაჰისა“ (1952), რომელშიც აღწერილია წინანდელ ტყვეთა თავგადასავალი გატაცებიდან გამოხსნამდე. დასახელებული რომანის ფრაგმენტები, ქართულად თარგმნილი თამაზ ნატროშვილის მიერ, გამოქვეყნდა ქართულ პერიოდიკაში: „წინანდლიდან ვედენოსკენ“, ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“ №17(69), 10 ნოემბერი, 2009 წ., აგრეთვე „შამილი და კნეინები“, „ლიტერატურული გაზეთი“, №29, 25 ივნისი-8 ივლისი, 2010წ.).

⁸ ანნა ილინიშნა – ანა ბაგრატიონი-გროზინსკაია (1828-1905), ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის (1746 – 1800) და მარიამ დედოფლის (1768 – 1850) ვაჟის ილია ბატონიშვი-

ლის (1790-1854) ქალიშვილი, დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძის მეუღლე. „ილია ბატონიშვილის ქალზე (იგულისხმება ანა ბატონიშვილი) დავითის დანიშვნა ძალიან მიამა. დაიხ აქებენ ქალსა, ღმერთმა ბედნიერება მისცეს“ – სწერს გრიგოლ ორბელიანი თავის რძალს ქეთევან ორბელიანს 1847 წლის 10 თებერვალს ჯუნგუთაიდან (გრ. ორბელიანი. წერილები. „სახელმწიფო გამომცემლობა“. 1936 წ. ტ. 1. გვ.145). ანა ბატონიშვილს მოუხიბლავს საქართველოში მყოფი ალ. დიუმა, რომელიც შემდეგნაირად აგვიღწერს მის გარეგნობას: „თავად ჭავჭავაძის მეუღლე საქართველოში, ამ ლამაზი თვალებით სახელგანთქმულ ქვეყანაში, ცნობილია, როგორც უღამაზესი თვალების მანდილოსანი, მაგრამ შეხედვისთანავე გაგაოცებთ მისი წმინდა ბერძნული პროფილი, უკეთ რომ ვთქვით, მისი წმინდა ქართული პროფილი, რაიცა გულისხმობს ბერძნულ სინინდეს, თუ მას სიცოცხლე მივუმატეთ... ამ საუცხოო პროფილიდან თავადის მეუღლის სახეს ღრმა სევდის იერი გადაჰკრავს“. (ალ. დიუმა. „კავკასია“. „მერანი“. თბილისი. 1970წ, გვ. 299). ანა ბაგრატიონი ერთგული ცოლი და დედა აღმოჩნდა, ის ჩინებულად უძღვევოდა მრავალშვილიან ოჯახს და საზოგადო საქმეებისთვისაც იცლიდა. 1867 წელს მან გახსნა პირველი ქალთა სკოლა თელავში, ორი წლის შემდეგ კი – მსგავსი სკოლა წინანდალშიც.

⁹ კაკო – მარიამ (კაკო) დავითის ასული ჭავჭავაძე (1849-1921), იმყოფებოდა შამილის ტყვეობაში ოჯახის სხვა წევრებთან ერთად. იყო კარგი ცხენოსანი. 1869 წელს მისთხოვდა დაქვრივებულ კავალერიის გენერალს ზაქარია გულბათის ძე ჭავჭავაძეს (1824-1905). შეეძინათ ორი ქალიშვილი და ორი ვაჟიშვილი. მისი შვილიშვილია ამერიკელი მწერალი პავლე ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძე (1899-1971).

¹⁰ ნასტინკა – ანასტასია (ნასტენკა) დავითის ასული ჭავჭავაძე (1856-1927), გათხოვილი იყო თავად ნიკოლოზ (კიკო) ზაალის ძე ჩოლოყაშვილზე (1840-1906), ჰყავდათ ქალ-ვაჟი.

¹¹ სანდრო – ალექსანდრე დავითის ძე ჭავჭავაძე (1853-1900), იმყოფებოდა შამილის ტყვეობაში ოჯახის სხვა წევრებთან ერთად. ცოლად ჰყავდა თინათინ ალექსანდრეს ასული მალალაშვილი (1860-1931), ლუარსაბ (შაქრო) მალალაშვილის (1843-?) და. დაკრძალულია დიდუბის ეკლესიის ვალავანში.

¹² ილიკო – ილია დავითის ძე ჭავჭავაძე (1860-1921), ყაზახის მაზრის მომრიგებელი შუამავალი. 1888 წელს დაქორწინდა ბარბარე (ვერა) ასლანის ასულ ვაჩნაძეზე (1866-1942). ჰყავდათ ორი ქალიშვილი და ერთი ვაჟი.

¹³ იგულისხმებიან დავით ჭავჭავაძის დანარჩენი შვილები: სალომე ოსტენ-საკენისა (1848-1919), ელენე ასტაფიევისა

(1850-1929), თამარ ბაგრატიონი-გრუ-ზინსკისა (1852-1933), ნინო ჯორჯაძისა (1859-1936) და არჩილი (1860-1921).

¹⁴ **ზაქარია ჭავჭავაძე** – ზაქარია გულ-ბაათის (პანტელეიმონის) ძე ჭავჭავაძე (1824-1905), მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის გამოჩენილი მხედართმთავარი, კავალერიის გენერალი, კავკასიური ომების მონაწილე. დავით ჭავჭავაძის ქალიშვილი მარიამი (კაკო) იყო მისი მეორე მეუღლე (1869 წლიდან). დაკრძალულია წინანდალში, საგვარეულო სასაფლაოზე.

¹⁵ **კიკო ჩალაყაშვილი** – ნიკოლოზ (კიკო) ზაალის ძე ჩოლოყაშვილი (1840-1906), კახელი (ს. მატანი) თავადი, პოლკოვნიკი.

¹⁶ **ერასტი** – ერასტი (ტატო) ზაალის ძე ჩოლოყაშვილი (1830-1893), კახელი (ს.მატანი) თავადი, ნიკოლოზ (კიკო) ჩოლოყაშვილის ძმა.

¹⁷ **შაქრო მაგალოვი** – ლუარსაბ (შაქრო) ალექსანდრეს ძე მაღალაშვილი (1843-?), თბილისისა და გორის მაზრების მემამულე, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, კამერპერი, სამოქალაქო მრჩეველი, მსახურობდა კავკასიის სამეფისნაცვლოში. 1879 წლიდან რამდენჯერმე (1882, 1885, 1888 წწ. და შემდეგ) არჩეული იყო თბილისის მაზრის და თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლად. ცოლად ჰყავდა მარიამ დიმიტრის (ყორსმაზის) ძე მელიქიშვილი (1848-?).

¹⁸ **თიკო** – თინათინ (თიკო) ალექსანდრეს ასული მაღალაშვილი (1860-1931), ლუარსაბ (შაქრო) ალექსანდრეს ძე მაღალაშვილის (1843-?) და.

¹⁹ დავითმა შეძლებისდაგვარად აღადგინა გადაშენებული სასახლე წინანდალში. მამის მსგავსად ოჯახური მეურნეობის დასაფინანსებლად იგი სესხს იღებდა ბანკებიდან, მაგრამ, სამწუხაროდ, მეურნის მამისეული ნიჭი და ალღო არ აღმოაჩნდა. მას დაედო აურაცხელი ვალი, რომლის გადახდაც ვერ შესძლო. მისი პირადი ქონების მართვაში რუსეთის იმპერია ჩაერია: ჭავჭავაძეთა საგვარეულო მინები გაიყიდა, ხოლო წინანდალის მამულის ძირითადი ნაწილი გადაეცა რუსეთის მთავრობას, 1886 წელს იგი საუფლისწულო მამულების დეპარტამენტის მფლობელობაში გადავიდა და დაიწყო მისი რეკონსტრუქცია.

²⁰ დავით ჭავჭავაძე გარდაიცვალა 1884 წლის 15 ნოემბერს თბილისში. დაკრძალეს კახეთში, შუამთის დედათა მონასტერში. მისი გარდაცვალების თარიღის მიხედვით შეიძლება დადგინდეს ელისაბედ ერისთავის მოგონებაში აღწერილი წინანდალში სტუმრობის თარიღიც. სავარაუდოდ, ეს სტუმრობა უნდა შემდგარიყო ამავე წლის ზაფხულში.

²¹ **გრაფი სალაგუზი** – გრაფი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე სელოგუზი (1814-1882), რუსი მწერალი, ჟურნალისტი, ისტორიკოსი, ავტორი ცნობილი წიგ-

ნისა „ტარანტასი“. მე-19 საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ცხოვრობდა თბილისში და ხელმძღვანელობდა აქაურ რუსულ თეატრს, ასევე თანამშრომლობდა გაზეთ „კავკაზში“.

²² **ნინა გრიბაედოვა** – ნინო ალექსანდრეს ასული ჭავჭავაძე (1812-1857), პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის უფროსი ასული, გრიგოლ ორბელიანის პოეტური მუზა და ლექსების ადრესატი, ცნობილი რუსი დიპლომატისა და მწერლის ალექსანდრე სერგეის ძე გრიბოედოვის (1795-1829) მეუღლე. ნინო ჭავჭავაძემ და ალექსანდრე გრიბოედოვმა ჯვარი დაინერეს თბილისში, სიონის ტაძარში 1828 წლის 22 აგვისტოს. რაც შეეხება წინანდალს, ის უსაყვარლესი ადგილი იყო გრიბოედოვისათვის. მწერალი ოცნებობდა იქ დამკვიდრებაზე. წინანდალში ბევრი რამ დაკავშირებულია მის სახელთან – ფანჩატური, სადაც მას უყვარდა დასვენება, სამლოცველოს ნანგრევები და დიდი განტოტებულ მუხა.

ნინო ჭავჭავაძე გარდაიცვალა თბილისში ქოლერით. დაკრძალულია მთაწმინდაზე, მეუღლის გვერდით. (დანრილებით იხილე ი. ბალახაშვილის „გრიბოედოვი და ნინო ჭავჭავაძე“, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1966).

²³ **სოფიო ორბელიანი** – სოფიო შალვას ასული ერისთავი (1832-1887), ელისაბედ ერისთავის დეიდა, შალვა ერისთავისა (1798-1854) და ეკატერინე ორბელიანის (1812-1877) ასული, გათხოვილი იყო ივანე დავითის ძე ორბელიანზე (1824-1893), მანანა ორბელიანის (1808-1870) შვილზე.

²⁴ **ეკატერინე დადიანისა** – ეკატერინე ალექსანდრეს ასული ჭავჭავაძე (1815-1882), პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული, ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური მუზა და ლექსების ადრესატი. 1838 წელს მისთხოვდა სამეგრელოს უკანასკნელ მთავარს დავით ლევანის ძე დადიანს (1812-1853). მის არქივში აღმოაჩნდა ნ. ბარათაშვილის არაერთი ავტოგრაფი. დაკრძალულია მარტვილის მონასტერში.

²⁵ **ნინა** – ნინო დავითის ასული ჭავჭავაძე (1859-1936), ენისეული თავადის დავით გიორგის ძე ჯორჯაძის (1867-1928) მეუღლე, კინორეჟისორ მერაბ კოკრაშვილის ბებია. დაკრძალულია ვაკის ძველ სასაფლაოზე.

²⁶ **სალომე ოსტენ საკინისა** – სალომე დავითის ასული ჭავჭავაძე (1848-1919), იმყოფებოდა შამილის ტყვეობაში ოჯახის სხვა წევრებთან ერთად. ბარონ მაქსიმილიან ალექსანდრეს ძე ფონ დერ ოსტენ-საკინის მეუღლე. ჰყავდათ ხუთი შვილი. გარდაიცვალა პეტროგრადში, ინვალიდების სახლში.

²⁷ **ასტაფიევისა** – ელენე დავითის ასული ჭავჭავაძე (1850-1929), გენერალ ნიკოლოზ ალექსის ძე ასტაფიევის (1842-?) მეუღლე. ჰყავდათ ორი ქალიშვილი და ერთი ვაჟი.



ჰერმან ბროხი

შეიძლება ცრუმორწმუნე იყოს და ხეზე აკაკუნო და, ამასთანავე, სამეცნიერო ანგარიშებისა და შიქარალების უახლესი მონაცემების იმედზე იყოს, თქვენს სიმშვიდესა და თავისუფლებას რომ უზრუნველყოფს. შეგიძლიათ სულის უკვდავება ირწმუნოთ და სამყაროზე თქვენული წარმოდგენა შეიქმნათ, გარეთ კი სულ სხვა წარმოდგენებით დაგიხედებინან: იქ ყოველივეს წყვეტს ტესტები, უწყებანი, ბიზნესი, იქ გაფასებენ როგორც ჯანმრთელს ან ავადმყოფს, კვლითი იფიციურს თუ არაკომპეტენტურს. ვთქვათ, მოჩვენებებს ხედვით, ანდა მოგებას ნახულობთ, – ისიც და ისიც ყველა დროში მრავლად მოიძებნება, – ორივეს შეგიძლია მშვიდად ენდოთ, მთავარია, პრაქტიკაში ყოველივეს მკაცრი გამოჯნვა და დახარისხება შეძლოთ. არ შეგეშალოთ: აქეთ – შინაგანი სამყარო, გრძობები, სინდისი და ოცნება, იქით კი – სასარგებლო ფუნქციები, აზრობიკოლეზული არსებობა და უსიტყვო ძალადობა. სახიფათოა, თუკი თქვენი აზროვნება ერთ საფუძველს ეყრდნობა, – მრავალ საფუძველს უნდა დაეყრდნო.

ამდენი კომპრომისი, ალბათ, მალე იმ მდგომარეობამდე მიგვიყვანს, როდესაც მართლაც აქტუალობას შეიძენს ჰერმან ბროხის რადიკალური განცხადება: „მორალი მორალია, ბიზნესი ბიზნესია, ომი ომია და ხელოვნება ხელოვნება“.

თუკი ამ „ხელოვნება ხელოვნება“-ს მოვითმენთ და მივიღებთ, მისი დამცინავი კილოთი, – და თუკი ამას მწერლებიც აიტანენ და ნააქებებენ კიდევაც თავიანთი არასერიოზულობით, საზოგადოებასთან შედეგად გართულებული ურთიერთობის საბოლოო განწყევით, – თუკი საზოგადოებაც ზურგს შეაქცევს ხელოვნების ყველა იმ გამოვლენას, რასაც სერიოზული და ცვლილებათა მსურველი სული ამოძრავებს, მაშინ შეგვიძლია თავი ბანკროტად გამოვაცხადოთ.

მხოლოდ იმისთვის, რათა ზოდასასრული 65-ე გვერდზე



²⁸ **თამარა გრუზინსკისა** – თამარ დავითის ასული ჭავჭავაძე (1852-1933), ფრეილინა, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, თავადაზნაურთა გიმნაზიის მზრუნველთა კომიტეტის წევრი. ვენეციაში, საკუთარ ვილაში მოაწყო ქართული კულტურის მუზეუმი. მისი მეუღლე იყო მეფე ერეკლე II-ის შვილიშვილი, უგანათლებლესი თავადი ირაკლი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-გრუზინსკი (1827-1882). ჰყავდა ორი ქალიშვილი. დაკრძალულია მცხეთაში, სვეტიცხოველში.

²⁹ **ბარონ ნიკოლაი** – ბარონი ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაი (1821-1899), რუსი სახელმწიფო მოღვაწე. 1848 წლიდან კავკასიის მეფისნაცვლის სალაშქრო კანცელარიის დირექტორი, 1852 წლიდან კავკასიის მხარის მთავარი სამმართველოს საბჭოს წევრი და სასწავლო ოლქის მზრუნველი, შემდგომში სახელმწიფო საბჭოს წევრი და განათლების მინისტრი. ცოლად ჰყავდა ალექსანდრე ჭავჭავაძის უმცროსი ქალიშვილი სოფიო (1833-1862).

³⁰ **გრიგოლი** – იგულისხმება გრიგოლ ზურაბის (დიმიტრის) ძე ორბელიანი (1804-1883), ცნობილი ქართველი რომანტიკოსი პოეტი, გენერალ-ადიუტანტი.

³¹ იგულისხმება ანასტასია რევაზის ასული ერისთავი (იხ. შენიშვნა 3).

³² **დიმიტრი ამილახვარი** – თავადი დიმიტრი ივანეს ძე ამილახვარი (1840-1915).

³³ **ელისაბედ ირაკლის ასული** – ელისაბედ ირაკლის ასული ბაგრატიონი-ორბელიანისა (1870-1942), ირაკლი გრუზინსკისა (1827-1882) და თამარ ჭავჭავაძის (1852-1933) ქალიშვილი, მამუკა ივანეს ძე ორბელიანის (1873-1924) მეუღლე. იყო პოეტი, მთარგმნელი, განათლება მიიღო პარიზში. ცხოვრობდა იტალიასა და შვეიცარიაში. ფრანგულად გამოსცა ლექსების კრებული ფსევდონიმით „საზანდარი“, რედაქტორობდა გაზეთებს „თავისუფალი საქართველო“ და „საქართველოს რესპუბლიკა“ (ფრანგულ ენაზე). ფრანგულად თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“ (გამოიცა 1877 წელს), აგრეთვე ქართველ კლასიკოსთა თხზულებები.

³⁴ **კაკო** – იგულისხმება მარიამ (კაკო) დავითის ასული ჭავჭავაძე (იხ. შენიშვნა 9).

³⁵ **მამუკა ორბელიანი** – მამუკა (მამკარ) ივანეს ძე ორბელიანი (1873-1924), მდიდარი მემამულე, ბორჩალოს მიწის მფლობელი, მეფის არმიის ოფიცერი, „ქართული დრუჟინის“ ერთ-ერთი ორგანიზატორი.

³⁶ **ივანე რატიშვილი** – ივანე დიმიტრის ძე რატიშვილი (1868-1958), პოლკოვნიკი, 1890 წლიდან მსახურობდა ნიჟეგოროდის 44-ე დრაგუნთა პოლკში, რომელიც იდგა საქართველოში. 1907 წელს გადადგა სამხედრო სამსახურიდან. დაამთავრა პარიზის ნატიფ ხელოვნებათა აკადემია. 1896 წელს დაქორწინდა ეკატერინე ირაკლის ასულ ბაგრატიონზე (1872-1917), ალექსანდრე ბატონიშვილის (1770-1844) შვილიშვილსა და მეფე ერეკლე II-ის (1720-1798) შვილთაშვილზე. 1917 წლიდან მსახურობდა ზამთრის სასახლის სამმართველოს უფროსად. 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების დროს იხმარა ყოველი ღონე, რათა ძარცვისაგან გადაერჩინა სასახლე. 1917 წლის ნოემბრიდან დაინიშნა ზამთრის სასახლისა და პეტროგრადის რაიონის ყველა სახელმწიფო სასახლისა და მუზეუმის მთავარ კომენდანტად. 1920-1930 წლებში მსახურობდა თარჯიმნად მოსკოვის სხვადასხვა დაწესებულებებში. 1931 წელს გადმოვიდა თბილისში. დაკრძალულია ვაკის სასაფლაოზე.

³⁷ იგულისხმება ოლგა ივანეს ასული რატიშვილი (1902-1987), გათხოვილი იყო ინჟინერ თავად იური სერგეის ძე ლვოვზე (1898-1937). 1937 წელს მისი მეუღლე დახვრიტეს, ხოლო ოლგა ივანეს ასული გადაასახლეს. დაკრძალულია მოსკოვის დონის მონასტერში.

³⁸ იგულისხმება ეკატერინე (ეკა) იურის ასული ლვოვა (დაბ. 1934წ.), ფიზიკოსი. გათხოვილია ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორ, ლენინური პრემიის ლაურეატ ვლადიმერ ნიკოლოზის ძე როინიშვილზე (დაბ. 1932-).

³⁹ ალექსანდრე ჭავჭავაძე – ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძე (1786-1846), ცნობილი ქართველი რომანტიკოსი პოეტი, რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი.

⁴⁰ იგულისხმებიან 1832 წლის შეთქმულების მონაწილენი.

შტრიხები პორტრეტისათვის

ბრენდა ნაითი

მერი ფაბილი – ჟერმეარის ქალიშვილი
ნიგნიდან „ბიტ თაობის ქალები“

„და ვფიქრობ, ნეტავ რას იტყვის იგი,
სან-ფრანცისკოში უგზო-უკვლოდ
დაკარგულ პოეტებზე...“
მერი ფაბილი, ივლისი, 1989

ბიტ თაობის ხმაურსა და გრგვინვაში მერი ფაბილის ხმა შედარებით ჩუმად ისმის. ის ლექსებს წერდა, თუმცა ბიტნიკების აყვავების ხანაში თავისი პოეზია საჯაროდ არასოდეს წაუკითხავს. მიუხედავად ამისა, მისი შემოქმედება შთაგონების წყაროდ იქცა ისეთი ცნობილი პოეტებისათვის, როგორც იყო რობერტ დუნკანი, ფაბილის დიდი გულშემატკივარი.

იტალიელი ემიგრანტი პოეტის ქალიშვილი, მერი ფაბილი, პოეზიამდე ინსტიქტმა მიიყვანა. განათლებამ მის ნაწერებზე მხოლოდ უმნიშვნელო გავლენა იქონია. ბავშვობაში მერი ცდილობდა, თავისი დისთვის, ჟოზეფინისთვის მიეხატა და მისი ლექსების გადწერით ხშირად იყო დაკავებული. თექვსმეტი წლის ასაკში მან პულგრევის „ოქროს საგანძური“ შეიძინა და ამ ლექსების შესწავლით ისიც ისწავლა, თუ როგორ იქმნება პოეზია. მის საყვარელ პოეტებს შორის, როგორც თვითონ ამბობს, იყვნენ: „ემილი დიკინსონი, ასევე შელი, კიტსი, ბაირონი. მომწონს ინგლისური პოეზია“.

მერი 1914 წლის 16 თებერვალს დაიბადა ნიუ მექსიკოს შტატში, პატარა ქალაქ გარდინერში. მისი მშობლები წარმოშობით იტალიიდან იყვნენ, რომის აღმოსავლეთით, მთებში მდებარე პატარა ქალაქ პაჩენტროდან. ისინი ამერიკაში როკფელერის ქვანახშირის საბადოებსა და კოქსის ლუმელებთან სამუშაოდ ჩამოვიდნენ. მოგვიანებით ოჯახი ჯერ კოლორადოში, შემდეგ კი პენსილვანიამდე გადასახლდა, სადაც მერიმ სკოლაში დაიწყო სიარული.

მერი ჯერ კიდევ დაწყებით კლასებში სწავლობდა, როცა მამამისმა გადაწყვიტა, რომ ოჯახში პაჩენტროში უნდა დაბრუნებულიყო და მშობლიური ქალაქი მოენახლეებინა. სამშობლოში დაბრუნებულმა მერის მამამ იტალ-

იაში დარჩენა მოინდომა, რასაც მერის დედის პროტესტი მოჰყვა. პროტესტს მიზეზად იტალიური და ამერიკული საგანმანათლებლო სისტემის ერთმანეთთან შეუსაბამობა დაედო – დედამ თქვა, რომ იტალიურ სოფელში მიღებული განათლება ვერაფრით გაუტოლდებოდა ამერიკულ საჯარო სკოლაში მიღებულ ცოდნას. მერის მამის სურვილის საწინააღმდეგოდ, ოჯახი ამერიკაში დაბრუნდა.

იტალიაში ყოფნის პერიოდმა მამას უფრო მეტად გაუმძაფრა სამშობლოს სიყვარული. მან გადაწყვიტა, თავის საქმიანობას – ფერმერობას დაბრუნებოდა და კალიფორნიაში, დელანოდან ათი მეტრის მოშორებით თორმეტაკრანი ფერმა იყიდა. კიდევ ერთი „გადასახლება“ გამო მერიმ, მისმა ძმამ და სამმა დამ კიდევ ერთი სკოლა შეიცვალეს.

სკოლის დამთავრების შემდეგ მერიმ ვისალიაში, ბიბლიოთეკაში დაიწყო მუშაობა, რომ კოლეჯში სწავლისთვის ფული შეეგროვებინა. როცა მისი უმცროსი და, ლილიანი, ბერკლის სტუდენტი გახდა და სამუშაოც მიიღო, მერიც მის ნაკვალევს მიჰყვა თავისი ბოლო თვის ხელფასით – 62 დოლარით და ბერკლიში ჩააბარა.

სან-ფრანცისკოში მერის პირველი სამუშაო ადგილი ახალგაზრდობის ეროვნულ ადმინისტრაციაში მისცეს. ეს იყო პროექტი, რომელსაც საფუძველი პრეზიდენტმა რუზველტმა ჩაუყარა და რომელსაც მთავრობა აფინანსებდა. მერიმ კალიფორნიის უნივერსიტეტში ხელოვნების გაკვეთილებიც აიღო. ბერკლიში ცხოვრებამ მას ბევრი ახალი მეგობარი შესძინა, მათ შორის მხატვარი ვირჯინია ადმირალი, რომელთან ერთადაც ის მოგვიანებით ოთახს იყოფდა. ის ასევე შეხვდა ახალგაზრდა პოეტს, რობერტ დუნკანს, რომელმაც ის სან-ფრანცისკოს რენესანსს და ბიტ შემოქმედებას აზიარა.


დეპრესიის გამო მერის კოლეჯის დროებით დატოვება მოუხდა. მან ახა-



„თუკი გასურთ, ბიტ თაობის ქალების შესახებ გაიგოთ, შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რომ სწორედ ჩვენ ვიყავით გარდამავალი საფეხური – ხიდი შედეგი 60-იანი წლების თაობისთვის, რომლისთვისაც ქალის სახლიდან გასვლა უკვე აღარ წარმოადგენდა აქტუალურ საკითხს. სწორედ ჩვენ დავაყენეთ ეჭვქვეშ ბევრი აკრძალვა, რომელიც ქალებს ზღუდავდა და დავინწყეთ გრძელი, დაუსრულებელი შრომა ქალისა და მამაკაცის ურთიერთობების შესაცვლელად“ – წერდა ჯოის ჯონსონი ბიტ თაობის ქალების შესახებ.

ბრენდა ნაითი ნიგნი „ბიტ თაობის ქალები“ ბევრმა კრიტიკოსმა მოიხსენია, როგორც უპრეცედენტო ნაშრომი, რომელმაც თავი მოუყარა ბიტ თაობის მწერალი, მხატვარი, იდეის მიმცემი და მამოძრავებელი ქალების ბიოგრაფიებსა და ნაწარმოებებს. როგორც თავად ბრენდა ნაითი ამბობს, ეს არის ნიგნი ნიჭიერი მემოზიგების შესახებ, რომლებიც რისკავდნენ, უშვებდნენ შეცდომებს, უყვარდათ, წერდნენ და თავიანთი ცხოვრებით ისტორია შექმნეს – მათ თაობების აზროვნება შეცვალეს.

„ქართული მწერლობის“ მკითხველი პირველი გაცნობა ქართულ ენაზე თარგმნილ ბიტ თაობის ქალების ცხოვრების ისტორიების ბრენდა ნაითისეულ ვერსიას და მათ ნაწარმოებებს.



ბრენდა ნაითის წიგნის – „ბიტ თაობის ქალები“ – ერთ-ერთი გამოცემის გარეკანი

ლი სამუშაო მიიღო ოუკლენდში, სადაც წელიწადნახევარი გაატარა იმისთვის, რომ სწავლის თანხა შეეგროვებინა და კოლეჯში დაბრუნებულიყო. საბოლოოდ, მან 1941 წელს მაინც დაამთავრა ბერკლი ხელოვნების ბაკალავრის ხარისხით და ინგლისური ენის მეორადი სპეციალობით. მან სწავლის მანძილზე პოეზიის მხოლოდ ერთი კურსი აიღო, რომელიც ბიტ თაობის მენტორს, დოქტორ ჯოზეფინ მაილსს მიჰყავდა. „ძალიან სასიამოვნო ადამიანი იყო“ – იხსენებს მერი – „კარგი მასწავლებელი. იმ დროისთვის ისეთი დაუძღვრებელი იყო, ლექციაზე შემოჰყავდათ და გაჰყავდათ“.

მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, მერიმ ორწელიწადნახევარი იმუშავა კაიზერის გემთმშენებელ ქარხანაში ფოლადის შემომწმებლად. ის თავის სამუშაოს კაბის თარგების შექმნას ადარებს. მის მოვალეობაში გემზე ნაწილების განთავსება, ავიამექანიკოსებისა და მძღოლების საჭირო ტექნიკით მომარაგება წარმოადგენდა. მას უნდა აღენიშნა, ქარხანაში რომელი ნაწილი სად იყო მოთავსებული. ეს საკმაოდ მძიმე სამუშაო იყო. მერი ხშირად გამყინავ სუსხში მუშაობდა დანადგარებთან და ურთულეს პირობებში ფოლადის გროვის დახარისხებას ცდილობდა.

ომის დასრულების შემდეგ მერი ვირჯინია ადმირალს ესტუმრა ნიუ-იორკში. ბეიში დაბრუნებულმა მერიმ ბერკლიში, ბენტლის სკოლაში ხელოვნების მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. ის ოუკლენდშიც ასწავლიდა მოზრდილებს, შემდეგ კი „East Bay Labor Journal“-ში აიყვანეს.

მერის შემდეგი სამუშაო მისი კარიერის დასაწყისად იქცა. გამოცდის ჩაბარების შემდეგ მას მეთოთხმეტე ქუჩაზე, მერიტის ტბის მახლობლად მდებარე ოუკლენდის მუზეუმში შესთავაზეს სამსახური. ის მასწავლებლად და ლექტორად მუშაობდა და როგორც ბავშვებს, ასევე მოზრდილებს, ხელოვნებას ასწავლიდა ზაფხულის განმავლობაში. სასწავლო წლის მანძილზე ის აღმოსავლეთ შტატებში კოლონიალიზმისა და კალიფორნიის ისტორიის ლექციებსაც ატარებდა. ლექციების დროს ის სტუდენტებს ქსოვასა და თოფის დატენასაც კი ასწავლიდა.

როცა ახალი მუზეუმი გაიხსნა, მერი მუზეუმის ისტორიის დეპარტამენტის ასოცირებულ კურატორად გადაიყვანეს, კალიფორნიის მექსიკური და

ესპანური პერიოდების და მეოცე საუკუნის შრომისა და პოლიტიკის სპეციალიზაციით. მერიმ მუზეუმში 1977 წლამდე, პენსიაზე გასვლამდე იმუშავა. მიუხედავად იმისა, რომ სამსახური საშუალებას აძლევდა, გაერთიანებინა თავისი ორივე ინტერესი – ხელოვნება და ლიტერატურა, მერის სამუშაოს მის პოეზიაზე არასოდეს უმოქმედია. „პოეზია ჩემთვის ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო. მე მიყვარს პოეზია, მაგრამ აუცილებლად უნდა მეპოვნა გზები იმისთვის, რომ მესაზრდოვა“. მას არასოდეს გაუზომავს საკუთარი წარმატება გამოქვეყნებული პუბლიკაციების რაოდენობის მიხედვით. „ჩემი პოეზია არ არის პოლიტიკურად კორექტული“ – განაცხადა მან.

მიუხედავად ამისა, ის საკმაოდ ხშირად იბეჭდებოდა. მისი ყველაზე ვრცელი ნაშრომი 1981 წელს გამოცემული ანთოლოგიაა – ლექსები 1967-1981. მასში შესულია როგორც მოკლე და დაუმთავრებელი ლექსები, ასევე საკმაოდ დიდი მოცულობის ლექსები ციკლიდან „ავრორა ბლაი“. მისი ნაშრომები ასევე ინტენსიურად იბეჭდებოდა „Oyez“-ში, რომელიც რობერტ და დოროთეა ჰოულიმ დააარსეს. გარდა მცირე ზომის პამფლეტებისა, რომლებიც მოგვიანებით დასათაურდა, როგორც „ძველები“, მერის ყველაზე მნიშვნელოვანი ლექსები დუნკანის ლიტერატურულ ჟურნალში „Epitaph“ იბეჭდებოდა.

მისი ყველაზე ინტენსიური ურთიერთობა სან-ფრანცისკოელ ბიტნიკებთან უკავშირდება მერის ქორწინებას უილიამ ევერსონთან, ადგილობრივ ბიტნიკ პოეტთან. უილიამი მას წერისკენ უბიძგებდა. მერის ლინოლიუმ-ბლოკ სტილში შესრულებული ნახატები კი ახლავს მის ორ ლექსს: „ტრიპტიხი სიცოცხლისათვის“ და „ზეციური ქალაქი, მინიერი ქალაქი“. მერიმ, როგორც თავდადებულმა კათოლიკემ, ევერსონს წმინდა აგუსტინეს „აღსარებანი“ აჩუქა, რამაც ისე ჩაითრია ევერსონი, რომ მან კათოლიკობა მიიღო, ცოლს გაეყარა და დომინიკელი ბერების ორდენს შეუერთდა. მან ორდენი 1969 წელს დატოვა და 1984 წელს გარდაიცვალა.

1977 წელს მუზეუმის დატოვებისა და პენსიაზე გასვლის შემდეგ მერიმ თითქმის სრულიად მიუძღვნა თავი მხატვრობასა და პოეზიას. ის მუდმივად იბეჭდებოდა ლიტერატურულ ჟურნალებში. პოეზია ისევ და ისევ იყო მერის

არჩევანი საკუთარი თავის გამოსახ-
ატად. მწერლობის დასაწყისში მან რო-
მანის წერას მოჰკიდა ხელი, მაგრამ სამი
თავის დასრულების შემდეგ ნაწერი
გვერდზე გადადო და აღარასოდეს
დაუსრულებია. მისი ბოლო პროზაული
ლექსი, „წერილი ავრორა ბლას“, „Sierra
Journal 96“-ში დაიბეჭდა.

მისი შემოქმედება კათოლიციზმის
მკვეთრი გავლენით გამოირჩევა. ბევრი
რელიგიური თემა შეფარულად, მაგრამ
მაინც ყოველთვის არსებობს მერის

ლექსებში. „შეიძლება ძებნა დაგჭირ-
დეთ, მაგრამ ჩემს სიყვარულს ღმერთი-
სადმი ჩემს ლექსებში ყოველთვის იპო-
ვით“ – ამბობს ის.

საინტერესო ფაქტია ის, რომ მერი
ფაბლის შემოქმედებას უფრო მეტი
საერთო მისი მეგობრის, რობერტ
დუნკანის შემოქმედებასთან აქვს, ვი-
დრე საკუთარი ქმრის, უილიამ ვეერ-
სონის ნაწერებთან. მისი პოეზია ბნელ
ინტიმურობას ინვეს, რასაც დუნკანი
„აღტაცებულ პესიმიზმს“ ეძახდა.



გიერთმა რთულმა ქმნილებამ
მავანს ესთეტიკური სიამოვნება
მიანიჭოს, რათა გაადვილდეს
შემოქმედების წვდომა, – ანუ
მისი გაუვნებელყოფა, – სულაც
არ ღირს ამ საქმისათვის ხელის
მოკიდება. ასეთ არასახარბიელო
პირობებებში სულ აღარაფრად
გვიღირს ერთმანეთი: არც ადა-
მიანებს – ხელოვნება და არც ხე-
ლოვნებას – ადამიანები. და მაშინ
აღარც შეკითხვებს დავსვამთ.

მაგრამ, მოდი, მიუხედავად
ყველაფრისა, მაინც დავსვათ ეს
შეკითხვები. თანაც, დავსვათ ისე,
რომ მათ კვლავაც სარგებელი
მოგვიტანონ.

გერმანულიდან თარგმნა
თამარ კოტრიკაძემ

წერილი რობერტს

ჩვენ, ვინც სიკვდილი დავამარცხეთ, აღვდექით ისევ,
და დერეფნებში დავაბიჯებთ ზეცის კიბის ქვეშ,
ჩვენი ჩრდილიდან მზე არასდროს წასულა ცისკენ,
ჩვენს მიზნებთან და სურვილებთან არც კი მიგვიშვებს.
ჩვენი ფიქრები გავარიდეთ ქილიკს, ავ ენებს,
ძვლებს ვგრძნობდით მყიფეს, ჩვენი ხელით როცა ვიცავდით,
ამ თვალთმაქცობას რა დაფარავს, გზას ვინ გვაჩვენებს,
ახლა, როდესაც ტვინი ჟონავს ძვლიდან მიწამდე?
ყური უგდე და გაიგონებ, მატყუარები
როგორ გარბიან, ბნელ კუნჭულებს რომ მოეფარონ,
გზას რჩება მათი თითებისგან ნაიარევი,
ჩვენ კი სიკვდილს და მის გისოსებს გამოვებარეთ.
გადავივინყეთ ბინდის რწევა ჩვენს საწოლებთან,
მათ კი ამოხსნეს ჩვენი სიბრძნე, ჩვენი გონება,
მორწმუნეთაც და ურწმუნოთაც, უძვლო მძორებმა,
არ სურდათ რადგან ჩვენი კვნესის მათ გაგონება,
კარი ძაფებით გადაკეტეს და ჩვენ კი, მკვდრები,
ვუცქერთ და ვტკბებით და სიცოცხლეს აღარც დავეძებთ,
ბავშვები როგორ თამაშობენ ჩვენივე ძვლებით,
ბავშვები როგორ თამაშობენ ჩვენს საფლავებზე.

(ასეთია თანამედროვე ვითარებაც მსოფლიოში – ასე არ არის?)

ბაეღვაძე

გუშინაც წვიმდა, დღესაც წვიმაა,
წვიმა, მუსიკა.
ინდიელი კი გვეუბნება:
„ვიცი, დავრჩები ხვალ მარტოდმარტო...
ნუ მთხოვთ, ვიმღერო,
საკმარისზე მეტი წვიმაა“.

ჩვენ კი მისგან მაინც ვითხოვთ
სხვა სიმღერებს.

„გიმღერებთ თოვლზე“

თოვლზე, რომელიც ნაძვებს ედება
არიზონას ულრან ტყეებში,
თოვლზე, რომელიც ზიონშიც ცვივა,
სანამ უცხო და უცნობ მინას
უგალობენ ანგელოზები
მშვიდობასა და სიყვარულზე –
ყრმაზე, რომელიც ჩვენთვის გაჩნდა,
ორიათასი წლის შემდეგაც მას ეძღვნება
ყველა მესა, ყველა სიმღერა.

დეკამბრის საღამო

ნისლია,
წვიმა,
ვინილის ხე დგას საშობაო
მეზობელი ფანჯრის რაფაზე.
არგენტინული ტანგოს ჰანგები
დასრიალებს ჩემს ოთახში,
ხმაურიანი, უვნებელი,
თვინიერი პითონივით.

ნისლი, მუსიკა,
წვიმისა და ჰაერის ხმები,
გზააბნეული თვითმფრინავი
ჭექა-ქუხილში...

(დღეს, შუადღისას,
დამფრთხალმა კატამ
ზამთრის ბალახზე დალია სული).

ინგლისურიდან თარგმნა
სალომე ბენიძემ

ახალი თარგმანები



ელჩინ ეფენდიევი

ვერცხლისფარი, ნარინჯისფარი, სავარდისფარი...

ელჩინ ეფენდიევი აზერბაიჯანის სახალხო მწერალი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თანამედროვე აზერბაიჯანული ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფიგურაა. დაიბადა 1943 წლის 13 მაისს ქალაქ ბაქოში, XX საუკუნის აზერბაიჯანული ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე დიდი წარმომადგენლის, ილიას ეფენდიევის იჯანში. პირველი მოთხრობა 16 წლისამ გამოაქვეყნა. მისი პირველი წიგნი სათაურით „ათას ერთი ღამიდან ერთ-ერთი“ 1965 წელს დაიბეჭდა. მისი ნაწარმოებები თარგმნილია ინგლისურ, თურქულ, რუსულ, ფრანგულ, გერმანულ, არაბულ, ჩინურ, სპარსულ, პოლონურ და სხვა ენებზე.

ოქტაი ქაზუმოვს გადაწყვეტილი აქვს ელჩინ ეფენდიევის ნოველების მთელი ციკლის თარგმნა. მათგან ერთი – „ტალავერი“ – ჟურნალ „მრავალსახოვან ქვეყანაში“ დაიბეჭდა, მეორე – „ხუთკაპიკიანი მოტოციკლეტი“ „ჩვენს მწერლობაში“. გთავაზობთ კიდევ ერთ ნიმუშს ამ ციკლიდან.

მამლის ბოლო ყვილიდან ცოტა ხნის შემდეგ, ყაშამი ეზოში ჩავიდა. ნახა, რომ ისევ ცრის და თანაც გვარიანად ცივა. შემდეგ მინაშენში შებრუნდა, ომისგან შემორჩენილი შინელი თეთრ მასურ-ნიფხავზევე მოიგდო, გულიანად დაამთქნარა და შემცივნება-შემცივნებით ეზოს მეორე ბოლოსკენ აჩქარდა.

წელს შემოდგომა გვიან, მაგრამ გვარიანად მოსულიყო. ოთხი დღე იყო სოფელში არ გამოედარა – მიწყევ ნვრილ-ნვრილად ცრიდა, ერთს კოკისპირულად არ უშენდა, რომ ერთიანად მოეთავებინა და კაცს გულშეებით ამოესუნთქა; დღესაც ეტყობა ასე იქნებოდა.

აინაც მინაშენში გამოვიდა, ეზოში მიმოიხედა და გულში ამინდი მანაც შერისხა. თუმცა ამ წუთას სახლში ერთიც იყო, რომელსაც ეს დაგვიანებული შემოდგომაც, ეს ზაჰლისწამლები ნისლიც სულ არაფრად ანაღვლებდა, რადგან ამ ადამიანს – ალაჰვერდის – ახლა თავის თბილ საბან-გობანში გემოზე ნებიერად ეძინა. თანაც სიზმარს ხედავდა, ხედავდა, რომ ახალი ფეხსაცმელები ჩაუცვამს, ახალი კოსტუმი მოუხდენია, ყელზეც ჰალსტუხი გაუკვანძავს და რაიონის ცენტრში, საპარიკმახეროს წინ დამდგარა. თავზეც ქალაქიდან ჩამოსული კინოოპერატორის ქუდის მსგავსი ქუდიც ახურავს. ყველა გაოცებით ხან ალაჰვერდის უყურებს და ხანაც მის უცნაურ ქუდს აცქერდებიან. სიზმარში თვითონ ალაჰვერდიც იცინოდა თავის ქუდზე, მაგრამ სიამაყითაც ივსებოდა ამავედროულად. ხედავს მამამისს ბაზრიდან მისკენ გამოუწვია. და მართლაც, ვაჟთან მივიდა თუ არა, ყაშამი ჯერ მის ქუდს დააჩერდა და მერე მისთვის ჩვეული გოროზი ხმით, მძიმედ იკითხა:

– ეგ რა არის ბიჭო, თავზე რომ დაგიხურავს?

ალაჰვერდიმ პირის გაღებაც ვერ მოასწრო, რომ მამამისმა კიდევ რალაც დაუყვირა.

ყაშამმა მინაშენიდან ალაჰვერდის სანოლ ოთახში კიდევ ერთხელ გასძახა:

– ბიჭო ალაჰვერდი, შუადღემ მონია, ადე რალა!

ალაჰვერდიც ძალიანაც შეეცადა რაიონის ცენტრში მდებარე საპარიკმახეროდან არსად წასულიყო, მაგრამ ვერ მოახერხა, რადგან ყაშამმა უკვე ცხად-აშკარად, დამაშინებლად დაუყვირა:

– ე, ალაჰვერდი!

ალაჰვერდიმაც თვალგაუხეღელად თბილ ქვეშაგებში ამ დილას ბოლოჯერ გაიზმორა – იცოდა, რომ ცოტა ხანში ამ სითბოსაც, ძილსაც ეზოში ნაცრისფერი შემოდგომა შეცვლიდა – მერე თვალეები გაახილა და შინდისფრად შეღებულ თავანს ააქცერდა, თანაც ზარმაცად იკითხა:

– რა იყო?

რა თქმა უნდა, ალაჰვერდის კარგად მოეხსენებოდა თუ რაშიც იყო საქმე: როგორც ყოველთვის, ჯერ ლურჯა ცხენს გამოიყვანდა ბოსლიდან და დასარწყულვლად წაიყვანდა, მერე წითელა უნდა მიეყვანა ნახირში, შემდეგ ერთი-ორი დასტა შეშა დაეჩეხა, ცხელ რძესთან პური და ყველი მიეტანებინა და ბოლოს, სკოლაში წასულიყო. ყველაფერი ეს კარგად იცოდა ალაჰვერდიმ, მაგრამ ყოველცისმარე დღეს სკოლამდე ორი საათით ადრე წამოდგომა მაინც აუტანელი იყო მისთვის, თანაც შემოდგომის ამ ნისლ-წვიმიან ამინდში.

არაუშავს, კიდევ ცოტაც და... კიდევ მცირე ხანი ამორებდა ბაქოში ჩასვლასა და ინსტიტუტში ჩაბარებას. ზამთარი გაივლიდა, გამოგაზაფხულდებოდა, მერე ზაფხულიც მოაწევდა – გამოცდა გამოცდას მიეწყობოდა მიელაგებოდა და მერე ნახვამდის, ლურჯავ, მშვიდობით, წითელავ, ბედნიერად, იფნისტარიანო ცულო. გამოცდები რთული რომ იქნებოდა, ამას რა ფიცი-მტკიცე უნდოდა, მაგრამ რაც არ უნდა რთული იყოს, დილაუთენია თბილი ქვეშაგებიდან გულამოვარდნით წამოხტომაზე და პირდაპირ შემოდგომის ნისლ-ბურანში თავის დურთავზე ათასწილი ოლი იქნება მაინც.

ყაშამს მოთმინება მთლად გამოეღია:

– ჰოე, რა იქენი!

– ავდექი, ჰო, ავდექი! – ალაჰ-ვერდომ საბანი გადაიძრო და ლოგინზე წამოჯდა, ერთხანს დიდრონი ფეხების ქვეშ გაფენილ ნოხზე ჯეირნების ამოქარგულ ჯოგს დააცქერდა, მერე შენითლებული თვალების ახამხამებით ჩაცმას შეუდგა.

ყაშამმა ბოსლიდან წითელა გამოიყვანა და მინაშენის კიბის ქვეშ დააბა. წითელას ხბოც კუდის ქანავ-ქანავით, დიდი გულმოდგინებით გამოუდგა დედას.

მინაშენის ხელ-პირის საბანში შემცივნება-შემცივნებით, ხათრისთვის ხელ-პირის მბან ალაჰვერდის ბოჩოლა შეეცოდა და თან გულში თქვა, შე საცოდავო, განა რა დააშავე ასეთი, რომ ბაჯალლოსავით ბოსელს ტოვებ და ამ სიცვიეში გამოდიხარო.

ყაშამმა ბოჩოლა წითელას წინა ფეხზე მიაბა, ალაჰვერდის დედამ – აინამ კი ვედრო ორ მუხლშუა დაიკავა და წველას შეუდგა.

ალაჰვერდი დუნედ ჩამოვიდა და უსალამ-ქალმოდ ბოსლისკენ გაემართა. ლურჯა გამოხსნა, სადავე წამოაცვა, ქაჩავ-ქაჩავით ეზოში გამოიყვანა, მერე ჭიშკარი გამოაღო და ცხენის შიშველ ზურგს მოახტა: ახალგაზრდა და ჯანმრთელმა ცხენმა თავისი გზა და სავალი კარგად იცოდა.

ალაჰვერდის კლასელი ანუ ალაჰვერდისთან ერთად სოფლის სკოლის მეთავე კლასის მოსწავლე მალიქიც ჩვეულებისამებრ მთქნარება-მთქნარებით იჯდა თავიანთი წაბლა ფაშატის ზურგზე და ფაშატიც არხიდან არხეინად სვამდა წყალს, ფეხკავშა კვიციც თან ახლდა. ალაჰვერდი დაინახა თუ არა, მალიქის პირველი სიტყვა ის იყო, რომ მსწავლეებელი საფთარი ავად გახდა, სკოლაში არ მოვაო.

ძილმოუშუშებლად წამომდგარმა და ამის გამო შუბლგაუხსნელმა ალაჰვერდომ თვალების ფახულით – „ვაა-ო“ – წამოიძახა და თან გაიფიქრა, – აბა რა უნდა ქნას საცოდავმა საფთარ მსწავლეებელმა, ასეთ სულელურ ამინდს რა რევმატიზმი გაუძლებს? – რევმატიზმი ანუხებს?

„ჰოო“-ო – ამომთქნარა მალიქმა.

მსწავლეებელი საფთარი მალიქის კარის მეზობელი იყო. ფიზიკას ასწავლიდა და რალაი დღეს პირველ გაკვეთილად ფიზიკა ჰქონდათ, ე. ი. გაუცდებოდათ და ეგ არი.

წაბლისფერმა ფაშატმა წყლის სმით რომ იჯერა გული, თავი ააღირა და

ჯერ, ერთხანს არხის მეორე მხარეს, კომპის ხეებს გახედა ბრძნულად, მერე კვლავ წაიკისრა და ახლა არხის გასწვრივ, შემოდგომის ახლადამოზრდილ ლორქო ბალახს დაუნყო წინკნა. მალიქმა სადავე მოქაჩა.

– ჯაფარი რაიონში მიდის, სალა-მოსთვის ფილმს ამოიტანს.

ალაჰვერდომ კვლავაც:

– ვა? – ამოთქვა და ლურჯას წყლის ყლურწვას დააცქერდა.

ჯაფარი მალიქის უფროსი ძმა იყო, კინომექანიკოსად მუშაობდა. ორ-სამ დღეში ერთხელ რაიონიდან ფილმი ჩამოჰქონდა და სალამობით კლუბში აჩვენებდა. კინომექანიკოსი ჯაფარი სოფლის ახალგაზრდობაში პატივცემული პირი იყო, მაგრამ რაც ეს უცნაურქუდიანი ბაქოელი კინოოპერატორი გამოჩნდა, ჯაფარის პოპულარობას ცოტათი ჩრდილი მიადგა, რადგან გაცხადდა, რომ თურმე სპილო აქლემზე დიდი ყოფილა ე. ი. ერთია, რომ ქშენა-ქშენით ველოსიპედით ჩახვიდე რაიონში, მერე იქიდან ასევე ქშენა-ქშენით ფილმი ამოიტანო და სულ სხვაა, როცა კაშკაშა აპარატს თავად იღებ ხელში და თავადვე იწყებ ფილმის გადაღებასაც.

ბაქოდან ჩამოსული კინოოპერატორი ოთხი დღე იყო, რაც სოფელში იმყოფებოდა, თანაც ალაჰვერდისგან ორი სახლით ზემოთ, სალმანანთსას რჩებოდა. ოთხი დღე კი იყო აქ, მაგრამ ვერაფერიც გადაელო, ამბობდა, ცუდი ამინდია, უნდა გამოიდაროსო.

ალაჰვერდის კინოოპერატორის ის ქუდი გაახსენდა და წელანდელი სიზმარიც წამოაგონდა, გაიფიქრა, ნეტა რალატომ უნდა დაეხურა ეგ ქუდი და რაიონის საპარიკმახეროს წინ რატომღა უნდა მდგარიყო? თან ისიც გაიფიქრა, რომ ამ ბოლო დროს სულ ასეთ სულელურ სიზმრებს ხედავს.

ალაჰვერდი ეზოში რომ დაბრუნდა, აინას ბოჩოლა გამოეშვა და ისიც სულმოუთქმელად დანაფოდა დედის ცურს. ამ დროს თვითონაც მინაშენის ქვეშ, წითელი აგურისაგან ნაგებ კერიაში ცეცხლი დაენთო და სპილენძის ქვაბით რძე შემოედგა.



ყაშამსაც ბოსლიდან ფუნა გამოეხვეტა.

ალაჰვერდი ჩამოქვეითდა, ცხენი ბოსელში შეიყვანა და სამურველით დაურვებას შეუდგა.

ყაშამმა კი საცერიდან გატარებული ხუთი-ექვსი წყვილი მუჭა ქერი ბაგამი

„ინტელექტი“ მთავაზოპო

ნობელის პრემიის ლაურეატები



ჩაყარა და ბზეს შეურია. შემდეგ ალაპვერდის რკინის სამურველი გამოართვა და:

– ნადი, ერთი-ორი ილღია შეშა დაჩეხეო – უთხრა.

ალაპვერდი ბოსლიდან გამოვიდა, მინაშენის ქვეშ ერთგან დაწყობილი შეშოდან კაი მოზრდილი დასტა ამოიილღია და შუა ეზოში მდგარ კუნძთან დაჩეხვას შეუდგა. იფნისტარიანი ცულის ქნევით და შეშის ჩეხვა-ჩეხვით ტანში თანდათან სითბო ჩაუდგა, ნელნელა გზნება შემოენთო და ამ ნისლიანი შემოდგომის გულისგამანვრილებელი განწყობაც თავის გზას გაუდგა.

ალაპვერდიმ კორძიანი მუხის კუნძს ცული მთელი ძალით ჩასცხო და ოხშივარადენილმა თქვა:

– მასწავლებელი საფთარი ავად გამხდარა, დღეს პირველი გაკვეთილი გაგვიცდება.

მინაშენის ფილაქანზე მჯდომმა და ცარიელ კუჭზე პაპიროსის მწვევლმა ყაშამმა, წითელას ქვეშ მოხვანცალე ხბოსთვის თვალმოუშორებლად:

– ფეხის ქარი ანუხებს ისევ? – იკითხა.

– ჰო – ალაპვერდიმ მუხის ნაჭერი ზუსტად ორად გააპო და თან გაიფიქრა, რომ ასეთია რა სოფლის ცხოვრება, ყველა ყველას იცნობს, ყველამ ყველას სატკივარისა უწყის.

ალაპვერდის ქალაქური ცხოვრება არ ენახა ანუ მამამისთან ერთად ბაქოში ჩასული, ორ-სამ დღეზე მეტხანს არ დარჩენილიყო ბიძამისთან. ალაპვერდი ხშირად წარმოიდგენდა ხოლმე თავისთავს ბაქოში. დილაობით ყავახანაში სოსისს მიირთმევდა, შუადღისით სტადიონზე მიდიოდა ფეხბურთის საყურებლად, საღამოხანს ბულვარზე გადიოდა და უცნობ ადამიანებს შორის დასეირნობდა.

ყოველდღე ახალ-ახალი ადამიანების ნახვაზე უკეთესი რა უნდა იყოს? ანუ რა უნდა იყოს იმაზე მაგარი, რომ ყოველდღე გამოიღვიძო და აქამდე არასოდეს ნანახ ადამიანებს შეხვდე.

წინათ, სამი-ოთხი წლის წინ, ბაქოდან მომავალი ასფალტის გზა ალაპვერდის სოფლის გვერდით გადიოდა. ალაპვერდიც და სოფლის დანარჩენი ბავშვებიც გზისპირას იკრიბებოდნენ ყოველთვის და საათობით ბაქოდან მომავალ თუ ბაქოში მიმავალ მანქანებს ათვალიერებდნენ.

ზოგჯერ ხდებოდა, რომ რომელიმე მანქანა ჩერდებოდა, მძღოლი ფანჯრი-

დან თავს ნამოჭყოფდა და რალაცას ჰკითხავდა მათ – ეს გზა იქამდე მიდის? ამ სოფელს რა ჰქვია? იქამდე რამდენი კილომეტრია?.. და ისინიც დიდი მონდომებით, ერთმანეთისათვის სიტყვის დაუცვლელად პასუხობდნენ, უხსნიდნენ. ან ზოგჯერ რალაც იყო საჭირო, მაგალითად მძღოლს წყალი ესაჭიროებოდა. ბავშვები მყისვე წყლისთვის გარბოდნენ, ყველას უნდოდა, რომ ძველი კამერებიდან დამზადებული რეზინის ვედრო პირველს მიეტანა და სწორედ მისი მიტანილი წყალი ჩაესხათ მანქანაში; ყველა – ალაპვერდის გამოკლებით.

ალაპვერდი არსად გარბოდა. იდგა გზისპირას და მანქანაში მსხდომთ ათვალიერებდა. მერე ნახული ღამით ესიზმრებოდა. ნაირ-ნაირ სიზმრებს ხედავდა ალაპვერდი: ხან თვითონ მიდიოდა მანქანით, თერმოსიდან ჩაის თვითონ ისხამდა, თავად ეცვა ქალაქელი ბავშვების ფერად-ფერადი ტანსაცმელი.

სამი-ოთხი წლის წინ ახალი გზა გაიყვანეს და ეს გზა ალაპვერდის სოფლის გვერდით კი არა, პირდაპირ რაიონის ცენტრში გადიოდა. ბავშვები გზისპირას უკვე აღარ იკრიბებოდნენ, რადგან ამ გზაზე მანქანა აღარ დადიოდა; თუ მიდიოდა, ისევ რაიონიდან და მერე უკანვე ბრუნდებოდა...

ალაპვერდიმ დაპობილი შეშა კერიასთან დაანყო, ყაშამმაც პაპიროსის ნამწვი ცეცხლში შეაგდო და უთხრა: ახლა საქონელი ნახირში წაიყვანე.

ყაშამი ყოველთვის ბრძანებებს გასცემდა, თითქოს ალაპვერდიმ თავისი საქმისა არა უწყოდა რა – ყველაფერი ეს ყოველდღიური საქმეები იყო და ეს დღეებიც ალაპვერდისთვის ერთმანეთს სარკესავით ირეკლავდნენ.

აინამ ბოჩოლა ძროხას მოაცილა, რათა სოფლის ხბორებთან ერთად საძოვარზე გაეშვა. ალაპვერდიმაც წითელა ჭიშკარს გადააცილა და სოფლის საურმე გზას თავქვე გაუყენა. თანაც წელანდელი სიზმარიც გაიხსენა, ხელახლა გაიფიქრა, რომ იმ ქალაქელი კინოოპერატორის ქუდი ნეტა რასთან დაკავშირებით უნდა დაეხურა და რაიონის საპარაკმახეროს წინ რატომ უნდა მდგარიყო?

ესეც სათქმელია, რომ ალაპვერდი საფიქრალს სანახევროდ არ მიატოვებდა-ხოლმე, ძირისძირამდე უნდა ჩასდევნებოდა და ახლაც, საქონელის თავიანთი ეზოდან გამომყვან, ერთურთის მომკითხავ თუ მოოხუნჯე თანასოფლე-



ბებისთვის ყურადღების მიუქცევლად, კარგა ხნის ალებ-დაღების შემდეგ, ალაჰვერდი ბოლოს იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სიზმარში ის უცნაური, ხავერდის ნითელი ქუდი იმიტომ ეხურა და რაიონის ცენტრში მდებარე საპარიკ-მახეროს წინ იმიტომაც იდგა, რომ ამ ქუდს სხვები დაცივით კი არა, გულის სიღრმეში შენატვრითაც უყურებდნენ.

ასე გადაწყვიტა ალაჰვერდი ამან რატომღაც უგუნებობა მოჰგვარა. წელანდელი, შეშის ჩეხვისგან მოგვრილი სითბოც ნელ-ნელა გაუქრა, ხელახლა შეცივდა და გულში ამინდი ხელახლა გამოლანძღა.

უკნიდან შემოეხმინანენ:
- ბიჭო, ალაჰვერდი!

ალაჰვერდი შემობრუნდა და კამეჩთან ერთად მისკენ მომავალ სალმანს შეხედა.

- რა იყო?
- შუქურის გოგო შენთან სწავლობს? ალაჰვერდის გულმა რეჩხი უყო.
- ჰო - უპასუხა.
- კინოში გადაიღებენ მაგას.
- ალაჰვერდიმ ყურებს არ დაუჯერა:
- რა?

- კინოში გადაიღებენ მაგას-თქო. ნადირი გადაიღებს. ამბობს, ძალიან კინოში გადასაღები გოგოაო.

ნადირი ის უცნაურქუდიანი კინოოპერატორი იყო. სალმანის ბაქოში მცხოვრებ ბიჭს ემეგობრებოდა და ამიტომაც რჩებოდა სალმანთან. სალმანი კი სტუმრის სახელს ყოველთვის სიამაყით მოიხსენიებდა-ხოლმე, თუმცა ის ნითელი ქუდი მასაც ეწოთიერებოდა ცოტათი.

ალაჰვერდიმ იცოდა, რომ სალმანი მისი ტოლი-სწორი არ იყო და არ ხუმრობდა, მაგრამ ესეც სათქმელია, ძალიანაც მოულოდნელი ამბავი კი იყო.

- ფილმში რანაირად გადაიღებს?
- შუქურის გოგო მხარზე თუნგს შემოიდებს და წყაროდან წყალს ამოიტანს. ნადირიც გადაიღებს - მერე სალმანმა მუნდმტუკიდან ერთი ღრმად მოქაჩა და ისევე განაგრძო, - ამბობს ძალიან კინოში გადასაღები გოგოაო - თანაც ხელიც გადაიქნ-გადმოიქნია სალმანმა და თვალების მონკურვითაც გაიღიმა.

ალაჰვერდი მყისვე მიუხვდა - უცნაური ხალხია ეს ქალაქელები, ამხელა სოფელში ქალი ვერ ნახა და მაინცდამაინც შუქურის კაფანდარა გოგოს მიადგაო.

სალმანისგან „შუქურის გოგოდ“ ნახ-

სენებ გოგოს სადაფი ერქვა და სადაფი პირველი კლასიდან მოყოლებული აქამდე ალაჰვერდისთან ერთად სწავლობდა. წინათ, ბავშვობისას მეზობელი სოფლის სკოლაში დადიოდნენ, მერე თავიანთ სოფელშიც აუშენეს და ახლაც, ამ სკოლაში სწავლობდნენ.

სადაფი არც ფრიადოსანი იყო და არც ლამაზი. ის კი არა და, ცოტათი უსწორმასწოროც ეთქმოდა. ალაჰვერდი მოულოდნელად შეტყობილ ამბავს ვერაფრით იჯერებდა, სალმანისთვის ხელმეორედ რომ არაფერი ეკითხა, თავი ძლივს შეიკავა.

საქმე ის იყო, რომ სადაფი ალაჰვერდიზე დარდით ჭკუაზე ვერ იყო. ალაჰვერდი უყვარდა სადაფს. მაგრამ ალაჰვერდის გარდა, ეს არავინ იცოდა, რადგან ამ ზაფხულს, ერთ მშვენიერ დღეს, სადაფმა მას წერილი გადასცა და ალაჰვერდისაც წაკითხვის შემდეგ კრინტი არავისთან დაუძრავს.

ალაჰვერდი ნითელას მიჰყვებოდა უკან. ახალ ამბავზე ფიქრობდა და თან აღარც სციოდა. ფიქრობდა, ფიქრობდა და თან ცხად-აშკარად უკვირდა. გულზეც რალაც ანებოდა, რომლის მიზეზიც ვერ გაეგო თუ რატომ.

სალმანის წელანდელი ნათქვამი კვლავაც ყურებში ჩაესმოდა - „ამბობს ძალიან კინოში გადასაღები გოგოაო“. უფრო სწორად, თითქოს ამ სიტყვებს თავად კინოოპერატორისაგან იგებდა: „ძალზე ფოტოგენური გოგოა“. ზუსტად ასე ჩაესმოდა, რადგან ამ ოთხი დღის მანძილზე სიტყვა „ფოტოგენური“ კინოოპერატორის ენას არ მოშორებოდა და ალაჰვერდისაც მისი მნიშვნელობა ლექსიკონიდან ამოეკითხა.

ბოლოსდაბოლოს, ფოტოგენური გოგოსთვის მიუგნია კინოოპერატორს.



თითქოს ამ ყველაფრის გარდა - „ქალაქში რომ ეცხოვრა, ფილმში გადასაღები პირველი გოგო იქნებოდა სადაფიო“ - ჩასჩურჩულებდა ალაჰვერდის.

სადაფის შავგვრემანი პირი-სახის, გამხდარი ტანის, ყარყატივით ფეხებივით გრძელი ფეხების წარმომდგენ ალაჰვერდის კი ვერაფერი გაეგო მაინც.

როცა ალაჰვერდი სახლში მობრუნდა, ყაშამს საქათმე გაელო და წინილები, ქათმები, ინდაურები ეზოში მიმოფანტულიყვნენ, ახლა კი სარდაფიდან ამოტანილი საპოხით საპირფარეშოს კარის ანჯამებს აპოხიერებდა, რათა გაღება-მიხურვისას არ ეჭრილა.

„ინტელექტი“ ბთავაზოპთ

ნობელის პრემიის ლაურეატები





რუსთაველის თეატრი

მის.: რუსთაველის გამზ. 17
ტელ.: 72 68 68
www.rustavelitheatre.ge

1 მარტი
**როლანდ შიმელზენი
ქალი წარსულიდან**
რეჟ.: მაკა ნაცვლიშვილი
ერთ მოქმედებად
მცირე სცენა. დას.: 19:45
ფასი: 8, 10 ლარი

2 მარტი
**ზურაბ ანტონოვი
მზის დაბნელება
საქართველოში**
რეჟ.: გომა კაპანაძე
დრამა ორ მოქმედებად
მცირე სცენა. დას.: 19:45
ფასი: 8, 10 ლარი

3, 29 მარტი
**ვაჟა-ფშაველა
სტუმარ-მასპინძელი**
რეჟ.: გომა კაპანაძე
ერთ მოქმედებად
მცირე სცენა. დას.: 19:45
ფასი: 8, 10 ლარი

3 მარტი (პრემიერა)
**პიტერ ტურინი
როზორც იმნა**
რეჟ.: იოსებ ბაკურაძე
მონო-სპექტაკლი ერთ მოქმედებად
მე-4 სარეჟისორული. დას.: 19:45
ფასი: 10 ლარი

4 მარტი
**მაქს ფრიში
ბიდმრანდი და
ცაცხლისწამაძეობა**
რეჟ.: რობერტ სტურუა
კომედია ერთ მოქმედებად მორალის
გარეშე
დიდი სცენა. დას.: 19:45
ფასი: 6, 7, 8, 10, 12 ლარი

5 მარტი
**რეჯინალდ როუზი
თორმეტი ბანარისხმბული
მამაკაცი**
რეჟ.: რობერტ სტურუა, რევაზ ჩხაიძე
ერთ მოქმედებად
დიდი სცენა. დას.: 19:45
ფასი: 6, 7, 8, 10, 12 ლარი

6 მარტი
**არჩილ სულაკაური
სალამურა**
რეჟ.: რობერტ სტურუა, რევაზ ჩხაიძე,
დავით კვიციანი
ზღაპარი ორ მოქმედებად
დიდი სცენა. დას.: 17:00
ფასი: 6, 7, 8, 10, 12 ლარი

აინა მინაშენის ქვეშ სამოვარს
ადულებდა.

ალაჰვერდი ზემოთ ავიდა და თმის
გამშრალეხას შეუდგა, თუმცა მხოლოდ
თმას არ იმშრალეხდა, თავსაც იქნევდა
აქეთ-იქით.

საქმე ის იყო, რომ მთელი თავისი
ცხოვრების მანძილზე, ალაჰვერდის
პირველად სურდა არ ეფიქრა, უნდოდა
რომ ფიქრები მოშორებოდა.

პირსახოცი ხელ-პირის საბანთან ჩა-
ჭედებულ ლურსმანზე ჩამოკიდა, მერე
ქვემოთ ჩამოიხედა და სამოვართან
მოფუსფუსე დედამისს გაჯავრებით
ჩასძახა:

– ეგ ბოლსადენი მაინც ჩამოახურე,
თვალეები აღარ შეგვარჩინა და!..

ყამამმა შვილს აღმაცერად ახედა
და ალაჰვერდიც სიტყვისუთქმელად
შებრუნდა ოთახში. წიგნებისა და
რეგულების შესანახ კარადასთან მი-
ვიდა, მაგრამ გაახსენდა, რომ დღეს
პირველი გაკვეთილი არ ჩატარებოდა
– აჩქარება არ იყო საჭირო; მცირეხანს
ასე უტყვ-უთქმელად იდგომილა, მერე
კარადის ბოლო უჯრა გამოსნია და
სულ ბოლოში, ქალაღების ქვეშ შემ-
ალულ წერილს დასწვდა.

რამდენიმეხანს კვლავაც უმოქმე-
დოდ რეგულის ოთხკუთხად დაკეცილ,
უჯრიან ქალაღს დააცქერდა, მერე
გაშალა და სადაფის წერილი კიდევ
ერთხელ ნაიკითხა გულში.

**„მხურვალე წერილი!
ამ წერილს შენ გწერ ალაჰვერ-
დი! ალაჰვერდი, ჩემს სიცოცხლეში
წერილი არავისთვის მიმწერია, ეს
ჩემი პირველი წერილია, ალაჰვერდი.
როცა ნაიკითხავ, ნურავის ეტყვი.
წერილიც დახიე, დანვი. დაე დანა-
ცრდეს ისე, როგორც მე ვიფერფლები.
ყოველთვის სიზმრად გხედავ. გონება
მერთმევა. იცოდე, არ გეგონოს, რომ
ყველა ბიჭს წერილს ვუგზავნიდე,
არა, მხოლოდ შენ გწერ, ალაჰვერდი,
მხოლოდ შენ. თუ მოგვიხეხრდება და
დავილაპარაკებთ, ყველაფერს გეტყ-
ვი. აი, თვალეები ისევ ამიცრემლდა,
ალაჰვერდი. მომწერე.**

**ო, რაც გიხილე მე იმის აქეთ,
გულში მხოლოდ შენ გადიდე, გაქე-
მე უშენოდ ველარ ვივლი, ო, მშვე-
ნიერო ალაჰვერდი.**

**ნუ დაივიწყებ, რაც გითხარ აქვე.
არ დამცინო, ალაჰვერდი. ნურც
ნურავის ეტყვი, რომ მათი დასაცინი
გავხდე. ეს წერილიც დანვი“.**

ნანერზე წვეთიც დაცემულიყო –

ერთი წვეთი ცრემლი – და ლურჯი
მელნით ნაწერი ხუთი-ექვსი ასოც შეე-
დლაბნა, თუმცა იკითხებოდა – ცრემ-
ლის მხოლოდ კვალია დარჩენილიყო.
თავიდან ალაჰვერდში იფიქრა, რომ
სადაფმა ის წვეთი განგებ აწვეთა წერ-
ილს, რომ ეს მხოლოდ წყლის წვეთია
და მეტი არაფერი; მაგრამ რაც დღე გა-
დიოდა და ალაჰვერდიც წერილს ხშირ-
ხშირად კითხულობდა, რწმუნდებოდა,
რომ ეს მართლაც ცრემლი იყო.

ამ წერილის მიღებამდე, აქ გაცხადე-
ბული ამბავი ალაჰვერდის აზრადაც
არ მოუვიდოდა. მართალია, სადაფი
მას ზოგჯერ ისე უყურებდა როგორც
არავინ სხვა; მართალია, რომ სადაფი
მასთან შეხვედრისას ნითლდებოდა
და თითქოს თავსაც კარგავდა, მაგრამ
ალაჰვერდი ვერაფრით წარმოიდგენ-
და, საქმე-ამბავი აქამდე თუ მისული-
ყო.

წერილის თაობაზე ალაჰვერდის
კრინტი არავისთან დაუძრავს და აქამ-
დეც არაფერი უთქვამს. წერილიც კი არ
გაუგზავნია სადაფისთვის, მაგრამ არც
ეს დაუწვავს. ერთი-ორი დღე ჯიბით
დაჰქონდა, ვერ გადაეწყვიტა თუ როგორ
მოქცეოდა, მერე კარადის სულ ქვემო
უჯრაში ქალაღების ქვეშ შემალა.

წერილის ნაკითხვის შემდეგ სადაფ-
ისთვის სიტყვაც არ გაუმეტებია. მეორე
დღეს რომ შეხვდა, თავი ისე მოაჩვენა,
თითქოს არც არაფერი მომხდარიყო.
სადაფიც ცოტათი აილენა, თორემ
კითხვით არაფერი უკითხავს და, მას
მერე ალაჰვერდი და სადაფი, შეიძლება
ითქვას, ერთმანეთს არც ელაპარაკე-
ბოდნენ. ზოგჯერ თითო-ორი სიტყ-
ვას, ისიც მხოლოდ გაკვეთილის დროს
თუ გაიმეტებდნენ ერთიმეორისთვის
და მეტი არაფერი.

წერილის ნაკითხვის მერე, თავიდან
ალაჰვერდი დაიბნა, შემდეგ კი თან-
დათან სიბრაზე შემოენთო და გულში
სადაფი ჩერჩეტად მიიჩნია.

რამდენიმეხანს ასე გაბრაზებულმა
იარა ალაჰვერდში, მაგრამ ერთ დღე-
საც, უფრო სწორად, ღამით, ალაჰვერ-
დის რატომღაც ძილი არ მიეკარა და
წამოდგა, უჯრა გამოაღო, სადაფის
წერილი გამოიღო და კვლავ ლოგინში
შებრუნდა. სახლში რომ არ შეეტყოთ,
ნათურა არ აუნთია. ხელის ფარ-
ნის შუქზევე ნაიკითხა ის წერილი,
მერე ხელმეორედ, თუმცა ამჯერად
ხმადაბლად და სიბრაზემ გაუარა ალაჰ-
ვერდის; წერილი ნელ-ნელა გაუტკბა
კიდევაც. მაგრამ გულში მოუსვენრო-

ბაც, წრიალიც შეუდგა მოულოდნე-
ლად. თუმცა არც ეს მოუსვენრობა და
არც ეს წრიალი არ ბოჭავდა, არ სრესდა
მას, პირიქით, რაღაცნაირი გულჩვი-
ლობა მოეგვარა მისთვის იმ წუთას;
წერილის კითხვა თანდათან სითბოს
უღვრიდა სულში, ელამუნებოდა რა-
ღაცნაირად.

შემდგომში ალაჰვერდი ზოგჯერ ხე-
ლახლა გადაიკითხავდა-ხოლო ამ წერ-
ილს და რაც კითხულობდა, მით უფრო
უხერხულობა ეძალეობდა. თუმცა არა
იმიტომ, რომ სადაფს აინუნშიც არ აგ-
დებდა, მაგრამ მისი წერილით ტებებო-
და ფარულად. არა, იმიტომ, რომ ეს სა-
საცილო სტრიქონები გულს უფონებდა.

აინა მინაშენიდან ალაჰვერდის შე-
ქმინა, რომ ესაუზმა. ალაჰვერდიმაც
სადაფის წერილი სასწრაფოდ გადამა-
ლა და ოთახიდან გავიდა. აღარ ცრიდა,
თუმცა არც გამოედარა და ალაჰვერდის
თითქოს ბაქოელი კინოოპერატორის
სიტყვები ხელახლა მოესმა: – „წარმო-
გიდგენია? ოთხი დღეა მზე არ გამოსუ-
ლა, რომ ჩემი სმოიკა გადავიღო...“

მზე გამოვა. იგი, კაშკაშა აპარატით
ფირზე აღბეჭდავს სადაფს. მთელი
ქვეყანა ნახავს თუ როგორ ამოაქვს წყ-
აროდან წყალი სადაფს და არავის ეცო-
დინება, რომ ეს გოგო ალაჰვერდიზე
ჭკუას კარგავს.

ალაჰვერდის კინოოპერატორის სიტ-
ყვები კიდევ ერთხელ მოეყურა: „მაგარი
ფოტოგენური გოგოა“. ალაჰვერდიმ
იგრძნო, რომ ცოტათი დასევდიანდა, მა-
გრამ სიამაყითაც აევსო გული.

აღმორჩნდა, რომ სადაფის ფილმში
გადაღების ამბავი სკოლაში ყველას
შეეტყო. ბავშვები განუწყვეტილად ამა-
ზე ლაპარაკობდნენ და ამ ახალ ამ-
ბავსაც საკლასო ოთახში რაღაცნაირი
სიხალასე შემოეტანა. მარტო ალაჰ-
ვერდი არ იღებდა ხმას.

მალე სადაფიც გამოჩნდა და მისი
დანახვისას ბავშვები წამიერად დაიბ-
ნენ: სადაფი ისე გალამაზებულიყო,
ისე გამონყობილიყო, რომ რაღა...
თანაც სიხარულისაგან ასაფრენად
მარტო ფრთებილა აკლდა. შემდეგ
ბავშვები მოეგნენ გონს, ჟრიაშულით
ეცნენ სადაფს და კითხვები დააყარეს.
სადაფიც იადონივით გალობდა, თქვა,
რომ გუშინ კინოოპერატორი მათ-
თან მისულა და დიდხინის სჯა-ბაასის
შემდეგ მამამისი სადაფის ფილმში
გადაღებაზე დაუთანხმებია.

სადაფი ლაპარაკისას მერხთან, ვითომ
აქაოდა, მე რაში მენაღვლებო, მჯდომ

ალაჰვერდის თვალის კიდით გახედავდა-
ხოლო და თანაც ისე, თითქოს წერილში
მინერილს ხელახლა უმეორებდა, მაგრამ
იმდღევანდელივით სანყალობლად კი
არა, უკვე სიამაყითაც.

მეორე გაკვეთილად ტრიგონომეტ-
რია ჰქონდათ და ზარის დარე-
კვისთანავე გულსუმ მასწავლებელიც
შემოვიდა.

კლასში ყველა ბავშვზე ორი მტკა-
ველით მაღალი ალაჰვერდი პირვე-
ლი რიგის სულ ბოლო მერხზე იჯდა.
სადაფი კი მეორე რიგის შუა მერხზე.

გულსუმ მასწავლებელი გაკვეთილს
აჭარებდა, თუმცა ალაჰვერდის არა-
ფერი ჩაესმოდა, არც არაფერზე ფიქ-
რობდა. მერე ალაჰვერდი მიხვდა, რომ
დილის აქეთია სადაფს გაჰყურებს.

სადაფს შავი თვალები, შავი თმა,
მსხვილი ნაწნავები ჰქონდა და ალაჰ-
ვერდის სადაფი ასეთი არასოდეს
ეხილა. სადაფის თვალებიც იგივენი
იყვნენ, ნაწნავებიც, მაგრამ ალაჰ-
ვერდი მათ პირველად ხედავდა. მარ-
თალია, სადაფი ძალიან გამხდარი იყო,
მაგრამ სამაგიეროდ, მკერდი ჰქონდა
სავსე. შავგვრემანი პირი-სახე ჰქონდა
სადაფს და ახლა ალაჰვერდი თვალს
ვერ ამორებდა მას. საკუთარ თავს უწ-
ყრებოდა, არ უნდოდა შეეხედა მისთ-
ვის, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა.

ბავშვობაში ერთად თამაშობანი,
წაჩხუბებები, სკოლაში სიარული, წლე-
ბის განმავლობაში ერთად სწავლა აგ-
ონდებოდა ალაჰვერდის და ვერაფრით
იჯერებდა, რომ თვალნინ წარმომდ-
გარი ის გოგო სადაფია. ეჩვენებოდა,
რომ ოდესღაც მისთვის სიტყვისშეუ-
ბრუნებლად აქა-იქ დაგზავნილი გოგო
ახლა შორსაა, აღარ არსებობს. ეს კი
სულ სხვა სადაფია.

მერე ალაჰვერდიმ გაიფიქრა... გა-
იფიქრა და მისვე ჟრუანტელმაც
დაუარა, ეგებ სახლში კარადის ქვე-
მო უჯრაში გადამალული წერილი
სადაფს სულაც არ მოუწერია, მისთვის
მორიდებით არ გადმოუცია, ეს სხვამ
გააკეთა? ვერ იჯერებდა, რომ წერილ-
ზე ლურჯი მელნით გამოყვანილ ასოე-
ბზე დაცემული ის ობოლი წვეთი მისი
გულისთვის წარმოდენილა.

ამის გაფიქრებამ გული ჩაუთუთქა
ალაჰვერდის, აუნვა და შეეცადა ყურ-
ადღება გულსუმ მასწავლებლის მიერ
ახსნილ თეორემაზე გადაეტანა, თუმცა
ამაოდ. კვლავ სადაფს უცქერდა და
მხოლოდ ახლა გაიაზრა, რომ სადაფ-
იც მას შეჰყურებს. მისვე თვალი მის



წესთაველის თაბტნი

6 მარტი
მურმან ჯინორია
**„მარი მფუჭურია მი
პირდაპირი“**
რეჟ.: მურმან ჯინორია
ერთ მოქმედებად
ექსპერიმენტული სცენა. დას.: 19:45
ფასი: 6, 7 ლარი

8, 9 მარტი (პრემიერა)
ლელა კოდლაშვილი
ქალში, ღალატი...
რეჟ.: პაატა ციკოლია
დრამა ერთ მოქმედებად
ექსპერიმენტული სცენა. დას.: 19:45
ფასი: 6, 8 ლარი

10 მარტი
ალეკი ბლაიტი
**„გზამართი ახლა ჩვენი
ლტოლვილვს?“**
რეჟ.: ალეკი ბლაიტი
ერთ მოქმედებად
ექსპერიმენტული სცენა. დას.: 19:45
ფასი: 6, 7 ლარი

11 მარტი
ირაკლი სამსონაძე, გიორგი თავაძე
ღაბოლილი მთვარე
რეჟ.: გიორგი თავაძე
კომიკური იგავი ერთ მოქმედებად
დიდი სცენა დას.: 19:45
ფასი: 6, 7, 8, 10, 12 ლარი

12 მარტი
დავით კლდიაშვილი
ღარისპანის გასაჭირი
რეჟ.: რობერტ სტურუა, ზაზა
პაპუაშვილი
ერთ მოქმედებად
დიდი სცენა. დას.: 19:45
ფასი: 6, 7, 8, 10, 12 ლარი

13 მარტი
ოსკარ უაილი
მარსკვლავიჭიჭუნა
რეჟ.: რობერტ სტურუა, დათო
მღებრიშვილი
ზღაპარი ერთ მოქმედებად
დიდი სცენა. დას.: 17:00
ფასი: 6, 7, 8, 10, 12 ლარი

15, 24 მარტი (პრემიერა)
პიტერ ტურინი
რობორტ იმნა
რეჟ.: იოსებ ბაკურაძე
მონო-სპექტაკლი ერთ მოქმედებად
მე-4 სარეჟიტციო. დას.: 19:45
ფასი: 10 ლარი



წესთაველის თასტი

16 მარტი

რონალდ პარველი
მოხუცი ჯამბაჯამი

რეჟ.: გონა კაპანაძე
ორ მოქმედებად
მცირე სცენა. დას.: 19:45
ფასი: 15, 20 ლარი

17 მარტი

თეატრალური კომპანია
მრახლმეზი

Racine de deux (საფრანგეთი)

ჟან ჟენე
რეჟ.: პიერანჯელო სუმა
ერთ მოქმედებად
ექსპერიმენტული სცენა. დას.: 19:45
ფასი: 10 ლარი

18 მარტი

გიო მგელაძე
ბაილიმთ, ჩიტი
ბამოჭრინდობა

რეჟ.: გიო მგელაძე
ერთ მოქმედებად
ექსპერიმენტული სცენა. დას.: 19:45
ფასი: 6, 7 ლარი

19 მარტი

ჩრდილების თეატრი
რა საოცარი დღეა

რეჟ.: გელა კანდელაკი
ერთ მოქმედებად
მცირე სცენა. დას.: 19:45
ფასი: 7, 8 ლარი

19 მარტი

ერიკ-ჟან-ჟულიანო
სტუმარი

რეჟ.: გომა გორგოშვიძე
ერთ მოქმედებად
ექსპერიმენტული სცენა. დას.: 19:45
ფასი: 6, 7 ლარი

20 მარტი

ამელი ნოტომი
მტრის ნიღაბი

რეჟ.: რობერტ სტურუა
ერთ მოქმედებად
მცირე სცენა. დას.: 19:45
ფასი: 8, 10 ლარი

23 მარტი

ნელიალო იორდანოვი
ბონზაგოს კვლელოვა

რეჟ.: გაგა გოშაძე
დრამა ორ მოქმედებად
მცირე სცენა. დას.: 19:45
ფასი: 8, 10 ლარი

შავგვრემან სახეს მოაცილა და მზერა ფორმულებით აჭრელებულ შავ დაფას ჩაასო.

უყურებდა ალაჰვერდი ამ ფორმულებს, სიტყვებს ისმენდა კიდევაც და სადაფის მზერასაც გრძნობდა სახეზე. ბოლოს ველარ მოითმინა და ისევ სადაფისკენ გაიხედა. ამჯერად სადაფმა მოარიდა თვალი.

ალაჰვერდომ იგრძნო, რომ სახე ეწვოდა.

შესვენებაზე ყველა ისევ სადაფს მიანყდა და სადაფმაც უწინდებურად იტიტინა. მთელი თავის სიცოცხლის მანძილზე მისკენ არასოდეს მიჰყრობილიყო ამდენი თვალი, არასოდეს დალოდებინა მის სიტყვას ასეთი მოუთმენლობით, არასოდეს აღბეჭდილა ამ თვალებში ესოდენი ალტაცება და ალფრთოვანება. სადაფს სიხარულისგან თავბრუ ესხმოდა, რადგან ასეთი გახარებული არასოდეს ყოფილა სადაფი.

გაკვეთილებმა და შესვენებებმაც ასე ჩაიარეს სათითაოდ.

კვლავაც მოწვიმა, შეწყდა, მერე ისევ დაიწყო და მთელი დღე ალაჰვერდი საკუთარ თავს არ ეკუთვნოდა. სკოლიდან დაბრუნების შემდეგ ოთახიდან ფეხი არ გამოუდგამს.

ყაშამი რალაც საქმეზე რაიონში წასულიყო ლურჯათი.

აინა ფეხმორთხმით იჯდა და შაქარს ტეხდა.

ალაჰვერდი კი შიგნით, ფანჯარასთან იჯდა და ნაცრისფერ შემოდგომას გასცქეროდა. ფერდობი ერთთავად კომპნარი იყო და ყოველ კომპნის ხეზე შოშიები გუნდ-გუნდად ჩამომსხდარიყვნენ. მათი ჟივილ-ხივილი ამ რუხ შემოდგომას აკომპანიმენტად გასდევდა და რალაცნაირი სევდაც შემოჰქონდა შიგნით.

ფერდობის ძირას სახლი რომ მოჩანდა, სალმანის სახლი იყო და უეცრად, ალაჰვერდის სალმანი შეეჯავრა – ამ დილით ხელები ისე რატომ გადაიქნადამოიქნიაო.

ალაჰვერდი ვერც წიგნს კითხულობდა, ვერც გაკვეთილს ამზადებდა და არც სოფელში გავლა უნდოდა. თითქოს საკუთარ თავს გარედან უმზერდაო და ეჩვენებოდა, რომ უწინდელი ალაჰვერდი აღარ არის. რატომ ეჩვენებოდა, რატომ ფიქრობდა ასე? – ვერ აეხსნა. ცხადი იყო, რომ მას კვლავაც ალაჰვერდი ერქვა, თავიც, ხელებიც, ფეხებიც უწინდელი ება, მაგრამ ამ სახელით, თავით, ხელებით, ფეხებით

ძველი ალაჰვერდი რატომღა არ იყო, ვერ მიმხვდარიყო.

მან თვალეები უფერულ შემოდგომას მოაცილა, ხის სკამიდან წამოდგა და პატარა კარადის ბოლო უჯრა გამოალო. ქალაქდნაყრილი წერილი აიღო, თუმცა არ წაუკითხავს, რადგან უეცრად მიხვდა, რომ ყოველი სიტყვა ზეპირად სცოდნია თურმე. გულში თავისდაუნებურად სადაფის მოწერილი წინადადებების გამეორებას შეუდგა.

ალაჰვერდი ვერაფრით დაიჯერებდა, რომ წერილი ასე ბრწყინვალედ გაუზეპირებია.

ლამით დაწოლისას ალაჰვერდომ იგუშანა, რომ დილაამდე თვალს ვერ მოხუჭავდა, მაგრამ იძინა ალაჰვერდომ, იძინა და თან მთელი სიცოცხლის მანძილზე პირველად ნახა ფერადი სიზმარი: იმდენი ფერი იყო, რომ... ალაჰვერდის ამდენი ფერი არ ენახა – ვერცხლისფერი, ნარინჯისფერი, ხავერდისფერი... სხვადასხვაგვარად ბრწყინავდნენ ფერები, სხივებად ეცემოდნენ გარშემო. ალაჰვერდიც მათ შორის იმყოფებოდა, იმსჭვალებოდა მათით.

ალაჰვერდომ იცოდა, რომ ეს სიზმარი იყო და ისიც იცოდა, რომ სადაფის სიზმარი იყო ეს. სადაფი თვითონ არ ჩანდა, მაგრამ ალაჰვერდი ხვდებოდა, რომ მთელი ეს ფერადობა სადაფის გამო იყო და სინამდვილეში, ეს ფერები თვითონ სადაფი იყვნენ.

და ყაშამის ხმა კვლავაც მოისმა:

– ე, ალაჰვერდი, შუადღემ მოანია, ადექი რალა!

ალაჰვერდის სიზმარშიც ეშინოდა, რომ ამ ხმას გაიგონებდა; ეშინოდა, რომ ფერები გაქრებოდნენ – ვერცხლისფერი, ნარინჯისფერი, ხავერდისფერი...

– ე, ალაჰვერდი!

ალაჰვერდომ თვალეები გაახილა და თითქოს წამიერად წელანდელი ფერები ოთახშიც შემოიჭრნენ და მერე წელნელა კედლებს, იატაკს, თავანს შეეთვისნენ; წამიერად ალაჰვერდის ეგონა, რომ დილამ საგაზაფხულო დღესასწაულის თენებას მიატანა, რომ გაზაფხულის დღესასწაულია დღეს.

– ბიჭო, რა იქენი?

– ვდგები!..

ალაჰვერდი ეზოში ჩავიდა. აინა წითელას წველიდა, ძროხა მინაშენის ქვეშ ება, გარეთ ისევ ცრიდა. ბოჩოლაც გამეტებით ინევდა დედისკენ, რათა რძე მოეწოვა და თავს ცურის ქვეშ

დურთავდა მალიმალ.

კრიდა, მაგრამ ეს არ ამძიმებდა ალაჰვერდის, არც სციოდა და როცა მან ლურჯა ბოსლიდან გამოიყვანა, ყაშამმა შვილს გაკვირვებით გახედა – ძილგამოუმცხვარად წამომდგარ და ამის გამო ცხენის დასარწყულვლად ყოველთვის ბუზღუნით წამყვან ალაჰვერდის, დღეს გუნება აშკარად გახსნილი ჰქონდა.

მალიქის ნაბლა ფაშატი კვლავაც არხის განაპირას იდგა, ფეხკავშა კვიციც გვერდით დაკუნტრუშობდა. ალაჰვერდის მოჰკრა თუ არა თვალი, მალიქმა ალაგ-ალაგ მთქნარებით იკითხა:

– გუშინ ... კინოში რატომ... არ იყავი? ალაჰვერდის მხოლოდ ახლა მოაგონდა, რომ ჯაფარს გუშინ საღამოს ფილმი უნდა ერგენებინა და მას რაც კი ამ სოფელში ფეხი აუდგამს, პირველად დაინწყებია ეს. თუმცა ამის გამო არც დამწუხრებულა ალაჰვერდი, რადგან ყველაფრის თავის კლანჭებში მომქცევი ამ რუხი შემოდგომის იქით, უკვე სხვა სამყარო ჰქონდა მას და ეს სამყაროც ფერადოვანი იყო – ვერცხლისფერი, ნარინჯისფერი, ხავერდისფერი...

ალაჰვერდი ცხენით ეზოში რომ მიბრუნდა, ყაშამმა კვლავაც გაკვირვებით გახედა ვაჟს და ამჯერად ზუსტად დაიბეჯითა, რომ ალაჰვერდის ამ ეზოდან, სახლიდან, ამ მეურნეობიდან გარეთა ცხოვრებაში ძირფესვიანი ცვლილება მომხდარა; ყაშამმა ისიც იგრძნო, რომ ეს გარდატეხა ახალგაზრდობასთანა დაკავშირებული.

მერე შვილის შარვლის კოჭებსზემით ძლივს მომწვდარ ტოტებს დახედა და გაიფიქრა, რომ ახალი შარვალი უნდა უყიდონ ალაჰვერდის – ძალიან გაზრდილა ბიჭი.

რა თქმა უნდა, ალაჰვერდიმ მამის ფიქრებისა არა უწყოდა რა, ამიტომ ძროხა დიდი ხალისით გაიგდო წინ და ეზოდან ხელმეორედ გავიდა.

ალაჰვერდი სოფლის საურმე გზაზე თავქვე მიაბიჯებდა და უცებ რომელიღაც საცეკვაო მელოდის სტვენას შეუდგა, მიხვდა, რომ დილის აქეთ გულში სულ ამ მელოდის იმეორებდა. იმასაც მიხვდა, რომ ეს მელოდია წუხანდელი სიზმრის გაგრძელება იყო.

უკან ჩაახველეს და ალაჰვერდიმ მოზრუნებისას სალმანი დაინახა – თავისი კამეჩი მოჰყავდა. თითქოს ალაჰვერდის მიხედვასლა ელოდაო, მაშინვე ამინდზე წუნუნს მოჰყვა სალმანი:

– კაცო, ასეთი ამინდი გავგონილა?!

– მერე ამ ნათქვამს ერთი-ორი სალან-ძლავი სიტყვაც დააყოლა და თქვა – ნადირიც წავიდა.

ალაჰვერდი შეჩერდა, იგრძნო, რომ სუთქვა ეკვროდა, მერე პასუხი იმთავითვე ისედაც ნათელი რომ იყო, ისეთი რამ ჰკითხა:

– როგორ, ფილმს არ გადაიღებს?

– რა ფილმი, რის ფილმი? ასეთ ამინდში ფილმი გადაიღება? – სალმანმა მცოდნე კაცივით აიქნია ხელი და ერთი-ორი ხოშიანი სიტყვაც კიდევ მიაყოლა – ჩავა და ბარში გადაიღებს. ამბობს ნელინადი და თორმეტი თვე ამ მთის მწვერვალზე ამინდის ლოდინში ვერ გავატარებო... მართალს ამბობს და რას ერჩი?

ალაჰვერდიმ თავი ძლივს შეიკავა რომ არ ეკითხა „და სადაფი?“

მაგრამ არაფერი უკითხავს ალაჰვერდის, რადგან ყველაფერი ცხადი იყო ისედაც: ამ შემოდგომას ბალახიც კარგი იქნებოდა და პურიც, მაგრამ მხარზე თუნგშემოდებულ, წყაროდან მომავალ სადაფს ფილმში აღარ გადაიღებდნენ.

ალაჰვერდიმ სადაფი წარმოიდგინა, სადაფის მოქუფრული სახე წარმოიდგინა, გუშინდელი სიხარულის შემდეგ სადაფის იმედგაცრუება დაუდგა თვალწინ და მისმა უმწეობამ გული ჩაუფუფქა. თავი ძლივს შეიკავა, რომ სალმანისთვის უკადრისი არ ეკადრა, მისი სტუმარი არ გაეთათხა, უბრად არაფერი ეთქვა.

ალაჰვერდი ხვდებოდა, რომ სადაფს რალაც სანუგემო უნდა უთხრას, გუნება გამოუკეთოს და ეს ყველაფერი ალაჰვერდიმ თვითონ უნდა ქნას. იმასაც მიხვდა, რომ ეს ძნელი იქნებოდა, რადგან ალაჰვერდის რცხვენოდა სადაფის.

ალაჰვერდიმ ერთი გაფიქრებით გაიფიქრა, რომ ეგებ წერილი მისწეროს სადაფს და რაც გულში აქვს, პირდაპირ წერილში ჩაღვაროს ანუ ეს წერილიც ფერადი იყოს – ვერცხლისფერი, ნარინჯისფერი, ხავერდისფერი... მაგრამ იგრძნო, რომ წერილის სადაფისთვის გადაცემასაც ვერ გაბედავდა.

მერე გადაწყვიტა, რომ ამ წერილს ბაქოდან მოინერს, ინსტიტუტში რომ ჩააბარებს მერე. თუმცა ისიც დაინამდვილა, რომ ბაქოში წასვლაც გაუძნელდებოდა, გაუჭირდებოდა, რადგან გული დარჩებოდა აქ – სადაფთან.

აზერბაიჯანულიდან თარგმნა
ოქტაი ქაზუმოვა



წესთაველის თაბტაი

24 მარტი
ირაკლი სამსონაძე
ყოფიღების სარამცხელი
რეჟ.: ნინო ლიპარტიანი
ერთ მოქმედებად
ექსპერიმენტული სცენა. დას.: 19:45
ფასი: 6, 7 ლარი

25 მარტი
უილიამ შექსპირი
ჰამლეტი
რეჟ.: რობერტ სტურუა
ორ მოქმედებად
დიდი სცენა. დას.: 19:45
ფასი: 6, 7, 8, 10, 12 ლარი


26 მარტი
ფრიდრიხ ღურენმატი
ვითაგაშობთ სთრინდლარგს
რეჟ.: რობერტ სტურუა, ანდრო
ენუქიძე
ერთ მოქმედებად
დიდი სცენა დას.: 19:45
ფასი: 10 ლარი

26 მარტი
ჩრდილების თეატრი
ფილიფადის ოთხი დრო
რეჟ.: გელა კანდელაკი
ერთ მოქმედებად
მცირე სცენა. დას.: 19:45
ფასი: 7, 8 ლარი

27 მარტი
ლაშა ბუღაძე
ჯარისკაცი, სიყვარული,
დაცვის ბიჭი და...
პრეზიდენტი
რეჟ.: რობერტ სტურუა
ორ მოქმედებად
დიდი სცენა. დას.: 19:45
ფასი: 6, 7, 8, 10, 12 ლარი

30 მარტი
ალეკი ბლაიტი
„მზამართი ახლა ჩვენი
ლტოლვილივს?“
რეჟ.: ალექსი ბლაიტი
ერთ მოქმედებად
ექსპერიმენტული სცენა. დას.: 19:45
ფასი: 6, 7 ლარი

მინანერი ლექსზე



ბელა ჩეკურიშვილი

„პოეტები ნაბიჯებს არ ითვლიან“...

არჩილ ფირცხალავას ის ლექსი მახსენდება, „პოეტები“ რომ ჰქვია:

პოეტებს ნაბიჯებს არ უთვლიან,
მათ ხშირად ეშლებათ ნაბიჯები,
ქმნიან ყოველდღიურ არითმიას
და ხმებს ხარებივით აგიჟებენ.

შრილებს ათასი ბერზვიადა,
ხმა – თითქოს გრიგალში მუხნარია,
პოეტის სიცოცხლე ლექსია და
სიცოცხლეც ლექსივით უხარია.

პოეტი ზეციდან გადმოვარდა,
აქ მხოლოდ საფლავი მოიზომა,
ივანი, ეს ჩვენი ლადოა და
ყელიდან ყაყაჩო მოისროლა.

სისხლო, სხეულში რომ არ გვეტევი,
თვალნიც ცოდვა-მადლი გვილაგია,
აქ რა შუაშია „ანგლტერი“,
აქ ნაღდი პოეტის ჯილაგია.

ირგვლივ თასმებივით გვევლებიან
მტრები, ჩვენივ ლექსით გამოწვრთნილნი,
აქ ნაღდი პოეტის გენებია
საუკუნეებში ამოზრდილი.

იქით – საოცარი მითებია,
აქეთ – თვალთმაქცური მონეტები,
პოეტები ლექსებით ითვრებიან,
ლოთები ჰგონიან პოეტები.

გადათქერავენ და გადეკიდებიან
ქალები მაცდურები ლორწებებით,
პოეტების ცოლები ადრე ქვრივდებიან,
ადრე გვიკვდებიან პოეტები.

ჯანდაბას ყოველგვარი არითმია,
ქვეყანას ჩვენ მაინც მოვედებით,
პოეტები ნაბიჯებს არ ითვლიან,
ძმა-ბიჭებს ითვლიან პოეტები.

მაინც რას ითვლიან ნამდვილი პოეტები?

ისინი ითვლიან სტრიქონებს და სიტყვებს სტრიქონებში და მარცვლებს სიტყვებში. ითვლიან, სად შეჩერდნენ, შეისვენონ, სული მოითქვან, დაიჩვიონ, ამოიკვნესონ, გაორმაგდნენ, სახე იცვალონ.

ითვლიან და ზომავენ, როგორც ანტიკური ხუროთმოძღვრები, შუა საუკუნეთა ალქიმიკოსები, ებრაელი მევახშეები, მეიდნელი ჩარჩები, სადაზღვევო კომპანიის ოფიცრები, თერძები.

ისინი ითვლიან ემოციებს, ვნებებს, ქარიზმებს, თვითმკვლელობებს, მეგობრებს, კახპებს, მნიშვნელოვან და უმნიშვნელო ადამიანებს, ქუჩის დღეებს, სახლის ღამეებს.

ითვლიან და ზომავენ როგორც კენჭებს, რიყის ქვებს, ნათალ ლოდებს, მარ-მარილოს, გრანიტს, აგურებს, რომ მერე ზუსტად მოარგონ და ამოაშენონ – თავშესაფრები, ტაძრები და სიმაგრეები, გასაქცევად, დასახუჭად, დასამალად, სადამსარებლოდ...

მერე კი, ზოგჯერ, ისე ხდება, მათი ტაძრები, სახლები და სიმაგრეები სხვებისთვისაც თავშესაფრად იქცევა ხოლმე, მაშინ უკვე აღარავის ახსენდება სამშენებლო მასალად რომ გამოიყენეს, დაჭრეს, გარანდეს, გათალეს თუ ჩაადულაბეს...

სასკოლო ქრესტომათიებში ამ ყველაფრის განმარტებად წერია – ლექსი.

100 ლექსის ქვეყანა

სანდრო ლორთქიფანიძე

ვიღაცამ გუგულით გააკურინას გადაუფრინა

ანუ ლიტერატურული ექსპრესი თოვლში და უთოვლოდ...

იცით ყველაფერი საიდან დაიწყო? საყოველთაო უძილობიდან, დიას! თუმცა ეს უძილობა არც პოეტური ბოჰემის ბრალი ყოფილა და არც მუზათა მოჭარბების, უბრალოდ, როგორც აღმოჩნდა, თბილისიდან ბორჯომისკენ მიმავალი მატარებელი უღმერთოდ ადრე, 7 საათზე იღებს გეზს და, რა თქმა უნდა, არ ენაღვლება, რომ ლექსების წერისგან გადაღლილ პოეტებს ძილისთვის გამოყოფილ ორიოდ საათსაც ართმევს. ასეა თუ ისე, „დილის 7 საათზე ყველაფერი გენიალურად იყო“, მატარებლის ბაქანზე ახალგაზრდა პოეტები შევეგროვდით. ის პოეტი რა პოეტია, წიგნი თუ არ უდევს ჯიბეშიო, ნათქვამია და ჩვენც ლექსებით ჯიბეამოტენილები მივადექით მატარებელს, რომლის არაპოეტ მგზავრებსაც, ერთი შეხედვით, მაინცადამაინც არ ეპიტნავათ ამდენი სიტყვით შეპყრობილი ადამიანის ერთად ხილვა. ჩვენ მაინც ჩვენი გავიტანეთ და ერთ-ერთი ვაგონი პოეტური შტურმით ავიღეთ, რათა მთელი გზის განმავლობაში კულტურული ტერორი მოგვეწყოს იმ შემთხვევითი თანამგზავრებისათვის, რომლებმაც რამდენიმე საათის გასვლის შემდეგ, ჩვენდა სასიხარულოდ, ძილს ისევ ლექსების მოსმენა ამჯობინეს.

ყურსასმენებს ვიკეთებ, სავარძელში კომფორტულად ვკალათდები და ვცდილობ ძილისგან ნასესხები საათები მუსიკის მოსმენით ავანაზღაურო, მუსიკა კი... მუსიკას ალბათ ჩემზე მეტად ეძინება, ამიტომ ჩემი განცხრომის რისხვად ჩემივე შემოქმედებას მივლენს, აბა როგორ?! ის ტერორისტი რა ტერორისტია, თუ საკუთარი მიზნის მისაღწევად მზად არაა დათმოს განცხრომის წუთები, მეც დავთმე... დათმობა არა მარტო მე, არამედ თითოეულ იქ მყოფ პოეტსაც მოუწია. უცნაური კადრია ჩემს მესხიერებაში: ჩვენ გავდივართ მეზობელ ვაგონში, ვინცებთ ლექსების კით-

ხვას, იქ ძირითადად შავი ფერის სუნი დგას, ყველა ჩამუქებულია, ჩვენ კი ვცდილობთ საკუთარი ლექსები ვიკითხოთ და გავაფერადოთ იქაურობა, რთულია, არა? ჩვენც გავგიჟირდა, მაგრამ შევძელით. სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ გამომცემლობა „ინტელექტის“ მიერ მოფიქრებული ამ პროექტისადმი ინტერესი საგრძნობლად გაიზარდა. თუ ადრე ბათუმისკენ მიმავალ მატარებელს მხოლოდ ჩვენ შევესიეთ, ამჯერად მისია ბორჯომი-ბაკურიანისაკენ ბევრად უფრო ხალხმრავალი აღმოჩნდა. თბილისიდან გამოგვყვნიენ როგორც პოეზიის მოყვარული ნაცნობ-მეგობრები, ისე სრულიად უცნობი ადამიანები. მოგვყვებოდნენ და ფიქრობდნენ ალბათ, რომ პოეზიის სახელით პოეტის ყველა ხუმტურის ატანა შეიძლება, ჩვენ კი ამ გულმართალი და ალალი ადამიანების შემხედვარე, ხუმტურები სულ გადაგვაფინყდა და გავთბით. იმედი მოგვეცა, რომ გათბნენ მეზობელ ვაგონებში შეკრებილი ადამიანებიც, რომლებიც მატარებლის ხმაურში გაფაციცებულები უსმენდნენ ჩვენს ლექსებს... არა, რაღა თქმა უნდა, ის-

თამილა წონორია, გიორგი შალამბერიძე, ნინო სადღობელაშვილი და კატო ჯავახიშვილი ბორჯომის ბიბლიოთეკაში





სანდრო ლორთქიფანიძე

ეთებიც იყვნენ, ბორჯომში ჩასვლისას რომ იკითხეს, რა ლექსები, რის ლექსები, ეგეთი არაფერი გვსმენიაო, მაგრამ ხომ გაგიგონიათ, მთავარი ხარისხია და არა რაოდენობა, ჰოდა ხარისხობრივად კი იმ თითო-ორი ადამიანის გულისხმიერი ლიმილიც საკმარისია პოეტისათვის, რათა ახალ-ახალი ლექსების დაწერის სტიმული მიეცეს.

ლიტერატურული ექსპრესია ახალი, მაგრამ ან უკვე დაჭაშნიკებული პროექტია. არსი მარტივია – პოეტთა გარკვეული ჯგუფი მგზავრობს არაპოეტებთან ერთად, ერთსა და იმავე ვაგონში და მთელი გზის განმავლობაში საკუთარი ლექსებით უმასპინძლებს მათ. გამომცემლობა „ინტელექტის“ მიერ „100 ლექსის“ სერიით გამოცემულ წიგნებს შორის ჯერჯერობით ყველაზე მეტად მაინც ჩვენ ვაქტიურობთ, ახალგაზრდები, ანუ თანამედროვე პოეზიის მემკვიდრეები. აბა, როგორ არ იაქტიურებ, მოულოდნელად ისეთ ლამაზ ადგილებში რომ აღმოაჩენ თავს, როგორებიც არაერთხელ შეგვხვდა ბორჯომისა თუ ბაკურიანისაკენ მიმავალ გზაზე. გარემო თანდათან თეთრდება, ჩვენ ხან ერთად ვიკრიბებით, ხან საკუთარ თავთან ვმარტოვდებით. ვფიქრობთ ყველაფერზე, თოვლზე, ლექსებზე, იმ მუქსამოსიან ადამიანებზე, ვფიქრობთ იმაზე, რომ სამყარო ძალიან პატარაა ჩვენი კომპლექსების ასატანად, ამიტომ მორიდებას ვძლევთ და ისევ და ისევ ვუკითხავთ ლექსებს თანამგზავრებს. მერე... მერე

კი საერთო ჟრიალს ერთი ტრადიცია ინვესს: საერთო ლექსი! აი, აქ კი უკვე საქმე ცუდადაა... განმარტოებით წერას მიჩვეული პოეტები ვერ ეგუებიან ასეთ ხალხმრავლობაში მუშების მოხმობას და ინერება ლექსი, რომელიც ნებისმიერ ჩვენამდე არსებულ პოეტს გადაატრიალებდა საფლავეში. ვკითხულობთ რა ამ ლექსს, ვთვლით, რომ ამ წამს მთელი დედამიწა გადაატრიალდა, ვკითხულობთ ისევ და ვთვლით, რომ ეს მეორე წაკითხვა წამდვილად ზედმეტი იყო... ჰო, ხუმრობა იქით იყოს და, სახალისოა ეს პროცესი, თითო პოეტი – თითო სტრიქონს წერს – შედეგი კიდეც ერთი მტკიცებულებაა იმისა, რომ თითოეული პოეტი ინდივიდია და ვერასოდეს მოახერხებს საერთო მარაქაში გარეგას. ჩვენ ეს ინდივიდუალიზმი გვიხარია.

ჩავდივართ ბორჯომში. როგორ მოგვნატრებია დათოვლილი ქუჩები... აქ ცოტა ხანს უნდა გავჩერდეთ, შემდეგ ბაკურიანისაკენ მიმავალი ე. წ. „კუკუშკა“ გველოდება. ვგუნდაობთ, ყოველგვარი პოზიორობისა და პოეზიორობის გარეშე, ვგუნდაობთ პატარა ბავშვებივით, შემდეგ კი თოვლში ამოგანგლულები ვთავსდებით პატარა, საყვარელ „კუკუშკაში“. ჩვენი მგზავრობის მეორე ეტაპი და ჩვენი პოეტური ტერორის მორიგი მსხვერპლი. „კუკუშკის“ მგზავრები უფრო მეტად ფერადები არიან, ეტყობათ თოვლის სისპეტაკე სულამდე მისწვდათ. ვკითხულობთ, ვმღერით, ვსაუბრობთ გაუთავებლად. ბუზს ძალიანაც უნდა, რომ მისი გაფრენის ხმა გავიგოთ, მაგრამ ამოდ. აი, გული რაზე დაგვწყდა? იმაზე, რომ ბაკურიანს მონატრებულ ქალაქლებს იქ გაჩერება მხოლოდ ოციოდე წუთით მოგვიხდა, მაგრამ ამასაც ხომ თავისი მიზეზი აქვს? ბორჯომში პოეზიის მომლოდინე საზოგადოება გულანთებული ზის ქალაქის ბიბლიოთეკაში და ცდილობს უფერულ კალენდარში ეს ერთი დღე ლამაზი ფერებით აღნიშნოს. ჩვენ კი ამ დროს... აი, გუნდაობა ბაკურიანში უნდა გენახათ, ვერ დავიკვივხნი, გუნდას გუნდაში ვაჯენ-მეთქი, მაგრამ არც მთლად ჩამორჩენილი ვარ ამ ამბავში... პოეტები ცდილობენ, გამოყოფილი ოცი წუთი მთლიანად გამოიყენონ... სეირნობენ ცხენით, წვებიან თოვლში, იღებენ ფოტოებს...

ბორჯომში ხალხი გველოდება! ჩქარა! პოეტები ჩამოდინან ცხენიდან, იფერთხავენ თოვლს, ინახავენ ფოტოაპარატებს... გვაგვიანდება! პოეტები სწრაფად ადიან „კუკუშკაში“, ნახვამდის, ბაკურიანო...

რა უცნაურია ბუნება, ბორჯომში დაბრუნებულებს თოვლი თითქმის ბოლომდე დამდნარი გვხვდება, ჯგუფებად ვიყოფით და ქალაქის ბიბლიოთეკისაკენ მივდივართ. აი, იქ კი ნამდვილად ბევრი ხალხია. რაც ყველაზე გასაკვირია, სრული ასაკობრივი მრავალფეროვნებაა, დაწყებული კლასების ასაკიდან მოხუცებამდე... დიდი პასუხისმგებლობაა. ამდენი ხალხი მხოლოდ შენს მოსასმენად მოვიდა ამ პატარა დარბაზში, უნდა შეეცადო და იმედი არ გაუცრუო, ჩვენც ვცდილობთ, ჩვენებურად, როგორც შეგვიძლია... ოვაციები... – მე მგონი მოსწონთ... გაღიმებული სახეები... – არა, ნამდვილად მოსწონთ!.. აი, რამდენიმე მათგანი, სალამოს დასრულების შემდეგ, ხელსაც გვართმევს და საკუთარ აზრს გვიზიარებს... ჰო, ნამდვილად მოეწონათ... კმაყოფილები ვართ და ბიბლიოთეკიდან გამოსულები ერთმანეთის ლექსებს ვიმეორებთ...

პოეტიც ადამიანიაო, სშირად იტყვიან ხოლმე. უდავოდ ასეა... პოეტსაც უნდა ძილი, მითუმეტეს ასეთი დამლელი დღის შემდეგ, მაგრამ რა არის უცნაური, იცით? თითქმის არავის გაგვჩენია სურვილი დაგვეძინა იმ ღამით... რატომ? ნუთუ იმიტომ, რომ ვცდილობდით ერთად ყოფნით გამოწვეული სიხარული ყოველნამიერად გაგვეხანგრძლივებინა და ეს დრო ოპტიმალურად გამოგვეყენებინა? ან იქნებ იმიტომ, რომ მაინცადამაინც ძილის სასარგებლოდ ვერ გადაწყვიტეთ ჩვენს შიგნით დავა? ფაქტი ერთია, ბორჯომ-ბაკურიან-დაისევ-ბორჯომგამოვიღო, დაღლილ პოეტებს არ დაუძინიათ, არამედ ისხდნენ ერთად, ერთ პატარა და თბილ ოთახში და საუბრობდნენ ათას სისულელეზე. აბა ეს ყველაფერი მკითხველს რაში უნდა აინტერესებდეს, პოეტი ხომ ზეციური მოვლენაა, მაგრამ არც მთლად ასე ყოფილა თურმე... „ექვსი საათია, გასვლის დროა, გაიღვიძე!“ – მომკალით და ზუსტად არ მახსოვს, ამ სიტყვებით ვინ გამომაფ-

ხიზლა, ადრესატი კი ნამდვილად მე ვიყავი, ვაი, სირცხვილო, ჩამძინებია, რას იფიქრებენ პოეტები, მათ ხომ არ უძინიათ მთელი ღამე, მე კი ჩამეძინა... თვალს ვახელ და რამდენიმე წამში ყველაფერი ნათელია, მე მარტო არ ვარ, დიახ, სხვებსაც ჩასძინებიათ, არა რა, რალაც შეცდომაა, მე მგონი, მართალია, რომ პოეტიც ადამიანია...

სანამ თბილისისაკენ მომავალ მატარებელში მოვთავსდებოდე, ბორჯომის სადგურში ვიყრი თავს, ყველანი აქ ვართ და არავინაა ჩვენს გარდა სხვა... მინა თოვლითაა დაფარული, „რა გავაკეთო მატარებლის მოსვლამდე?“ – ვფიქრობ. მერე ვდგები, თოვლით დაფარულ ერთ სუფთა და დიდ ადგილს ვნახულობ და ნაბიჯ-ნაბიჯ ვხატავ მინაზე მშვიდობის ნიშანს. და არა მარტო მე... ასეა ალბათ. ყველა პოეტს... არა, არა... ყველა ადამიანს უყვარს მშვიდობა, რა თქმა უნდა, ალბათ ამიტომაც „ვატერორებდით“ წინა დღეს მგზავრებს ჩვენი ლექსებით, ბოლოსდაბოლოს, ისინიც ხომ მშვიდობისთვის იწერებინან... ჰო, ასეა, ნამდვილად.

გიო არაბული, გიორგი შალამბერიძე, გიორგი კეკელიძე, სალომე ბენიძე



პრეზენტაციები

გვანცა ჯობავა

ესმა ონიანის „ამოუხსნელი სიტყვების“ პოეზია



ცაგერისა და ლენტეხის მთავარეპისკოპოსის, **მეუფე სტეფანეს** თაოსნობით საფუძველი ჩაეყარა ლიტერატურულ საღამოებსა და შეხვედრებს ხელოვნების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან. ამ ტრადიციად დამკვიდრებულ საღამოებს, რომლებიც **საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში** ხუთშაბათობით იმართება, პოეტი **ერეკლე სალიანი** უძღვება. ცენტრმა უკვე უმასპინძლა **თენგიზ არჩვაძეს, მანანა ჩიტიშვილს, ტარიელ ხარხელაურსა** და ხელოვნების სხვადასხვა დარგის მრავალ წარმომადგენელს. 3 თებერვალს კი საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში პოეტისა და მხატვრის **ესმა ონიანის** შემოქმედების მოყვარულებმა მოიყარეს თავი. „ვატყობ, ნელ-ნელა ყალიბდება ესმა ონიანის ორდენი... დღესდღეისობით ესმას ჰყავს თავისი მკითხველი და თავისი ლიტერატურული პატრონი, რომელიც ყოველ შემოქმედს აუცილებლად უნდა ჰყავდეს. ისინი ხედავენ მის ტექსტებში იმ ყოველივეს, რასაც პოეტის თანამედროვენი ვერ ხედავდნენ და მათთვის ესმა თავისი პრობლემებით და ესთეტიკით აქტუალური და თანამედროვეა“, – განაცხადა კრიტიკოსმა **კობა იმედაშვილმა**, როდესაც დამსწრე საზოგადოებაში მრავლად აღმოაჩინა ნაცნობი სახეები, რომლებიც მუდმივად ესწრებიან ესმა ონიანის შემოქმედებისადმი მიძღვნილ თითქმის ყველა საღამოს.

საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში გამართულ საღამოს განსაკუთრებული ელფერი შესძინა ესმა ონიანის ნახატებმა, რომლებიც მრავლად გამოიფინა ცენტრის დარბაზში. „განსხვავებულია დღევანდელი საღამო, ჯერ მარტო ამ საოცარი ინტიმით“, – განაცხადა პოეტმა **ერეკლე სალიანმა**, რომელიც პირველი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას.

საღამოზე დაისვა კითხვა, რომელიც ისედაც მუდმივი დავის საგანია: რომელი უფრო მეტია, ესმა ონიანი – როგორც მხატვარი, თუ ესმა ონიანი – როგორც პოეტი? **ერეკლე სალიანი**მა შეკითხვას ამგვარი პასუხი გასცა: „რომ არა პოეტი ესმა ონიანი, არ გვეყოლებოდა მხატვარი ესმა ონიანი და რომ არა მხატვარი ესმა ონიანი, არ გვეყოლებოდა პოეტი ესმა ონიანი. ჩემთვის მიუღებელია, როცა ადამიანს მარტივ მამრავლებად შლიან ხოლმე. მე ესმას განვიხილავ, როგორც ერთ დიდ მთლიანობას, მისი მხატვრობა იქნება ეს თუ მისი პოეზია. ისინი არ არსებო-

ბენ ერთმანეთის გარეშე. გვერდიგვერდ დგანან, ხელჩაკიდებული დადიან, ერთ ჰაერს სუნთქავენ და ერთი ფიქრით არიან გაჯერებული“. იგივე საკითხს შეეხო პოეტი **რენე კალანდიაც**: „ძალიან ძნელია ისაუბრო ისეთ დიდ პიროვნებაზე, როგორიც ესმა ონიანია. არის ასეთი საკითხი: მხატვარი ესმა ონიანი ჯობდა, პოეტი თუ ესეისტი? მჯობნის პრინციპი მოდის უფრო სპორტიდან, ხელოვანთა შორის კი ის განსხვავებაა, რომ ერთი ხედავს სხვა კუთხით ამ სამყაროს, თავისი სილამაზით თუ სინიჭურით, მეორე კიდე – სხვა კუთხით“.

თითქმის ყველა გამომსვლელმა გაამახვილა ყურადღება ესმა ონიანზე, როგორც ღვთისმოსავ ადამიანზე, რაც პირდაპირ-პროპორციულად ასახულია მის შემოქმედებაში, მხატვრობა იქნება ეს თუ პოეზია. „ისეთი ადამიანები, როგორიც გახლდათ ესმა ონიანი შესაძლებელია ამ საუკუნეში მხოლოდ ერთი დაიბადოს... მაინც რა გვიზიდავს ჩვენ მის შემოქმედებაში? ეს არის სიღრმისეული აზროვნება. ეს დიდი ქალბატონი ეძებს შორს მიმავალ კავშირებს და არ იფარგლება არც ზედაპირული ანალიზით და არც ზედაპირული ემოციით. მიდის სიღრმეში და შემდგომ უკვე იქიდან საუბრობს. მივაქციოთ ყურადღება მის მიერ შექმნილ პორტრეტებს. ეს არ არის მხოლოდ გარეგნული ხატი, სახე იმ ადამიანისა, რომლის პორტრეტსაც ქალბატონი ესმა ქმნის. იგი შედის მის სულში, მკვიდრდება და შემდგომ იქიდან გვესაუბრება. აქ დიდ ნიჭიერებასთან ერთად, დიდი ქრისტიანული განცდაა ჩანს, მოყვასისადმი დიდი სიყვარული... და როცა ამ ნახატებს უყურებ, იქმნება წარმოდგენა, რომ მხატვრისათვის მთელი სამყარო ცოცხალია. არ არსებობს მისთვის საგანი. ყველაფერს აქვს სული და ყველაფერი არის ცოცხალი“, – განაცხადა **ერეკლე სალიანი**მა. **მამა ელიზბარის** სიტყვებით კი, რომელმაც დამსწრე საზოგადოება დალოცა: „ის ადამიანი, ის ხელი, რომელმაც ჩვენ თვალებში სინათლე მოგვიტანა, არ შეიძლება ბნელში ამყოფოს უფალმა“. იმავე თემას შეეხო კობა იმედაშვილიც: „კმაყოფილებას გამოვთქვამ იმის გამო, რომ ესმას საღამო სწორედ აქ ტარდება, უფლის დიდ სახლში. რადგან იგი ღვთისმოსავი ადამიანი იყო. სწორედ რწმენა გახდა ის საფუძველი, რომელსაც დაეყრდნო მისი პოეზია. მაგრამ მარტო ღვთისმოსაობა არ იყო ესმას ღირსება. მას ჰქონდა

ღვთით მოცემული ნიჭი მხატვრობისა, მწერლობისა და ამ ნიჭის მოვლის დიდი, შესაშური უნარი. ესმა ონიანის ტექსტები ძვირფასი სასმელივითაა, რაც დრო გადის, მით უფრო ნატიფი, იდუმალი და სასიამოვნო ხდება. ექვს თვეზე მეტი მოვანდომე მის ხელოვნებაზე იმ წერილის დაწერას, რომელიც „ჩვენს მწერლობაში“ დაიბეჭდა. მეგონა ჩემთვის ამოიწურა ამ ტექსტების სათქმელი, მაგრამ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ რომ ვკითხულობ ესმას პოეზიას, თითქოს არც არაფერი დამენეროს, იმდენი სინათლე შემომაფრქვევს ნაცნობმა ლექსებმა, იმდენი ვერმოსმენილი ბგერა, იმდენი ამოუხსნელი სიტყვა, იმდენი განუცდელი ვნება... ვფიქრობ, დადგა დრო არა მარტო ჩვენს ლიტერატურის ისტორიაში, არამედ ჩვენს ისტორიასა და ხელოვნების მემკვიდრეობაში ზოგი რამ გადაფასდეს, დაერქვას თავისი სახელი. მართალია, ყველაფერს დრო აფასებს, მაგრამ ჩვენც უნდა ვთქვათ ჩვენი სათქმელი: მე დარწმუნებული ვარ, რომ ახალ ლიტერატურის ისტორიაში ესმა ონიანი დაიკავებს თავის უმაღლეს ადგილს!“.

აქვე აღნიშვნის ღირსია ბოლო დროს მომრავლებული კრიტიკული წერილები, რომლებიც ესმა ონიანის შემოქმედებას ეძღვნება. მათ შორის პოეტმა რენე კალანდიამ განსაკუთრებული სიზარულით გამოყო ახალგაზრდა პროზაიკოსისა და პოეტის – **ნინო სადღობლაშვილის** წერილი „დუმილის ბნეკარედი“, რომელიც ჟურნალ „ქართული მწერლობის“ თებერვლის ნომერში გამოქვეყნდა: „ეს მშვენიერი ესეი დასტურია იმისა, რომ ნიჭიერი ახალგაზრდები, რომლებიც სერიოზულად მოდიან

ქართულ მწერლობაში, უფრო და უფრო ინტერესდებიან ესმათი“.

სალამოზე ისაუბრა სამხატვრო აკადემიის პროფესორმა **გოგი ხოშტარიამ**, რომლის თქმითაც „ესმას შემოქმედებაში არის სწორედ ის მუხტი და ენერგეტიკა, რომელიც ჭეშმარიტ ხელოვნებას ახასიათებს. იგი გაძლევს იმედს, რომ შენ ცოცხალი ხარ, არსებობ და ტყუილად არ დადიხარ ამ ქვეყანაზე“. ესმას შემოქმედების პირუთვნელმა შემფასებელმა, მხატვარმა **გოგი წერეთელმა** კი განსაკუთრებულად გამოყო ესმა ონიანის დის, ქალბატონ **ირინა ონიანის** გამორჩეული ღვანლი დის სახელის უკვდავსაყოფად და სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა. აღმოჩნდა, რომ ჩაფიქრებულია ესმას ორტომეულის გამოცემა, სადაც პოეტის ლექსები და ესეები სრული სახით შევა. პოეტმა **ნათია ავსაჯანიშვილმა** ესმა ონიანისადმი უდიდესი პატივისცემა საკუთარი ლექსით გამოხატა.

სალამო, რომელსაც მუსიკალურად ხალხური სიმღერების **ანსამბლი „კვირია“** აფორმებდა, დაასრულა ახალგაზრდა მწერალმა **ზვიად კვარაცხელიამ**: „ის გამორჩეული თვისება, რაც ესმა ონიანში გვხიბლავს, არის მისი უშეღავათობა, უკომპრომისობა – პირველ რიგში საკუთარი თავის მიმართ. მისი ლექსები იოლად არ იკითხება, მაგრამ არც იოლად იწერებოდა... სხვათა შორის, არც იოლად იბეჭდებოდა, რადგან პოეტს კონიუნქტურისთვის არასდროს გაუწევია ანგარიში და მთელი შემოქმედებითი ცხოვრება სიმარტოვეში გაატარა. სწორედ ამ მარტოობიდან ამოიზარდა ესმა ონიანის ნამდვილი და უაღრესად თვითმყოფადი პოეზია“.

რენე კალანდიას „100 ლექსი“ – „განსაკუთრებული მოვლენა“

გამომცემლობა „ინტელექტმა“ „100 ლექსის“ სერიის მორიგი, 54-ე ტომი გამოსცა, სადაც **რენე კალანდიას** ასმა რჩეულმა ლექსმა მოიყარა თავი. კრებულის წარდგინება გამომცემლობაში გაიმართა.


სალამო „ინტელექტის“ დირექტორმა **კახმეგ კუდავამ** გახსნა. თავდაპირველად, ისაუბრა რა სერიის შესახებ, აღნიშნა, რომ ტომების ნუმერაცია პირობითია და მას განსაკუთრებული მნიშვნელობა არ აქვს. შემდეგ კი „100 ლექსის“ ფარგლებში დაგეგმილი ორი კრებულის შესახებაც განაცხადა: ქართული პოეზია მალე თურქულ და ფრანგულ ენებზე გამოიცემა.

რენე კალანდია „100 ლექსის“ სერიით გამოცემული რამდენიმე ტომის შემდგენელი და წინასიტყვაობის ავტორია და ბატონი კახმეგის თქმით, დადგა დრო, რომ ამ სერიაში უკვე თავისი ლექსებიც წარმოედგინა. სხვა კრებულებისგან განსხვავებით, ამ

ტომში არც ერთ ლექსს არ აქვს თარიღი მითითებული და, შესაბამისად, მათი დალაგებაც წლების მიხედვით არ მომხდარა.

კრებულის წინასიტყვაობა კრიტიკოს **ივანე ამირხანაშვილს** ეკუთვნის. „რენე კალანდია მომავლის პოეტია. ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი ძნელი გასაგებია. პირიქით, „ადვილი“ პოეტია, მისი ლექსი სავსებით შეესაბამება თანამედროვე გემოვნებასა და განწყობილებას. ზუსტად ასახავს დროს და ამიტომაც ეკუთვნის მომავალს, როგორც თანადროულობის პოეტური დოკუმენტი“, – ვკითხულობთ კრებულის შესავალ წერილში. ამავე საკითხს შეეხო თავის გამოსვლაში **როსტომ ჩხეიძეც**, რომელმაც განაცხადა, რომ რენე კალანდია „მომავლის პოეტია იმდენად, რამდენადაც მომავალს უტოვებს სრულ ანგარიშს იმისა, თუ რა ხდება და დღეს“.

პოეტს კრებული **ნოდარ ტაბიძემაც**





რენე კალანდია

მიულოცა, რომელიც ასევე შემდგენელია „ასი ლექსის“ სერიის ორი ტომისა, საქე-ბარი სიტყვები არ დაიშურა და პატივისცემის გამოსახატავად გალაკტიონის წიგნიც უსახსოვრა.

ივანე ამირხანაშვილმა თავის გამოსვლაში **თამაზ ბაძალუას** ქორწინლი რენე კალანდიასთან პირველი შეხვედრა გაიხსენა. იგი არ აღიარებდა კონვენციურ ლექსს; სავარაუდოდ, ეს პოეტისთვის ჩვეულებრივი ძიების პერიოდი იყო. „რენე არის ის პოეტი, რომელსაც შეუძლია სიახლეების არათუ მიღება, არამედ თავისად გამოცხადება. ის დაბადებულია იმ ტიპის პოეტად, რომელიც დროის სულს გამოხატავს, სულისკვეთებას და მისი პოეზია მოდის დროიდან, გარემოდან, სოციალური გარემო იქნება ეს თუ კლასიკური გარემო. მე მემამყება, რომ ჩვენ შეკრებილი ვართ ერთ-ერთი შესანიშნავი პოეტის პრეზენტაციასზე“, – განაცხადა მან.

როსტომ ჩხეიძემ ყურადღება გაამახვილა გამომცემლობა „ინტელექტის“ დამსახურებაზე: „გამომცემლობა „ინტელექტი“ არის ერთი საუკეთესო ბურჯი, მართლაც საყრდენი და წარმმართველი ბევრი რამისა ჩვენს სალიტერატურო ცხოვრებაში. ეს და სხვა სერიებიც, რასაც აქ ხელს მოკიდებენ – ყველაფერი არის მნიშვნელოვანი, ფასეული, მიმართული ქართული მწერლობის უკეთესი დღისათვის. მანვე რენე კალანდიას „100 ლექსი“ „განსაკუთრებული მოვლენა“ უწოდა და აღნიშნა, რომ „პოეტის მოღვაწეობის მანძილზე შეიმჩნეოდა გარკვეული უთანაბრობა, თუმცა ამ კრებულით იგი სრულიად ახლებურად, ჭეშმარიტი სახით წარმოჩნდა. ამაში კი უდიდესი დამსახურება წიგნის შემდგენელს მიუძღვის. მთლიანი კრებული გვხიზლავს იმით, რომ ჩავარდნა არ არის. აგებულია თავიდან ბოლომდე და ყოფითობიდან ამოდის, ტკივილებიდან, ჩივილიდან, მაგრამ ეს არ არის პიროვნული ტკივილი, ის განზოგადებულია. ბედისწერის დონეზეა აყვანილი. აქ უკიდურესი სიმწვავეთა და გულგადახსნილობით ერის ტრაგედიაა გამოხატული“.

გამომსვლელებმა საკუთარი სურვილით რენე კალანდიას „100 ლექსიდან“ მათთვის საყვარელი ლექსები წაიკითხეს. როსტომ ჩხეიძემ „თივისა და გოგოს ბალადა“ და ბაჩანა ბრეგვაძისადმი მიძღვნილი „ზუგდიდი: წიგნის მაღაზია, 16 აპრილი“ გამოარჩია. პოეტის ლექსები წაიკითხა ასევე კახმეგ კუდავამაც: „კენტავრის ნუხილი“, „გამოთხოვება სოხუმთან“, „პოეტი“, რომელიც პოეტის ძმებს, **გენო** და **ზაურ კალანდიებს** ეძღვნება.

ახალგაზრდა მწერალმა **ზვიად კვარაცხელიამ** ზუგდიდში თანაქალაქელ პოეტთან პირველი შეხვედრა გაიხსენა: „მამინ ალბათ მეცხრე კლასში ვიყავი, მის სახლს რომ მივადექი, გაუფრთხილებლად და დაუბარებლად, ქუთაისის ქუჩაზე. არასდროს დამავიწყდება ბატონი რენეს მეგობრული დახვედრა... სადღაც გაქრა დაძაბულობა და ასაკობრივი ზღვარიც წაიშალა“. ასევე გაგვიმხილა, როგორ გააოცა მისმა სამუშაო ოთახმა, სადღაც **ფოლკნერის, ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას, ოთარ ჭილაძისა და ანა კალანდიას** ფოტოები გვერდიგვერდ იყო გამოფენილი. ამდენს რომ კითხულობთ, წერას როდისლა ასწრებთ? – უკითხავს. პასუხი ამგვარი მიუღია: „მე ან ვწერ, ან ვკითხულობ, ან ვლოთობ“.

ორიოდ სიტყვით პოეტს **მანანა ამირეჯიბმაც** მიმართა. მან განაცხადა, რომ 10 წლის წინ, როდესაც არ იცნობდა რენე კალანდიას, მაგრამ კითხულობდა მის ლექსებს, მოხიზლა იმან, რომ მამინ, როცა ფილოსოფოსებიც კი იშვიათად ეხებიან სულს, მისი შემოქმედება მთლიანად სულს დასტრიალებდა. „მოგვიანებით ვუთხარი: ვინმემ დისერტაცია რომ დაიცავს სულზე, თქვენი წიგნები აუცილებლად უნდა გამოიყენოს-მეთქი“.

ერეკლე საღლიანის თქმით, „რენე კალანდია არის პოეტი, რომელიც არ დასჯერდა იმას, რაც ქართულ პოეზიაში იყო. სცადა ახალი სიტყვის შემოტანა და კეთილსინდისიერად შეძლო ეს. ღირსეულად ატარა უღელი, რომელსაც პოეტი უნდა ატარებდეს“. განსაკუთრებულად აღნიშნა ის ჯოჯოხეთური შრომაც, რომელიც მან ბალტიისპირეთის ლიტერატურის თარგმნისათვის გასწია.

პოეტისადმი დიდი სიყვარული გამოხატეს ასევე **რეზო ადამიამ** და ესმა ონიანის დამ, **ირინა ონიანმა**. პოეტის ძმამ, **გენო კალანდიამ** კი ისაუბრა მამაზე, **ვლადიმერ კალანდიაზე**, ერთ დურგალ კაცზე, რომელმაც 50 წლის წინ ცალკე სახლი ააშენა საოჯახო ბიბლიოთეკისთვის, რათა მისი შვილების გარდა მოსულიყვენ სხვებიც და წაეკითხათ.

დასასრულ პოეტმა რამდენიმე ლექსი თავად წაიკითხა, მათ შორის ერთ-ერთი ცოლისადმი მიძღვნილი, რითაც კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა ერთგულად გვერდში დგომისთვის და საზოგადოებას შემდეგი სიტყვებით დაემშვიდობა: „დიდი მადლობა ყველა თქვენგანს. მძიმე ტვირთია თქვენი სიყვარული ჩემთვის. ამხელა კაცი ვარ უკვე და ანი რა უნდა დამემართოს ისეთი, რომ ეს სიყვარული არ დავაფასო...“